კვირის პალიტრა

ფეხი

26(159) 26/VI.-2/VII.2003. ფასი 60 თ.

1168
2003

რეგორი უნდა იყოს ქართველი ფანი

...ორაგზეები ...ნინოს ...ართგულ ...ეგობრად ...ივლიან

...ქიშვილის სექსუალური „ნათლობა“... ქართულად

...ად უნდა ნასვამ ...ომელაურს ჩაქუჩი

ერთთვითრიანმა ქეთი წიკლაურს ბავშვობა გაახსენა — მოგზაურობა „ივერიასთან“ ერთად

ბაკურიანის გართობისა და დასვენების ჯადოსნურ სამყაროს 2003 წლიდან შეემატა ახალი, ულამაზესი

სასტუმრო „მელისი“

ტყის პირას

თითოეული ნომერი აღჭურვილია აბაზანა-ტუალეტით, ტელევიზორით, ფოიეში მინი ბარი, სასიამოვნო მუსიკა.
და რაც მთავარია, სუფთა ჰაერზე გაღვივებულ მადას პროფესიონალი მზარეულების მიერ მომზადებული უგემრიელესი, ეკოლოგიურად სუფთა, ქართული და ევროპული კერძები დაგიცხრობთ.
ეს ყველაფერი 15$-ად.

მოგესალმებთ 2003

გააგრძელეთ ცხელი ზაფხული სიგრილეში

მის: თბილისი, უზნაძის ქ. № 113ბ; ☎ 94-23-55; 96-05-64 ; 899-17-15-19
ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55; ☎ 899-20-59-42 ; 899-24-86-86

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲐᲚᲘᲑᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№26 (159)
26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ - 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2003
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲡᲐᲡᲘᲫᲝᲔᲑᲘ
● „ᲒᲨᲠᲐᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲛᲔ ᲕᲐᲠ, ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ, ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ ᲜᲘᲜᲐ...“ 6
● „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲗᲛᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ...“ 6
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲛᲘᲜᲓᲐ ᲑᲝᲓᲘᲛᲘ ᲛᲝᲕᲣᲮᲐᲓᲝ... ᲕᲣᲗᲮᲠᲐ: ᲒᲘᲝ, ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲒᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ...“ 8
ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ
ᲗᲔᲛᲣᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲡ ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲗ ᲒᲐᲣᲝᲪᲔᲑᲘᲐ 9
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
● ᲧᲐᲩᲐᲦᲣᲠᲛᲐ ᲑᲐᲜᲓᲐᲛ 63 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲖᲐᲠᲐᲚᲐ 12
● „ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲙᲘᲜᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲮᲔᲚᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ ᲨᲔᲐᲒᲓᲝ“, – ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ 13
ᲝᲯᲐᲮᲘ
„ᲔᲠᲗᲘᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲝᲠᲜᲘ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ...“ 16
ᲗᲔᲛᲐ
ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲘᲡᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ – ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ 19
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
„ᲙᲔᲗᲘᲚᲘ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ 23
ᲤᲐᲜᲘ
„ᲡᲐᲚᲝᲚ ᲓᲔᲓᲐᲨᲔᲜᲡ, ᲙᲐᲠᲒᲘ „ᲛᲐᲚᲘᲐᲠᲙᲐ“ ᲡᲪᲝᲓᲜᲘᲐ!..“ 24
ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ
ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲓ ᲨᲔᲠᲐᲪᲮᲣᲚᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ 26
ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ
ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲧᲔᲠᲐ – ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲔᲗ, ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲘᲥᲪᲜᲔᲜ... 29
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 30

ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲘᲡᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ

ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 13 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲪᲝᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲓᲦᲔᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲰᲧᲐᲕᲡ. ᲔᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲐᲡᲔᲗ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲫᲘᲛᲔ.

19

„ᲔᲠᲗᲘᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲝᲠᲜᲘ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ...“

ᲜᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ. ᲜᲘᲙᲝᲡ ᲝᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲜᲘᲜᲐᲡᲐᲪ ᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲑᲔᲑᲘᲐᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲛᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲠᲐᲝᲠᲓᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲔᲑᲘᲝᲑᲐᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲔᲑᲘᲐᲐ – ᲜᲘᲙᲝᲨᲘ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲔᲑᲘᲐ...

16

ᲧᲐᲩᲐᲦᲣᲠᲛᲐ ᲑᲐᲜᲓᲐᲛ 63 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲖᲐᲠᲐᲚᲐ

...ᲠᲝᲪᲐ ᲓᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ, ᲓᲔᲓᲐ ᲨᲔᲐᲒᲘᲜᲐ, ᲧᲔᲚᲡᲐᲑᲐᲛᲘ ᲩᲐᲛᲝᲰᲒᲚᲘᲯᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲩᲐᲐᲠᲢᲧᲐ ᲗᲐᲕᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲧᲔᲚᲡᲐᲑᲐᲛᲖᲔ ᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲫᲘᲠᲡ ᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ. ᲛᲘᲡ ᲐᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲮᲠᲘᲚ ᲓᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ ᲒᲝᲒᲡᲐᲫᲔᲛ �პᲘᲡᲢᲝᲚᲔᲢᲘ ᲓᲐᲣᲛᲘᲖᲜᲐ.

12

„ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲗᲛᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ...“

ᲗᲛᲘᲡ ᲤᲔᲠᲡ, ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜ ᲠᲐᲦᲐᲪ-ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲑᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲥᲪᲔᲕ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ. ᲰᲝ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ – ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲗᲛᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ. ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲣ ᲡᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ, ᲘᲥ ᲣᲙᲕᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲡ ᲕᲙᲐᲠᲒᲐᲕ... ᲣᲰ, ᲔᲨᲮᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ...

6

გამოცდები და სტრესი

გამოცდა – არა მარტო ცოდნის, არამედ ნერვების გამძლეობის შემოწმება 32

ტაქარი

რა უნდა ვიცოდეთ მირონმდინარ ხატებთან დაკავშირებით? 34

ალმოჩენა

გილგამეშის მავზოლეუმი და ვენეციის მსგავსი უძველესი ქალაქი ერაყის შუაგულში 35

ფავორიტები

ტყავის ბურთის უმდიდრესი რაინდები 36

ვარსკვლავი

ვუდი ალენის ცოდვიანი სიყვარული 40

რომანი

რუსულად ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

გადასალებ მოედნებზე 46

ავტო 48

მოგზაურის დღიურები

სასწაულის მოლოდინში... ამერიკულ ცხელში 50

სპორტული მოზაიკა 53

ქალი საჭესთან

„თამთა გოგუაძის ქმარი კი არა, მგონი, მძღოლი უფრო ვარ..“ 54

ჯანმრთელობა

- კეისარს კეისრისა 56
- შევამოწმოთ კუჭის მქავიანობა 57
- თქვენი პატარა 58
- რა მივირთვათ, რომ არ გავოფლიანდეთ? 58

იუმორი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (30 ივნისი – 6 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

თქვენ და თქვენი ოჯახი 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

სასწაულის მოლოდინში... ამერიკულ ცხელში

მეგონა, ის რუსი პატიმარიც მოჰყვებოდა ურიკას, მაგრამ ამჯერად სხვები მოვიდნენ. ტოლჩაში ფორთოხლის წვენი ჩამისხეს. ნახევარი იქვე დავლიე და ჩემი საწოლისკენ გავემართე, ის-ის იყო, სენდვიჩი პირისკენ წავიღე, რომ გახელებული მომვარდა მოხუცი ბანგი და ხელიდან წამგლიჯა.

50

„საღოლ დედაშენს, კარგი „მალიარკა“ სცოდნია!..“

ხშირად, ისეთ ადგილებში შემიღწევია, მატჩზე აკრედიტებული ჟურნალისტებისთვისაც კი რომ უთქვამთ უარი... მესმის, რომ მართალი არა ვარ, წესით, იქ ჩემი ადგილი არ იყო, მაგრამ საქართველოში ფანების მიმართ ნორმალური დამოკიდებულება რომ იყოს, ეს პრობლემაც ხომ მოიხსნებოდა?

24

ვუდი ალენის ცოდვიანი სიყვარული



მიას სურდა მეუღლესთან, ახალგაზრდა კორეელ სუნ ის ქცევაზე ემსჯელა. სასტუმრო ოთახში რომ შევიდა, ბუხარზე ფოტო შენიშნა და... მასზე სწორედ, საცვლებში გამოწყობილი სუნ ი იყო გამოსახული. იქვე სხვა ფოტოებიც ელაგა, საიდანაც დედიშობილა გოგონას გამოსახულება იყურებოდა.

40

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

– აი, შენი ჩემოდნისა და ჩანთის „ბირკები“, ბარგი აიღე, ტაქსი აიყვანე და შინისაკენ მოუსვი... წადი-მეთქი, რომ გეუბნები, მითვალთვალებენ...

– ვინ გითვალთვალებს? რატომ?.. – ადგილიდან ფეხი მაინც არ მოიცვალა დეამ.

42

„კანონი დეპუტატების მემკვიდრეობითობის შესახებ"



ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!.. მთელი ოთხი წლის მანძილზე მხიარული, ცელქი, მოუსვენარი და უდარდელი სახეები ერთიანად შეცვლილია და თვალებში დარდი ჩასდგომიათ. არც „ბოლო ზარისათვის" დამახასიათებელი რიტუალი ჩაუტარებიათ და ერთმანეთის ძვირად ღირებული თეთრი პერანგები აუჭრელებიათ სამახსოვრო ავტოგრაფებით, არც უწყლო „ბასეინში" უწუწავიათ და არც „მახსოვს პირველად" უმღერიათ ჩვეული შეხმატკბილებით...

მიზეზი – ოთხწლიანი ნეტარების დასასრულის დასაწყისი და არჩევნების მოახლოება. ვინ იცის, ვისთვის როგორ დატრიალდება ბედის ბორბალი? ვის ისევ მოუწევს მშობლიურ კაბინეტში დაბრუნება, ვინ კი მის მიღმა დარჩება და სინანულის ნერწყვს ძლივს გაატევს საყლაპავ მილში?..

მოკლედ, დავიწვი და დავიბუგე მაგათი საცოდაობით. ამიტომ შევეცადე, ცოტათი მაინც გამეხარებინა „ბალღები" და გადავწყვიტე, შედეგების შემაჯამებელი წამახალისებელი პრიზები დამეწესებინა ყველაზე ორიგინალური დეპუტატებისათვის:

1. საქართველო იუმორის ქვეყანაა და პირველი პრიზი სწორედ ამ დარგში დავაწესე: ყველაზე იუმორიანი და ენამოსწრებული დეპუტატი – ჩვენი სასიქადულო პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი!!! (გახსოვთ, ალბათ, მისი – „ქაჯობამ გვაჯობა" და სხვა კაფიები, მაგრამ ეს პრიზი ერთი განსაკუთრებული შემთხვევისათვის დაიმსახურა, როცა მიკროფონთან, ამაო ლოდინით დაღლილმა წამოიძახა – ხალხო, ჩამირთეთ მიკროფონი, თორემ გავხდი ამასობაში გასაპარსიო...);

2. არც ვაჟკაცობითა და ფიზიკური ძალით ჩამორჩება ქართველი ვინმეს, რაშიც ჩვენმა პარლამენტარებმაც არაერთგზის დაგვარწმუნეს. ნომინაციაზე „ყველაზე მოჩხუბარი დეპუტატი" სამი კონკურსანტი იყო წარდგენილი: პეტრე ცისკარიშვილი (კასტეტი), „გაერთიანებული დემოკრატები" (საფერფლე) და ვახტანგ რჩეულიშვილი (მუშტი), მაგრამ ბატონი ვახტანგის გამოცდილებამ პრიზი არავის დაუთმო;

3. „ყველაზე უიღბლო დეპუტატის" ნომინაციაში ერთპიროვნული ლიდერი ზურაბ ჟვანია გახდა გამარჯვებული, რომელმაც მოღვაწეობა პარლამენტის თავმჯდომარედ დაიწყო და რიგით დეპუტატად ამთავრებს (საცოდაობაა, პირდაპირ);

4. ყველაზე მოსწრებულ დეპუტატად მიხეილ მაჭავარიანი დასახელდა, რომელმაც ერთი მოწვევის პარლამენტში ორჯერ მოასწრო არჩევა: ჯერ „მოქკავშირთან" ერთად მოვიდა, მერე, შემოსავლების მინისტრად დანიშნეს, ბოლოს, სამგორის მაჟორიტარად მოახერხა პარლამენტში „მეორედ მოსვლა" (ქართული პოლიტიკის სენსაცია);

5. საუკეთესო ვოკალის მქონე დეპუტატი, რა თქმა უნდა, ქალბატონი ელენე თევდორაძე გახდა სტიოპასთან ერთად შესრულებული საახალწლო დუეტის გამო. საიდუმლოდ იმასაც გეტყვით, რომ თურმე, ქალბატონი ელენე ახალ ალბომზეც მუშაობს, რომელშიც შესულია ცნობილი ჰიტები: „გალიაში ბულბულები ზიან", „ციხეს რად უნდა რკინის კარები", „ნაბიჭვარო ციხის ნაჩალნიკო" და სხვა...

6. ყველაზე აქტიური დეპუტატის პრიზი დამსახურებულად ხვდა წილად ვიტალი ხაზარაძეს, რომლის მოხსენებების, განცხადებების, შენიშვნების, ინტერვიუების და საერთოდ, მიკროფონისა და კამერის წინ პოზირების საერთო დრომ, ამ ოთხ წელიწადში შეადგინა 2 წელი, 8 თვე, 12 დღე, 5 საათი და 37 წუთი...

7. და ბოლოს, ყველაზე ნამუსიანი დეპუტატის პრიზი გაიყვეს დავით მაღრაძემ და გიორგი თარგამაძემ, რომლებმაც საკუთარი ნებით დატოვეს პარლამენტი.

იმედია, თქვენც მეთანხმებით არჩევანში, ძვირფასო დეპუტატებო და ეჭვი არ გეპარებათ ჩემს მიუკერძოებლობაში. ხოლო რაც შეეხება თქვენს უმთავრეს სატკივარს – საარჩევნო კანონის მიულებლობას, აქედანაც არსებობს გამოსავალი:

არჩევნების იმიტომ გეშინიათ, რომ არ გაყალბდეს, ანუ თქვენზე მეტად სხვამ არ გააყალბოს. ხომ სწორედ ამიტომ ვერ შეთანხმდით საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებაზე? ჰოდა, რაღას იტანჯავთ თავს? ყველას გინდათ დეპუტატობა და მიიღეთ, თქვე დალოცვილებო, ისეთი კანონი, რომელიც ყველას დაგტოვებთ თქვენ-თქვენს სკამებზე: კანონი „დეპუტატობის მემკვიდრეობითობის შესახებ", ამას მაინც ხომ მისცემთ ყველანი ხმას და პრობლემაც მოგვარდება – აღარც საარჩევნო კომისია დაგჭირდებათ და აღარც იმდენი ფულის ხარჯვა საარჩევნო კამპანიაზე. სანამ ცოცხლები იქნებით, იდეპუტატეთ, ასი წლის მერე კი თქვენი შვილები მოვლენ თქვენს ადგილებზე – ხომ გაიგონიათ: „კვიცი სკამზე ხტისო..."

თუმცა, აქაც იარსებებს გარკვეული აკრძალვები: დეპუტატის მანდატი მემკვიდრეობით არ გადავა უკანონო, უალიმენტოდ მიტოვებულ, და ხელოვნური განაყოფიერებით შეძენილ შვილებზე. ანუ, უნდა წარადგინოთ ცნობა, რომ „მათი დაბადების თარიღი ზუსტად ემთხვევა თქვენ მიერ ჩატარებულ აქტს". დანარჩენი კი პრობლემას არ წარმოადგენს...

P.S. ბრძანება № ...

დღეიდან საქართველოში ყველა არჩევნები ჩატარდეს პრინციპით – „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე"...

საქართველოს პრეზიდენტი

პროვოკატორი

„ქართული ციხის შესახებ ჩემი შთაბეჭდილება გაცილებით მძიმეა, ვიდრე მოველოდი“

— დიდი ხანი არ არის, რაც სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნეთ. ამ პერიოდში, ბევრმა პატიმარმა გაქცევა მოაწყო ან სცდა მაინც. რა ხდება დღეს ქართულ ციხეში?

გიგლა აგულაშვილი, *სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის თავმჯდომარე:*

— იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა დღეს ქართულ ციხეში, მინდა ჟურნალისტებიც და საზოგადოებაც სრულად იყვნენ ინფორმირებულნი. არის გაქცევის, აკრძალული ნივთების შეტანის ფაქტები და ამის შესახებ საზოგადოებამ იცის. მაგრამ არსებობს პრობლემები, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების საფუძველს წარმოადგენს. შეიძლება დავსაჯოთ თანამშრომელი, რომელიც კანონს არღვევს, მაგრამ ამით რა გამოვა? — ჩვენ ისევ და ისევ შევებრძოლებით შედეგს და არა მიზეზს. მიზეზების წინააღმდეგ რომ ვიბრძოლოთ, გვჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა. ციხესთან დაკავშირებული პრობლემები დაუფინანსებლობის გამო გვაქვს. მაგრამ ეს არის ზოგადი, გლობალური პრობლემა, რომელიც სხვა სახელმწიფო სისტემებსაც აწუხებს. არის სხვა პრობლემებიც, რომელიც თუ არ გადაიჭრა, ისევ საზოგადოებას დაუბრუნდება. ქართული ციხის შესახებ ჩემი შთაბეჭდილება გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე მოველოდი. რაც შეეხება საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, თითქოს ციხეს ქურდები მართავენ, ეს ახალი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ეს ტრადიციაა, რომელსაც, გარკვეული ცვლილებებით, დღესაც ფესვი აქვს გადგმული სისტემაში. დგება საკითხი: მივდივართ თუ არა „ვა-ბანკზე“ და რის ხარჯზე გვაქვს თუნდაც, პირობითი სიმშვიდე შენარჩუნებული?! ამ საკითხთან დაკავშირებით მყარი პოზიცია მაქვს: იქ, სადაც სამართლიანობასთან გვაქვს საქმე — თანამშრომელს შეეხება ეს, განსასჯელს თუ მსჯავრდებულს, — მხოლოდ სამართლიანობას დავუჭერ მხარს. ასე, რომ არ ჩამოვრჩები იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეწევიან. ■

„თბილისის საკრებულოს ბიუჯეტს სააკაშვილი საარჩევნოდ იყენებს!“

— „აღორძინების“ თბილისის ორგანიზაცია გამოვიდა ინიციატივით, რომ დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით, რათა გაირკვეს — კმაყოფილია თუ არა ხალხი თბილისის საკრებულოს მუშაობით. თქვენი ვარაუდით, რეფერენდუმის შედეგი საკრებულოს დათხოვნის საფუძვლად შეიძლება იქცეს?

ცოტნე ბაკურია, *„აღორძინების“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე:*

— დარწმუნებული ვარ, რომ შეგროვდება ასეულათასობით ხელმოწერა და რეფერენდუმი მართლაც იქცევა საკრებულოს დათხოვნის საფუძვლად, რადგან ის ნამდვილად არ გამოხატავს ხალხის ინტერესებს. თბილისის საკრებულოს ბიუჯეტის დიდ ნაწილს მიხეილ სააკაშვილი წინასაარჩევნო კამპანიისთვის იყენებს. ის დედაქალაქის კუთვნილი სახსრებით საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მასმედიის საშუალებებს აფინანსებს. ჩემი აზრით, შეუძლებელია, დედაქალაქის საკრებულოს ჰყავდეს შეურაცხადი და არაპროგნოზირებადი ფსიქიკის მქონე თავმჯდომარე და საერთოდ, დაუშვებელია ასეთი პოლიტიკური ძალის მოსვლა ხელისუფლებაში. უახლოეს მომავალში, „აღორძინება“ საზოგადოებას წარუდგენს ედუარდ შევარდნაძის, ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილის ერთიანობის დამადასტურებელ დოკუმენტებს. „აღორძინებამ“ ეს დოკუმენტები „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი წევრისგან მოიპოვა. „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“ წინააღმდეგობას გაუწევს სექტანტიზმისა და ჰომოსექსუალიზმის იდეების მატარებელ და მხარდამჭერ ყველა ძალას და იმ პოლიტიკურ ძალასაც, რომელსაც ხალხის კუთვნილი ფულით უნდა, საკუთარი საარჩევნო კამპანია დააფინანსოს. ■

„საარჩევნოდ დიდი შემოწირულობებია მოსალოდნელი...“

— დაიწყო თუ არა მოლაპარაკებები სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო სიებზე? ამბობენ, ბევრია იმის მსურველი, რომ გარკვეული თანხის საფასურად, თქვენი სიის სათავეში მოხვდეს..

ირინა სარიშვილი, *ბლოკის — „ახალი საქართველოსთვის“ სპიკერი:*

— ბლოკის საარჩევნო სიებზე საუბარი ჯერ არ დაწყებულა. რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიისთვის გარკვეული თანხის გაღების საფასურად, სიაში „ჩაჯდომის“ მსურველებს, ასეთიც ბევრია. ეს მიღებული პრაქტიკაა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საარჩევნო სუბიექტს გარკვეული ფინანსური პრობლემები აქვს. საარჩევნო თანხებთან დაკავშირებით სულ ვხუმრობ ხოლმე — მე მგონი, ისევ ოპოზიციაში ვარ-მეთქი: აქამდე, სულ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ხელისუფლება უაზროდ ბევრ ფულს ხარჯავდა. ბუნებრივია, არც ისეთი მდგომარეობაა, რომ საერთოდ არ გვაქვს თანხა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩვენდა სასიხარულოდ, ისეთი ადამიანებიც გამოჩნდებიან, რომლებიც გარკვეულ თანხას გაიღებენ და ამის სანაცვლოდ, არც სიაში მოხვედრას ითხოვენ და არც ხელისუფლების სტრუქტურებში დასაქმებას. რამდენადაც ვიცი, საარჩევნოდ საკმაოდ დიდი შემოწირულობებია მოსალოდნელი. ■

„ჩვენი სიები თემების მიხედვით „დაჯგუფდება“

— რა პრინციპით იხელმძღვანელებს ლეიბორისტული პარტია საარჩევნო სიის შედგენისას?

ფალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:*

— იმ პრინციპით, რომ მდუმარე და ყრუ-მუნჯი დეპუტატების დრო უნდა წავიდეს და არავითარ შემთხვევაში — იმ პრინციპით, რომ ვთქვათ, ვიღაცამ რომელიღაც სტადიონზე 5 გოლი გაიტანა, სახელოვანია, ხალხმა ტაში დაუკრა და ამიტომ, სიის სათავეში უნდა ჩავწეროთ. ჩვენ ისედაც მაღალი რეიტინგი გვაქვს და სიებში არანაირი რეიტინგული ფიგურის ჩაწერა არაფერს შეგვმატებს, გარდა იმისა, რომ ის უტვინო, „რეიტინგული“ ფიგურა ხელით სათრევი გაგვიხდება... წინა მოწვევის პარლამენტში, არჩევნებიდან ოთხი წლის შემდეგ, ერთ-ერთი სპორტსმენი მეკითხებოდა: ვა, ტო, სულ მეშლება — მემარჯვენე ვარ თუ მემარცხენეო. — დაცენტრილი ხარ-მეთქი, — მივუგე. ჩვენი სიები ამჯერად, „დაჯგუფდება“ თემების მიხედვით: იქნება პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ზოგად პოლიტიკურ საკითხებზე იმუშავებს და ასევე იქნება პოლიტიკოს სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც ისეთ სპეციალურ მიმართულებებზე იმუშავებს, როგორიცაა: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, სოციალური სფერო და ა.შ. ■

„ოპოზიციის სისტემასთან უცხოელები ვერაფერს გახდებიან...“

— საგაზაფხულო სესიის ბოლო დღეებმაც დაადასტურა, რომ ოპოზიციამ და სახელისუფლებო ფრაქციებმა ვერ მოახერხეს საერთო ენის გამონახვა და ისე დაემშვიდობნენ ერთმანეთს, რომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდნენ. როგორ შეაფასებთ დღეს არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და საერთოდ ამ მოწვევის პარლამენტის მუშაობას?

ჯუმბერ პატიაშვილი, *„ერთობის“ ლიდერი:*

— პარლამენტში თითქოს კანონშემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მდგომარეობა ქვეყანაში საკმაოდ რთულია, ძნელია, დადებითად შეაფასო, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობა. არ მინდა, პიროვნულად შევეხო ვინმეს მათგან, ვინც პასუხისმგებელია პარლამენტის მუშაობაზე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პარლამენტსაც არაერთხელ დაუყენებია აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი. აღმასრულებელი ხელისუფლება ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე, თუმცა, ეს დამოკიდებულება არ იგრძნობა. სესიის ბოლო დღეს, პარლამენტს აფხაზეთის საკითხი უნდა განეხილა. ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მან პარლამენტში არმობრძანებით გამოხატა! კარგად მესმის, რომ საკანონმდებლო ორგანოში ეს საკითხი არ გადაწყდება, მაგრამ შეფასება და კონკრეტული გეგმის მიღება, სტრატეგიის განსაზღვრა აუცილებელი იყო. პარლამენტი არდადეგებზე მიდის და ეს და კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი კვლავ ღიად რჩება. რაც შეეხება იმას, რომ ოპოზიცია და სახელისუფლებო ფრაქციები დღემდე ვერ შეთანხმდნენ საარჩევნო კოდექსის საკითხზე, მოგახსენებთ: მასში ცვლილებების შეტანის გადადება ხელოვნურად ხდება და ეს პირველი შემთხვევა როდია: თვითმმართველობის არჩევნების დროს, ამომრჩეველთა სიების დადგენა 30 მაისს დამთავრდა — ე.ი. არჩევნებამდე მხოლოდ 2 დღით ადრე!.. ხელისუფლებას გაყალბების მექანიზმი კარგად აქვს დამუშავებული და მისი წარმომადგენლები საკმაოდ გაწაფულნიც არიან თაღლითობაში. დღეს არავინ კითხულობს, თუ რა ხდება უბნებში. ასე რომ, მთელი სისტემაა შესაცვლელი, მხოლოდ რომელიმე რგოლის შეცვლა შედეგს ვერ მოგვცემს. უცხოელ დამკვირვებელთა იმედი არა მაქვს, რადგან თაღლითობის ისეთ სისტემასთან, როგორიც ჩვენთანაა დამკვიდრებული, უცხოელები ვერაფერს გახდებიან. მე ხალხის იმედი უფრო მაქვს, რადგან თუ მოსახლეობას მართლაც უნდა არსებული მდგომარეობის შეცვლა, ამომრჩევლებმა საკუთარი ხმები სწორად უნდა გამოიყენონ. ■

„დესტაბილიზაციის საშიშროება კოდორის მხრიდან“

— საზოგადოებასა და მასმედიაში კვლავ ალაპარაკდნენ იმაზე, რომ იგეგმება ახალი პროვოკაციები და მოსალოდნელია ჩეჩენი ბოევიკების გადმოსვლა, რომელიც თითქოს, ირინა სარიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ შეფერხდა. თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით?

მამუკა არეშიძე, *ექსპერტი კავკასიის საკითხებში:*

— დესტაბილიზაციის საშიშროება ნამდვილად არსებობს — ამას ხაზგასმით ვამბობ, — მაგრამ არა პანკისის, არამედ კოდორის მხრიდან. კოდორის ხეობა არის ყველაზე დაუცველი ადგილი საქართველოს უსაფრთხოების თვალსაზრისით; დაუცველია ობიექტური, მიზეზების გამო. აქედან გამომდინარე, პროვოკაციის მოსაწყობად მოსახერხებელი რეგიონია. ჩემი ჩრდილოელი მეგობრები ხშირად მაფრთხილებენ ხოლმე, რომ რუსები გეგმავენ გარკვეულ ოპერაციას. ლაპარაკია მცირე მასშტაბის პროვოკაციაზე, არა მგონია, ამჯერად, მას ისეთი მასშტაბური ხასიათი ჰქონდეს, რომ სისხლი დაიღვაროს. რუსეთი ნებისმიერი ასეთი პროვოკაციით ხაზს უსვამს საქართველოს სისუსტეს... მეორე მხრივ, რუსეთის ხელისუფლება ისე გააშუქებს მასმედიაში ამ პროვოკაციას, რომ აქეთ დაგვადანაშაულოს. რაც შეეხება კოდორის ხეობაში მომხდარ, ბოლო გატაცებას, გაეროს დამკვირვებლები ფულის გამოძალვის მიზნით არ გაუტაციათ — ისინი პოლიტიკური ამინდის შეცვლის მიზნით უფრო გაიტაცეს... ■

მოკლედ, არა და არ ვეშვები ხანუმობას და მთელი მონდომებით ვცდილობ, მცირე წვლილი მაინც შევიტანო პოპულარული ადამიანების გაბედნიერებაში. მართალია, ჯერ-ჯერობით ვერც ერთი მცდელობა ქორწინებით ვერ დავ-აგვირგვინე, მაგრამ სამაგიეროდ, იმ გოგონებისთვის, რომ-ლებმაც ჩვენი ყველა პირობა შეასრულეს, ფოტოსურათებთან ერთად საკუთარ თავზე ინფორმაციაც მოგვაწოდეს და ამასთან იღბლიანებიც აღმოჩნდნენ, პატარ-პატარა სიურპრი-ზების მოწყობა ნამდვილად გამოგვივიდა... ასე რომ, ფარ-ხმალს ნუ დაყრით, ადექნეთ ჩვენს რუბრიკას თვალი და აუცილებლად გაგიმართლებთ... ახლა კი, გთავაზობთ იმ გამოხმაურებების მცირე მიმოხილვას, რომელიც „სასიძოს“ რუბრიკაში ზურა ხაჩიძის გამოჩენამ გამოიწვია.

"ზურას ბედი მე ვარ, დაიმახსოვრეთ, ჩემი სახელია ნინი..."

მარი ჯაფარიძე

მაიკო, 15 წლის:

— მინდა გაგიმხილოთ, რომ ზურა ერ-თადერთი ადამიანია, რომელმაც ჩემს ცხ-ოვრებას აზრი შესძინა. სამი წელია მისით ვარსებობ და ვსუნთქავ. ჩემი სიყვარული სევდით მოსილია და მას სიხარული არ ღირსებია. ზურა, მიყვარხარ და გვჯეროდეს, რომ დაგელოდები!.. უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, როდესაც ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, ზურას ვაკოცე და ისე ჩავეხუტე, რომ ძლივს მომაშორეს მას. ვიგრძენი, რომ თავადაც ძალიან თბილად ჩამიხუტა. მე დღემდე მომდევს ეს სითბო...

სალომე, 15 წლის:

— მეხუთე წელია, ზურა მიყვარს. მისი უამრავი სურათი და პლაკატი მაქვს შინ. ყოველ დილით, თუ მის სურათს არ ვა-კოცე, ისე არ შემიძლია. მისი ავტოგრაფი მაქვს. ძალიან მინდა, რომ ბედნიერი იყოს, მაგრამ ცოლი რომ მოიყვანოს, ნამდვილად გავგიჟდები. ერთხელ, კონცერტის შემდეგ, ავტომანქანასთან დავხვდი, ხელი ჩავჭიდე და — არ ჩაჯდე, მიყვარხარ-მეთქი, — ვევე-დრებოდი, თან ვტიროდი. ძალიან მინდოდა, მეკოცნა, მაგრამ ვერ გავბედე. მეგონა, მოვკვდებოდი. ის ძალიან ლამაზია, მისი სახის ყველა ნაკვთი აღფრთოვანებას იწვევს ჩემში... არავინ არ მაინტერესებს მის მეტი. უთხარით, რომ მიყვარს...

წინა ნომრის გამოსვლის დღესვე, დილით ერთმა გოგონამ დამირეკა და ფრიად საინტერესო ინფორმაცია მომა-წოდა:

— იცით, რას გეტყვით? ნურც თქვენ ფართხალეთ ტყუილად, ნურც ზურა და ნურც სხვა გოგონები გაფხაკურდებიან მაინცდამაინც...

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ მისი ბედი მე ვარ...

— კი, მაგრამ რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

— სამმა გოგონამ ვიმკითხავეთ. ხომ გაგიგონიათ — წყლიან ჭიქაში, სარკე-სთან, ნიშნობის ბეჭედს რომ ჩააგდებ და სანთლის ალში შენი საბედო უნდა ნახო... ჰოდა, მე ზურა ხაჩიძე ვიხილე; იმ ორმა მეგობარმა ვინც დაინახა, სწორედ რომ მათზე გათხოვდნენ; ასე რომ, ზურას ბედი მე ვარ, დაიმახსოვრეთ — ჩემი სახელია ნინი, გვარი ხ-ზე იწყება და აგერ ნახავთ, თუ ასე არ მოხდება...

*კიდევ ერთ, ძალზედ საინტერესო წერ-ილზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, რომელიც ქალბატონმა ლიამ გამოგვიგ-ზავნა. ის თავისი შვილის ფარული სიყ-ვარულის შესახებ ესაუბრება ზურას: „ჩემო ზურა, იცით, ისეთი საყვარელი ხართ... ალბათ სწორედ ამიტომ უკლავთ გულს ბევრ გოგონას, მათ შორის ჩემს შვილ-საც. მას დეას ვეძახით, ისე კი, დიანა ჰქვია. აღარ ვიცი, რა ვქნა. ის გამუდმე-ბით თქვენზე ფიქრობს, მღერის თქვენს სიმღერებს, გიცნობთ თმის ღერიდან, ფეხ-ის ტერფამდე. დაუსწრებლად შეუძლია აღწეროს თქვენი მოწესრიგებული ოთახი. იცის, როდის დგებით, როდის მიდიხართ ეკლესიაში. კვირიდან კვირამდე სუნთქავს იმით, რომ თქვენ იქ გნახოთ. მე უძლური ვარ მისი გრძნობის წინაშე და ფარ-ხმალს ვყრი. თქვენი სურათი მუდამ თან დააქვს. მეშინია, თავს აუგი რამ არ აუ-ტეხოს. ამას წინათ ვკითხე: ნეტავ, რას იზამ, ზურამ ცოლი რომ მოიყვანოს-მეთ-ქი? ლამის ხელში ჩამაკვდა ჩემი გოგო-ნა. მაღალი ხმით მოთქვამდა... ჩემო ზურა, იქნებ, თქვენ მიშველოთ, აუხსნათ, რომ ასე არ შეიძლება. იქნებ, მეც მირჩიოთ, რა გავაკეთო. მას რომ რაიმე დაემართოს, თავს არ ვიცოცხლებ... დავიბენი ამხელა ქალი... მე ხომ მის გარდა არავინ მყავს, ამიტომ განვიცდი ასე...“ ■

„ეგსშეაიაეშეს ბეჭეშ ეჭე რეინტვეთ ვე ჭეენმეეშ ემეეიეიშეეე“

შეუძლებელია, ყველა წერილისა და სატელეფონო ზარის ჟურნალის ფურცლებზე გადმოცემა; დანარჩე-ნი, ყველა ინფორმაცია თავის ადრესატამდე აუცილებლად მივა. ახლა კი, დღევანდელი „სასიძოს“ ჯერიც დადგა. ამჯერად, ამ ამპლუაში წინა „სასიძოს“ დეიდაშ-ვილს, ცნობილ დიზაინერ-მოდე-ლიერს, 25 წლის ზალიკო ბერგერს წარმოგიდგენთ.

— სიამოვნებით წარვდგები სასიძოს ამპლუაში. რა იცი, რა ხდება...

— ჩვენ დაგეხმარებით, მა-გრამ თავად რატომ არ ზრუ-ნავთ, რომ ოჯახი შექმნათ?

— ოჯახი, ეს არის ძალიან სერიოზუ-ლი რამ, რასაც დაფიქრებისა და სერიო-ზული გადაწყვეტილების გარეშე ვერ შექმნი. თუ გადაწყვეტ, значит, это на всю жизнь. ასე რომ, მე ჯერჯერობით მზად არ ვარ ამ სერიოზული ნაბიჯისთვის,



სოფო ჭყონიასთან და გიორგი დემეტრაძესთან ერთად

მაგრამ არ არის გამორიცხული, თუ სიყვარული მეწვევა, მოულოდნელადაც შევცვლო ჩემი ცხოვრება...

— როგორი გოგონა შეიძლება შეგიყვარდეთ?

— თმის ფერს, სიმაღლესა და ასეთ წვრილმან რაღაც-რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, გოგონა იყოს კარგი. ჰო, მართლა — აუცილებელია, გრძელი თმა ჰქონდეს და მეტყველი თვალები. თვალებში თუ სიცარიელე დავინახე, იქ უკვე ყველანაირ ინტერესს ვკარგავ... უჰ, ეშხიანი ქალები მომწონს...

— შინ როგორი ხართ?

— მოჩხუბარი და ცოტა დესპოტიც. მიყვარს, როცა ჩემზე ზრუნავენ. მე კვერცხის შეწვაც არ ვიცი. ისე, რამდენჯერმე მქონდა ამის მცდელობა, მაგრამ დამწვარი კვერცხი უფრო გამომივიდა, ვიდრე შემწვარი...

— შიმშილის გრძნობა თქვენს ხასიათზე უარყოფითად ხომ არ მოქმედებს?

— კი, ხშირად. თუ მშია, ბრაზიანი ვხდები და ვიდრე არ დავნაყრდები, ასეთივე ვრჩები...

— როგორი ხართ სიმთვრალეში?

— ძალიან კარგად ვიტან სასმელს, ოღონდ, შედარებით მეტს ვლაპარაკობ ხოლმე, ვიდრე სიფხიზლეში. შესაძლოა, ცოტა შარიანობაც გამოვამჟღავნო ან გავჭირვეულდე და ვიდრე არ შევისრულებ იმას, რაც მსურს, არ გავჩერდები.

— მომთხოვნი ხართ?

— ძალიან. მაგალითად, მეგობრებისგან ყოველთვის მოვითხოვ, რომ უსიტყვოდ უნდა ესმოდეთ ჩემი. მეუღლესაც, მით უმეტეს მოვთხოვ ამას. მას თვალებში შეხედვაც არ უნდა სჭირდებოდეს, ისე უნდა ხვდებოდეს, თუ რა მჭირდება ამა თუ იმ მომენტში...

— შენი რჩეული, აუცილებლად მოდელი ან პოპულარული გოგონა უნდა იყოს?

— არა, არა, სულაც არ არის აუცილებელი. პირიქით — ჩვეულებრივი, სადა, კარგი გარეგნობის გოგონაზე შევაჩერებ არჩევანს. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ძალიან მომწონდა სოფო ჭყონია. მქონდა კიდეც მცდელობა, რომ ცოლად მომეყვანა, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა. მიზეზს ნუ მკითხავთ — მაინც არ გეტყვით. რაც გითხარით, ისიც საკმარისია... რაც შეეხება იმას, თუ რას უნდა საქმიანობდეს ჩემი მეუღლე, გეტყვით, რომ ის აუცილებლად უნდა მუშაობდეს, ოღონდ, არა შოუბიზნესში ან სადმე ასეთ სფეროში, არამედ რაღაც წყნარ, მშვიდ, საოფისე სამსახურში. შესაძლოა, იყოს ყოფილი მოდელი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მოქმედი, რადგან მე ჩემს ცოლს პოდიუმზე არ გამოვიყვან...

— გამოდის, აზიატური მიდგომა თქვენს ხასიათშიც დევს...

— კი, მართალია, ტრადიციების მიმდევარიც ვარ, ოჯახის სიწმინდესა და ქალის პატიოსნებასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ...

— გამოდის, თქვენი მეუღლისთვის პირველი მამაკაცი თავად უნდა იყოთ... ამასაც მნიშვნელობა აქვს?

— რა თქმა უნდა. თუ ძალიან შემიყვარდება, ალბათ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სულერთი, ქალწული იქნება ის თუ არა. სხვა დანარჩენ შემთხვევებში, ამას ყურადღებას მივაქცევ...

— ძალიან რომ შეგიყვარდეთ ვინმე და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგთანხმდეთ ცოლობაზე, თუ იმიჯს შეიცვლით — მაგალითად, თმას შეიმოკლებთ ან სტილს შეიცვლით, — როგორ მოიქცევით?

— თმის შეჭრას ისედაც ვაპირებ. თუ გინდათ, კიდევ ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: თმას იმიტომ არ ვიჭრიდი, რომ ჩემს ხელოსანს ხელი ჰქონდა მოტეხილი და ვერა და ვერ მოურჩა, სხვას კი ვერ ვანდობ ჩემს თავს. ახლა უკვე შეიძლება ამაზე ფიქრი, რადგან გამოჯანმრთელდა და სამსახურს დაუბრუნდა. თან, მისი შეჭრილი თმა კარგად მაქვს დაცდილი...

— თქვენი მეუღლის საქორწინო კაბა თქვენი შეკერილი უნდა იყოს? წარმოდგენილი გაქვთ თუ არა, როგორი იქნება იგი?

— წარმოდგენილი მაქვს და თანაც ძალიან მკაფიოდ. აღგიწეროთ?

— რა თქმა უნდა...

— თეთრი, კორსეტით და ატლასის გრძელი ბოლოთი. თუ ლამაზი ფეხები ექნება, შესაძლოა, წინა კალთა მოკლე იყოს, უკან კი, გრძელი შლეიფი ჰქონდეს, აუცილებლად მთის ბროლით, ძალიან „შიკარნად“ გაფორმებული.

— შემდგომში თუ ჩაერევით ხოლმე მის ჩაცმულობაში?

— კი, აუცილებლად. ვფიქრობ, თუ ჩვენი გემოვნება არ დაემთხვევა, დამითმობს და ისე ჩაიცვამს, როგორც მე მსურს...

— ოჯახში ცოლის მოყვანას არ გაძალებენ?

— არა, ეს ჩემი საქმეა. არც ძალიან დამგვიანებია ცოლის მოყვანა, რომ დედა-ჩემი პანიკაში იყოს ამის გამო. ვფიქრობ, ის კარგი დედამთილი იქნება და რძალი ძალიან ეყვარება.

— თქვენი ქორწილიც ხომ არ გაქვთ წარმოდგენილი?

— კი, ჩემი ქორწილი ძალიან გრანდიოზული მინდა, რომ იყოს, ფეიერვერკებით, ლამაზად გაფორმებულ, მდიდრულად მოწყობილ დარბაზში. თუმცა, მაინც მგონია, რომ სიძედ ჯდომა ძალზედ მოსაწყენი უნდა იყოს. სხვის ქორწილში უკეთესად გაატარებ დროს, ვიდრე საკუთარში...

მაშ ასე, ვის გინდათ, გახდეთ ზალიკოს რჩეული? დამირეკეთ: 8(77)45.68.61. მომაწოდეთ ინფორმაცია თქვენ შესახებ. ზალიკო შეგვპირდა, რომ სხვა „სასიძოებისგან“ განსხვავებით, თავისი არჩევანის შესახებ დაუფარავად ისაუბრებს. და კიდევ: მოგვწერეთ, ვისი ხილვა გსურთ „სასიძოსა“ და „საპატარძლოს“ რუბრიკაში.

■

„ამ სურათზე მეგობრის (რომლის — არ გეტყვით) ცოლთან ვარ“



ამას წინათ, ჩემს მობილურზე საკმაოდ საინტერესო „მესიჯი“ მოვიდა: „გთხოვთ, გადაარჩინოთ ჩემი სიყვარული და თქვენი ჟურნალის მეშვეობით საშუალება მომცეთ, ბოდიში მოვუხადო ჩემს შეყვარებულს. იქნებ შემირიგდეს“. ჩვენ შორის სატელეფონო მიმოწერა გაიმართა და ამ დიალოგმა ახალი რუბრიკის შემოღების იდეა წარმოშვა. ახლა კი, უფრო ვრცლად გადმოგცემთ ნინოს საწუხარს.

„მინდა, ბოდიში მოვუხადო... ვუთხრა: გიო, მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად...“

მარი ჯაფარიძე

— მე-11 კლასის მოსწავლე ვარ. ორი წელია, მე და გიოს ერთმანეთი გვიყვარს. ის ჩემზე ოთხი წლით უფროსია. ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. მანებივრებს საჩუქრებით, ყვავილებით. სახლი სავსე მაქვს მისი ნაჩუქარი, ფუმფულა სათამაშოებით. გაზაფხულზე დაბადების დღე მქონდა. დილით კარზე ზარის ხმამ გამაღვიძა. კარი გავაღე და აღტაცებული დავრჩი: უზარმაზარი, თითქმის ჩემი სიმაღლის, ლამაზად შეფუთული საჩუქარი და ყვავილების თაიგული დამხვდა. კიბის მოაჯირზე, პირველ სართულამდე (მე-5 სართულზე ვცხოვრობ) დამაგრებული იყო უამრავი ფერადი ბუშტი, კიბის ყოველ მოსახვევში კი, კიდევ თითო საჩუქარი იდო. კიბეს ჩავუყევი; პირველ სართულზე უზარმაზარი, თეთრი ტორტი და ზედ დანთებული, 16 სანთელი დამხვდა... ამას იმიტომ გიყვებით, რომ წარმოიდგინოთ, თუ როგორი სიყვარული შეუძლია ჩემს გიოს. ის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტია. როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, ვგრძნობ, როგორ მეფერება მზერით, თითქოს ჩემი გადაყლაპვა უნდა.

— მერე, რა ჩაიდინე ისეთი, რომ ასე ძლიერ შეყვარებული ბიჭისთვის ბოდიშის მოსახდელად გაიხადე საქმე?

— მე უკვე დიდი გოგო ვარ და კარგად მესმის, რომ გიო ზრდასრული მამაკაცია და მის ცხოვრებაში ხანდახან, ქალიც შეიძლება გამოჩნდეს (როგორც სექსუალური პარტნიორი). დარწმუნებული ვარ, რომ ვუყვარვარ, არ მატყუებს და ისიც ვიცი, ჩემს ადგილს მის გულში ვერავინ შემეცილება, მაგრამ ამ „ერთჯერად“ ქალებზე მაინც ვეჭვიანობ. მეშინია, ვინმემ თავის ბრჭყალებში არ მოაქციოს და არ დავკარგო. ჩემი ეჭვების შესახებ მასაც ვუამბე. გაეცინა და მითხრა: ვერც ერთი ქალი ვერ შემაბამს, მე თუ არ მინდა, მე კი შენს მეტი არავინ მახსოვსო... გადავწყვიტე, შემემოწმებინა, რამდენად გულწრფელი იყო. ჩემს მეგობარ გოგოს მისი ტელეფონის ნომერი მივეცი და ვთხოვე: ყველანაირად ეცადე, შენით დაინტერესდეს და პაემანიც დაგინიშნოს-მეთქი. მათი სატელეფონო საუბრები ერთ თვეს გაგრძელდა. გიო შეუზღუდავად, საათების განმავლობაში ესაუბრებოდა, თიკოს. თვითონვე ეხვეწებოდა — შემხვდიო, — მაგრამ თიკო უარობდა. მე გულზე ვსკდებოდი, მაგრამ თავს ვიკავებდი და არაფერს ვიმჩნევდი. ბოლოს, მე და თიკომ მოვილაპარაკეთ და გიოსთან პაემანზე მისი მეზობელი გოგონა გავაგზავნეთ (რადგან თიკოს იცნობდა), მე კი იმ დროს თავზე უნდა დავდგომოდი და ასე ვთქვათ, გამომეჭირა. ასეც მოვიქეცით. გიომ ჩვენი მიგზავნილი გოგონა კაფეში დაპატიჟა და მეც სწორედ იქ დავადექი თავზე. დიდი სკანდალიც მოვუწყვე. გიომ მისმინა, ხმაც არ გამცა. ბოლოს, კბილებში გამოცრა: ეს ოინი შენი მოწყობილია და მწარედ განანებო...

— აასრულა დანაპირები?

— დიახ, მას შემდეგ, თვეზე მეტი გავიდა და არც დაურეკავს, არც ვუნახივარ. მე ვურეკავ, მაგრამ დედამისი მპასუხობს და მეუბნება, შინ არ არისო. მობილური სულ გამორთული აქვს, ეტყობა, ნომერი გამოიცვალა. ერთი სიტყვით, ცუდი რამ გავიჩალიჩე. უზომოდ მენატრება. მისი ხმის გაგონება ერთ სიცოცხლედ მიღირს.

— მაინც, რა გინდოდა მისთვის გეთქვა ჩვენი ჟურნალის მეშვეობით?

— მინდა ბოდიში მოვუხადო... ვუთხრა: გიო, მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. მაპატიე. მე ხომ სიყვარულით დაბრმავებულმა გადავწყვიტე, შენს ერთგულებაში დავრწმუნებულიყავი. პატიებას გთხოვ და გევედრები, დამიბრუნდი...

იმედს გამოვთქვამთ, რომ ნინოს თხოვნა უპასუხოდ არ დარჩება, გიო მიხვდება, რომ გოგონა ზომაზე მეტადაც კი დაისაჯა და შეურიგდება მას... გიო, თუ სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ ჩვენც დაგვიკავშირდეთ და მომხდარზე თქვენი შეხედულება გაგვიზიაროთ...

ამგვარი გზავნილით სხვა მკითხველებსაც შეუძლიათ მოგვმართონ. თუ გინდათ, გულის ნადები გაუზიაროთ თქვენს რჩეულს, დაშვებული შეცდომა აღიაროთ ან თუნდაც, თქვენი სიყვარულის შესახებ სხვებმაც შეიტყონ, — დაგვირეკეთ ან გამოგზავნეთ „მესიჯი“ ტელეფონის ნომერზე: 8 (77) 45-68-61. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, მხარში ამოგიდგეთ და თქვენი საწუხარი ადრესატს ჟურნალის ფურცლებიდან შევატყობინოთ. ■

თემურ წიკლაურს ცოლ-შვილი დახვეწილი ჰანსაცვლით გაუოცებია

წიკლაურები ხილიანზე არქიტექტორების სახლში ცხოვრობენ. მათ საკუთრებას ოროთახიანი ბინა წარმოადგენს. ბინა ისეთი კონსტრუქციისაა, რომ ზამთარში თბილა, ზაფხულში კი, მზის სხივები მხოლოდ მაშინ ათბობს შენობას, როცა მზე ზენიტშია. ეს ბინა თემურ წიკლაურმა და ლილი ზღვაურმა ოცი წლის წინ მიიღეს. სულ ახლახან, კოსმეტიკური რემონტი გაუკეთეს და ახლებურად მოაწყვეს.

როცა კონცერტი აქვს და ემზადება, შეიძლება ვურჩიო, რომელ პიჯაკს რომელი ჰალსტუხი უხდება

ლელა ჭანკოტაძე

ბინის დათვალიერება ქეთის ოთახიდან დავიწყეთ. ოთახი ფართოა და ნათელი. ერთი კედელი ოჯახის წევრთა პორტრეტებით არის დამშვენებული. ეს ნახატები ქალბატონი ლილის ხელითაა შესრულებული. იქვეა წიკლაურების გარდაცვლილი ვაჟის სურათი. დაკვირვებულ თვალს ქეთისა და მისი ყოფილი მეუღლის ფოტოც არ დარჩება შეუმჩნეველი. დეფს (დათო გოგიბედაშვილს) და ქეთის თურმე დღესაც საუცხოო ურთიერთობა აქვთ. ამიტომ ეს ფოტოსურათი ქეთის არ აღიზიანებს.

ოთახს ამშვენებს დეფის ნახატი, რომლის გვერდითაც ანრი ბასილაიას ნახატი კიდია. ანრიმ ეს სურათი ქეთის და დეფს ქორწილში აჩუქა. იქვეა აბსტრაქციონისტის — ზაზა ციცქიშვილისა და დეფის მეგობრის — კოტე სულაბერიძის ნახატები.

ოთახში დიდი ეკლექტიკურობა შეაქვს საფეხბურთო პლაკატს, რომელიც პატარა ანდროს საწოლთან კიდია და რომელსაც ამ ოთახის დიასახლისი ძნელად შეეგუა. დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც ქეთი იაპონური მწერლობით დაინტერესდა, რისი გავლენა კედლებზეც იგრძნობა. ერთ-ერთი კუთხე დროთა განმავლობაში შეძენილ, იაპონურ სურათებსა და ნივთებს აქვს დათმობილი.

ქეთი:

— რომ გითხრათ — ოთახში რაიმე განსაკუთრებული მაქვს-მეთქი, — ტყუილი იქნება, მაგრამ რაც აქ არის, ყველაფერი მომწონს და მიყვარს. ეს ზარები ტაილანდიდან ჩამოვიტანე. ძალიან კარგი იქნებოდა, ზარები შემეგროვებინა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში უმეტესობა საპნებს აგროვებდა, რითიც რატომღაც არ დავინტერესებულვარ. ძალიან მცირე დროის მანძილზე, ერთკაპიკიანებს ვაგროვებდი. ამას წინათ, მეგობართან ვნახე ერთთეთრიანი და ბავშვობის დროინდელი განცდები ამომიტივტივდა.

— ქეთი, რაში გაქვთ განსხვავებული გემოვნება?

— ალბათ ფერებში. დედას პასტელის ფერები მოსწონს: ბაცი ვარდისფერი, ღია ცისფერი და ა.შ. მამას მკვეთრი ფერები უყვარს, მე, როგორც მათ შვილს, მათივე გემოვნება შეზავებული მაქვს. ჰოროსკოპითაც ტყუპი ვარ. გააჩნია, რა ხასიათზე ვარ: ხან მამის მკვეთრი ფერები მომწონს, ხან დედის — ნაზი, უფერული, მკრთალი ფერები. ბინის მოწყობასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეგვქმნია, მაგრამ როცა კოსმეტიკურ რემონტს ვაკეთებდით, ჩვენი სურვილები აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა. მამამ მოისურვა, რომ თავისი საძინებელი, მუქი შინდისფერი ყოფილიყო, მე კი ჩემს ოთახში ვარდისფერი კედლები ვამჯობინე. რაც შეეხება სამზარეულოს, იქ მთლიანად დედის სურვილები გავითვალისწინეთ, რადგან სამზარეულო დედის სამფლობელოა.

...დეპრესიის დროს დავჭერი. დედამ გადამირჩინა: გაუკეთა ძალიან საინტერესო „ლატკები“

სამზარეულოში თეფშების კოლექციაა, რომელმაც დიდი ზარალი ნახა მას შემდეგ, რაც თამაშის დროს, ბატონმა თემურმა და ანდრომ სამი თეფში გატეხეს. ერთი თეფში ტრიო „საუნჯემ“ ფინეთიდან ჩამოიტანა, მეორე — ბატონმა თემურმა ავსტრიიდან... აქვთ ეგვიპტიდან ჩამოტანილი თეფშებიც.

— დროის რა ნაწილს ატარებ სამზარეულოში და ბატონი თემური თუ ცდილობს ხოლმე, რამე კერძი თვითონაც მოამზადოს?

— სამზარეულოში ძირითადად, დედა საქმიანობს. ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებს. შემიძლია გითხრათ, რომ პროფესიონალია. ამ ბოლო დროს, მე მოვიკოჭლე. გემრიელ სადილებს ვაკეთებ, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ სამზარეულოში ტრიალი მიყვარს. საყვარელი კერძიც კი არ გამაჩნია. ბავშვობაში, როგორც ყველა ბავშვს, მეც შემწვარი კარტოფილი მიყვარდა. მამაც ძალიან გემრიელად ამზადებს, მაგრამ ძალიან იშვიათად. აკეთებს უგემრიელეს ხინკალს, საოცარ კერძებს თევზისგან, მწვადს წვავს არაჩვეულებრივად. საერთოდ, ცნობილია, რომ

სახელგანთქმული მზარეულების უმეტესობა, მამაკაცია.

ლილი ზლვაური:

— ქეთი მეხმარება. იშვიათად, მაგრამ მაინც. ოჯახის წევრებს სრულ თავისუფლებას ვაძლევ. ნებისმიერ დროს შეუძლიათ, აქ შემოვიდნენ და თუნდაც ჩემს საქმეებში ჩაერიონ.

— თქვენს ოჯახში რომელი კერძია საყვარელი?

— მე მიყვარს ბრინჯი. ძალიან იშვიათად ხდება, რომ დღე უბრინჯოდ გავატარო. ამიტომ ჩემი ოჯახის წევრებიც ყოველდღიურად ბრინჯს მიირთმევენ. რა თქმა უნდა, სხვა კერძებიც გვიყვარს.

— შინ ბევრი ყვავილია; როგორც ქეთიმ მითხრა, ძირითადად, თქვენ უვლით.

— დიახ. ყვავილების მოვლა ყოველთვის განსაკუთრებულად მიყვარდა, მაგრამ ახლა აღარ შემიძლია. თანაც ზამთარში, გათბობა რომ არ არის, მათი უმეტესობა ფუჭდება. იძულებული გავხდი, დიდი ნაწილი გამეჩუქებინა.

— თუ გახსოვთ, ბატონმა თეიმურმა პირველად როდის გაჩუქათ ყვავილები და რა ყვავილები იყო?

— არ მახსოვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ — ვარდები იქნებოდა, რადგან ვარდი უფრო რომანტიკულია და სიყვარულის სიმბოლოცაა.

— ქეთი, შენ თუ გახსოვს პირველი ყვავილები?

— დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ვარდები იყო.

წიკლაურები საღამოებს შინ ატარებენ. ანდრო ათ საათზე იძინებს. ამის შემდეგ, ქეთი ძირითადად, ტელევიზორს უყურებს. იშვიათად მიდის კინოში ან კლუბში. ბუნებით ბუ არ არის: ადრე იძინებს და ადრე იღვიძებს. იგივე ითქმის ქეთის მშობლებზეც. არის შემთხვევები, როცა ყველანი ტელევიზორის გარშემო იკრიბებიან. ახლა ქეთი ალბომზე მუშაობს. ეს მისი პირველი ალბომი იქნება. დიდი სურვილი აქვს, კლიპიც გადაიღოს. თუმცა — არა უახლოეს მომავალში.

ქეთის, გემოვნებასთან დაკავშირებით, მკვეთრად ჩამოყალიბებული აზრი აქვს. მიაჩნია, რომ გემოვნება პირობითი ცნება გახდა: შეიძლება, ადამიანს გემოვნება არ ჰქონდეს, მაგრამ ვიღაცამ ჩათვალოს, რომ ამ ადამიანის ჩაცმულობა სტილისტური „ნახტომია“...

— როცა გინდა, ტანსაცმელი შეიძინო, ვის რჩევას ითვალისწინებ ხოლმე?

— მივხვდი, რომ არავის რჩევა არ უნდა გაითვალისწინო და ის უნდა იყიდო, რაც მოგწონს, რაც გინდა. მირჩევნია, ტანსაცმელი უსისტემოდ, „სტიქიურად“ შევიძინო, ვიდრე სპეციალურად წავიდე შარვლის ან მაისურის საყიდლად. ხშირად, მეგობრები მჩუქნიან ტანსაცმელს, მშობლებიც, მაგრამ მირჩევნია, მე თვითონ შევარჩიო და ვიყიდო, ვიდრე სხვამ მაჩუქოს.

— შეგიძლია დაასახელო ტანსაცმელი, რომელშიც ყველაზე უკეთ გიგრძნია თავი?

— მქონდა ჯინსის შარვალი, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ გამიხდია. შემდეგ მინდოდა, ისეთივე შარვალი მეყიდა. მართლაც, შევიძინე, მაგრამ ერთ-ერთი დეპრესიის დროს, დავჭერი. დედამ გადამირჩინა: გაუკეთა ძალიან საინტერესო „ლატკები“, დაჭრილი ადგილები შეავსო ფერადი ნაჭრებით და ძალიან ლამაზი შარვალი გამოვიდა.

— ეი. ქალბატონი ლილი კარგად კერავს?

— დიახ. მთელი ბავშვობა ლილის ხელით შეკერილ, ულამაზეს კაბებში გავატარე. არა მარტო შარვლებს და ქვედაბოლოებს, პალტოებსაც კი მიკერავდა. ჩემნაირი პალტოები არავის ჰქონდა. ახლა უფრო იშვიათად კერავს. ამას წინათ, ქვედაბოლო შემიკერა. მსგავსი არავის აცვია. ძალიან კარგად ქარგავს. ჯინსის შარვალი დამიქარგა, მართლა სასწაული რამ გამოვიდა. ასე რომ, დედა უნივერსალური ადამიანია.

— შენ რა გამოგყვა დედისგან? კერვა ან ქარგვა იცი?

— ისეთი განებივრებული ვიყავი, რომ კერვაც კი არ მისწავლია. ერთადერთი, რაც დედისგან გამომყვა, ეს არის ხატვის ნიჭი. უწინ, სისტემატურად ვხატავდი, მაგრამ ვეღარ განვავითარე.

— ალბათ შენი ოჯახის მამაკაცებიც დიდ ყურადღებას აქცევენ ჩაცმულობას, არა?

— შვილს ჯერჯერობით ჩემი გემოვნებით ვაცმევ. ერთადერთი, რაც არ მოსწონს, „საროჩკა“. იმდენად არ უყვარს, რომ შეიძლება ტანზე შემოიხიოს. რაც შეეხება მამას, მის ჩაცმულობას არანაირად არ ვეხები. ერთადერთი, როცა კონცერტი აქვს და ემზადება, შეიძლება ვურჩიო, რომელ პიჯაკს რომელი ჰალსტუხი უხდება. ისიც იმ შემთხვევაში, თუკი რჩევას მკითხავს. მამას კარგი გემოვნება აქვს. მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ, სამხრეთ ამერიკიდან ისეთი ტანსაცმელი ჩამოგვიტანა, რომ გაოცებულები დავრჩით. საერთოდ, არ მახსოვს, ისეთი რამ ჩამოეტანოს, რომ არ მოგვწონებოდეს.

— თვითონ თუ გაძლევს შენიშვნებს?

— დახეული ჯინსით რომ დავდიოდი, პროტესტი ხუმრობით გამოხატა. ერთადერთი, რაც შეიძლება მითხრას: თხლად გაცვია და გაცივდებიო...

— როგორია შენი გემოვნება, როცა საქმე მამაკაცებს ეხება? როგორი სტილის მამაკაცები მოგწონს?

— მიზიდავს ადამიანი, რომელსაც თვითანალიზის უნარი აქვს. მთელი ცხოვრება — ეს არის ყოველწამიერი ანალიზი, სხვა თვისებები ამასთან შედარებით არაფერია. თუმცა, მამაკაცი გარეგნობითაც სიმპათიური უნდა იყოს, რაღაცით უნდა მიზიდავდეს. შეიძლება, „კრასავჩიკი“ არ იყოს...

— მაგრამ არც უშნო, ხომ?

— შეიძლება უშნო იყოს, მაგრამ ისეთი შარმი ჰქონდეს, რომელსაც დავინახავ, თან თანამედროვე აზროვნების კაციც უნდა იყოს. „ქალური“ მამაკაცები არ მომწონს. ამ ყველაფერს კი ვამბობ, მაგრამ არ ვიცი,

ბინის მოწყობასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეგვქმნია, მაგრამ როცა კოსმეტიკურ რემონტს ვაკეთებდით, ჩვენი სურვილები აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა

გემრიელ სადილებს ვაკეთებ, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ სამზარეულომი ტრიალი მიყვარს

ცხოვრება რას მომიტანს. არ მიყვარს კონკრეტული განცხადებების გაკეთება. თანაც მამაკაცის სიყვარული ღმერთის ნებაა... მე ჩვეულებრივი – მამაკაცური მამაკაცები მომწონს. ალბათ ასე ფიქრობს ქალების უმეტესობა.

— შენს ოთახში უამრავი აქსესუარი ვნახე. ყველა შენი შეძენილია?

– აქსესუარებს ძირითადად, მე ვჩუქნი საკუთარ თავს. ეს საყურეები ჩემი მეგობრის გაკეთებულია, არც ოქროსია, არც ვერცხლის – უბრალოა, მავთულებში ჩასმული შუშის ნატეხებია, რომელიც ზღვიდან ჩამოვიტანე. აქვეა დედის სამკაულებიც, განსაკუთრებით მისი გულსაკიდი მომწონს, რომელიც ლელა მაქაცარიას ნაჩუქარია. ოქროს სამკაულები არ მიყვარს. მირჩევნია უფრო „ველური", უცნაური და იშვიათი სამკაულები. ქამარი ანა ფავლენიშვილმა მაჩუქა. მას ძალიან საინტერესო ნამუშევრები აქვს, მე მომწონს.

— რაც შეეხება მუსიკალურ გემოვნებას, მშობლებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს შენი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში?

– „ივერიაში" გავიზარდე, „ივერია" კი, ძალიან დიდი სკოლა იყო ნებისმიერისთვის, ვინც მას ოდნავ მაინც შეხებია. ცხადია, მუსიკალური გემოვნება იქ ჩამომიყალიბდა.

— როგორია მშობლების აზრი შენს სიმღერებზე?

– მე ალტერნატიული მუსიკის წარმომადგენელი არ ვარ, რომ ჩემი მშობლები შოკში იმყოფებოდნენ. ტრანს-მუსიკას ისინი ვერ მიიღებენ, რადგან ის მათთვის მუსიკა არ არის. მსგავსი მუსიკის მიმდევარი რომ ვყოფილიყავი, ვერ გაიგებდნენ და ვერც მიიღებდნენ.

— ანდრო თუ ამჟღავნებს, როგორი მუსიკის მსმენელი ან შემსრულებელი იქნება მომავალში?

– კონკრეტული გემოვნება ჯერ არ ჩამოჰყალიბებია, თუმცა, უკვე ექვსი წლის ხდება. ერთადერთი, შეუძლია რაღაც ფრაზა აიჩემოს და შემდეგ გარითმოს. იყო პერიოდი, როცა ცეკვავდა; მუსიკას რომ ჩავრთავდით, მედიტაციაში იმყოფებოდა. ახლა ფეხბურთით არის გატაცებული.

— ბაბუა როგორ ეგუება ფეხბურთელ და არა მომღერალ შვილიშვილს?

– ერთმანეთი ძალიან უყვართ. სულ ერთად დადიან და ალბათ საშინელება უნდა ჩაიდინოს ანდრომ, ბაბუამ რომ შენიშვნა მისცეს.

— რომელია შენი საყვარელი სიმღერა მამის რეპერტუარიდან?

– „გამხმარი იები" ძალიან მიყვარს. არც ისეთი პოპულარული სიმღერაა, როგორიც სხვები, მაგრამ ძალიან მელოდიურია და გულში ჩამწვდომი. მე ვფიქრობ, რომ მამამ ის საოცრად ნაზად და ინტიმურად იმღერა.

— რაც შეეხება მოგზაურობას, ოჯახი ერთად სად ისვენებს ხოლმე?

– როცა საბჭოთა კავშირი იყო და „ივერიას" ხშირი გასტროლები ჰქონდა, მთელი საქართველო და რუსეთის დიდი ნაწილი მოვიარე. მამაჩემი ამის გამო, ляг-ушка-путешественница-ს მეძახდა. რაც „ივერიამ" გასტროლები შეწყვიტა, მშობლებთან ერთად ვიყავი: ისრაელში, ბელგიასა და ავსტრიაში.

— როცა ოჯახის წევრები საზღვარგარეთ ხართ, რა გირჩევნიათ: ტანსაცმელი შეიძინოთ თუ საოჯახო ნივთები?

– თუ რაღაც კონკრეტული გვჭირდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვყიდულობთ. სპეციალურად ვიაროთ მაღაზიებში რაიმე კარგის მოსაძებნად – ასეთი რამ არ ხდება.

— ალბათ ოჯახის წევრები ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნით ხოლმე...

– ბოლო დროს, საუკეთესო მეგობრებიც კი ერთმანეთს ეკითხებიან: რა გჭირდება? რა გინდა, რომ გაჩუქოო? ეს უკვე საჩუქარი აღარ არის. ჩვენი ოჯახის წევრები სიურპრიზების გაკეთებას ვამჯობინებთ.

— რომელიმე სიურპრიზს ხომ არ გაიხსენებდი?

– ბებიასთან და ბაბუასთან კრასნოდარში ვიყავი წასული. ამ დროს, მშობლები ამერიკაში იყვნენ გასტროლებზე. იქ ჩამოვიდნენ და უზარმაზარი წითელი კურდღელი ჩამომიტანეს. ოთხ წლამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს კურდღელი ნამდვილად თავისი ფეხით შემოვიდა და დამელაპარაკა.

— ეი. განსაკუთრებული საჩუქრები ყოველთვის გქონდა. რამე თუ შეინახე, რაც შემდეგ შენს შვილს აჩვენე ან აჩუქე?

– რაღაც აუცილებლად მექნება, რადგან ძნელად ვიმეტებ გადასაყრელად ძველ ნივთებს, ყველაფერს ვინახავ. მართლა კარგი იქნება, რამე რომ მოვძებნო და ჩემს შვილს ვუთხრა: აი, ამით ვთამაშობდი-მეთქი.

— ცხოველები რატომ არ გყავთ?

– ბავშვობაში ძაღლი და კატა მყავდა, ახლა ანდრო ცდილობს, ცხოველები ჩაგვისახლოს. შარშან, დაბადების დღეზე თამუნა რცხილაძემ ანდროს ოქროს თევზი აჩუქა. ამის გამო ვიყიდეთ აკვარიუმი და თევზს მეგობარი შევუძინეთ. წელს ჩემმა მეგობარმა აჩუქა თუთიყუში. ახლა თუთიყუშისთვის ვიყიდეთ გალია და მეგობარი. ანდროს ძალიან უნდა, რომ ჰყავდეს ძაღლი, მაგრამ ქალაქის პირობებში ძაღლის მოვლა ძნელია.

— თქვენ კოჯორშიც გაქვთ აგარაკი.. იქაურ სახლზე რას იტყვი?

– კოჯორში გადასარევი ჰაერია, მთელ ზაფხულს იქ ვატარებ. ჩემი მეგობრებიც ამოდიან და ისვენებენ ხოლმე. ასე რომ, კოჯრის სახლის გარეშე ვერ გავძლებ. გული მწყდება, იმის პირობები რომ არ არის, რომ ზამთარიც იქ გავატაროთ.

■

ყაჩაღურმა ბანდამ 63 ადამიანი დააზარალა

გამოძიების ცნობით, ბანდამ არაერთი ახალგაზრდა გამოასალმა სიცოცხლეს

რამდენიმე დღის წინ, ქუთაისში მდებარე ერთ-ერთ სახლს პოლიციის ჯგუფმა ალყა შემოარტყა. ამის მიზეზი ოპერატიული ინ-ფორმაცია გახდა, რომლის თანახმად, სახლში, მძიმე დანაშაულებში ბრალდებული პირები, ციხიდან გაქცეული პატიმრები იმყოფებოდნენ. სპეცოპერაციის დროს, სამართალდამცავებმა მათი ლიკვიდაცია მოახდინეს. მათგან ერთი, 25 წლის პაატა დოლაბერიძე გახლდათ. იგი ამ თვეში, უზენაეს სასამართლოში ოთხ პატიმართან ერთად უნდა გაესამართლებინა. თუმცა, სასჯელაღსრულებითი დაწესე-ბულებიდან სწორედ პროცესის დაწყებამდე თვე-ნახევრით ადრე გაიქცა.

ტყიბულის რაიონის სოფელ ძიროვანში მცხოვრები, წარსულში ნასამართლევი დოლაბერიძისთვის ეს საპატიმროდან პირველი გაქცევა არ ყოფილა. როგორც პროკურატურა აცხადებს, იგი, ციხიდან დროებით თავდაღწეული და ძებნაში მყოფი, მორიგ მძიმე დანაშაულებს – მოქალაქეების, მაღაზიების თუ ავტოგასამართი სადგურების ძარცვა-ყაჩაღობებს სჩადიოდა, ბოლოს კი, რამდენიმე თანამზრახველთან ერთად ბანდაც ჩამოაყალიბა. გამოძიების ცნობით, აღნიშნულმა ბანდამ 63 ადამიანი დააზარალა, რამდენიმე კი, სიცოცხლეს გამოასალმა.

პაატა დოლაბერიძე პირველად, 1998 წლის 13 თებერვალს გაასამართლეს და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მაშინ ის ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის ცნეს დამნაშავედ. დოლაბერიძე სასჯელს მკაცრი რეჟიმის №8 კოლონიაში იხდიდა. სწორედ იმ პერიოდში, მან ციხიდან გაქცევა სცადა, რის გამოც იგი მცხეთის რაიონის სასამართლომ გაასამართლა და დამატებით კიდევ ორი წელი მიუსაჯა. სასჯელის მოსახდელად ამჯერად, დოლაბერიძე რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადაიყვანეს. იქ მან წარსულში სხვადასხვა განზრახ ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდებული, 36 წლის გელა ცერცვაძე გაიცნო. მაშინ დოლაბერიძემ და ცერცვაძემ ერთად გადაწყვიტეს ციხიდან გაქცევა. რკინის ძალაყინებით შეიარაღებულებმა 2002 წლის 30 იანვარს, ღამის საათებში, დაცვის თანამშრომლების შეუმჩნევლად, ადმინისტრაციულ კორპუსში შეღწევა მოახერხეს, სათავსი ოთახის კედელში ძალაყინებით 50X25 სმ ზომის ხვრელი გამოანგრიეს და გაიქცნენ.

გაქცევის შემდეგ, დოლაბერიძემ შეიარაღებული ბანდა ჩამოაყალიბა, რომელსაც ლიდერობას ბოლომდე უწევდა. ბანდაში შედიოდნენ: ძმები – ზვიად და ზურაბ ახვლედიანები, გოჩა ურთმელიძე, გელა ცერცვაძე და სხვები. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ისინი პირველად, თბილისში მდებარე სუპარმარკეტებს დაესხნენ თავს. გატაცებულ თანხას ერთმანეთში ინაწილებდნენ და მაშინვე მორიგ დანაშაულს გეგმავდნენ. დააყაჩაღეს მინიმარკეტი „კოპალა“, საიდანაც 266 ლარი და მხოლოდ 4 კოლოფი სიგარეტი „პარლამენტი“ გაიტაცეს. ამ არცთუ ისე სარგებლიანი დაყაჩაღების შემდეგ, მაღაზია „მობილურ ტელეფონებზე“ მიიტანეს იერიში. ამჯერად, მათ 4.920 ლარი ჩაიგდეს ხელში. ფული გაინაწილეს და ამის შემდეგ, აფთიაქი „ვაკა“ დააყაჩაღეს, საიდანაც 387 ლარი და 768 ლარის ნივთები გაიტაცეს.

შპს „ფარმსერვისის“ აფთიაქის გაძარცვისას, ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაცვის პოლიციის გამოძახება მოახერხა. შემთხვევის ადგილას ოთხი პოლიციელი მივიდა, თუმცა, ბოროტმოქმედთა აყვანა მათ ვერ შეძლეს. პირიქით, დოლაბერიძემ და ცერცვაძემ თავად განაიარაღეს ისინი. პოლიციელებს ტაბელური იარაღი აართვეს და მიიმალნენ.

2002 წლის 22 აპრილს, დოლაბერიძემ, ცერცვაძემ და ზურაბ ახვლედიანმა, წინასწარი შეთანხმებისამებრ, თბილისში, ევდოშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ოთარ ჭიპაშვილის ოჯახზე თავდასხმა გადაწყვიტეს. შეიარაღდნენ და დანიშნულების ადგილას „ჟიგულის“ მარკის ტაქსით მივიდნენ. ცერცვაძე მანქანაში დარჩა, დოლაბერიძე და ახვლედიანი კი, ჭიპაშვილის საცხოვრებელი ბინის კარს მიადგნენ. სწორედ იმ დროს, ბინიდან შემთხვევით ოჯახის დამლაგებელი – მზია პაპაშვილი გამოვიდა ნაგვის გადასაყრელად. უკან მიბრუნებულს, დოლაბერიძე და ახვლედიანი ბინაში შეჰყვნენ და ცეცხლსასროლი იარაღიც მოიმარჯვეს. იარაღის დემონსტრირებითა და მუქარით, ბინაში მყოფი ელეონორა ჭიპაშვილი (ოთარ ჭიპაშვილის დედა) შეაშინეს. ქალი ჯერ გაკოჭეს, შემდეგ კი, ბინიდან ძვირფასი სამკაულები და სხვა ნივთები გაიტანეს.

2002 წლის 10 აპრილს, ბანდა ავტოგასამართ სადგურ „იბერკომპანის“ დაესხა თავს. დანიშნულების ადგილას მაშინაც ტაქსით მივიდნენ. დაახლოებით საღამოს 7 საათისთვის, „იბერკომპანის“ მიუახლოვდნენ, ტაქსის მძღოლს უთხრეს, მათ დალოდებოდა და მანქანიდან გადავიდნენ.

„მაკაროვის“ პისტოლეტებით შეიარაღებულებმა, „იბერკომპანის“ თანამშრომლებისგან (დავით მომცემლიძე, პაატა გვანცელაძე, კობა გოგსაძე, პაატა გოგსაძე, დევი სირაძე, ნოდარ გელაშვილი და სხვები) თანხა მოითხოვეს. სწორედ ამ დროს, დოლაბერიძემ შენიშნა, რომ იქ მყოფ კობა გოგსაძეს ოქროს სამაჯური და ყელსაბამი ეკეთა და მათი მოხსნა

მოსთხოვა. გოგსაძე ასრულებდა კიდეც ამ მოთხოვნას, როცა დოლაბერიძემ მოულოდნელად, დედა შეაგინა, ყელსაბამი ჩამოჰგლიჯა და ხელი ჩაარტყა თავში. ამის გამო, ყელსაბამზე დაკიდებული მედალიონი ძირს დავარდა. მის ასაღებად დახრილ დოლაბერიძეს გოგსაძემ, მის სახელზე კანონიერად გაფორმებული პისტოლეტი დაუმიზნა. ჭიდილის დროს, დოლაბერიძემ გასროლა მაინც მოახერხა, თუმცა მაღლა ისროლა და ტყვია არავის მოხვედრია. იარაღიდან ისროლა დოლაბერიძის თანამზრახველმა – გოჩა ურთმელიძემაც. ტყვია მან გოგსაძეს ესროლა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. სროლის შედეგად სადგურის სხვა თანამშრომლებიც დაიჭრნენ ერთ-ერთმა – ნოდარ გელაშვილმა თავში სასიკვდილო ჭრილობა მიიღო. მას ტვინი და თავის ქალის ძვლები დაუზიანდა და ადგილზევე გარდაიცვალა.

კობა გოგსაძე – 27 აპრილს, ხოლო ასევე მძიმედ დაჭრილი პაატა გოგსაძე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ზემოთ აღნიშნულ დანაშაულთა გარდა, ბანდის წევრებს კიდევ არაერთ ყაჩაღობასა და მკვლელობის მცდელობაში ედებათ ბრალი. უზენაეს სასამართლოში წარდგენილი გელა ცერცვაძე, ზვიად ახვლედიანი, ჯურხა ბურდული და ლევან ონიანი თავს მხოლოდ ნაწილობრივ ცნობენ დამნაშავედ. ონიანს დანაშაულების დაფარვაში ედება ბრალი; ცერცვაძე ყაჩაღობებს აღიარებს, თუმცა მკვლელობის მცდელობებს კატეგორიულად უარყოფს. ■

„დაზარალებულმა საკუთარ საძინებელში ხელყუმბარა ესროლა“, – აცხადებს ადვოკატი

პროკურატურის ცნობით, აფეთქება „მეგრულში“ მომხდარ მკვლელობას მოჰყვა

აფეთქება, რომელიც ორი წლის წინ, წყალტუბოს რაიონში მცხოვრებ, ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახში მოხდა, ბევრი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. მასზე საუბარი დღემდე არ შეწყვეტილა, სამართალდამცავებმა კი მომხდარი ფაქტის გამოძიება კარგა ხანს ვერ დაასრულეს. როგორც ირკვევა, ამდენი ეჭვი იმან გამოიწვია, რომ აფეთქებამ უმსხვერპლოდ ჩაიარა. ბიჭიკო ბაბუნაშვილის საძინებელში შეგდებულ „ლიმონკას“, მიუხედავად იმისა, რომ სახლის პატრონი იმ მომენტში სწორედ იქ იმყოფებოდა, ოდნავადაც კი არ დაუზიანებია იგი. ადვოკატის ვერსიით, აფეთქება თავად დაზარალებულმა მოაწყო. თუმცა, მომხდარში სასამართლომ დამნაშავედ მისი თანასოფლელი, 45 წლის სოსო მურღულია ცნო.

ეჭვების საფუძველი, ადვოკატის თქმით, ბიჭიკო ბაბუნაშვილის კუთვნილ რესტორანში წლების წინ მომხდარი მკვლელობაა. მოსახლეობის ინფორმაციით, ამ ამბის გამო ბაბუნაშვილსა და მურღულიას შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ საბოლოოდ, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაემტერნენ.



განსასჯელი სოსო მურღულია

„2000 წლის ივნისი იყო, როცა რესტორან „მეგრულში“ საშინელება დატრიალდა. იმ დღეს, სოსო მურღულიას ძმა – მურმანი მოკლეს. ეს უკანასკნელი იქ საქეიფოდ მისულა, იქვე ყოფილა ვინმე ვასილ ბაბუნაშვილი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონია. როგორც განაჩენში წერია, მურმან მურღულიამ რესტორანში მისვლისთანავე, ჩხუბი დაიწყო; პურმარილი გამიშალეთო, – ყვიროდა და თან ჯიბიდან დანა ამოიღო, რომლითაც იქ მყოფებს ემუქრებოდა. ამის გამო მასა და ვასილ ბაბუნაშვილს შორის შელაპარაკება მოხდა. მურღულიამ ბაბუნაშვილს დანა მოუქნია, ამ უკანასკნელმა კი, თავდაცვის მიზნით, თავისი ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა და ისროლა. შედეგად, მურღულია გარდაიცვალა. ასეთი ჩვენება მისცა სასამართლოს თავად ბაბუნაშვილმა. მოწმეებიც დაიკითხნენ და როგორც ჩანს, განსასჯელის სიტყვები მთაც დაადასტურეს, რადგან სასამართლომ ბაბუნაშვილის ჩვენება გაიზიარა. იგი აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილ მკვლელობაში იქნა დამნაშავედ ცნობილი. რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს – „ბრაუნინგის“ ტიპის, გერმანული წარმოების პისტოლეტს, განსასჯელმა განაცხადა – იარაღი მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე, ეზოში დაგდებული ვიპოვეო. საკმაოდ უცნაურად ჟღერს, თუმცა, სასამართლომ მას დაუჯერა და სასჯელის ზომად 3 წელი (პირობითი) განუსაზღვრა.“ მოგვითხრობს სოსო მურღულიას ინტერესების დამცველი ადვოკატი ზაზა ნაჭყებია.

სოსო მურღულია:

„ყველაფერი, რაც განაჩენში წერია,

შეთხზულია. ჩემი ძმა მშრომელი, პატიოსანი კაცი იყო. ტრაქტორი ჰყავდა და მთელი დღეები მიწას ხნავდა. შრომის მეტი არაფერი ახსოვდა, პროკურატურამ და სასამართლომ კი იგი ყაჩაღად გამოიყვანეს. განაჩენში პირდაპირ წერია: მკვლელობის დღეს, მურმან მურღულია რესტორან „მეგრულში“ ყაჩაღური თავდასხმის მიზნით შევიდაო; თითქოს, იქ მყოფთ ჯერ პურმარილის გაშლა, შემდეგ კი ფული მოსთხოვა, თან ხელში დანას ატრიალებდა და ყველას დახოცვით ემუქრებოდა.

ვინც ჩემს ძმას იცნობდა, მიხვდება, რომ ის ამის გამკეთებელი არ იყო. სინამდვილეში, აი, რა მოხდა: იმ დღეს, მურმანი მეზობელს დაეხმარა – ტრაქტორით მიწა დაუმუშავა. მუშაობის შემდეგ, ოჯახში სუფრა გაიშალა, იქ დალიეს კიდეც, მერე კი, მეზობლის ბიჭთან ერთად ჩემი ძმა რესტორანში მისულა. საერთოდ, იშვიათად შედიოდა იქ. ხშირად ქეიფის არც საშუალება ჰქონდა და არც დრო.

საღამო იყო, როცა რესტორანში მისულებმა მაგიდა შეუკვეთეს და მზარეულს უკვე მწვადის შეწვაც ჰქონდა დაწყებული, როცა ჩემს ძმას უთხრეს: გვიანია, რესტორანს ვკეტავთ და უნდა წახვიდეთო. წარმოიდგინეთ, სუფრა თითქმის გაშლილი იყო. ამიტომაც იუკადრისა მურმანმა და სწორედ ამის გამო მოუხდა შელაპარაკება ვასილ ბაბუნაშვილთან, რომელიც იმ დროს, „მეგრულში“ მუშაობდა. პროკურატურა ირწმუნებოდა, რომ ჩემმა ძმამ ჩხუბისას მას ზურგში დანა ჩაარტყა. სინამდვილეში ასე არ მომხდარა. ვასილ ბაბუნაშვილი მე დავჭერი და ეს საავადმყოფოში მურმანის მიყვანის შემდეგ, კლინიკის ეზოში მოხდა. თავდაპირველად, ყველა სიმართლეს ამბობდა, თვითმხილველებმა მითხრეს, რაც მოხდა და ამის გამო დავჭერი ვასილ ბაბუნაშვილი. მაშინ გამწარებული ვიყავი და მინდოდა, მასზე შური მეძია. ამის შესახებ, სხვათა შორის, პროკურატურას ჩვენებაც მივეცი, მაგრამ ჩემი სიტყვების დაჯერება არ აწყობდათ“.

როგორც გამოძიებისას გაირკვა, მკვლელობის დროს, რესტორანში ბიჭიკო ბაბუნაშვილიც იმყოფებოდა. დადგინდა, რომ ვასილ ბაბუნაშვილთან მას მხოლოდ გვარი აკავშირებს და ისინი ახლო ნათესავები არ არიან.

ზაზა ნაჭყებია:

„სოსო მურღულიამ ეჭვი ბიჭიკო ბაბუნაშვილზეც აიღო. მან შეიტყო, რომ ვასილსა და ბიჭიკოს შორის, მომხდარი მკვლელობის შემდეგ, სერიოზული უთანხმოება იყო. ისინი თურმე ფულზე დაობდნენ. მურღულია, ძმის დაღუპვის ხარჯების ანაზღაურებას ვასილ ბაბუნაშვილისგან მოითხოვდა, ეს უკანასკნელი კი, ზუსტად იმ პერიოდში, ბიჭიკოს ეჩხუბებოდა: ვალი გადაიხადეო. ძალიან აინტერესებდა მურღულიას, რა ვალი უნდა ჰქონოდა გადასახდელი ბიჭიკოს ვასილისთვის? იცოდა, რომ ისინი საქმიანი პარტნიორები არასოდეს ყოფილან და უფრო მეტიც, ბიჭიკოს მისგან ფულის სესხება არ დასჭირდებოდა, რადგან თავადაც საკმარისად ჰქონდა. მურღულიას თქმით, ერთ დღეს, მას უთხრეს: ჩხუბისას ვასილმა ბიჭიკოს უთხრა – მურმანი შენი მოწოდებული იარაღით მოვკალიო. ამის შემდეგ, მურღულიამ მოსვენება დაკარგა. ეჭვობდა, ვასილი ალბათ ბიჭიკოს, ჩემთვის ხარჯების ანაზღაურებას სთხოვსო და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გაეგო, მართლაც ეს იყო თუ არა მათი დავის მიზეზი. ამის შესახებ რამდენჯერმე პირდაპირ შეეკითხა ბიჭიკო ბაბუნაშვილს. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ყველაფერს უარყოფდა. არ გასულა დიდი ხანი და მის სახლში აფეთქება მოხდა.

მომხდარის გამო, სოსო მურღულია დააკავეს. თუმცა, ფაქტის გამოძიებისას ბევრი ისეთი დეტალი ამოტივტივდა, რომ აშკარა გახდა – ხელყუმბარა იმ სახლში მურღულიას არ შეუგდია. მიუხედავად ამისა, პროკურატურა და თავად ბიჭიკო ბაბუნაშვილი, მაინც მას ადანაშაულებდნენ“.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, აფეთქება 2001 წლის 17 თებერვალს, დაახლოებით საღამოს თერთმეტის ნახევრისთვის მოხდა. სოფელ ქვიტირში, ბიჭიკო ბაბუნაშვილის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე საძინებელში, ფანჯრიდან სოსო მურღულიამ Ф-1 ტიპის ხელყუმბარა შეაგდო. იმ დროს, ბიჭიკო ბაბუნაშვილი სწორედ იმ ოთახში იმყოფებოდა, მისი მეუღლე, ხურთქინა ბაბუნაშვილი კი, საძინებლიდან სულ რამდენიმე წამის გასული იყო – მეუღლისთვის წყალი უნდა მიეტანა. აფეთქების შედეგად მხოლოდ ოთახი დაზიანდა, ბიჭიკო ბაბუნაშვილი კი სრულიად უვნებლად გადარჩა.

ხურთქინა ბაბუნაშვილის ჩვენების თანახმად, ოთახიდან გასულმა, მან აფეთქების საშინელი ხმა გაიგონა. მაშინვე მოესმა ქმრის ყვირილიც: ვაიმე, მომკლესო!.. შეშინებული, დერეფანში გავარდა, მეორე სართულზე ავარდა, ფანჯარა გააღო და ჩაბნელებულ ეზოს ფარანი მიანათა. ეზოში მან სოსო მურღულია დაინახა; მაშინვე იცნო იგი. ამ უკანასკნელმა კი დაიყვირა: ახლა თქვენ იკივლეთ ისე, როგორც მომიკალით ალალი ძმაო. ამ სიტყვების შემდეგ, ხურთქინა ბაბუნაშვილის თქმით, მურღულია ეზოდან გაიქცა.

სოსო მურღულია თავად ჩაჰბარდა პოლიციას. მოგვიანებით, მან ეს ფაქტი ასე ახსნა: *„აფეთქებაში ბრალი არ მიძიძღვის. მომხდარის შესახებ მეორე დილით შევიტყვე და მივხვდი, რომ ყველაფერს მე დამაბრალებდნენ. ამიტომაც ვარჩიე, თავად გამოვცხადებულიყავი პოლიციაში და სიტუაცია ამეხსნა“.*

მურღულიამ სამართალდამცავების წინაშე თავი დამნაშავედ არ ცნო, არც ჩვენება მისცა პროკურატურას და დუმილის უფლება გამოიყენა. გამოძიებისადმი პროტესტის ნიშნად, შიმშილობაც გამოაცხადა. თუმცა, მისი პოზიცია სამართალდამცავებმა არ გაიზიარეს და განაცხადეს, რომ მურღულიას დანაშაული ძიებისას მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა.

საქმე უზენაესმა სასამართლომ განიხილა. სასამართლო კოლეგიამ მურღულია დამნაშავედ ცნო; დამამძიმებელ გარემოებებში ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობისთვის, სხვისი ქონების განზრახ განადგურების, საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის მას 13 წლით თავისუფლების აღკეთა მიესაჯა.

ფრაზები

გენიალური

მგელს მიტომ სდევნიან, რომ ის ქვეყანას ავნებს და ცხვრებს ტყავს აძრობს და არა მიტომ, რომ იმას პირადად გრძელი კუდი აქვს და გაშეშებული კისერი! ადამიანებშიაც ბევრია მგელ-კაცები. კიდევ უფრო მეტი ცხვარ-კაცები!..

აკაკი წერეთელი

ზაზა ნაჭყებია:

„საბრალდებო დასკვნა, ისევე, როგორც განაჩენი, მხოლოდ ხურთქინა ბაბუნაშვილის ჩვენებაზეა აგებული. თუმცა, ამ ჩვენებაში ბევრი ისეთი წინააღმდეგობა ფიქსირდება, რაც დაზარალებულის მეულლის გულწრფელობას ეჭვქვეშ აყენებს. დაუჯერებელია, ხურთქინა ბაბუნაშვილს ეზოში სოსო მურღულია დაენახა. აფეთქებისა და ქმრის ყვირილის გაგონების შემდეგ, როგორც თავად ამბობს, ჯერ დერეფანში გავარდა, შემდეგ მეორე სართულზე ავიდა, ფანჯარა გამოაღო და ა.შ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, წარმოუდგენელია, მას ეზოში ვინმე დაენახა. დაშნაშვე, ხელყუმბარას შეაგდებდა თუ არა, გაიქცეოდა, მას ხომ არ დაელოდებოდა?! მართალია, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, ხურთქინა ბაბუნაშვილმა სამჯერ მოახერხა ადამიანის ამოცნობა, მაგრამ მიმაჩნია, რომ თავად ექსპერიმენტი ხარვეზებით ჩატარდა და ბევრი რეალური გარემოება არ იქნა გათვალისწინებული“.

სოსო მურღულია საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას მოითხოვს. ამ მოთხოვნით მან უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატას მიმართა. *„ბიჭიკო ბაბუნაშვილის ან მისი ოჯახის წევრების აფეთქება აზრადაც არ მომსვლია, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ბევრი საშინელი ეჭვი მქონდა. ვფიქრობ, არც სხვა მტერი უნდა ჰყოლოდა. უბრალოდ, გადაწყვიტა, მოვეშორებინე თავიდან, რადგან ადრე თუ გვიან, მკვლელობის შესახებ სიმართლეს გავიგებდი და აფეთქებაც ამიტომ მოაწყო. არ უნდოდა, სოფელსაც შეეტყო მისი დანაშაულის შესახებ. მით უმეტეს, რომ იცოდა – ამის გაკეთება არ გაუძნელდებოდა. პროკურატურას არაერთხელ მივმართე და ბიჭიკო ბაბუნაშვილის მიმართ ჩემი ეჭვების შესახებ არაერთხელ წერილობით განვაცხადე ოფიციალურად, მაგრამ ყური არავინ მათხოვა“.*

რაც შეეხება დაზარალებულ ბიჭიკო ბაბუნაშვილს, ის მურღულიას ყოველ სიტყვას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ ყუმბარასთან დაკავშირებით მისი ვერსია სასაცილოდაც არ ჰყოფნის. *„მურღულიამ და ვასილ ბაბუნაშვილმა ერთმანეთში ბევრი რამ ვერ გაარკვიეს, ვერ მორიგდნენ, მთელი დღეები ერთად დადიოდნენ მანქანით და ლაპარაკობდნენ, მერე კი მეც გამრიეს ამ ბინძურ საქმეში“*, – განაცხადა მან სასამართლო სხდომაზე.

საკმაოდ ხანგრძლივი თავის მართლების მიუხედავად, მურღულიას პოზიცია არც საკასაციო პალატამ გაიზიარა. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ თავად მსჯავრდებულის მონათხრობის მიხედვით, მას საკმარისი საბაბი ჰქონდა საიმისოდ, რომ ბაბუნაშვილზე შურისძიების სურვილი გასჩენოდა და დანაშაული ჩაედინა. სხვათა შორის, სოსო მურღულია წარსულში ორჯერ გახლავთ ნასამართლევი, პირველად – ქურდობისთვის, მეორედ კი – ძარცვისთვის, რის გამოც მას 4 წლით პირობითი სასჯელი განუსაზღვრეს.

რაც შეეხება 2000 წლის 17 თებერვალს ჩადენილ დანაშაულს, პალატამ მსჯავრდებულის მოთხოვნა – მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილიყო – არ დააკმაყოფილა, თუმცა, სასჯელის შემსუბუქებაზე მაინც იზრუნა. პალატის გადაწყვეტილებით, სოსო მურღულიას თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე შეუმცირდა. ■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

სილიმარინი: დაეხმარეთ საკუთარ თავს C-ჰეპატიტთან ბრძოლაში

დარწმუნებული ხართ, რომ არაფერი გემუქრებათ?

„ალერსიანი მკვლელი“ - ასე უწოდებენ C-ჰეპატიტს თავისი ჩუმი მიმდინარეობის გამო, სანამ ღვიძლის ციროზი ან ჰეპატოცელულარული კარცინომა განვითარდება, რომლებსაც საბოლოო ჯამში სიკვდილიანობამდეც მივყავართ.

დაიცავით საკუთარი თავი და ახლობლები ჩ-ჰეპატიტისგან! ამერიკული კომპანია *„თვინლეგი“* და ვიტამინ-ცენტრი *„ჯეოვიტი“* ნატურალურ ფორმულა *„სილიმარინ“*-ს წარმოგიდგენთ, პრეპარატს, რომელიც ღვიძლის უჯრედებს ჰეპატიტის ვირუსის შეღწევისა და დაზიანებისგან იცავს. და არა მხოლოდ! პრეპარატის დეტოქსიკაციური ეფექტი საშუალებას იძლევა, გამოვიყენოთ იგი, ნარკოტიკული და ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს.

იზრუნეთ დღეს ხვალინდელი დღისთვის

ჯეოვიტი
GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“,
ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56.
(სამუშაო საათები 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის ჩათვლით)

„erTni varT orni, araviN gvinda...“

„ფიქრები ამ ქალზე მომატარებს ქუჩებს, ვეჭვიანობ ხალზე, რომ უკოცნის ტუჩებს“... — წერს ნიკო გოგელაური თავის ერთ-ერთ ლექსში. ეს და კიდევ უამრავი ლექსი მას მეუღლისთვის — ნინა ჩოდრიშვილისთვის აქვს მიძღვნილი. ნიკო და ნინა უკე ხუთი წელია ერთად ცხოვრობენ. ორივესთვის ეს მეორე ქორწინებაა. ნიკოს ორი შვილი — ანასტასია და ჯეჯი ჰყავს, ნინასაც ორი — მარიკა და ელენე დადიანები. ნინა უკვე ბებიაა. როგორც თვითონ ამბობს, მას ყველაფერი ძალიან არაორდინარული ემართება ცხოვრებაში და მისი ბებიობაც ამის მაგალითია, რადგან ის შეყვარებული ბებიაა — ნიკოში შეყვარებული ბებია...

ნათია თენიეშვილი

ნინას ცხოვრებაში ლექსს ყოველთვის ძალიან დიდი ადგილი ეჭირა. მას დედისგან პოეზიის გამძაფრებული სიყვარული გამოჰყვა და შვილებიც მის ხასიათს და მდგომარეობას იმის მიხედვით ხვდებოდნენ, კითხულობდა თუ არა ნინა ლექსებს. როცა ძალიან უჭირდა ან პირიქით, კარგად იყო, აუცილებლად პოეზიას მიმართავდა. მისი საყვარელი პოეტები კი, ანა ახმატოვა და მარინა ცვეტაევა იყვნენ. ოღონდ — ეს იყო: მას შემდეგ, რაც ნიკოსთან ცხოვრობს, ახმატოვა და ცვეტაევა აღარც გადაუშლია. „სასწაულია, რომ პოეზიისადმი ასეთი დამოკიდებულება მაქვს და უცებ, ჩემ გვერდით აღმოჩნდა ადამიანი-ლექსი. ახლა, როცა ლექსის შემოშველება მჭირდება, ნიკოს ლექსები მშველის“... — ამბობს ნინა. ის პროფესიით ფსიქოლოგია, თუმცა, თავის სპეციალობას არც მეუღლესთან და არც ადამიანებთან ურთიერთობაში არ იყენებს.

— ვმუშაობდი მე-9 საავადმყოფოში სამედიცინო ფსიქოლოგიის განხრით. ეს არ არის ჩვეულებრივი განხრა. როცა თავის ტვინია დაზიანებული, ფსიქოლოგი ტესტირების საშუალებით ეხმარება ექიმს იმის გარკვევაში, თუ რომელი უბანია დაზიანებული.

ნიკო:

— ახლა მე მეხმარება იმის გარკვევაში, თუ რომელი უბანი მაქვს დაზიანებული *(იცინის)*...

ნინა:

— ადამიანებს ჰგონიათ, რომ თუ ფსიქოლოგი ხარ, ეს არსებობაშიც გეხმარება. ეს ტყუილია. ყველა ადამიანი ისეთივე ფსიქოლოგია ცხოვრებაში, როგორიც პროფესიონალი ფსიქოლოგი. დიდი ხანი ვიმუშავე ჩემი სპეციალობით, მაგრამ მერე, როცა ქვეყანა აირია და არც ავადმყოფი მყავდა და აღარც ხელფასი მქონდა, საბავშვო ბაღის გახსნა გადავწყვიტე. აღმოჩნდა, რომ ეს ჩემი საქმე ყოფილა. დიდი ხანია, ამ საქმეს ვაკეთებ და ვხვდები, რომ გამომივიდა. მხიარული ადამიანი ვიყავი, ვმღეროდი, ვცეკვავდი ყველგან და ყოველთვის და ბავშვებიც აცეკვდნენ და ამღერდნენ.

ნიკო:

— ვიყავიო, რომ ამბობს, იტყუება — დღემდე ასეთია.

— ნინა, არ გიჭირთ ამდენ ბავშვთან ურთიერთობა და მათი მოვლა?

— ძალიან რთულია ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში, თუ მონოტონურია, თუ მარტო აჭმევ და უთვალთვალებ, რომ ერთმანეთს არ დაარტყან. ჩვენ ვდგამთ წარმოდგენებს, ზღაპრებს და არ არის რთული. პირიქით — ძალიან საინტერესოა.

— ნიკო, თქვენ თუ იცნობთ ამ ბავშვებს?

— როგორ არა?! ბოლო ხუთი წელია, ყოველდღე ვუყურებ. ძალიან კარგები არიან. მე, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შევეჩვიე და რაც მთავარია, მათაც ვუყვარვარ.

— როცა წარმოდგენებს დგამენ, თქვენც ხომ არ ერთვებით ხოლმე?

— ვცდილობ, არ ჩავერიო, მაგრამ რაღაცნაირად ჩამრთავენ ხოლმე ამ ავანტიურაში. მერე, ბუნებრივია, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მეც მაინტერესებს და ვხდები მათი თამაშის მონაწილე.

— ნინა, თქვენ თქვით — მხიარული ვარო. ნიკო როგორია?

— ყველასთვის ცნობილი, იმ დაგუბებული სევდის მიუხედავად, რომელიც გამოსჭვივის მისი შემოქმედებიდან — მხიარულია. და რაც ძალიან მომწონს, მას არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვს, რაც მე არა მაქვს. მე მხოლოდ ვაფასებ იუმორს.

— ცეკვა მიყვარსო, — თქვით, ხშირად ცეკვავთ?

— კი, ყოველთვის ვცეკვავ. გავვარდები ხოლმე, თუ მუსიკის ხმას გავიგონებ და ვცეკვავ. შეიძლება, იქ სირცხვილიც იყოს ცეკვა, მაგრამ ვცეკვავ თავგამოდებით, სულ არ მეშინია იმისა, რომ რაღაცას სწორად და ზუსტად ვერ გავაკეთებ. ჩემი შვილი — ელენეც დადის ცეკვაზე და მინდა, შინაგანი მოთხოვნილება ცოდნასთან ჰქონდეს შერწყმული. რაც ცოტათი არ მომწონს, ის არის, რომ შინაგან ცეცხლს ვერ ვხედავ მასში. მაგრამ ჯერ პატარაა და ვფიქრობ, მერე გამოგვივა. ჩემდა საუბედუროდ, კარგად არ სწავლობს, რასაც ვერ ვიტყვით ტასოზე — ის ფრიადოსანია.

— ნიკო, თქვენ თუ ცეკვავთ?

— ისე ხშირად და ისეთ ტემპორიტმში, როგორშიც ნინა — არა, მაგრამ ხანდახან ვცეკვავ ხოლმე.

ნინა:

— მე ძალიან მომწონს — ემოციურად ცეკვავს. თან თეატრალურში სწავლობდა და იცის კიდევ რაღაც-რაღაცები, მაგალითად, ტანგოს ილეთები, თანაც, ძალიან უხდება ნიკოს ცეკვა. სულ ვეხვეწები — ის, რაც იცის, მასწავლოს. ვეუბნები: მოდი, კარგად ვისწავლოთ და მერე ვიცეკვოთ-მეთქი, მაგრამ არ მთანხმდება.

— როგორ გაიცანით ნიკო და რა მოგეწონათ მასში ყველაზე მეტად?

— ხუთი წლის წინ მეგობარმა გამაცნო და მითხრა: ძალიან კარგი პოეტია, მსახიობი — ნაკლებადო. მაშინ არც მისი სპექტაკლები მქონდა ნანახი და არც ლექსები წაკითხული. მერე, ჩემმა მეგობარმა სთხოვა — ლექსი წაიკითხეო. ცოტა უცნაური ლექსი წაიკითხა, მაგრამ ძალიან მომეწონა *(ნიკოს არ ახსოვდა, რა ლექსი წაიკითხა მაშინ და როცა ნინამ შეახსენა, გაკვირვებულმა იკითხა: რაღა მაინცდამაინც*

ეგ ლექსი წავიკითხეო?! — ავტ.) ჩემი დამოკიდებულება პოეზიასთან უცნაური და განსაკუთრებულია. ძალიან მომწონს მისი პოეზიაც და მის მიერ შესრულებული როლებიც. გრიბოედოვის თეატრში იყო სპექტაკლი — „მისტიფიკატორი“. სპექტაკლმა არ გაამართლა, 15-20 კაცი იყო ხოლმე იმხელა დარბაზში, მაგრამ ნიკო ბოლომდე იხარჯებოდა. მე ყოველ სპექტაკლზე დავდიოდი. შეიძლება, არ მესმოდეს და ვთქვა — კარგი მსახიობიმეთქი, მაგრამ ლექსს ვერ მოვუწონებდი, თუ ნამდვილად ძალიან არ მომეწონებოდა.

— ნიკო, გამოდის, რომ ნინას სახით შინ სერიოზული კრიტიკოსი გყავთ. ხშირად გაკრიტიკებთ ხოლმე?

— ვერ ვიტყვი, ხშირად-მეთქი, მაგრამ პირველი კრიტიკოსი ნინაა და ეს ძალიან კარგია იმიტომ, რომ ხანდახან „გატორმუზებს“. თუ ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია რაიმე, მაშინ, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები და ჩემს აზრზე ვრჩები.

ნინა:

— და მერე მეც ვხვდები ხოლმე, რომ მართალი იყო...

— როცა ნიკო როლზე მუშაობს ან ლექსს წერს, როგორია ამ დროს? ხომ არ იცვლება?

ნინა:

— როლზე მუშაობისას არ ვიცი, მაგრამ როცა „შუშის თვალები“ აქვს — ვხვდები, რომ ლექსს წერს. ერთად ცხოვრების პირველ წელს, წყნეთში ვიყავით, ძალიან ბევრს წერდა და მაშინ მივაქციე ყურადღება. მე ჩემსას „მივერეკებოდი“ — მიქსერით, ყავილებით, ლარნაკებით და ა.შ. ველაპარაკებოდი და ვხვდებოდი, რომ აქ არ იმყოფებოდა. ახლა მივეჩვიე, მაგრამ მაშინ ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა.

ნიკო:

— თავიდან არ ესმოდა და როგორც მივხვდი, ეგონა, რომ მე სხვა ქალებზე ვფიქრობდი. მერე, როცა დაინახა, რომ ლექსი იწერებოდა — მიეჩვია. თავიდან, მელაპარაკებოდა, რაღაცებს მეკითხებოდა. მეც შეიძლება პასუხი გამეცა, მაგრამ მერე არაფერი მახსოვდა.

— ნიკო ძალიან პოპულარულია და თაყვანისმცემლებიც ბევრი ჰყავს. არ ეჭვიანობთ?

ნინა:

— კი, ვეჭვიანობ. უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ალბათ ამასაც მიჩვევა უნდა. არ მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეჭვიანი ვყოფილვარ.

— ნიკო, თქვენ არ ეჭვიანობთ?

ნინა:

— მე არ ვაძლევ ამის საბაბს.

ნიკო:

— არა, მე არ ვარ ეჭვიანი.

— ნიკო, თუ გაწუხებენ თაყვანისმცემლები?

— თაყვანისმცემლები არ მაწუხებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, რეკავენ ხოლმე და მეუბნებიან — მოგვწონხარო და სხვა ამგვარი... მე ვეუბნები: გმადლობთ-მეთქი, — და მორჩა, უცნობ თაყვანისმცემლებს არ ველაპარაკები.

ნინა:

— ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, რომ ის ფანები, რომლებიც ნიკოს „მესიჯებს“ უგზავნიან, მაინცდამაინც მისივე ჩემდამი მოძღვნილი ლექსებით უხსნიან სიყვარულს...

ნიკო:

— ეს სასიამოვნოცაა და სასაცილოც, რა თქმა უნდა. თუმცა, ნინასთვის არ არის სასიამოვნო...

— ნინა, ერევა თუ არა ნიკო თქვენს ჩაცმულობაში?

— არა, არ ერევა. თან, მე დამყოლი ადამიანი ვარ. მაგალითად, მას მიაჩნია, რომ შარვალი არ მიხდება და არ ვიცვამ. საერთოდ, დამთმობი ვარ. ნიკო დამთმობი არ არის, მაგრამ რბილია.

— ნიკო, სიურპრიზებს თუ უწყობ ხოლმე ნინას, გარდა იმ ლექსებისა, რომელიც ყველამ კარგად ვიცით?

— სამწუხაროდ, არა. ესეც ალბათ იქიდან გამომდინარე, რომ მე არა ვარ დამთმობი. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი — ნინას ძალიან უყვარს ყვავილები — მე არ მიყვარს და ამიტომ არ ვჩუქნი ხოლმე. მგონია, რომ რახან მე არ მიყვარს, ესე იგი, არ არის საჭირო. ალბათ ცუდი თვისებაა, მაგრამ არ ვუწყობ სიურპრიზებს. მე თვითონაც გამიხარდებოდა, სიურპრიზებს რომ ვუკეთებდე.

— თუ გაგიხარდებოდათ და თუ იცით, რომ ეს ცუდი თვისებაა, მაშინ რატომ იქცევით ასე?

— ეგოიზმი მძლევს. ყველა ადამიანი ეგოისტია. ეგო ხომ, „მეს“ ნიშნავს. ის ყველა ადამიანშია და უნდა იყოს კიდეც, მაგრამ რაც მე მჭირს — ეს ნამეტანია...

ნინა:

— ამ მხრივ, ქალსა და მამაკაცს შორის დიდი სხვაობაა: ქალი შობს შვილს, სხვას აძლევს სიცოცხლეს, უვლის — ის არ შეიძლება, ეგოისტი იყოს... თუმცა, ნიკოზეც ვერ ვიტყვი, მარტო საკუთარ თავზე ფიქრობს-მეთქი. ის, რითიც ნიკო პოპულარულია და ის ლავა, რაც მის ლექსშია — ცხოვრებაშიც არის. როცა მის გვერდით ხარ, ასეთ წვრილმანებს ყურადღება არ უნდა მიაქციო, თუმცა რთულია; აი, სწორედ ამიტომ მჭირდება ხოლმე მისი ლექსები, როგორც ადრე, ცვეტაევა მჭირდებოდა...

— შინ თუ გეხმარებათ ხოლმე ნიკო რაღაცების გაკეთებაში?

ნიკო:

— არ შემიძლია, არ ვიცი, არ მეხერხება ეგეთი რაღაცები.

ნინა:

— ის ყოფითი პრობლემები, რომელიც ყველას გვაწვევს, ჩვენთან მხოლოდ ჩემი უღელია. ამის გამო, პერიოდულად, ნიკოს შემოაწვება დანაშაულის განცდა — ოღონდ, მაინცდამაინც მაშინ, როცა ნასვამია. იღებს დიდ ჩაქუჩს და იწყებს რაღაცების დაჭედებას. ეს საშინელებაა — დასისხლიანებული ხელები, გაფუჭებული კედლები და ა.შ. არ არსებობს, რომ გააჩერო... მე დავყვები და ვეუბნები: იცი, ხვალ დაბარებული მყავს ხელოსანი, რომელიც ამას გააკეთებს. — რად მინდა კაცი? მე თვითონ გავაკეთებო, — ამბობს და ეს ტანჯვა გრძელდება... მაგრამ ამ ყველაფერს მე ადვილად და სიამოვნებით ვუყურებ იმიტომ, რომ მაქვს სხვა, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი... ნიკოს სიყვარული... ქალი, რომელიც უყვართ, ყველაფერს ადვილად და სიამოვნებით აკეთებს. და პრობლემა არ იქნება არც ფული, არც ჩასაცმელი და ა.შ.

ნიკო:

— ვეთანხმები ნინას. როცა ერთად ცხოვრება დავიწყეთ, დიდი ხანი თეატრში, ჩემს საგრიმიოროში ვცხოვრობდით. ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ქალისთვის, ასეთ პირობებში ცხოვრება. მერე ვცხოვრობდით ნაქირავებში. ეს ისეთი საშინელება



ეგონა, რომ მე სხვა ქალებზე ვფიქრობდი. მერე, როცა დაინახა, რომ ლექსი იწერებოდა — მიეჩვია.

ეს სასიამოვნოცაა და სასაცილოც

იყო, რომ ალბათ ასეთ პირობებში, სიყვარულის გარეშე ადამიანი ვერ იცხოვრებდა. სირთულე ყოველთვის სიყვარულშია – სიყვარულის არსებობა-არარსებობაში – თორემ, დანარჩენი ყველა პრობლემა მოგვარებადია.

— ნინა, რა შეიცვალა თქვენში მას შემდეგ, რაც ნიკოსთან ცხოვრობთ?

ნიკო:

– იმის მერე სულ გაღიზიანებულია *(იცინის)*...

ნინა:

– ძალიან ბევრი რამ. მომთხოვნელობა მამაკაცის მიმართ, იმის მიმართ, თუ როგორი უნდა იყოს მამაკაცი... ადრე სხვაგვარად ვჭრიდი და ვკერავდი. ყველაფერი სხვანაირი მეგონა, ახლა სულ სხვანაირად ვფიქრობ.

ნიკო:

– ჩემთვის ის შეიცვალა, რომ ვისწავლე არსებული სიყვარულის დაფასება და ის, რომ სულ უნდა გახსოვდეს, რომ სიყვარული გაქვს და შეიძლება, არ გქონდეს – რაც მანამდე, ნაკლებად მაწუხებდა...

P.S. ნინასადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ნიკო წერს:

...მოხვედი მგონი,
შორეულ ციდან,
ერთი ვართ ორნი,
ორავინ გვინდა.
თვალები ფირუზი,
ბაგე ყი ლალია,
ერთი გაქვს მინუსი
– ცოცა ხარ ძალიან.

მარი ჯაფარიძე

სქესობრივი დისფუნქცია

მამაკაცისთვის ყველაზე დიდი თავის ტკივილი

ცნობილია, რომ ფალოსის კულტი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში არსებობდა. მას განიხილავდნენ როგორც ნაყოფიერების, ძლიერებისა და ძალაუფლების სიმბოლოს. საქართველოში, ქვათახევში ახლაც არსებობს უზარმაზარი, ლოდის ნატეხისგან გამოკვეთილი ფალოსი. ლეგენდის თანახმად, მასთან უშვილო ქალები მიდიოდნენ, ლოცულობდნენ, განსაკუთრებულ რიტუალს ასრულებდნენ, ბოლოს მოწიწებით ეამბორებოდნენ და უშვილობისგან განკურნებას სთხოვდნენ. არავინ იცის, შველოდა თუ არა ჩვენს წინაპრებს ეს რიტუალი, მაგრამ ის კი არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ მამაკაცთა უმრავლესობა კაცობისა და სიძლიერის საზომად სწორედ თავის სქესობრივ პოტენციას მიიჩნევს და თუ მისი მთავარი მექანიზმი „მოშლილია“ და „შეკეთება“ ესაჭიროება, უზომოდ ითრგუნება, საკუთარი ძალების რწმენასა და სიამაყის გრძნობას კარგავს.

რა ჩივილები აქვთ ქართველ მამაკაცებს? შეიძლება თუ არა, 13 წლის გათხოვილი ქალი ქალწული იყოს და, ბოლოს და ბოლოს, იკურნება თუ არა სექსუალური დისფუნქცია? ამ კითხვებზე სექსოპათოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი **ანდრო კანდელაკი** *გვიპასუხებს, მაგრამ მანამდე, ერთ უჩვეულო ამბავს მოგითხრობთ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა აღნიშნული პრობლემატიკის აქტუალობაში.*

ჩემს მეზობლად წყნარი და მშვიდი ოჯახი ცხოვრობდა. მოზრდილი ვაჟი ჰყავდათ. მშობლები სულ საყვედურობდნენ თამაზს (ყველა სახელი შეცვლილია): ცოლი რატომ არ მოგყავს? – უკვე 30 წლის ხარო. მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი გახლდათ, ქალებიც ბუზებივით ეხვეოდნენ; გვერდით სადარბაზოში მეზობლის ცოლსაც ეკურკურებოდა და მათი რომანის გამჟღავნების შემდეგ, ის ოჯახი დაინგრა კიდეც... ერთ დღეს, თამაზმა 18 წლის გოგონა – მშვენიერი ნანა შინ მიიყვანა და ოჯახს თავის მომავალ მეუღლედ წარუდგინა. დიდი ქორწილიც გადაიხადეს... 5 წლის თანაცხოვრების შემდეგ, ნანა თავის მშობლებთან დაბრუნდა. მიზეზი კი ყველასთვის უცნობი იყო. თამაზის ოჯახმა იფიქრა, რომ გაყრის მიზეზი უშვილობა იყო. ორი წლის შემდეგ, თამაზი კვლავ დაქორწინდა. ამჯერად შვილიან, ახალგაზრდა ქალზე შეაჩერა არჩევანი. მალე საერთო შვილიც შეეძინათ. ერთ დღეს კი, მე და ნანა ერთმანეთს დასავლეთისკენ მიმავალ ტრანსპორტში დავეგზავრეთ და სწორედ მაშინ მიამბო ის, რაც ამდენ ხანს საიდუმლოებით იყო მოცული.

— გული არ გწყდება, თამაზისგან რომ წამოხვედი?

– როგორ არა?! მწყდება, მაგრამ ჩვენი ერთად ყოფნა უკვე გაუსაძლისი იყო. გაგეცინება, რომ გიამბო, რატომ გავიყარეთ, შეიძლება არც დაიჯერო, მაგრამ ტყუილი რაში მჭირდება?! თანაც იცი, როდესაც ოჯახიდან მოვდიოდი, ტირილით დავეშვიდობე ყველას. თამაზიც სინანულს განიცდიდა, მაგრამ ჩვენ რამდენიმე დღით ადრე შევთანხმდით, რომ ორივესთვის ასე აჯობებდა. გამიგონია – გოგო რომ გათხოვდება, ორი კვირა, ერთი თვე, შეიძლება – სამი თვეც კი ქალწული ყოფილა, შემდეგ, ყველაფერი მოწესრიგებულა, მაგრამ 5 წელი?!. ეს ნამდვილად მეტისმეტია... დიახ, დიახ, ხუთი წელი გათხოვილი ქალი მერქვა და შინ ქალწული დაბრუნდი... ჩემი მეუღლე ქალწულთან სქესობრივ კონტაქტს ვერ ამყარებდა – არადა, სხვა შემთხვევაში არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია, ქალებიც არასოდეს აკლდა და ეჭვიანობის გამო მეც ხშირად მიჩხუბია მასთან.

— არ გიკითხავს მისთვის, რატომ ხდებოდა ასე?

– 15 წლის რომ ყოფილა, თავის ტოლ გოგონასთან ჰქონია სქესობრივი ურთიერთობის მცდელობა, რომელიც მარცხით დამთავრებულა. ყველაფერი იქიდან დაიწყო. პირველად შინ რომ მიმიყვანა, მითხრა: ჩვენ შორის რაც არ უნდა მოხდეს, ეს ჩვენს საიდუმლოდ უნდა დარჩესო. მეც, საიდუმლო ბოლომდე შევუნახე, მაგრამ ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელი რომ გახდა, გადავწყვიტე, თავისთვის მეშველა. წარმოიდგინე, გვერდით მეწვა მამაკაცი, რომელიც მიყვარდა, მისი ალერსი და მოფერება მსურდა, თავადაც მეფერებოდა, თითქოს ყველაფერი წესის მიხედვით ხდებოდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ვეღარაფერს ახერხებდა. ასეთმა ცხოვრებამ ნერვები გამიფუჭა, ჩამოყალიბებული „ისტერიჩკა“ გავხდი. ის კი, ქალებში დაძვრებოდა და თავის ვნებებს იქ იცხრობდა...

— მაგრამ არსებობდა გამოსავალიც. რატომ არ მიხვედით ექიმთან?

– ვერაფრით დავითანხმე, რომ ექიმთან მისულიყო. ისიც მითხრა: ერთი თვით დასასვენებლად გაგიშვებ, იქ ვინმე მოძებნე და უკან ქალად დამიბრუნდი, მთელი თვით კი იმიტომ გიშვებ, რომ არ ვიცოდე, რომელ დღეს მოხდება ეს ამბავი, თორემ შეიძლება, თავი მოვიკლაო... ამაზე არ დავთანხმდი. მივედი ექიმთან. საქალწულე აპკი ქირურგიული გზით დავარღვევინე, მაგრამ შედეგი არც ამან გამოიღო. განა ამის შემდეგ შეიძლებოდა, მასთან მეცხოვრა?!. ხომ ხედავ, ცოლი მოიყვანა, შვილიც ჰყავს და მშვენივრადაც გრძნობს თავს. ამას წინათ კი, დამირეკა და მითხრა: როცა სექსუალურ გამოცდილებას შეიძენ, აუცილებლად გამაგებინე, ისე ნუ მომკლავ, შენთან სექსის გემო რომ ვერ გავიგოო...

ანდრო კანდელაკი:

– ტერმინი „იმპოტენცია“ იარლიყია,



ანდრო კანდელაკი

უვარგისი, უუნარო ადამიანის ასოციაციას იწვევს. პოტენცია შესაძლოა ჰქონდეს სპორტსმენს, ხელოვანს, პოეტს. ადამიანი იმპოტენტი შეიძლება იყოს მწერლობაში ან პოლიტიკაში, მაგრამ რატომღაც ეს ტერმინი უფრო სექსუალურობასთან მიმართებაში დამკვიდრდა. ამიტომ დღესდღეობით, სამედიცინო წრეში აღარ იხმარება და იგი „ერექციული დისფუნქციით“ შეიცვალა.

— ძირითადად, რა სახის სექსუალური დარღვევები ალენიშნებათ მამაკაცებს?

— მამაკაცის სრულფასოვან სექსუალურ ცხოვრებას სჭირდება 4 კომპონენტი: ლტოლვა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის მიმართ (ლიბიდო); ერექცია; ეაკულაცია; ორგაზმის განცდა. მამაკაცისთვის პრობლემას, ამ ოთხიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე კომპონენტი წარმოადგენს. უფრო ხშირად კი გვხვდება მე-2 და მე-3 სახის დარღვევა. ჩემთან მოსული მამაკაცების 55%-ს ერექციის პრობლემა აქვს, 35%-ს კი — ეაკულაციის —კერძოდ, სწრაფი ეაკულაცია აწუხებს, რის გამოც პარტნიორი ქალი ვერ იღებს ეროტიკულ სიამოვნებას და ეს ხშირად იწვევს სხვადასხვა ფსიქოსომატურ გართულებას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბოლო 10-15 წლის მანძილზე შეინიშნება იმ მამაკაცთა რიცხვის გაზრდა, რომელთაც აღენიშნებათ ლტოლვის დაქვეითება და ორგაზმის გაფერმკრთალება.

— მიზეზებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების რიტმთან: სტრესი, გადაღლა, უმუშევრობა, მძიმე სოციალური ფონი. წარმოიდგინეთ, მთელი დღე, კაცი გამოსულია შინიდან, რომ პურის ფული იშოვოს. იმედგაცრუებულს ყველაფრის ინტერესი აქვს დაკარგული, მათ შორის — სექსისაც. ლტოლვის დაქვეითებას იწვევს აგრეთვე ისიც, რომ ტაბუ მოეხსნა აკრძალულ თემებს: ტელევიზია და პრესა გადაივსო ეროტიკული ფილმებითა და სურათებით. მამაკაცი ხდება ამ პროდუქციის პასიური მომხმარებელი — ის ნაწილობრივ ამით იკმაყოფილებს ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სურვილებს, ამის გამო მისი სექსუალური ლტოლვა ქვეითდება. მახსოვს, ჩემს ჭაბუკობაში ყველაზე ეროტიკულად დატვირთული ჟურნალი იყო პოლონური „სპორტოვეცი“. მართალია, სპორტული გამოცემა გახლდათ, მაგრამ იბეჭდებოდა ტანმოვარჯიშე გოგონების სურათები ნახტომში, მოცურავე გოგონები „კუპალნიკში“... გეცინებათ? აი, მაშინ კი, ეს ჟურნალები ხელიდან ხელში გადადიოდა. „ჩოჩარა“, „დეკამერონი“, „ჯაყოს ხიზნები“ რამდენჯერმე გვქონდა წაკითხული. ამის გამო ჩვენი ფანტაზია უფრო გამძაფრებული იყო. ახლა კი, მზამზარეული ეროტიკული მასალა მიეწოდებათ. ამას ისიც ემატება, რომ გარშემო ამდენი შილიფად ჩაცმული, თითქმის შიშველი ქალი დადის!.. ბუნებრივია, მამაკაცი ნელა-ნელა კარგავს ლტოლვას. ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ის, რომ ქალებს ჩაცმულობის თვალსაზრისითაც ბევრი საერთო გაუჩნდათ მამაკაცებთან — შარვალი, „კურტკა“, პიჯაკი, ვარცხნილობა, ჰალსტუხიც კი...

— მამაკაცის სქესობრივ პარტნიორად ჩამოსაყალიბებლად აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, თუ ვისგან მიიღებს იგი სექსუალურ „ნათლობას“?

— უდავოდ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: როგორც წესი, ჭაბუკები სექსუალურ გამოცდილებას მეძავთან ურთიერთობისას იძენენ, რასაც ზოგჯერ სავალალო შედეგი მოსდევს. მამამ თავისი 16 წლის შვილის „დავაჟკაცება“ გადაწყვიტა. საუნაში წაიყვანა, რათა ერთ-ერთი მეძავისთვის მიენდო ეს საქმე. დასვა ბიჭი ოთახში, ფული გადაიხადა და გაეცალა. იღება კარი და შემოდის საკმაოდ ასაკოვანი, შეუხედავი და ამავე დროს ნასვამი, სასმლის სუნით აქოთებული ქალი. — აბა, გაიხადე! — უბრძანებს ბიჭს... ბევრი წვალების მიუხედავად, ბიჭს სექსუალური აქტი არ გამოუვიდა და მძიმე სტრესულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჩემთან მიღებაზე სწორედ ამის გამო მოხვდა. ბიჭს აბსოლუტურად არაფერი სჭირდა. ავუხსენი, რომ მისი რეაქცია სრულიად ნორმალური იყო, რადგან არაადეკვატურ სიტუაციაში აღმოჩნდა: ქალი მის წარმოდგენაში სრულიად განსხვავებული იყო. სინამდვილეში კი ვინ დახვდა? — „ურჩხული“. მაგრამ ურჩხულს რომ დაინახავ, გაექცევი, თავს უშველი — ის კი იძულებული იყო, სექსუალური კონტაქტი დაემყარებინა... მიმაჩნია, რომ არ შეიძლება ასეთი კარიკატურული მიდგომა. ჭაბუკი თვითონ მონახავს გზას და მშვენივრად მოახერხებს შესაფერისი სექსუალური პარტნიორის მოძებნას.

— რა კვალიფიკაციას აძლევთ ექიმები იმ მოვლენას, როცა მამაკაცი ჯანმრთელია, მაგრამ მაინც აწუხებს არასრულფასოვნების კომპლექსი?

— ამას ფსევდოსექსუალური დისფუნქცია ჰქვია და ასეთ დროს, დიდ როლს თამაშობს რამდენიმე ფაქტორი. მაგალითად, მითები სექსუალური ცხოვრების შესახებ ან მცდარი წარმოდგენა სასქესო ორგანოს ზომაზე. რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ: ჩემთან მოვიდა პაციენტი, რომელიც დარდობდა იმის გამო, რომ ღამის განმავლობაში ორ აქტზე მეტს ვერ ატარებდა. ავუხსენი, რომ ეს სავსებით ნორმალურია, რადგან სექსუალურობა არის არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. ბევრს კი ჰგონია, რომ რაოდენობით ხარისხი იზრდება. რაც შეეხება ასოს ზომას, მიკროპენისი როგორც ჰიპოგონავიზმის შედეგი,

თანამედროვე პაციენტთა უმრავლესობას შედეგი დღესვე სჭირდება

ძალზე იშვიათად გვხვდება. სულ ახლახან, 32 წლის, ჯან-ღონით სავსე კაცი მოვიდა. აღმოჩნდა, რომ სექსუალური გამოცდილება ჯერ არ მიუღია. რატომ? იმიტომ, რომ ჰგონია – პატარა ზომის ასო აქვს. გამოკვლევების შედეგად ყველა სექსუალური პარამეტრი ნორმის ფარგლებში ჰქონდა, მათ შორის პენისის ზომაც. რაიონში ცხოვრობს, მშრომელი ოჯახი აქვს. თანასოფლელ ბიჭებში რომ თავი გამოიჩინოს, ჰყვება მითებს, თითქოს სადღაც ქალებში დადის, ამ დროს, აუტოეროტიკული განცდებით კმაყოფილდება (ეწევა მასტურბაციას). დაიწყო სმა, დარდს ალკოჰოლში იქარვებდა. ჰქონდა მძიმე სიმთვრალე, აგრესია, მისი შეფასებით – წარმატებული მამაკაცების მიმართ... ავუხსენი, რომ ნორმალური სექსუალური აქტის დროს, ასოს ზომას მნიშვნელობა არა აქვს; არსებობს მაქსიმუმი და მინიმუმი, მას საშუალო ზომის პენისი ჰქონდა... ასეთი ჩივილებით მოსულ პაციენტთა 95%-ის განცდები უსაფუძვლოა. მსგავსი პრობლემით შეწუხებული, 40 წელს გადაცილებული პაციენტიც მყოლია. კონსულტაციის შემდეგ, ფაქტობრივად, თავიდან დაიბადა, საკმაოდ სოლიდურ ასაკში განახორციელა პირველი აქტი და სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრება დაიწყო... ასეთივე შემთხვევად შეიძლება ჩავთვალოთ, როდესაც პაციენტი სექსუალური დისფუნქციის ჩივილით მოდის და აღმოჩნდება, რომ სულ სხვა რამ სჭირს. მოვიდა პაციენტი. აღმოჩნდა, რომ დიაბეტი აქვს. მამაკაცის სექსუალური ფუნქცია საკმაოდ ფაქიზი რამ არის, ამიტომ ის შეიძლება გახდეს სხვადასხვა დაავადებათა პირველი გამოვლინება. ამის გამო, მკურნალობაც მიმართული უნდა იყოს ძირითადი დაავადების აღმოსაფხვრელად. შემდგომ ეტაპზე, თუ საჭიროება მოითხოვს, მოხდება ჩვენი ჩარევა და სექსუალური სფეროს რეაბილიტაცია.

— არის თუ არა ვიაგრა სექსუალური დისფუნქციით შეწუხებულ მამაკაცთა იმედი?

– ვიაგრა საკმაოდ ეფექტური პრეპარატია. მისი გამოჩენა სექსოპათოლოგიაში რევოლუციად მოინათლა. პირდაპირი გაგებით, ეს არ არის სამკურნალო პრეპარატი. იგი გამოიყენება სიტუაციურად, სხვადასხვა წარმოშობის ერექციული დისფუნქციის დროს. მისი უკონტროლო მიღება დაუშვებელია. პაციენტები ხშირად მეკითხებიან ხოლმე: ნასვამზე ვიაგრის მიღება თუ შეიძლებაო?

ალბათ გინახავთ სარეკლამო ფოტოები ჟურნალებში: ქალი და მამაკაცი, თითო ფუჟერი შამპანურის ფონზე; ეს სასმლის მიღების სხვაგვარი ფორმაა, ქართველი კი, წავა საქეიფოდ, 3-4 ლიტრ ღვინოს დალევს, ზედ ნახევარ ცხვარსა და 5-6 შოთის პურსაც დააყოლებს და მერე, ზოგადად, რაღა სექსზე შეიძლება იყოს საუბარი – გინდ ვიაგრით და გინდ უვიაგროდ?!.

— ფსიქოთერაპიულ სეანსებზე რას იტყვით?

– ეს გახლავთ ინდივიდუალური და წყვილთა მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი, რომლის კლასიკური მიმდინარეობები ხშირად, თვეებისა და წლების განმავლობაშიც კი მიმდინარეობს. თანამედროვე პაციენტთა უმრავლესობას კი, შედეგი დღესვე სჭირდება. ჩემთან მოსულ პაციენტს რომ ვუთხრა – სამი წელი სეანსებზე უნდა იარო და ერექცია შემდეგ გექნება-მეთქი, – ხომ გადაირია?!

— წარმატებული მკურნალობის შემდეგ, პაციენტები სიხარულს თუ გიზიარებენ ხოლმე?

– ზოგი გვიზიარებს, ზოგი კი ქუჩაში ან წვეულებაზე რომ შეგვხვდება, თვალს გარიდებს, გამარჯობასაც არ გეუბნება: ეშინია, ვინმემ არ შენიშნოს, სექსოპათოლოგს რომ ესალმება... აბსოლუტურად მესმის მათი.

— რა შეგიძლიათ თქვათ იმ მამაკაცებზე, რომელთა ცოლებიც წლების განმავლობაში ქალწულებად რჩებიან?

– ბევრი ასეთი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ. წინათ მიკვირდა, ახლა უკვე – აღარ. ამას ჰქვია ქალწულებრივი ქორწინება. ხშირად მოდიან ასეთი წყვილები. საერთო ტრაგედია თითქოს აღუღაბებს მათ. მახსოვს, მოვიდა წყვილი. საკმაოდ ასაკოვანი ხალხი იყო. კაცი მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. დარწმუნებული ვარ, სხვებს ჭკუას არიგებდა, ცოლი კი, 8 წელი ქალწული ჰყავდა... დადიოდნენ და სხვების თვალის ასახვევად, ვითომ უშვილობას მკურნალობდნენ. მოიარეს უამრავი ექიმბაში და მჩხიბავი. ბოლოს, ერთი გინეკოლოგის ხელში აღმოჩნდნენ, რომელმაც, გაოცებულმა, ჩვენთან გამოგზავნა. კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ: მიღებაზე მოვიდა წყვილი, რომელიც 13 წლის დაქორწინებული იყო. ცოლი ისევ ქალწული გახლდათ. დღეს ბედნიერი წყვილია და შვილიც ჰყავს. ეს ქალბატონი მოსამართლე გახლავთ. წარმოიდგინეთ, ასეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი ქალბატონის მოსამართლედ მუშაობის მთელი სიმძიმე: ბუნებრივია, ძალზედ აგრესიული იქნებოდა, მით უმეტეს, რომ დამნაშავეთა უმრავლესობა ხომ მამაკაცია.



მოვიდა წყვილი, რომელიც 13 წლის დაქორწინებული იყო. ცოლი ისევ ქალწული გახლდათ

— იქნებ, გაიხსენოთ თქვენი ყველაზე ხანდაზმული პაციენტი, რომელიც სექსუალურობის დაქვეითებას უჩიოდა?

– საკმაოდ ბევრი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო, როდესაც 70 წლის მამაკაციც გვაკითხავდა. მახსოვს, 80 წელს მიღწეული კაცი მოვიდა. ქვრივი. საყვარელი ჰყავდა, რომელიც შედარებით ახალგაზრდა გახლდათ და სურდა, მასთან აბსოლუტურად სრულფასოვანი სექსი ჰქონოდა...

■

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი – AB Gymnic – აბ ჯიმნიკ

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი AB Gymnic ამაგრებს მუცლის, გულ-მკერდის, ფეხებისა და ბეჭების კუნთებს. გარდა ამისა, იძლევა მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალურად გახდომის საშუალებას. გასახდომი ქამარი დამზადებულია კოსმონავტებისაგან გადმოღებული ტექნოლოგიით, რომელსაც იყენებენ ხანგრძლივი ფრენის დროს ტონუსის შესანარჩუნებლად და კუნთების გასამაგრებლად. ასევე, ეს ტექნოლოგია იძლევა ცხიმების დაწვისა და ცელულიტის დაშლის საშუალებას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე!

ელექტრომიოსტიმულაციის უპირატესობანი.

მიოსტიმულაცია:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ცხოველქმედების პროდუქტების განდევნას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სკოლიოზს.

შედეგი:

გაძლიერებული გულ-სისხლძარღვთა სისტემა, გაუმჯობესებული სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა, წიდების ინტენსიური გამოდევნა ორგანიზმიდან, ძლიერი და ამტანი კუნთები, მკვრივი და ელასტიკური კანი.

მუშაობის პრინციპი:

სუსტი ელექტროიმპულსების ზემოქმედებით კუნთები იკუმშება. ამგვარად, ძლიერდება მუსკულატურა, იწვება ცხიმი და იშლება ცელულიტის უჯრედები. ელექტროდები დამზადებულია ახალი დაპატენტებული ქსოვილისაგან, რომელსაც გააჩნია მაღალი ელექტროგამტარობა და მუშაობის ხანგრძლივი ვადა. შესაძლებელია იმპულსების სიხშირისა და ინტენსივობის რეგულირება, რაც იძლევა მოწყობილობის ინდივიდუალურად გამოყენების საშუალებას. ცხიმების დაწვისა და ფიგურის კორექციისათვის რეკომენდებულია სუსტი იმპულსების მაღალი სიხშირით გამოყენება, ხოლო კუნთების გასაძლიერებლად უმჯობესია გამოიყენოთ ძლიერი იმპულსები ნაკლები სიხშირით. მაღალი სიხშირის იმპულსები იწვევენ კუნთების შეკუმშვას და ქმნიან მასაჟის ეფექტს, რაც ხელს უწყობს ორგანიზმში დაგროვილი ტოქსიკური ნივთიერებების, წიდების, ზედმეტი სითხისა და ცხიმის სწრაფ განდევნას. გარდა ამისა, ქამარი შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტული ტრავმების რეაბილიტაციის მიზნით.

ქამარი მიოსტიმულატორი AB Gymnic – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი: 154 ლარი

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შეძენას, დაგვიკავშირდით ☎ **(995 32) 53 74 60** ან შეგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზია - www.shopge.com-ის საშუალებით და ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა. ®

ავთო მარგველაშვილი

„ყეთილი" დირექტორი და მალტიერი კოლექტივი

ნემსის ყუნწში გაძვრება და საქმეს მაინც გააკეთებსო — ზვიად ტალახაძეზე ამბობდნენ ნაცნობები. სახელსა და გვარსაც ზუსტად ამართლებდა: ზედმეტად გულზვიადი და „ბრიშტი" იყო, გვარი კი მისი სულიერი სამყაროს ანარეკლი გახლდათ სწორედ. სკოლიდან მოყოლებული, ვერ პიონერთა რაზმეულის თავმჯდომარე იყო, მერე კომკავშირის მდივანი, ინსტიტუტში პარტიაშიც შეძვრა და ხელმძღვანელობის გულს კუდის ქიცინითა და პირფერობით იგებდა. სამსახურშიც პარტიული ხაზით მოხვდა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტის პარტკომის მდივნად დაინიშნა. მალე დირექტორი მექრთამეობაში ამხილა და „კომუნისტური იდეოლოგიის ხორცმეტის" სავარძელში თვითონ მოკალათდა.

მალე ცხოვრებაც აირია, ეროვნული მოძრაობა დაიწყო და იგრძნო თუ არა კომუნიზმის ხარაჩოების ქვეშ შემდგარი წყალი, პარტიის მანდატი სახალხოდ დახია, კაბინეტის მშვენება — ლენინის პორტრეტი ჩარჩოიანად მუხლზე გადაიმტვრია და თანამდებობა ასე შეინარჩუნა.

თანამდებობა კი შეინარჩუნა, მაგრამ შემოსავალი შემოაკლდა და გადაწყვიტა, ახალი გასაღებივით მორგებოდა ახალ ცხოვრებას. გამოსავალიც მალე იპოვა: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მის სამსახურს რეგულარულად ურიცხავდნენ სახელფასო ფონდით გათვალისწინებულ თანხას...

შტატების შემცირება იწყებაო, — თათბირზე რომ გამოაცხადა ნაამხანაგარმა ბატონმა ზვიადმა, კოლექტივმა წივილ-კივილი ატეხა. მართალია, საშუალო ხელფასი 30 ლარი იყო, მაგრამ მაინც ხომ ხელფასი ერქვა?! ამიტომ თანამშრომლებს შორის ფარული კონკურენცია გაჩაღდა: სამსახურში ადრე მოდიოდნენ და შინ გვიან ბრუნდებოდნენ, ოღონდ შავ სიაში არ მოხვედრილიყვნენ.

დირექტორმა თავის ერთგულ მოადგილეს გაუმხილა: კადრების განყოფილებაში რომ ჭორიკანა ჟუჟუნა მუშაობს, იმას ჩუმად უთხარი — 100 ლარად საკუთარ ადგილს იყიდი-თქო...

ჟუჟუნამაც საიდუმლო ისე „კარგად" შეინახა, რომ მეორე დღეს, ყველას ჯიბეში ედო 100 ლარი და დირექტორის მისაღებთან ბოლთას სცემდა, რომ სამი თვის ხელფასად სამსახური შეინარჩუნებინა.

— რას დასეირნობ, უშანგი, აქ? — ჰკითხა ერთმა თანამშრომელმა მეორეს და ფულიანი კონვერტი გულის ჯიბეში ღრმად ჩაიდო.

— არაფერს, ისე... მდივანთან მაქვს საქმე, — უპასუხა უშანგმა და მისაღების კარი ფრთხილად შეაღო. მდივანი მაგიდასთან იჯდა და ფრჩხილების ლაქს ისვამდა.

— უკაცრავად, — ჩაახველა უშანგმა, — დირექტორი თავისთანაა?

— ინფორმაცია ფასიანია, — თავაუღებლად უპასუხა სამეურნეო ანგარიშზე ახალგადასული საწარმოს დირექტორის მდივანმა — მაცაცომ.

— რა ღირს?

— 10 ლარი, — მშვიდად უპასუხა მაცაცომ.

უშანგმა კონვერტი შეუმჩნევლად გახსნა და „თუმნიანი" ამოაძვრინა:

— ინებეთ.

— დირექტორი არ გახლავთ, — „ევროსტანდარტით" გათვალისწინებული ღიმილი აჩუქა მაცაცომ შემოსულს, ფული კი უჯრაში ჩაასრიალა.

— და როდის იქნება? — იკითხა უშანგმა.

— ჰმ!.. — ცინიკურად ჩაცინა მდივანმა და მიახვედრა, რომ ეს ინფორმაციაც ფასიანი იყო.

— ა, უკაცრავად, — დაიბნა უშანგი, ისევ შებრუნდა, კონვერტიდან მეორე ათლარიანი ამოაცურა და მდივანს მიაწოდა. მანაც ფული წინა კუპიურის გზას გაუყენა და მშვიდად უპასუხა:

— არ ვიცი.

— „არ ვიციში" გადამახდევინეთ 20 ლარი?! — წყენა შეეტყო უშანგს.

— მე რა ვქნა, ბატონო? ახალი „ტარიფებია" მიღებული. დადებითი პასუხი თუ გნებავთ, 30 ლარი ღირს.

— აგაშენა ღმერთმა! — გაიხარა უშანგმა და ახლა 30 ლარი ამოიღო კონვერტიდან.

— დირექტორი კაბინეტშია, — 20 ლარი 50-მდე დაამრგვალა მაცაცომ.

— დიდი მადლობა, — კარისკენ გაეშურა კაცი.

— მოიცათ, სად მიდიხართ? დირექტორთან ვიზიტი ფასიანია — 50 ლარი ღირს, — მანიკიურიდან პედიკიურზე გადავიდა მაცაცო.

— აჰა, აიღეთ! — ბოლო „ხუთთუმნიანიც" შესწირა უშანგმა და დირექტორის კაბინეტში ბარვაში მოყოლილი ძლოკვივით შეიკლაკნა.

— მობრძანდით, უშანგი ბატონო, — ფეხზე წამოიმართა ზვიად ტალახაძე. მის ზურგს უკან, კედელს ვეებერთელა ანტიკორუფციული პლაკატი და პრეზიდენტის წინასაარჩევნო „რეჩი" ამშვენებდა სურათთან ერთად.

— ბატონო ზვიად, — ალუღლუღდა ცივოფლდასხმული უშანგი, — გვევედრებით, არ მომაყოლოთ შტატების შემცირებაში! ნუ დამიმშევთ ოჯახს!.. ვალში არც მე დაგრჩებით, კონვერტი მაგიდაზე ხათრით გააცურა უშანგმა, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ იგი უკვე ცარიელი იყო, ამიტომ მუჭშივე მოკუჭა და ჯორდანისეული სამქულიანი ტყორცნით ურნაში ჩააგდო.

— რას ამბობ, ჩემო უშანგ?! ეს რამ გაფიქრებინა?! ამ წარმოების ვეტერანი, მოწინავე ტექნოლოგი, უპატიოსნესი ადამიანი რომ სამსახურიდან გავუშვა, მე ვიღასთან დავრჩე?! მაგის შიში არ გექნეს, ხოლო ვალში არ დაგრჩებიო, — რომ თქვი, — ეგ აღარ გაიმეორო. ვალში სახელმწიფოა შენისთანა ხალხთან! წადი და მშვიდად იმუშავე, — ისე ჩაარიხინა დაზეპირებული ტექსტი ზვიად-დირექტორმა, რომ მაგიდის გამოღებულ უჯრაში ორად ორჯერ ჩახედა „შპარგალკას".

უშანგი გულჩვილი კაცი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ამ პათოსს უცრემლოდ ვერ გაუძლო და გახარებულმა დატოვა დირექტორის კაბინეტი, რომ უფასოდ, ყოველგვარი ქრთამის გარეშე შეინარჩუნა სამსახური.

— რა ქენი? — ჰკითხა გარეთ მდგომი მასის ერთ-ერთმა წევრმა. — კაი ახლა, ვიცი, რაზეც იყავი და თქვი — რა გითხრა დირექტორმა?

— ჰმ! დირექტორმა?! დირექტორი კი არა, ღმერთია, ღმერთი! — უპასუხა უშანგმა და გაათკეცებული ენერგიით აღვსილი დაუბრუნდა სამუშაო ადგილს.

დღის ბოლოს, კოლექტივის წევრები დაფრინავდნენ სიხარულით.

— დავიჯდა რამე? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

— არაფერი! მისაღებში რაც გადავიხადე „ოფიციალურად", თორემ, ბატონმა ზვიადმა ერთ ლარსაც არ მოჰკიდა ხელი — ვენაცვალე სულში!

— ა, რას ნიშნავს პატიოსანი კაცი. ყველა დირექტორი დირექტორია?..

ასე გავიდა სამი თვე და ერთ-ერთ თათბირზე ზვიად ტალახაძემ ისევ აუწყა კოლექტივს შტატების შემცირების თაობაზე „ზემოდან მოსული მითითების" შესახებ. ამჯერადაც ივივე გამეორდა და ადგილიც კვლავ ყველამ შეინარჩუნა. დღემდე ასე გრძელდება ამ ორგანიზაციაში: მუშაკები ყოველთვიურად იღებენ კუთვნილ 30-30 ლარს, სამ თვეში ერთხელ კი, მაცაცოსთან 100-100 ლარს ტოვებენ და ბედითაც კმაყოფილნი არიან და დირექტორითაც... ■

„ალბო დედაკენ, ვაგვი „ბალიგაკვ“ ცბოდნა!..“

ბოლო ხანს, ქართულ სტადიონ-ებსაც შემოეჩვივნენ საქართველოს ეროვნული დროშის ფერებში სახე-მოხატული გოგო-ბიჭები. ცხადია, ქართული სპორტის წარმატების კვალობაზე ისინი იმრავლებენ (ღმ-ერთმა ამრავლოს!). გავა წლები და კაცი ვერ გაიხსენებს, თუ რომელ ქართველ ფანს დაებადა პირველად უცხოელთა მიბაძვის იდეა, ფანო-ბის მათებრი ხელწერის გადმოღე-ბა-გადმოქართულება. ჰოდა, ჩემს შემდგომ თაობას, თუნდაც ჟურ-ნალისტებს, საძიებელ-საწვალებელი რომ არ გაუხდეთ ამ პირველი ქართველ-ევროპელი ფანის ვინაობა, გავუიოლებ გზასა და სამუშაოს.

ᲩᲐᲑᲐ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ

თბილისელმა **ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲐᲫᲔ** *პირველად, 2001 წლის 2 ივნისს, საქართველო-იტალიის ოფიციალური საფეხბურთო მატჩის დროს მოირგო ჭრელაჭრელა პარიკი, სახე (ლოყები) ქართულ-იტალიური დროშებით მოიხატა და ისე წავიდა სტადიონზე მატჩის საცქერად. საქართველოს ნაკრების გვერდით, მეორე ადგილზე ნინო იტალიელებს ქომაგობს. ამიტომ დაუთმო მარცხენა ლოყა ამ ქვეყნის დროშას. პირველად, ტრიბუნებზე ასეთ ფორმაში რომ გამოჩნდა, ჩვენმა ქომაგებმა (მამაკაცებმა, რასაკვირველია!) ვერ იგუეს და ატყდა ერთი ამბავი: აბა, ამას გაუბერავსო, — ისმოდა აქეთ-იქიდან.*

პირველს მეორე, მეორეს — მესამე თამაში მოჰყვა. მერე ნინოს მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ და ნელ-ნელა სპორტის ქომაგთა ახალი „კასტა“ გამოჩნდა — თანამედროვედ აღჭურვილი (მოხატულ-მოთხვრილ-მოკაზმული) და თუ გნებავთ, თანამედროვედ მოაზროვნე. თუმცა, ამაზე — ქვემოთ, ნინო ბუაძე ბევრ საინტერესო ამბავს თავად მოგვითხრობს.

თემურ მღებრიშვილთან ერთად

— ნინო, მოდი, ერთზე შევთანხმ-დეთ: ახალი და ორიგინალური არაფერი მოგიგონებია — კლუბის და ქვეყნის სიმბოლიკით მოხატული გოგო-ბიჭი მრავლად გეყოლებოდა ნანახი ევროპის სტადიონებზე გამ-ართული მატჩების ტელერეპორტა-ჟებში. მაგრამ რაღა მაინცდამაინც შენ წამოიწყე ჩვენში ეს საქმე?

— მე ისიც არ ვიცოდი, თუ ამ ახალი ტიპის ქართველ ფანებს შორის პირვე-ლი ვიქნებოდი. იტალიის ნაკრები 2 ივნისის მატჩისთვის ჩამოვიდა საქარ-თველოში. მე იტალიელთა ფანი ვარ — ცხადია, საქართველოს ნაკრების შემდეგ. მინდოდა, რაღაცნაირად ორიგინალურად დავხვედროდი საყვარელ გუნდს, ფეხ-ბურთელებს. შინ პარიკი მქონდა, რომელ-იც ადრე, კუნძულ მალტაზე, კარნავალზე მაჩუქეს. ის პარიკი გავიკეთე. ერთ ლოყაზე საქართველოს დროშა დავიხატე, მეორეზე — იტალიის და ასე წავედი სტადიონზე. ისე, ეს ჯერჯერობით, პირველი და უკა-ნასკნელი შემთხვევა იყო, როცა ჩემი საყ-ვარელი გუნდის საქომაგოდ წავედი „დი-ნამოს“ სტადიონზე, მაგრამ მას არ ვქომა-გობდი — ცხადია, იმ დღეს საქართველოს ნაკრების გულშემატკივარი ვიყავი.

— რა რეაქცია ჰქონდათ სტა-დიონზე თავმოყრილ გულშემატ-კივრებს, როცა „ევროპულ საფანო ფორმაში“ გიხილეს?

— რა თქმა უნდა, არაერთგვაროვანი. ბევრმა ჩვეულებრივად მიიღო, მაგრამ აქა-იქ გაისმა: ამ ბავშვს პატრონი არ ჰყავს, ეს რეები დაუხატავსო?! შეურაცხყოფა არავის მოუყენებია, თუმცა ბევრი ალმაც-ერად მიცქერდა. ისე, ძალიან მშვიდად ვიყავი, რადგან ვიცოდი, ვინმეს რაიმე რომ შეშლოდა, მთელი სტადიონი ჩემი ქომაგი იქნებოდა — მხარს მე დამიჭერდა.

— შენ ჯერ ფეხბურთელთა ფანობა დაიწყე ასე ორიგინალუ-რად, მერე — მორაგბეებისა. როგორც ვიცი, თავად სპორტსმე-ნებიც გაგიცნია. იქნებ, მათზეც მესაუბრო, ბოლოს და ბო-ლოს, ყველამ ხომ არ იცის, ვინ როგორ აფასებს თავის ფანს?

— ჩემთვის მთავარია, საქართვე-ლოს ნაკრებს ვუქომაგო. თორემ, გამორჩეულად არც ფეხბურთელებ-ის ფანი ვარ და არც მორაგბეებისა. თუმცა, არის რაღაც დეტალები და ამაზე მოგახსენებთ.

— მაინც, რა დეტალებია?

— არა, პრინციპში, ჩემთვის სუ-ლერთია, მორაგბეთა ნაკრებს ვუ-ქომაგებ თუ ფეხბურთელებისას, მაგრამ არ შემიძლია, ერთი რამ არ აღვნიშნო: მორაგბეები უფრო უშუალო, ალალი და უბრალო ხალხია, ავტოგრაფსა და ტკ-ბილ სიტყვას არ დაგაკლებენ, მატჩის მერე, წააგებენ თუ მოიგებენ, როგორი დაღ-ლილნიც არ უნდა იყვნენ, გასახდელიდან გამოსვლის მერე, ორ წუთს გაჩერდებიან, გეტყვიან ორიოდე სიტყვასა და წუთს არ დაგამადლიან... ფეხბურთელები კი (თუმცა, ეს ყველას არ ეხება), მატჩი მორჩება თუ არა, გასახდელში შეძვრები-ან და მერე ავტობუსში არბიან; რომ მოკლა, იქიდან ცხვირს ვერ გამოაყოფინებ. ნუ მიწყენენ ფეხბურთელები, მაგრამ რა ვქნა — მათზე ასეთი შთაბეჭდილება მაქვს.

— ნინო, მშობლები არ გიშ-ლიან სპორტსმენების წინ და უკან დევნას?

— არა, პირიქით — რითიც შეუძლიათ, ხელს მიწყობენ. იციან, არაფერს ვაშავებ, ჩემს ჭიას ვახარებ, რომელიც არცთუ ისე პრეტენზიულია *(იცინის)*... ერთხელ, მატჩ-ზე მაგვიანდებოდა, ჩემებურად შემოსვას ვეღარ ვასწრებდი. დიდ ფორიაქში ვიყავი და დედა დამეხმარა. წითელი სუფრა დაჭრა, ბალიშის პირს ნაჭერი მოაჭრა, მერე შავი ქსოვილიც ნახა სადღაც და შემიკერა საქართველოს დროშის ფერებ-

ის შესატყვისი სამოსი – კოფთა დავარქვათ; ის ჩავიცვი და ისე წავედი თამაშზე. დაგრიმვა და სხვა რაღაცები კი მოვასწარი. თუ არ ვცდები, საქართველო-რუმინეთის მორაგბეთა მატჩზე მოხდა ეს ამბავი.

— როგორ იწყება ის დღე, როცა საქართველოს მორაგბეთა თუ ფეხბურთელთა ნაკრებებს საერთაშორისო მატჩი აქვთ?

– იმ დღეს, საოცრად აფორიაქებული ვარ, დილიდან არა ვარ ჭკუაზე, წინა დღესვე ვაგულიანებ ამხანაგებს, რომ წამოვიდნენ თამაშზე, მატჩის დღეს კი, ინსტიტუტს ვაცდენ, უფრო სწორად – ინსტიტუტებს: ორ ინსტიტუტში ვსწავლობ – ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო საქმეთა ფაკულტეტზე და კლასიკური და ტრადიციული მედიცინის აკადემიაში. ორივე უმაღლეს სასწავლებელში, დეკანატიან-რექტორატიანა, ყველამ იცის, რომ როცა რაიმე პრინციპული მატჩია, იმ დღეს არ მივალ ლექციებზე.

— შენს თანატოლ, მეგობარ ბიჭებს როგორ მოსწონთ შენი ფანობა?

– ჩემი თანაკურსელი ბიჭები მეუბნებიან: ნინო, შენხელა გოგონებს ხელში ბავშვები უჭირავთ, შენ დროშებით დარბიხარ წინ და უკანო, – მაგრამ როცა, საქმე საქმეზე მიდგება, ამ ბიჭებს სხვაზე უკეთ ესმით ჩემი.

— სპორტში შენი კერპები ვინ არიან?

– მოდი, ქართველებს გვერდს ავუვლი და უცხოელებზე ვიტყვი... ფეხბურთელებიდან მიყვარს მალდინი, ტოტი, ზიდანი, ბარტეზი, ოლივერ კანი; გაგიკვირდებათ, მაგრამ ძალიან მიყვარს პიერლუიჯი კოლინა – მერე რა, რომ მსაჯია?!

— საფეხბურთო თუ სარაგბო მატჩების ტელერეპორტაჟების დროს, ხშირად გამოჩენილხარ თემურ მღებრიშვილის გვერდით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, გმფარველობს...

– მე და ბატონ თემურს დიდი ხნის ნაცნობობა გვაქვს. დედაჩემი – ნანა არკაძე საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს პრესსამსახურის უფროსად მუშაობს, გარკვეულწილად, სამსახურებრივი შეხება აქვს შს სამინისტროსთან და თავად ბატონ თემურ მღებრიშვილთან. ის ბავშვობიდან მიცნობს და ბუნებრივია, მმფარველობს კიდეც. როცა პირველად მნახა მოხატული, მითხრა: შვილო, ვინ გაგალამაზა ეგრე? პატრონი არა გყავსო?! მერე გაახსენდა, ჩემს პატრონსაც კარგად რომ იცნობდა და დააყოლა: გოგო, ნანამ თუ იცის, ასეთი „აზელილ-დაზელილი“ რომ წამოხვედი სახლიდანო? როცა ვუთხარი, რომ ჩემს მოხატვა-მოკაზმვაში დედაჩემის ხელიც ერია, ხელი ჩაიქნია, და მითხრა: საღოლ, დედაშენს, კარგი „მალიარკა“ სცოდნიაო! სახლი მაქვს სარემონტო და ამ დღეებში თუ გამომივლით დედა-შვილი, კარგს იზამთო... თემურ მღებრიშვილის წყალობით ხშირად, ისეთ ადგილებში შემიღწევია, მატჩზე აკრედიტებული ჟურნალისტებისთვისაც კი რომ უთქვამთ უარი. იქნებ, ეს არ არის ლამაზი, მაგრამ ფაქტი ფაქტია. არ დამავიწყდება, საქართველო-ესპანეთის მორაგბეთა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე, როცა მე საკონფერენციო დარბაზში აღმოვჩნდი, ერთი აკრედიტებული ჟურნალისტი ხელებს ჩემკენ იშვერდა და ხმამაღლა გაჰყვიროდა: ეს კლოუნი დარბაზში უნდა იყოს და მე შიგნით არ უნდა მიშვებდნენო?! თან, რამდენიმე რედაქციის „პრესკარტას“ აფრიალებდა... მესმის, რომ მართალი არა ვარ, წესით, იქ ჩემი ადგილი არ იყო და უპრიანი იქნებოდა, რომ ჟურნალისტი ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში ფანების მიმართ ნორმალური დამოკიდებულება რომ იყოს და რამდენიმე, მართლაც თავგადაკლულ ფანს უფლება ჰქონდეს, თუნდაც სპეცრაზმის უფროსის წყალობის გარეშე, პრესკონფერენციაზე დასწრებისა, ეს პრობლემაც ხომ მოიხსნებოდა?

— მოდი, ის სპორტსმენები გავიხსენოთ, ვინც ამ შენმა უცნაურმა ფანობამ შეგძინა?

– ისევ მორაგბეებით დავიწყებ, რადგან მათთან უფრო ადრე და უშუალოდ ჩამომიყალიბდა პირადი ურთიერთობები. შემიძლია ვთქვა, რომ მთელი საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ჩემი მეგობარია და ეჭვი არ მეპარება, რომ ასეთივე ერთგულ მეგობრად მთვლიან ეს ბიჭები. მაგრამ რაკი გამორჩევაზე მიდგა საქმე, რამდენიმე მათგანს გამოვარჩევ, არა იმიტომ, რომ ისინი სხვებს სჯობიან – უბრალოდ, მათთან ჩამომიყალიბდა გარკვეულად ახლო და უშუალო ურთიერთობა. ესენი არიან: მახო ურჯუკაშვილი, ილო ზედგენიძე, ლევან ცაბაძე, კახა ალანია, ვიქტორ დიდებულიძე და გია ლაბაძე. არ შემიძლია, გვერდი ავუარო, რაგბის კავშირის ფედერაციის პრეზიდენტს, ბიძინა გეგიძეს, რომლისგანაც უამრავი სითბო მახსოვს. მადლობის მეტი რა მეთქმის გია კუბლაშვილზე – რომელიც, ცოტა მეტია, ვიდრე, უბრალოდ, რაგბის კავშირის პრესმდივანი.

■

ბიძინა გეგიძესთან ერთად

თვითმკვლელობად შერაცხული უბედური შემთხვევა

4 აპრილს მეტროში დატრიალებულმა ტრაგედიამ ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, არადა, თუ თავად მეტროპოლიტენის თანამშრომლებს დავეკითხებით, წელიწადში ერთი შემთხვევა მაინც უკვე ნორმად იქცა... 19 წლის ანა ნიშნიანიძის დაღუპვა თვითმხილველებმა თვითმკვლელობად მონათლეს. მოგვიანებით, ალაპარაკდნენ განზრახ მკვლელობის შესაძლებლობაზეც და მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილი არ გამორიცხავდა უბედური შემთხვევის ვერსიას.

ანა თავის მშობლიურ მიწას, ვანის რაიონის სოფელ შუამთაში მიაბარეს. ერთადერთი შვილი მშობლებს უკანასკნელად, 7 თებერვალს, თბილისში მის გამომგზავრებამდე უნახავთ. ფიროსმანის ქუჩაზე 20 ლარად ნაქირავებ პაწაწინა ოთახში ანას ხელით გასწორებული საწოლი ისევ ხელუხლებელია, აქ მხოლოდ მისი სურათები ასვენია და სანთლები ანთია...

ემა გელოვანი

მირანდა ძაგნიძე, *ანას მეგობარი და ოთახის მეზობელი:*

— მე და ანა ერთად ვცხოვრობდით, ჩვენ გვერდით ოთახში კი, ჩვენი თანასოფლელი გოგონები — ია და ხათუნა. ჩვენ ოთხს ერთი ოჯახი გვქონდა. ანას გარდაცვალების შემდეგ, ამ ოთახში გაჩერება ჩემთვის სატანჯველად იქცა, ამიტომ, გოგონებთან ვათევ ღამეს. როგორც ხედავთ, ოთახი იმდენად პატარაა, რომ მეცადინეობა მე და ანას რიგრიგობით გვიწევდა... იმ საღამოს, ძილის წინ, უამრავ თემაზე ვისაუბრეთ, მხიარულ გუნებაზე იყო. კარგი ხასიათის გოგო იყო, მაგრამ ბოლო დროს, გაცილებით მხიარული და გულღია გახდა. ცდილობდა, ყველა ძველი მეგობარი მოენახულებინა. როდესაც დაძინება გადავწყვიტე, ანამ ყურსასმენები გაიკეთა: ჯერ არ მეძინება, მუსიკას მოვუსმენო. დილით რომ გავიღვიძე, ოთახში დენის გამათბობელი უკვე ჩაერთო და მითხრა: რომ არ გაგღვიძებოდა, დაძახებას ვაპირებდიო. უცნაური არაფერი შემინიშნავს მისთვის; სანამ სახლიდან გავიდოდი, ისიც კი — მითხრა, „პლიტა“ ჩართული არ დაგრჩესო. ადამიანს, რომელსაც თავის მოკვლა აქვს გადაწყვეტილი, ამაზე ფიქრი შეუძლია?!. მე სახლიდან 8 საათზე გავედი, ანა ჯერ კიდევ საწოლში იწვა. ვფიქრობ, ცოტა შეაგვიანდა, ჩქარობდა, ლექციაზე არ უნდოდა დაგვიანებით მისვლა და... არანაირი მიზეზი არ ჰქონდა თავის გასაწირად, უამრავი გეგმა ჰქონდა დასახული. ბოლო დროს, ჭამაც შეზღუდა: წონაში მოვიმატეო. მოუთმენლად ელოდა 15 აპრილს — სიყვარულის დღე მეგობრებთან ერთად უნდა აღგვნიშნა.

— თვითმხილველები საპირისპიროს ამტკიცებდნენ...

— ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით გამოვიდა ქალბატონი, რომელმაც ვითომ დაინახა, ანა ლიანდაგზე როგორ გადახტა. ეს ქალბატონი მეტროში „პონჩიკებს“ ყიდის, ჩვენც ვიცანით და მასთან სასაუბროდ მივედით. სრულიად საპირისპირო რამ გვითხრა და მეტი დამაჯერებლობისათვის გვთხოვა, წავსულიყავით და პროკურატურაში მისი ჩვენება წაგვეკითხა. ეს ქალბატონი ამბობდა, რომ მას მხოლოდ ხელგაშლილი ანას ვარდნის მომენტი დაუნახავს. მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ ხელები წონასწორობის დაცვის მიზნით გაეშალა?! არის კიდევ ერთი დეტალი: ანას საგაზაფხულო ფეხსაცმელი ეცვა, რომელიც ძალიან სრიალებდა. შინ, ნამიან იატაკზე ხშირად გვაჩვენებდა ხოლმე: შეხედეთ, როგორ სრიალებსო. როცა მეტროში ერთად ჩავდიოდით, გოგონებს შუაში ჩაგვიდგებოდა და ჩვენს ხელებზე დაყრდნობილი დასრიალებდა ფილებზე. იმ დილითაც ეს ფეხსაცმელი ეცვა, შესაძლოა, ფეხი დაუცდა.

— იქნებ, მის ბოლოდროინდელ საუბრებში იყო რაღაც, რაც ეჭვს იწვევდა?

ია ჯოგლიძე, *ანას მეგობარი და მეზობელი:*

— ჩვენ ოთხს შორის, მე ყველაზე უფროსი ვარ, ამიტომ ანა ხშირად მომმართავდა რჩევის საკითხავად ან გულახდილად სასაუბროდ. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ერთი უცნაური რამ მიამბო და ცოტა შეშინებულიც ჩანდა: ანა და მისი ორი მეგობარი, სასწავლებლის წინ, მიწისქვეშა გადასასვლელის მოაჯირზე მსხდარან. ანას ვიღაც ქალის გამჭოლი მზერა უგრძნია, რომელიც თვალს არ აცილებდა და თან უახლოვდებოდა. ეს ქალი ისე მისულა გოგონებთან, რომ თვალი არ მოუცილებია ანასთვის. შემდეგ უცნობს ანას მეგობრისთვის უთხოვია: თმა ისე შემიკარი, როგორც შენ გაქვსო. ქალის საქციელი ცოტა ეუცნაურათ, მაგრამ თხოვნა შეუსრულეს. მთელი ამ ხნის მანძილზე, ისევ ანას უყურებდა თურმე. ანამ მითხრა: ეს ქალი რომ წავიდა, ძალიან შემეშინდა, არ ვიცი, რა უნდოდა. თანაც, ისეთი სახე ჰქონდა, ჯადოქარი მომაგონაო. ამის მეტი არაფერი ყოფილა.

ხათუნა ჯოგლიძე, *ანას მეგობარი და მეზობელი:*

— პროკურატურის თანამშრომლები დიდხანს დადიოდნენ ჩვენთან, ყველას სათითაოდ ჩამოგვართვეს ჩვენება... ანას წესიერებაში ეჭვის შეტანაც კი მკრეხელობად მიგვაჩნია. ანა ნამდვილი ქრისტიანი იყო, მოძღვარი ჰყავდა, აღსარებას აბარებდა და ზიარებაც ჰქონდა მიღებული. ანა, როგორც ნამდვილი ქრისტიანი, ყველა წესის დაცვით დავასაფლავეთ. ეს რომ თვითმკვლელობა ყოფილიყო, მოძღვარი წესის აგებაზე უარს იტყოდა.

ამიკო ნიშნიანიძე, *ანას ბიძაშვილი:*

— მე თვითონ მეტროპოლიტენში პირველ ხაზზე მემანქანედ ვმუშაობ. იყო შემთხვევა, როდესაც ერთ თვეში, ოთხი ანალოგიური ამბავი მოხდა. რადგან მსხვერპლი ამჯერად, ახალგაზდა გოგონა იყო, ხალხმაც ეს ტრაგედია ათასნაირი ჭორით „გაამდიდრა“. დეზინფორმაციის გავრცელებაში დიდი წვლილი ჟურნალისტებსაც მიუძღვით. ეს უბედური შემთხვევა ზუსტად 8 საათსა და 50 წუთზე მოხდა, დაახლოებით ორ საათში, ჩემთან შინ ერთმა ცნობილმა ტელეჟურნალისტმა დარეკა. ყურმილი დედაჩემმა აიღო, ჟურნალისტი მიხვდა, რომ ჩვენ არაფერი ვიცოდით და გვკითხა, თუ ვინ იყო ჩვენთვის ანა. შესაბამისი პასუხის შემდეგ, მოგვახალა: თავი მოუკლავს და ხომ არ იცით, რატომო? — გავოგნდით, არ ვიცოდით, დაგვეჯერებინა თუ არა. ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა, ეს ამბავი ჯერ სამართალდამცავებს რომ ემცნოთ ჩვენთვის, მაგრამ მათ ჩემი ტელეფონი არ იცოდნენ, ანას

ჩანთაში, რამდენიმე რვეულის, სტუდბილეთისა და ჩათვლის წიგნაკის გარდა, არაფერი იდო; მეტროპოლიტენშიც მხოლოდ შემდგომ შეიტყვეს, ანა ჩემი ბიძაშვილი რომ იყო და არც ჩემი ტელეფონის ნომერი იცოდა იქ ვინმემ; თვითონ ნომერიც კი არ არის ჩემს სახელზე რეგისტრირებული, ამიტომ ძალიან მაინტერესებს, როგორ მომაგნო ჟურნალისტმა?.. შემდეგ, პროზექტურაში მოვიდა ჩემთან ერთი გაზეთის ჟურნალისტი და ისიც თვითმკვლელობის ვერსიას მახვევდა თავს და მიზეზებს მეკითხებოდა. საზოგადოების ბინძური ეჭვები ექსპერტიზამ უკვე გააქარწყლა. ძალიან მძიმეა ამაზე საუბარი, მაგრამ ქალწულობასა და ორსულობაზეც ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და არანაირი ეჭვი არ დადასტურდა. ველაპარაკე იმ საბედისწერო მატარებლის მემანქანეს. ეს ამბავი მისთვისაც ძალიან დამთრგუნველია და ამბობს, რომ მხოლოდ ადამიანის ვარდნა დაინახა, რომელიც წონასწორობის დაცვას ხელების ქნევით ცდილობდა; მან მაშინვე მუხრუჭებს დაჭირა, მაგრამ ანა ბაქნის დასაწყისში იმყოფებოდა და მემანქანე უძლური აღმოჩნდა... მე რომ თავად არ ვიყო ამ პროფესიის ადამიანი, შესაძლოა, ეს პასუხი ნაკლებად დამაჯერებელი მომჩვენებოდა. როგორც წესი, მუხრუჭის პედალზე დაჭერის შემდეგ, მატარებელი 60 მეტრში უნდა გაჩერდეს, მან კი მატარებელი 40 მეტრში გააჩერა. ერთხელ, თავად მქონდა ასეთი შემთხვევა. მატარებელი დავძარი, წამით, ქურთუკის დასაკიდად შევბრუნდი და მოხედვისთანავე დავინახე, რომ ადამიანი ვარდებოდა. საბედნიეროდ, მხოლოდ მატარებლის კიდე მოხვდა და შორ მანძილზე, ბაქანზევე გადაგდო... იყო შემთხვევა, როდესაც ჩავარდნილმა სისხარტე გამოიჩინა და ლიანდაგების თხრილში ჩაწვა; მთელმა შემადგენლობამ გაუარა თავზე, მაგრამ გადარჩა. სამწუხაროა, მაგრამ ყველას ყოველთვის სადღაც გვეჩქარება და ამის გამო, ვარღვევთ მგზავრობის უსაფრთხოების წესებს. ბაქანზე არსებობს „წითელი ზოლი", რომლის გადალახვაც ყოვლად დაუშვებელია. თუ მგზავრი ამ ზოლს მიღმა იმყოფება და რაიმე მიზნით, თუნდაც ჩანთის ასაღებად წინ გადაიხრება, საკმარისია, ძალიან ახლო მანძილზე ვინმემ გაუაროს და ოდნავ გაკრას მხარი, რომ წონასწორობა დაირღვევა და ბაქნიდან გადავარდება. არ მინდა, ვინმე დავადანაშაულო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი ტრაგიკული შემთხვევების შემდეგ, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ უნდა გაამკაცროს კონტროლი. მით უმეტეს, რომ მეტროს მგზავრთა რაოდენობამ ამ ბოლო დროს, საგრძნობლად იმატა და ეს კიდევ უფრო ზრდის ტრაგედიების შესაძლებლობას.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ქ. თბილისის ტრანსპორტის პროკურატურამ ჩაატარა წინასაგამოძიებო შემოწმება; მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების დასადასტურებლად, საქმე გადაეცა საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურას. აღსანიშნავია, რომ წინასაგამოძიებო შემოწმება ერთი თვის მანძილზე მიმდინარეობდა. დასტურდება, რომ საქმე გვაქვს უბედურ შემთხვევასთან და მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

ზაზა ურუშაძე, *საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის უფროსი თანაშემწე:*

— წინასაგამოძიებო შემოწმება სრულყოფილად იქნა ჩატარებული, რის გამოც საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურაში კანონიერად იქნა ცნობილი თბილისის რეგიონული სატრანსპორტო პროკურატურის გადაწყვეტილება, მაგრამ საჭირო იყო, რამდენიმე ნიუანსის დადგენა. უშუალოდ შევხვდი და ვესაუბრე ყველა იმ პირს, ვისაც ჩამოერთვა ახსნა-განმარტებები, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ პოლიციისა და პროკურატურის მუშაკთა მხრიდან ადგილი არ ჰქონოდა მათი მისამართით რაიმე სახის ზეწოლას.

— მოკვლევის მასალებში ფიგურირებს საათი, რომელიც ინციდენტიდან მხოლოდ მეორე დღეს იქნა ამოღებული შემთხვევის ადგილიდან და აგრეთვე საუბარია გარდაცვლილის ცალ ფეხსაცმელზე, რომელიც ვერ იპოვეს.

— მეტროში არსებობს მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელი, რის ქვემოთაც მდებარეობს წყლის თხრილი. სავარაუდოდ, შეჯახების შედეგად, ცალი ფეხსაცმელი სწორედ აღნიშნულ თხრილში ჩავარდა; მოძიების მიზნით, მეტროპოლიტენში მუშაობის დამთავრების შემდგომ, გამორთულ იქნა მაღალი ძაბვის დენი, შემოწმდა თხრილი, მაგრამ ფეხსაცმელს მაინც ვერ მივაგენით. შესაძლებელია, რომ ის წყლის დინებამ შორ მანძილზე წაიღო. სწორედ მაშინ იქნა ნაპოვნი თხრილში მაჯის საათი, რომელიც მიცვალებულს ეკუთვნოდა.

— ხელჩანთაში რა იქნა ნაპოვნი?

— მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტისთვის დამახასიათებელი ნივთები: სტუდენტის ბილეთი, კონსპექტები. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი ლექციაზე მიდიოდა და სულაც არ უფიქრია თვითმკვლელობაზე. გვამს ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა სიკვდილის მიზეზის დასადგენად. დადგინდა, რომ აწ გარდაცვლილი არც ალკოჰოლისა და არც ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა, რომ საქალწულე აპკი დარღვეული არ ყოფილა და რომ მისი გარდაცვალების მიზეზი იყო სიცოცხლესთან შეუთავსებელი, სხეულის შერწყმული ბლაგვი ტრავმა, ჩონჩხის ძვლების მრავლობითი მოტეხილობით, შინაგან ორგანოთა ტრავმული დაზიანებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ანა ნიშნიანიძე შესაძლებელია, დენის სადენს დასცემოდა და გამორიცხული არ არის, რომ ჯერ მისთვის დენს დაერტყა, მაგრამ მისი ლიანდაგში ჩავარდნა და მასზე მატარებლის შეჯახება წამებში მოხდა და ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. მაგრამ ცხადია, რომ სიკვდილი წამებში დადგა და საცოდავს არ უწვალია... თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველომ ჩაატარა მოკვლევა, რომლის თანახმადაც დადგინდა, რომ მატარებლის მემანქანე მოქმედებდა მეტროპოლიტენის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების მოთხოვნათა დაცვით. შემოწმებულ იქნა ასევე მატარებელი და დადგინდა, რომ იგი აბსოლუტურად გამართულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. წინასაგამოძიებო შემოწმების მასალების შესწავლით, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საქმე გვაქვს უბედურ შემთხვევასთან და თბილისის რეგიონული სატრანსპორტო პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერადაა ცნობილი. ■

მარცხნიდან მეორე ანა ნიშნიანიძე, მეგობრებთან ერთად. მეორე რიგში დები სათუნა და ია ჯოგლიძეები. მარჯვნივ მირანდა ძაგნიძე

ვარეგულიროთ ალერგიის მომაბეზრებელი სიმპტომები

„სეზონური ალერგიის ფორმულა" და „ელერჯი ფაითერზ" დაგეხმარებათ ორგანიზმის ბუნებრივი ბალანსის აღდგენაში;





- ხსნის სეზონურად გამოწვეულ ალერგიულ სიმპტომებს;
- აჩერებს ცრემლდენას, რინიტს, ცემინებას, ქავილს;
- არ შეიცავს ეფედრინს, არ იწვევს მოთენთილობას.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

„ნუტრიმენტ ჰაუსი", მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com

®



ის ინფორმაცია, რომელსაც ჟურნალ-გაზეთებში, ტრადიციულად, ბოლო გვერდებზე მოთავსებული ასტროლოგიური პროგნოზით ვღებულობთ, სხვა არაფერია, თუ არა ზოდიაქოს ნიშნების ზოგადი მიმოხილვა. სინამდვილეში, იმ ასტროლოგებს, რომელთაც პირადი ჰოროსკოპის შედგენით დაინტერესებულ სუბიექტთან აქვთ საქმიანი ურთიერთობა, საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს შესრულება უწევთ. მათი შრომის საბოლოო შედეგი კი, რაოდენობით, ხარისხით და შინაარსით, აბსოლუტურად განსხვავდება იმ მწირი ინფორმაციისაგან, რომელსაც ე.წ. „კვირის ჰოროსკოპში“ ვკითხულობთ.

visac sjera – gaatareT, sxvebi ki reiganiviT moiqcnen...

ნანა ქიბიშაური



დაძაბულ წინასაარჩევნო პერიოდში, უცხოელი იმიჯმეიკერების რჩევით, თურმე ჩვენი პოლიტიკოსებიც დაინტერესდნენ როგორც საკუთარი, ისე მოწინააღმდეგეების პირადი ჰოროსკოპებით და თუ ასტროლოგები, ზოგ შემთხვევაში, მაინც, ენას კბილს არ დააჭერენ, ისეთი ეზოტერიკული ომის მოწმენი გავხდებით, როგორიც აქამდე არ გვინახავს.

ასტროლოგები ამბობენ, რომ გაცილებით უკეთესად იქნებოდა ჩვენი საქმე, პოლიტიკოსებმაც იმდენივე რომ იცოდნენ საკუთარ თავზე, რამდენიც მათ იციან. უკეთესი იქნებოდა იმდენად, რამდენადაც ბევრი მათგანი გვერდზე გადადებდა პოლიტიკურ ამბიციებს და სულ სხვა საქმიანობით დაკავდებოდა – ვთქვათ, ლიმონათის წარმოებით, ფარიკაობის გაკვეთილებით ან მემუარების წერით, მოკლედ – ისიც დაისვენებდა, ჩვენც და იბერიაც გაბრწყინდებოდა...

ასტროლოგისათვის დაბადების ზუსტი თარიღის, დროისა და ადგილის ცოდნა სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ პიროვნების წარსული, აწმყო და მომავალი განსაზღვროს, მისცეს მას სასარგებლო რჩევა და ინფორმაცია მოსალოდნელი ნეგატიური დღეებისა თუ უსიამოვნო მოულოდნელობების შესახებ. **რამაზ გიგაური,** *რომელიც რამდენიმე წელია, პირადი ჰოროსკოპების შედგენითაა დაკავებული, ამბობს, რომ შევდივართ მერწყულის ერაში, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ხალხის ინტერესი ასტროლოგიის მიმართ, გაათმაგდება.*

– პირველ ყოვლისა გეტყვით იმას, რომ ასტროლოგია არის უძველესი მეცნიერება, რომელსაც 5000 წლის ისტორია აქვს და ძალიან შორს დგას მკითხაობისგან, ჯადოქრობისა და მაგიისაგან. ამას კიდევ ერთხელ იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ზოგჯერ, ინტერნეტითაც კი ისეთი ვითომდა ასტროლოგიური პროგნოზი ვრცელდება, რომელიც მკითხაობასთან უფრო მიახლოებულია, ვიდრე მეცნიერებასთან. ასტროლოგიის, როგორც მეცნიერების საფუძვლები ძველი შუმერებიდან და ძველი ეგვიპტიდან იღებს სათავეს. ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებები სწორედ ასტროლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით იყო გამოთვლილი. მანვე შეუდგინა პირადი ჰოროსკოპები ეკატერინე მედიჩს და მის შვილებს, სადაც ზუსტად განსაზღვრა მათი და არა მხოლოდ მათი ბედ-იღბალი. ქართველი მეფეებიდან ჰოროსკოპებით დაინტერესებულები იყვნენ დავით აღმაშენებელი და ვახტანგ VI. ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ დავით აღმაშენებელი ბრძოლას არ გეგმავდა პირადი ასტროლოგის რჩევის გარეშე. მისი ლაშქარიც ასტროლოგიური პრინციპით იყო დაწყობილი: წინა ხაზზე ვერძები ეყენა, მთავარსარდლად კი, ყოველთვის მორიელის ნიშნით დაბადებულ ადამიანს ნიშნავდა. ჰოროსკოპების შედგენით დაინტერესებულნი იყვნენ: სულხან საბა ორბელიანი, გიორგი ჭყონდიდელი და გიორგი მთაწმინდელი. ეს უკანასკნელი ამბობდა, რომ მღვდელმთავარიც კი, პირადი ჰოროსკოპის გათვალისწინებით უნდა არჩეულიყო.

— მაინც რა ინფორმაციის მატარებელია პირადი ჰოროსკოპი და რა უნდა ვიცოდეთ მისი შედგენის დროს?

– პირადი ჰოროსკოპის შედგენისას – რა თქმა უნდა, თუ შარლატანთან არ აღმოჩნდით და გამოკვლევა მართლაც პროფესიონალურ დონეზე მიმდინარეობს, – პიროვნების მთელი ცხოვრება, მისი ხასიათის ყველა შტრიხი, მომავალი და წინა ცხოვრებაც კი, იხსნება. ადამიანი, უმეტესწილად მაშინ, თუ მას მტერი ჰყავს, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს გახსნილ ჰოროსკოპს და შეეცადოს, ის სხვას არ ჩაუგდოს ხელში, თორემ შეიძლება მისმა მოწინააღმდეგემ დაგეგმოს პროვოკაციები მისთვის ნეგატიურ დღეებში – მაშინ, როდესაც ადამიანმა ექსტრემალურ სიტუაციაში შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვას და მისი მომავალი 180 გრადუსით შეცვალოს. ეს პირველ რიგში, ეხება პოლიტიკოსებს და ბიზნესმენებს და ამიტომაცაა, რომ მათ უმრავლესობას, ევროპასა და დასავლეთში პირადი ასტროლოგები ჰყავს. სასიამოვნოა, რომ ეს კულტურა ჩვენშიც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. თუმცა, ამის შესახებ ხმამაღლა არავინ საუბრობს, რადგან პირადი ასტროლოგის ყოლა ან ჰოროსკოპის მიხედვით ცხოვრება დღეს, ჩვენს საქმიან წრეებში ცუდ ტონადაა მიჩნეული.

— მაგრამ ბევრი პოლიტიკოსი არ გაურბის ამ თემაზე საუბარს და არც იმის აღიარებას ერიდება,

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

1. 8 მარტი სირიაში ეროვნული დღესასწაულია.

2. წყლის წისქვილების სამშობლო, მცირე აზიაა.

3. კომეტის ბირთვის აირებისგან შემდგარ გარსს კომა ეწოდება.

4. ლოქოს მეორენაირად ღლავი ჰქვია, პატარა ლოქოს — ღლაბუტა.

5. სასუ-ნგესო კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

6. ლოს-ანჯელესის აბრევიატურა LA მისი სრული სახელწოდების 3,63%-ს შეადგენს.

7. „არის ბევრითი რეგვენი ზარმაც დუშმანზე საშიში“ — ღაღადებს ადიღეური აფორიზმი.

8. ლეკოსანდი სოფელია ლენტეხის რაიონში, ლეკუმხარა — სოფელი გალის რაიონში.

9. „აბსტრაქცია“ ლათინური სიტყვაა და ყურადღების გადატანას, განრიდებას, განყენებას ნიშნავს.

10. მოკრივეთა საასპარეზო რინგი კვადრატს წარმოადგენს. მისი გვერდის სიგრძე 6 მეტრს უდრის.

11. „ფეხზე წამოდგომის მსურველს იშვიათად უჭერს ვინმე მხარს, იმას კი, ვინც ძირს დასაცემად არის გამზადებული, ხელს ბევრნი ჰკრავენ“ — ამბობდა ნაპოლეონი.

12. გლადიატორთა არენებზე უზარმაზარ სასაკმევლეებს დგამდნენ, რათა სისხლის სუნი გაექარვებინათ.

13. სკეპტიკოსი — ასე ეძახდნენ ძველი ბერძნები ადამიანს, რომელიც რაიმეს გულმოდგინედ ათვალიერებდა.

14. ფრანგულ კინოკომედიაში — „ადამიანი-ორკესტრი“ ლუი დე ფიუნესს საკუთარი შვილი უწევს პარტნიორობას.

15. ამერიკის ველური დასავლეთის მთელი ისტორიის მანძილზე, კოვბოების რიცხვი 20000-ს არ აღემატებოდა. ყოველი მესამე მათ შორის, ზანგი იყო, ყოველი მეოთხე კი — ინდიელი.

16. ხუროთმოძღვრების ეს სტილი იტალიელებში ზიზღს იწვევდა და იმისათვის, რომ ხაზი გაესვათ მისი ბარბაროსული ბუნებისა და სიტლანქისათვის, სახელიც შესაბამისი შეურჩიეს — გოტიკური.

17. მესამე პუნიკური ომი კართაგენის სრული დანგრევით დასრულდა. კართაგე-

რომ ასტროლოგთა პროგნოზს ითვალისწინებს...

— ასტროლოგიური ინფორმაციის მოპოვებით განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან მერწყულისა და თევზების ნიშნით დაბადებული პოლიტიკოსები. საქართველოს პრეზიდენტი მერწყულია. ძალიან კარგად ერკვევა ასტროლოგიურ მეცნიერებაში და ჰოროსკოპით მიღებულ ინფორმაციასაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ კარგად იყენებს. მისი მეუღლეც საკმაოდ კარგადაა გათვითცნობიერებული ამ სფეროში და ჰოროსკოპის დახმარებით შევარდნაძეების ოჯახმა ბევრი უსიამოვნო მოვლენა უპრობლემოდ აიცილა თავიდან. რონალდ რეიგანი ამბობდა: არასოდეს მჯეროდა ჰოროსკოპების, მაგრამ ყოველთვის ვითვალისწინებდი ასტროლოგთა რჩევებსო. სწორედ მისი პირადი ასტროლოგის — ჯ. უიგლის რჩევით შეირჩა დღე, როდესაც ჟენევის ხელშეკრულება გაფორმდა. როგორც ის ამბობდა, სწორედ ამ დღეს უნდა დადებულიყო ხელშეკრულება, რომ მერე საბჭოთა კავშირი დაშლილიყო. ასევე ასტროლოგებმა გააფრთხილეს რეიგანი მასზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ და მათი რჩევის გათვალისწინების წყალობით გადაურჩა სიკვდილს. მანამდე, ამერიკის ყველა პრეზიდენტი, რომელიც მეორედ აირჩიეს, ინდიელების ცნობილი წყევლის მსხვერპლნი გახდნენ. საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი ნაბიჯს არ დგამდა პირად ასტროლოგთან შეთანხმების გარეშე. ასევე იქცევა იაპონიის დღევანდელი პრემიერ-მინისტრი. ვლადიმირ პუტინის პირადი ასტროლოგის ფუნქციას კი, მისი მეუღლე — ლუდმილა დღემდე წარმატებით ართმევს თავს. ის ბრწყინვალე ასტროლოგია და ძალიან სასარგებლო რჩევებსაც აძლევს მეუღლეს. ავიღეთ ყველა ხელშეკრულება, რომელიც პუტინის პრეზიდენტობის დროს რუსეთ-საქართველოს შორის დაიდო და გავოცდით: რუსული მხარის მიერ, ის პერიოდი და იმ პიროვნების ზოდიაქო, რომელიც ხელშეკრულებაზე აწერდა ხელს, ასტროლოგიური სიზუსტით იყო გამოთვლილი და მხოლოდ რუსეთისთვის იყო ხელსაყრელი. დიოკლეტიანე იმის ნათელი მაგალითია, რომ შესაძლებელია ჰოროსკოპის გამოყენებით ბედ-იღბლის კორექცია. ის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტირანი, რომელიც ქრისტიანებს სდევნიდა. ასტროლოგებმა უთხრეს, რომ თუ ტახტზე ასვლიდან 22 წლის შემდეგ არ გადადგებოდა, სასტიკად დაისჯებოდა და საშინელი სიკვდილი ელოდა, გადადგომის შემთხვევაში კი, ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლებდა. მართლაც, გადადგა და კომბოსტოს მოშენებას მიჰყო ხელი. არც მის წინამორბედებს და არც მის შემდგომ იმპერატორებს არავის უცოცხლია იმდენი ხანი და ისე მშვიდად, როგორც მან იცოცხლა.

— ჩვენი პოლიტიკოსებიდან და ბიზნესმენებიდან ვინ ითვალისწინებს ასტროლოგთა რჩევებს?

— ძალიან ხშირად, შალვა ნათელაშვილი და ზურაბ ჟვანია მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მათთვის პოზიტიურ და ხელსაყრელ დღეებში იღებენ და ვფიქრობ, ისინი ასტროლოგის რჩევის მიხედვით მოქმედებენ. ერთ-ერთ გაზეთში იბეჭდება მოსალოდნელი პოლიტიკური მოვლენების ასტროლოგიური პროგნოზი და ის, თუ რომელი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული პოლიტიკოსებისთვის იქნება ის კვირა წარმატებული, ვინ უნდა გააქტიურდეს და ვინ უნდა შეიკავოს ემოციები; რუბრიკას უძღვება დათო ბუტიკაშვილი. ვიცი, რომ მას ბევრი პარლამენტარი ურეკავს და მის რჩევებს ითვალისწინებენ. ბიზნესმენები ჩვენი მომსახურებით მაშინ ინტერესდებიან, როდესაც უცხოელ პარტნიორებთან უწევთ ურთიერთობა. ამას წინათ, გერმანიაში მყოფმა სამმა ქართველმა ბიზნესმენმა მთხოვა, ფაქსით გამეგზავნა მათი პირადი ჰოროსკოპები. ერთ-ერთი მათგანი უნდა შეხვედროდა იქაურ ბიზნესმენს და აინტერესებდათ, რომელი მოუტანდა კომპანიას წარმატებას. აღმოჩნდა, რომ არც ერთს არ ჰქონდა პოზიტიური დღე და რომ მათ კომპანიაში დასაქმებულთაგან, მხოლოდ ერთი ქალბატონი შეძლებდა შედეგიანი შეთანხმების მიღწევას. და ეს ქალბატონი ამ სამი ბიზნესმენიდან ერთ-ერთის პირადი მდივანი გახლდათ. მოლაპარაკებაში მისმა მონაწილეობამ მართლაც, არნახული წარმატება მოუტანა კომპანიას.

— როგორ ხდება პირადი ჰოროსკოპის შედგენა და არის თუ არა ერთი და იმავე წელს, თვეს, დღეს და საათზე დაბადებული ადამიანების ჰოროსკოპები იდენტური?

— დაბადების თარიღი ყველამ იცის, მაგრამ როდესაც დედას ეკითხებიან, რომელ საათზე მოვლინენ ქვეყანას, ხშირად იღებენ პასუხს: დილით, როცა ექიმი შეიცვალა ან რაღაც ამის მსგავსს. არადა, ერთ საათსაც კი აქვს მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში გვიწევს, იმ ადამიანზე დაკვირვების შედეგად დავადგინოთ უფრო ზუსტი ინფორმაცია მისი დაბადების დროის შესახებ. პირადი ჰოროსკოპის შედგენა სამი ძირითადი პარამეტრის მიხედვით ხდება: 1) პლანეტების განლაგება ზოდიაქოში; 2) ასპექტები — ანუ პლანეტების ერთმანეთთან მიმართება დროის მოცემულ მონაკვეთში და 3) ასტროლოგიური სახლი: მაგალითად, პირველი სახლი განაგებს გარეგნობას, მეორე — საქმიანობას, კარიერას და ფინანსებს (გვკარნახობს, თუ რა თვისე-

ბები უნდა განავითაროს ადამიანმა, რომ მისკენ წამოვიდეს ფული); მესამე – უახლოესი სამეგობრო, მეოთხე – ოჯახი და სამშობლო. არის აგრეთვე ემიგრაციის სახლი. პირადი ჰოროსკოპით შეიძლება განისაზღვროს. თუ რომელ ქვეყანაში მიაღწევს კონკრეტული პიროვნება წარმატებას ან როდის უნდა წავიდეს ამა თუ იმ ქვეყანაში. იმის შესახებ, არსებობს თუ არა იდენტური ჰოროსკოპები, შექსპირის მაგალითს მოვიყვან. შექსპირის დროს, მისი მსგავსი ჰოროსკოპი, კიდევ სამ ადამიანს ჰქონდა, მაგრამ შექსპირი ერთადერთია, რადგან მან ერთმა შეძლო თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა ზუსტად იმ სფეროში, რომელშიც მას წარმატება ელოდა. ოთხივე ადამიანს ერთნაირი პოტენციალი ჰქონდა, მაგრამ ეს პოტენციალი სხვადასხვანაირად გამოიყენეს და განავითარეს. რაც შეეხება წინა ცხოვრებას – ანუ რეინკარნაციას, – სწორედ ეს პრობლემა იქცა ეკლესიასა და ასტროლოგიას შორის განხეთქილების ვაშლად. არადა, XVII-XVIII საუკუნეებამდე ისინი ერთად იყვნენ. სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელსა და გელათის მონასტერზე სწორედ ზოდიაქოს ნიშნებია გამოსახული. მაცხოვარსაც თორმეტი მოციქული ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით ჰყავდა არჩეული. ადამიანს ხშირად აქვს შეგრძნება, თითქოს იმ მდგომარეობაში, რომელშიც უცებ აღმოჩნდა, ერთხელ უკვე იმყოფებოდა, ან იქნებ, სიზმარში ნახა? სწორედ ეს ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომელმაც წინა ცხოვრების შესახებ მოძღვრება განავითარა. თუმცა, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ასტროლოგიური ინფორმაცია იმ დოზით გავცეთ, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის დოგმებს არ ეწინააღმდეგება...

— საინტერესოა, ისინი, ვინც პირად ჰოროსკოპებს ადგენენ, სად იღებენ ამისათვის საჭირო განათლებას? ან რამდენად სანდონი არიან ისინი, ვინც გვეუბნებიან, რომ ჩვენ შესახებ უფრო მეტი იციან, ვიდრე ჩვენ?..

– საქართველოში დღეს მხოლოდ ერთი დიპლომიანი ასტროლოგია და სწორედ ის არის ქართული ასტროლოგიის პატრიარქი – ჯონდო ტუხაშვილი, კაცი, რომელმაც ამ დარგის, როგორც მეცნიერების განვითარებაში მართლაც დიდი წვლილი შეიტანა. ის 30 წელზე მეტია, ამ საქმიანობითაა დაკავებული. მიშა ცაგარელს, რომელიც ჟურნალისტებთან თანამშრომლობს და ამის გამო უფრო ცნობილი გახდა, 15 წლის გამოცდილება აქვს. განათლებას და ინფორმაციას ასტროლოგიით დაინტერესებული ადამიანები საერთაშორისო კონფერენციებზე ინტერნეტით და გამოცემული ლიტერატურიდან იღებენ. ჯერჯერობით, საქართველოში სპეციალიზებული ინსტიტუტი, სადაც შესაბამის სერტიფიკატს მაინც გასცემენ, არ არსებობს.

— საინტერესოა ისიც, თუ რა ღირს პირადი ჰოროსკოპის შედგენა?

– გაჩნია, რამდენად ინფორმაციულად დატვირთული ჰოროსკოპის შედგენას ითხოვენ. 22-25 ნაბეჭდ თაბახში დატეული ინფორმაცია ამერიკაში 200 დოლარი, რუსეთში – 300, საქართველოში კი, საშუალოდ 30-50 ლარი ღირს. შეიძლება, ინფორმაცია აუდიოკასეტაზეც იყოს ჩაწერილი, შეიძლება – ტელეფონითაც მიაწოდო. ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზიც გადამხდა თავს; ჩამაწერინეს მონაცემები და მთხოვეს, ერთ-ერთი ადამიანისთვის ტელეფონით გადამეცა ინფორმაცია. საუბარი დავიწყე იმით, რომ მსმენელს ვუთხარი: თქვენ ხართ კურო! ყურმილში ვიღაცამ ჩაიბუბუნა: კურო კი არა, კაცი ვარო. შევეცადე ამეხსნა, მაგრამ არაფერი გამომივიდა – ის ისევ თავისას იმეორებდა: „კურო არ ვარ, კაცი ვარ, თანაც – სვანი და ერთხელაც თუ გაგიმეორებია...“ მოკლედ, დანარჩენს აღარ დაგიკონკრეტებთ. პირადი ჰოროსკოპების შედგენა ყველაზე მეტად ტინეიჯერებს აინტერესებთ. თუმცა, მათ არც მშობლები ჩამორჩებიან, განსაკუთრებით იმ პერიოდში აქტიურდებიან. როდესაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები იწყება, უნდათ წინასწარ დაადგინონ, თუ სად, რომელ ფაკულტეტზე ელოდება მათ შვილს წარმატება. მოკლედ, ასტროლოგებისთვის ახლა რთული სეზონი იწყება. პირადად მე, ამჟამად, კიდევ ერთი დიდი დილემის წინაშე ვდგავარ. ჩემთან მოდის შეყვარებული წყვილი, რომელიც თითქმის ყოველდღე ჩხუბობს. ერთ თვეში ოჯახის შექმნას აპირებენ, არადა ერთი, წყლის ნიშანია, მეორე – ცეცხლის. ვიცი, მათი თანაცხოვრება არ შედგება, მაგრამ როგორ უნდა ვთქვა ეს ხმამაღლა?!. ძალიან დიდი დელიკატურობაა საჭირო, რომ ადამიანს დაეხმარო საკუთარი თავის შეცნობაში, საკუთარი ადგილისა თუ პარტნიორის პოვნაში და ეს ისე გააკეთო, რომ გული მომავლის რწმენით და იმედით აუვსო; რაც მთავარია – შთააგონო თავდაჯერებულობა, სიხალისე და გადასცე ინფორმაცია, რომლითაც ამ სამყაროში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებულ ხიფათთან საბრძოლველად შეიარაღდება, გააფრთხილო ადამიანი მოსალოდნელი ხიფათის შესახებ. ეს მე მგონი, არ არის ცუდი. ასე რომ, ვისაც ჰოროსკოპების სჯერა – გააცარეთ, მათ კი, ვისაც არ სჯერა, ვურჩევ რეიგანივით მოიქცნენ: ნუ დაიჯერებენ, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინონ ასტროლოგთა რჩევები. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ნის ტერიტორია რომის პროვინციად გადაიქცა და მას რომაელებმა აფრიკა უწოდეს.

18. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი 1857 წელს, კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანმა მოკლა, რის შემდეგაც ჩუბეხევის (სამეგრელოს მოსაზღვრე ტერიტორია სვანეთში) ყველა დადიშქელიანი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს.

19. სოლომონისა და ფიჯის კუნძულების მკვიდრი მეთევზეები სათევზაო ბადეებად ობობების ქსელს იყენებენ.

20. ყველაზე ხანდაზმული მგზავრი ჯესიკა სვიფტი გახლდათ, რომელმაც 110 წლისა და 3 თვის ასაკში თვითმფრინავით იმოგზაურა. ყველაზე ახალგაზრდა კი, ის ბავშვი იყო, რომელიც ფრენის დროს დაიბადა.

21. გადატრიალებათა რაოდენობის მიხედვით, ბოლივია რეკორდსმენი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში. 170 წლის განმავლობაში, აქ 190 გადატრიალება მოხდა.

22. რომის სენატში ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ყოფილი კონსულებიდან ირჩევდნენ ორ ადამიანს, რომელსაც ევალებოდა სენატორების სიის შემოწმება, იქიდან უღირსი კანდიდატების ამოღება და ახლების შეყვანა. ამ ადამიანებს ცენზორები ეწოდებოდათ.

23. დროშას, რომელიც სვანეთში, მესტიის რაიონის სოფელ სეტის წმინდა გიორგის ეკლესიაში არის დაცული, ლემი ჰქვია. იგი ტრადიციულად, ზაფხულის დღესასწაულზე, ხილიშზე გამოჰქონდათ. ლემი ხისტარიანი იყო, ტარს ჩამოცმული ჰქონდა ვერცხლის შუბისებრი თავი, რომელზეც ასომთავრული წარწერა და წმინდანთა გამოსახულებები იყო ამოკვეთილი. ლემს აბრეშუმის ქსოვილისაგან კერავდნენ, უკეთებდნენ ვერცხლის ყბებს, კბილებსა და ენას. თავზე აკერებდნენ ყურებს. თვალები და ცხვირი ვერცხლისფერი სირმით გამოჰყავდათ. დროშა კუდის ჩათვლით, 2,4 მ სიგრძის იყო. სწრაფი მოძრაობისას ჰაერით ივსებოდა და ცხოველის ფორმას იღებდა. დროშას იცავდა პრივილეგირებული გვარიდან არჩეული მელომე, რომელიც ლემით ხელში წინ უძღოდა ლაშქარს ომის დროს. დღეობის ბოლოს, იმართებოდა დღღი, რომელშიც მელომეც მონაწილეობდა. დღღში მისი გამარჯვება საქმეში გამარჯვებისა და ხვავრიელი წელიწადის მომასწავებელი იყო. ■



ჩავაბარებ — ვერ ჩავაბარებ, გავუძლებ — ვერ გავუძლებ... გამოცდების მოლოდინში შიშისგან გარინდებულები ვეკითხებით საკუთარ თავს. უძილო ღამეები, უზარმაზარი დაძაბულობა, ადრენალინი სისხლში — თუკი ერთხელ მაინც ჩაუბარებია ვინმეს გამოცდები, ამგვარი უსიამოვნო დაძაბულობის შეგრძნებები ნაცნობი იქნება მისთვის. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები, გუშინდელი მოსწავლეებისთვის მათი ცხოვრების პირველი სერიოზული გამოცდაა. სამწუხაროდ, ამისათვის საჭირო რკინის ნერვებით ყველა როდი დაიკვეხნის.

გამოცდა - ეს მეტი ცოდნის, ეს ამ ნერვების გამძლეობის შემოწმება



სკოლაში ქეთი ძალზედ კარგად სწავლობდა. არც მშობლებს და არც მეგობრებს ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ გოგონა სკოლის დამთავრებისთანავე უმაღლეს სასწავლებელში შეიტანდა საბუთებს. მაგრამ მათდა გასაოცრად, ეს არ გაუკეთებია. იგი ამბობდა, რომ ჯერ წამუშავება სჭირდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებას. სინამდვილეში, გოგონას უბრალოდ ეშინოდა: დამქანცველი და სანერვიულო გამოსაშვები გამოცდების შემდეგ, ის ჯერ გონს ვერ მოსულიყო და იმის წარმოდგენაც კი უჭირდა, რომ ერთი თვის შემდეგ, ასეთივე ტანჯვის გადატანა ხელახლა მოუწევდა. ნაცნობების ხელშეწყობით ქეთი საადვოკატო ბიუროში მდივნად მოეწყო. მომდევნო წელს, მან იგრძნო, რომ უკვე შეეძლო სწავლის გაგრძელება და გადაწყვიტა, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაებარებინა. ქეთიმ კარგად იცოდა, რომ ამ ფაკულტეტზე ძალზედ დიდი კონკურსი იყო — თითქმის ოცი ადამიანი მოდიოდა ერთ ადგილზე, მაგრამ რა ექნა, სიძნელეებს ხომ არ დანებდებოდა? ქეთის მთელი ოჯახი ოცნებობდა იმაზე, რომ გოგონა, ბოლოს და ბოლოს, სტუდენტი გამხდარიყო. „შეიგნე, — ხშირად უმეორებდნენ მშობლები, — დღეს პრესტიჟული დიპლომის გარეშე კარიერას ვერ შეიქმნი და ხელზე მოსამსახურე გოგოდ დარჩები...“ ქეთიმ ხელი მოჰკიდა სწავლას: წერდა თემებს; გულმოდგინედ მეცადინეობდა ისტორიაში, ლიტერატურასა და ინგლისურში... დღესა და ღამეს ასწორებდა, წუთითაც არ დუნდებოდა, ყველა მეგობარი დაივიწყა და ყოველ საღამოს, მხოლოდ სახელმძღვანელოებს ჩაჰკირკიტებდა.

პირველი გამოცდის დროც დადგა

მშობლები შვილს სიხარულით გაჰყვნენ ინსტიტუტში და შესასვლელთან დაელოდნენ. ქეთი პირველ ორ გამოცდაზე გაბედულად გავიდა და კარგადაც ჩაბარა, თუმცა არ ტოვებდა იმის განცდა, რომ მისი შინაგანი ზამბარა თანდათან იკუმშებოდა... ყველაზე რთული გამოცდის — ისტორიის წინ, იგი პანიკამ მოიცვა. „ღმერთო ჩემო, — რამე რომ დამავიწყდეს?!“ ის შეშფოთებული უყ-

| | | |

ურებდა წიგნების გროვას და სასოწარკვეთილება ეუფლებოდა ინფორმაციის მოცულობის გამო, რომელიც უნდა ხსომებოდა. საბედნიეროდ, მას ისეთი ბილეთი შეხვდა, რომელიც ძალზედ კარგად იცოდა და მისი პასუხიც ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა. და აი, როგორც იქნა, მისაღებმა კომისიამ იმ ბედნიერთა სია გამოაკრა, რომლებიც სტუდენტები გახდნენ. მაგრამ სად არის მისი გვარი? ნუთუ, არ მიიღეს? შეუძლებელია! ქეთი გაშმაგებით აცეცებდა თვალებს და უცნობ გვარებს კითხულობდა, თან გრძნობდა, რომ გული ეკუმშებოდა. „ქეთი, რა გემართება? — ნაცნობი ყმაწვილი გაოგნებული უყურებდა მას, — შენ ხომ იქ არ ეძებ — ეს სხვა ფაკულტეტის სიაა. ყველაფერი რიგზეა, მე და შენ სტუდენტები ვართ...“ გოგონას ცრემლები წასკდა და ცხვირსახოცი მთლიანად დაუსველდა.

ქეთი შინ გასავათებული დაბრუნდა. სიხარულის ნაცვლად, უსაშველო დაღლილობას გრძნობდა.

სიხარულის აღსანიშნავად მშობლებმა სტუმრები მოიწვიეს

ისინი ყველას სათითაოდ უყვებოდნენ, თუ როგორ შესანიშნავად ჩაბარა მათმა ქალიშვილმა გამოცდები. ქეთი მილოცვებზე დაბნეულად პასუხობდა. მას მხიარულების თავი ნამდვილად არ ჰქონდა. ბოლო დღეებში, უცნაური შეგრძნებები დასჩემდა. წყლის დალევაც კი უჭირდა. ორი დღე გავიდა, მაგრამ უსიამოვნო სიმპტომებმა არ გაუარა. ქეთიმ დაასკვნა, რომ ის სერიოზულად იყო ავად. „როგორღა ვისწავლი ასეთ მდგომარეობაში?!“ — სასოწარკვეთილი ფიქრობდა იგი.

ქეთის, შფოთიანი და კოშმარული სიზმრები დაეწყო, ჭამის მადა და იმავდროულად, ცხოვრების ინტერესიც დაეკარგა. შეწუხებული მშობლები, რომელთაც გოგონამ თავისი უბედურების ამბავი გაანდო, არწმუნებდნენ მას, რომ ყველაფერი გაუვლიდა, მაგრამ მათი შვილი თვალსა და ხელს შუა დნებოდა. მაშინ, მეგობრების რეკომენდაციით ფსიქიატრს მიმართეს.

ახალგაზრდა ექიმმა ყურადღებით მოისმინა გოგონას ამბავი და შემდეგ ღიმილით აუწყა, რომ მას მხოლოდ ნევროზი აქვს და მალე გამოკეთდება. გამოუწერა მსუბუქი დამამშვიდებელი საშუალება და ურჩია, გულთან ახლოს არაფერი მიეტანა.

ქეთიმ ზუსტად შეასრულა ექიმის მითითებები, ჩაამთავრა კურსი, მაგრამ უკეთ არ გამხდარა. ის ისეთ დაღლასა და უიმედობას გრძნობდა, რომ სერიოზულად დაიწყო იმაზე ფიქრი, ხომ არ აელო აკადემიური შვებულება და კლინიკაში დაწოლილიყო სამკურნალოდ.

ვიზიტი ფსიქოლოგთან

40 წლის ქალის პირდაპირ მჯდომი ქეთი უკვე მერამდენედ ჰყვებოდა, თუ რა დაემართა. ფსიქოლოგმა, რომელსაც ირინა ერქვა, ყურადღებით მოუსმინა და უთხრა: „თქვენ სერიოზული ნევროზი გაქვთ, რომელიც გამოცდების დროს მიღებული სტრესისგან წარმოიშვა. ვერ დაგამშვიდებთ, რადგან ეს პრობლემა სწრაფად მოგვარებადი არ არის. ჩვენ სერიოზული მუშაობა მოგვიწევს — ფსიქოთერაპია ხომ ექიმისა და პაციენტის ერთობლივ შრომას გულისხმობს.“ — ირინამ კლინიკაში დაწოლა არ ურჩია. — „თქვენ თვითონ გაუმკლავდებით პრობლემას. ძლიერი ხასიათი გქონიათ, თუ ამ ხნის მანძილზე მეცადინეობაც და გამოცდების ჩაბარებაც შეძელით. საავადმყოფოს კი არ უნდა შეაფაროთ თავი, არამედ უნდა იბრძოლოთ.“



ირინამ ქეთის სპეციალური სუნთქვითი და სარელაქსაციო ვარჯიშები შეასწავლა. გოგონამ ფსიქოთერაპევტის სეანსებზე რეგულარული სიარული დაიწყო. მისი მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდებოდა. იგი თავისი ემოციების მართვას სწავლობდა. ირინამ აუხსნა, რომ მრავალი პრობლემა „ფრიადოსნის კომპლექსთან“ იყო დაკავშირებული: როცა ადამიანი ფიქრობს, რომ ის ვალდებულია, ცხოვრებაში ყველაფერი „ხუთიანზე“ შეასრულოს, მცირე შეცდომის დაშვების უფლებასაც არ აძლევს საკუთარ თავს; მისი ცხოვრება მუდმივ ფაციფუცში გადაიზრდება და, ადრე თუ გვიან, ნერვულ სტრესამდე მივა.

განკურნების პროცესი, ქეთის აზრით, უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე მას წარმოედგინა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს, დროდადრო ეჩვენებოდა, რომ სრულყოფილ ცხოვრებას ველარ შეძლებდა, მაგრამ ირინამ განუმარტა, რომ სწრაფი რეზულტატი მისთვის თვითმიზანი არ უნდა გამხდარიყო.

ახლა ქეთი მესამე კურსის სტუდენტია. ვერ იტყვი, რომ ის სრულიად განიკურნა ნევროზისგან, მაგრამ უფრო დამშვიდებული, საკუთარ თავში დაჯერებული გახდა და მომავალს ოპტიმიზმით შეჰყურებს! რთულ და სტრესულ სიტუაციებში მას ყოველთვის ირინას სიტყვები ახსენდება: „თქვენ ძლიერი ხასიათი გაქვთ და მებრძოლი ბუნების ადამიანი ხართ. პრობლემებს არ უნდა გაურბოდეთ. თქვენ გგონიათ, რომ ჩიხში ხართ მომწყვდეული, სინამდვილეში კი, უბრალოდ, ვერ ხედავთ, რომ სხვა კარიც არსებობს, რომლის მეშვეობითაც ახალ გზაზე გასვლაა შესაძლებელი...“ ■

ღომში ჩაზელილი სულგუნი	ფრინველისა და თაგვის „ნაჯვარი“	სასკოლო ინვენტარი	შენობის წინა ნაწილი	იტალიის ფულის ერთეული	წელიწადის დრო	ქალაქი რაჭაში
... ბა-თეთრლ-ების ყორანი_	თავსამკაული, მაგალითად: მამლის ...	რა ერქვა ზურიკელას ძაღლს (ნ. დუმბაძის მიხედვით)	ბავშვის საჭმელი	საუზმე, ..., ვახშამი	ურდული	ამაღლებული ადგილი	მდინარე დასავლეთ საქართველოში

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს წმინდა ხატებთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, ქვემო ბეთლემის ტაძრის დიკანოზი, ალექსანდრე ბოლქვაძე განგვიმარტავს.

შორენა მერკვილაძე

რა უნდა ვიცოდეთ მირონმდინარ ხატებთან დაკავშირებით?

— ლოცვისას, თითოეული ხატის ტროპარს წარმოვთქვამთ ან უბრალოდ, ჩვენივე სიტყვებით მივმართავთ; ვკითხულობთ სპეციალურად ამა თუ იმ ხატისთვის შექმნილ ლოცვებს და დაუჯდომლებს, მაგრამ ზოგჯერ ადამიანს წინ იმდენად ბევრი ხატი აქვს, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

— ეკლესიაში ანალოღიაზე ყოველთვის დასვენებულია აღდგომის ხატი, ხოლო თუ რომელიმე დიდი საეკლესიო დღესასწაულია — ბზობა, ხარება, შობა და სხვა, — აღდგომის ხატი ამ საეკლესიო დღესასწაულის ამსახველი ხატით იცვლება. თუ რომელიმე წმინდანის ან წმინდა მოვლენის ხსენებაა, აღდგომის ხატის გვერდით იმ ხატს დააბრძანებენ, რომელზე ასახული წმინდანის ან წმინდა მოვლენის ხსენების დღეცაა იმ დღეს. ასევე შეიძლება, გამოვყოთ სალოცავ კუთხეში ცალკე ადგილი, სადაც აღდგომის ხატს დავაბრძანებთ, მის გვერდით კი ის ხატი გამოვაბრძანოთ, რომელზე გამოსახული წმინდანის ან წმინდა მოვლენის მოხსენიებაცაა იმ დღეს (თუკი, რა თქმა უნდა, ასეთი ხატი გვაქვს) და ლოცვით მივმართოთ, მაგრამ არიან ისეთი წმინდანები, რომლებსაც ხშირად მივმართავთ შემწეობისთვის, მაგალითად: წმ. გიორგის, წმ. ნინოს, წმ. ბარბარეს, წმ. ნიკოლოზს და ა.შ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ამ წმინდანთა ხატებს ყოველდღიურად ვცეთ თაყვანი, რაც მცირე მეტანიით და პირჯვრის გამოსახვითაც შეიძლება გამოვხატოთ. რაც შეეხება ამა თუ იმ ხატისთვის შექმნილი ლოცვებისა და დაუჯდომლების კითხვას, სულიერ მოძღვართან შეთანხმებითა და მისი მითითებების გათვალისწინებით უნდა ვიკითხოთ.

— შეიძლება თუ არა, შინ ხატების წინ ვაკმიოთ საკმეველი?

— ხატების წინ, საკმეველი შეიძლება შინ ყოველდღიურად ვაკმიოთ. საკმეველს ვუნთებთ ღმერთს კეთილსურნელებისთვის, რათა გარდამოგვივლინოს სულიწმიდის მადლი. ამასთანავე საკმეველს ვანთებთ იმისთვისაც, რომ განვდევნოთ ეშმაკი, რადგან საკმევლის სუნი მისთვის მომაკვდინებელია.

— როგორ იკურთხება ხატები და რა ძალა აქვს ნაკურთხ ხატს?

— სხვადასხვა ქვეყანაში ხატების კურთხევის სხვადასხვა წესი არსებობს. მაგალითად, იერუსალიმში ხატები ღვთისმსახურის მიერ არ იკურთხება, რადგან იერუსალიმი წმინდა მიწაა და იქ ხატები თვით უფლის მიერ იკურთხება. საბერძნეთში, ათონის მთაზე და სხვა წმინდა ადგილებში, ხატს, შექმნის შემდეგ, ორმოცი დღით საკურთხეველში დაასვენებენ და შემდეგ, ხატი ნაკურთხად ითვლება. რაც შეეხება საქართველოს, ხატების კურთხევა ხდება ღვთისმსახურის მიერ, რომელიც სპეციალური ხატთა კურთხევის ლოცვის წარმოთქმითა და ნაკურთხი წყლის სხურებით აკურთხებს ხატებს. კურთხევით ხატი ღვთიური მადლის მატარებელი ხდება.

— რამდენად აუცილებელია ხატების საკუთარ სახელზე კურთხევა?

— ხატების საკუთარ სახელზე კურთხევა აუცილებლობას არ წარმოადგენს, მაგრამ თუკი ადამიანს ხატის საკუთარ სახელზე კურთხევის სურვილი აქვს, შეიძლება აკურთხებინოს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ხატის წინაშე სხვას არ შეუძლია ლოცვა. ადამიანს არ ეკრძალება აგრეთვე, თავის სახელზე ნაკურთხი ხატის გაჩუქება.

— ეკლესიური სწავლებით, ხატი, რომლის წინაშეც ვლოცულობთ, მართლმადიდებლური კანონიკის ზუსტი დაცვით უნდა იყოს შესრულებული, რადგან სხვა შემთხვევაში, მას ლოცვითი ღირებულება არ გააჩნია. როგორ შემუშავდა მართლმადიდებლური კანონიკა და რამდენად შესაძლებელია, რომ ადამიანმა გაარკვიოს, არის თუ არა ხატი მართლმადიდებლური კანონიკის ზუსტი დაცვით შესრულებული?

— მართლმადიდებლური ხატის კანონიკა საუკუნეების მანძილზე, წმინდა წერილზე, საეკლესიო გადმოცემებსა და წმინდა მამათა სწავლებებზე დაყრდნობით შემუშავდა. მართლმადიდებლური ხატი, პირველ რიგში თავისუფლდება ყოველგვარი მიწიერისგან; წინა პლანზე სულიერებაა წამოწეული. რაც შეეხება სხვა კანონიკურ ნიშნებს, ღვთისმშობლის ხატი შეიძლება, შემდეგი ნიშნებით გავარჩიოთ: ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ხელზე საღმრთო ყრმა ჰყავს გამოსახული, იგი იშვიათად, მარტოც გამოისახება. გარდა ამისა, ღვთისმშობელს გამოსახული აქვს სამი ვარსკვლავი — შუბლსა და მხრებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ღვთისმშობელი იყო ქალწული — შობამდე, შობის დროს და შობის შემდეგ. დამახასიათებელი ნიშნები აქვს აგრეთვე წმინდანთა ხატებსაც: მოციქულებსა და ღმერთის სიტყვის მქადაგებლებს სახარება ან ქარტია უპყრიათ ხელთ, მოწამეებს — ჯვარი, მკურნალებს — წამლის ყუთი და ა.შ. საერთოდ, ხატს აქვს უამრავი დეტალი და ყველა დეტალს თავისი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და ყველა დეტალზე საუბარი შეუძლებელია. თუ რომელიმე ხატი ჩვენში ეჭვს გამოიწვევს, იმის გასარკვევად, არის თუ არა ის მართლმადიდებლური კანონიკის ზუსტი დაცვით შესრულებული, უმჯობესია, კანონიკის მცოდნე ადამიანს შევამოწმებინოთ.

— აქედან გამომდინარე, ცხადია, ადამიანს ხატების დამოუკიდებლად შექმნის უფლება არა აქვს — ხატის დახატვა იქნება ეს, დაქარგვა თუ სხვა...

— ბუნებრივია, ადამიანმა ხატი დამოუკიდებლად არ უნდა შექმნას. უძველესი დროიდან ხატები იქმნება ხატმწერთა მიერ. ხატის შექმნამდე ხატმწერი ბევრს ლოცულობდა და მარხულობდა. ეს წესი შენარჩუნებულია დღესაც, როდესაც ხატი იქმნება, მოძღვარი ხატმ-

წერს აძლევს ლოცვით კანონს, უნიშნავს მარხვას და სხვა, მაგრამ დღესდღეობით, ხატმწერი ძალიან ცოტაა და ყველა მორწმუნისათვის ხატმწერი ხატს ვერ შექმნის, ამიტომ დაშვებულია ლითოგრაფიული გამოსახულებანი – რეპროდუქციები.

— რა უნდა ვიცოდეთ მირონ-მდინარ ხატებთან დაკავშირებით?

– დღეს ამ საკითხმა არასწორი მიმართულება მიიღო. ზოგჯერ ადამიანი შეიძენს ხატს, დაბრძანებს შინ და ელოდება, როდის დაიწყებს იქიდან მირონი დენას. ეკლესიური სწავლებით, არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, იცვლის თუ არა სახეს ხატი. ხდება თუ არა რაიმე გამოცხადება ხატის წინ ლოცვის დროს და ა.შ. ეს ხატების მიმართ არასწორი მიდგომაა. თუკი რაიმე განსაკუთრებული მოხდება, ღვთის განგებით ეს აუცილებლად გაცხადდება. ჩვენი მოვალეობაა, დავდგეთ ხატის წინ, ვილოცოთ, ვეამბოროთ და შემწეობა ვთხოვოთ.

— როგორ მოვეპყროთ დაზიანებულ ხატებს?

– დაზიანებული ხატები შეიძლება მივიტანოთ და ტაძრის ღუმელში დავწვათ. ასევე შეიძლება დაზიანებული ხატები შინაც დაიწვას და სუფთა ადგილას დაიმარხოს. თუ ადამიანს სურვილი და შესაძლებლობა აქვს, დაზიანებული ხატი შეუძლია ხელახლა დაახატვინოს, აკურთხებინოს და სალოცავ კუთხეში დაბრძანოს.

— ზოგჯერ ადამიანი რელიგიურ თუ საერო ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ ხატებს, გაუცნობიერებლად თუ უყურადღებობის გამო ვერ მიაგებს სათანადო პატივს, ხშირად რელიგიურ გაზეთებს ან საერო ჟურნალ-გაზეთების იმ გვერდს, სადაც ხატია გამოსახული, ყოფითი საჭიროებისთვის იყენებენ. სჩადის თუ არა ცოდვას ადამიანი ასეთ შემთხვევაში?

– ბუნებრივია, სიწმინდეებისადმი უყურადღებობა ადამიანს ცოდვად ეთვლება, ამიტომ თუ ადამიანი რელიგიურ ჟურნალ-გაზეთებსა თუ საერო ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ხატების მიმართ სათანადო ყურადღების გამოჩენას ვერ ახერხებს, უმჯობესია, ისინი დაიწვას და სუფთა ადგილას დაიმარხოს.

— რა ასაკიდან უნდა მივაჩვიოთ ბავშვები ხატებთან ურთიერთობას?

– ბავშვი მოინათლება თუ არა, უნდა ვეცადოთ, რომ მივაჩვიოთ ქრისტიანულ ცხოვრებას, ხატებთან ურთიერთობა იქნება ეს თუ სხვა. ■

გილგამეშის მავზოლეუმი და ვენეციის მსგავსი უძველესი ქალაქი ერაყის შუაგულში



ერაყში მომუშავე გერმანულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შესაძლოა, სენსაციური აღმოჩენა გააკეთა. პირველი: დადგენილია ქალაქ ურუქის (გავრცელებული ვერსიის თანახმად, სწორედ მისი სახელი დაედო საფუძვლად ერაყის სახელწოდებას) – შუმერული ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ცენტრის ადგილმდებარეობა. მეორე: ექსპედიციის მონაწილეთა აზრით, გათხრების დროს აღმოჩენილია ნაგებობის ნაშთი, რომელიც შესაძლოა, ურუქის ლეგენდარული მეფის, უძველესი ლიტერატურული ძეგლის გმირის – გილგამეშის სამაროვანი იყოს. როგორც ცნობილია, ეპოსი გილგამეშის შესახებ შუმერულ ენაზე 2500 წლის წინ დაიწერა. სენსაციური აღმოჩენა მავზოლეუმის ტიპის ნაგებობას ჰგავს და მიუნხენელი არქეოლოგის, იორგ ფასბინგერის თქმით, ეპიკურ ნაწარმოებში აღწერილ, გილგამეშის სამაროვანს წააგავს. თიხის ფირფიტებზე დაწერილ ტექსტში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ გილგამეში მდინარე ევფრატის კალაპოტის შეცვლის შემდეგ, სწორედ ამ მიდამოებში დაიკრძალა.

ერაყის უდაბნოში, ევფრატის ძველ კალაპოტში თვით ქალაქ ურუქის აღმოჩენა თავისთავად სენსაციას წარმოადგენს, რომელიც არქეოლოგიური გათხრებისას უახლესი მეთოდების გამოყენების წყალობით გახდა შესაძლებელი. სპეციალისტებმა ე.წ. მაგნიტომეტრის მეშვეობით „ჩაიხედეს“ მიწის სიღრმეში: საქმე ის გახლავთ, რომ თიხის აგური, რომელსაც მესოპოტამიაში საშენ მასალად იყენებდნენ და მდინარის ლამი საგრძნობლად განსხვავდება მაგნეტიზმის დონით. სწორედ ეს გარემოება დაეხმარა არქეოლოგებს იმის დადგენაში, თუ რა ტიპის ნაგებობა იყო დამარხული ევფრატის ფსკერზე. ამგვარად, შესაძლებელი გახდა ქალაქის პრაქტიკულად სრულყოფილი რუკის შედგენა (დაახლოებით 100 ჰა ფართობი). ყველაზე საოცარ აღმოჩენად, სავარაუდო მავზოლეუმის გარდა, ექსპედიციის მონაწილენი იმ არხების ურთულეს სისტემას მიიჩნევენ, რომელიც უძველეს ქალაქს, თანამედროვე ვენეციას ამსგავსებს... ■



ტყავის ბურთის უმდიდრესი რაინდები

ალექსი რეხვიაშვილი

პლანეტის მილიონობით გულშემატკივარი მათი ცხოვრებით ცხოვრობს, მათი წარმატებისათვის ლოცულობს და საფეხბურთო მატჩებზე დასასწრებად უკანასკნელ სახსრებსაც არ იშურებს. ისინი კი — „ტყავის ბურთის რაინდები“ ყოველდღიურად მდიდრდებიან, თანაც მათი საბანკო ანგარიშები არა მარტო უშუალოდ მოედანზე გამომუშავებული თანხით იზრდება, არამედ ათასგვარი პროდუქციის რეკლამირებითაც, რომლის მომხმარებლებიც ძირითადად, ისევ საფეხბურთო ფანები არიან.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე, „ფრანს ფუტბოლი“ აქვეყნებს ევროპის ყველაზე შეძლებული ფეხბურთელების ვინაობას. გამონაკლისი არც 2002-03 წლების სეზონი ყოფილა და პოპულარულმა ფრანგულმა საფეხბურთო ჟურნალმა 20 ყველაზე შემოსავლიანი ვარსკვლავის სია გამოაქვეყნა, რომელშიც პირველი სამი ადგილი დევიდ ბექჰემს, ზინედინ ზიდანსა და რონალდოს უკავიათ. საერთოდ, ოცეულში სულ 4 ქვეყნის: იტალიის (9 მოთამაშე), ინგლისის (6), ესპანეთისა (4) და გერმანიის (1) კლუბები ფიგურირებს. ერთადერთი გერმანელი, მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე, ოლივერ კანია, რომელსაც რეიტინგში მე-14 ადგილი უკავია. გარდა ამისა, ოცეულში გამოიკვეთა ორი ლიდერი კლუბი – „რეალი“ და „ინტერი“, რომელიც რეიტინგში ოთხ-ოთხი მილიონერი ფეხბურთელითაა წარმოდგენილი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ვარსკვლავთა შემოსავლები წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და მსოფლიო ფეხბურთის მესვეურთა მცდელობამ, „გაუმჯობესონ ეკონომიკური სიტუაცია და მოთამაშეთა ანაზღაურების საკითხი დაარეგულირონ“, ფაქტობრივად, შედეგი ვერ გამოიღო.

„ფრანს ფუტბოლის“ მიერ გამოქვეყნებული რეიტინგი შედგენილია 2002-2003 წლების საფეხბურთო სეზონის მონაცემებით და არ ითვალისწინებს მომავალი ტრანსფერების განხორციელების შედეგად მომხდარ ცვლილებებს, თუმცა მაინც გეტყვით: „მანჩესტერიდან“ ორიოდე დღის წინ „რეალში“ გადასული ბექჰემი გაცილებით ნაკლებ ჯამაგირს მიიღებს, ვიდრე ინგლისურ გუნდში იღებდა და მისი რეკლამებიდან შემოსული თანხის დიდი ნაწილიც „სამეფო კლუბის“ ხაზინაში ჩაირიცხება.

1. **დევიდ ბექჰემი** (28 წლის, „მანჩესტერ იუნაიტედი“). 2002-2003 წლების სეზონში მისმა შემოსავალმა 15 მლნ ევრო შეადგინა. აქედან ხელფასის სახით „მანჩესტერმა“ მას 6,6 მილიონი გადაუხადა, პრემიული კი, „სპაის-ბოიმ“ 200.000 ევრო მიიღო. გარდა ამისა, დევიდი „ადიდასის“, „პეპსი-კოლას“, „ვოდაფონის“, „ჯეიფონსის“, „მეიბისეიკის“, „მარკსი და სპენსერის“, „კასტროლის“, „რეიჯისა“ და „ტი-ბი-სი“-ს რეკლამირებით იყო დაკავებული, რის შედეგადაც კიდევ 8,4 მლნ ევროთი გამდიდრდა. 2004 წლის მუნდიალის შემდეგ, დევიდ ბექჰემმა ახალი ბაზრის, იაპონიის დაპყრობა დაიწყო. მსოფლიო პირველობის მსვლელობისას მან კონტრაქტები გააფორმა სილამაზის სალონთა ქსელ „ტი-ბი-სი“-სთან, საკონდიტრო ნაწარმის („მეიბისეიკი“), საავტომობილო ძრავის ზეთის („კასტროლი“) და ვიდეოთამაშების („რეიჯი“) მწარმოებელ ფირმებთან. სწორედ მორიგ სარეკლამო კამპანიას ატარებდნენ დევიდ ბექჰემი და ვიქტორია ადამსი რამდენიმე დღის წინ, ამომავალი მზის ქვეყანაში, როდესაც ინგლისელი ნახევარმცველის „მანჩესტერიდან“ „რეალში“ გადასვლის საკითხი წყდებოდა.

2. **ზინედინ ზიდანი** (30 წლის, „რეალი“). საერთო შემოსავალი 14 მლნ ევრო, ყოველწლიური ანაზღაურება – 6,4 მლნ, პრემია – 200.000, სხვა შემოსავლები – 7,4 მლნ (მათ შორის, „ორანჟთან“, „ადიდასთან“, „ფორდთან“, „ლეგოსთან“, „კანალ სატელიტთან“ გაფორმებული სარეკლამო კონტრაქტების შედეგად). 2001-02 წლებში მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახლდათ. ზიზუს ფინანსური საქმიანობით მისი აგენტი, ალენ მილიაშოა დაკავებული, რომელიც ფრანგი ნახევარმცველის ფინანსურ ინტერესებს იცავს. მაგალითად, ამჟამად, ესპანეთის ქალაქ ლოგრონოში ერთ-ერთი ადგილობრივი კომპანიის მიერ ზიზუს გვარის არაკანონიერი გამოყენების გამო, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

3. **რონალდო** (26 წლის, „რეალი“). საერთო წლიური შემოსავალი – 11,7 მლნ, ყოველწლიური ანაზღაურება – 6,4 მლნ, პრემიული – 300.000, სხვა შემოსავლები – 5 მლნ (მათ შორის, „ნაიკთან“, „ბრახმასთან“ და „პარმალატთან“ გაფორმებული სარეკლამო კონტრაქტებით). „ნაიკთან“ კონტრაქტის გაფორმებამ კიჭას საშუალება მისცა, უმტკივნეულოდ შეწყვიტა ურთიერთობა თავის ყოფილ სპონსორ, „პირელისთან“. ისევე, როგორც „რეალის“ სხვა ვარსკვლავები, რონალდოც თავისი სარეკლამო შემოსავლებიდან საკმაოდ დიდ ნაწილს „სამეფო კლუბის“ ხაზინაში რიცხავს. ეს



დევიდ ბექჰემი

ზინედინ ზიდანი

რონალდო

რიო ფერდინანდი



ალესანდრო დელ პიერო

ჰიდეტოში ნაკატა

იმიტომ, რომ მას ფულის შოვნაში დიდ სამსახურს უწევს „რეალის“ იმიჯი.

4. **რიო ფერდინანდი** (24 წლის, „მანჩესტერი“.) საერთო შემოსავალი – 9,62 მლნ, ყოველწლიური ანაზღაურება – 5,12 მლნ, პრემიული – 4 მლნ, სხვა შემოსავლები – 500.000 ევრო (მათ შორის „ნაიკის“ რეკლამირებითაც). ფერდინანდი მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული მცველია. „ლიდსიდან“ „მანჩესტერში“ გადასვლისას მისი ტრანსფერის ღირებულებამ 29,1 მლნ გირვანქა სტერლინგი შეადგინა (44,3 მლნ ევრო). პრემიის საერთო რაოდენობის 8% „მანჩესტერელმა“ მცველმა სწორედ სატრანსფერო თანხიდან მიიღო. ფერდინანდის იმიჯზე იგივე SFX კომპანია ზურნავს, რომელიც ბექჰემს ემსახურება. ნიშანდობლივია ისიც, რომ რიო ღარიბ ოჯახში იზრდებოდა.

5. **ალესანდრო დელ პიერო** (28 წლის, „იუვენტუსი“). საერთო შემოსავალი 9,55 მლნ ევრო, წლიური ანაზღაურება – 5,5 მლნ, პრემიული – 250.000 ევრო, სხვა შემოსავლები – 3,8 მლნ (მათ შორის, „ადიდასის“, „ლუკსოტიკის“, „ულივეტოს“ რეკლამირებით, აგრეთვე საგამომცემლო საქმიანობითა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციებით). 2000 წელს, დელ პიერო 10-მილიონიანი შემოსავლით პირველ ადგილზე იმყოფებოდა ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშეთა შორის. „იუვეს“ ვარსკვლავს დიდი მოგება მოუტანა ავტობიოგრაფიული წიგნის – „უბრალოდ, დელ პიერო“ – გამოცემამ, რომელიც 40-ათასიანი ტირაჟით გაიყიდა.

6. **ჰიდეტოში ნაკატა** (26 წლის, „პარმა“). საერთო შემოსავალი – 9,36 მლნ, წლიური ანაზღაურება – 4,26 მლნ, პრემიული – 100.000 ევრო, სხვა შემოსავლები – 5 მლნ ევრო (მათ შორის, „ნაიკის“, „ქენონის“, „მასტერქარდის“, „ჯეიფონსის“, „სუბარუს“, „სკაი პერფექტ ტვ“-ის რეკლამირებით, აგრეთვე შემოსავლები „ნაკატა ტვ“-დან, DVD, ვიდეო და საგამომცემლო საქმიანობიდან). ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის მოულოდნელია ის, რომ იაპონელ ვარსკვლავს უფრო მეტი შემოსავალი აქვს ევროპაში, ვიდრე რაულს, ვიერის, ოუენს, ფიგუს, ბატისტუტას ან კანს. ალბათ 2002-03 წლები ნაკატას უკანასკნელი სეზონი იქნება „პარმას“ რიგებში. მოგეხსენებათ, იტალიური კლუბი მძიმე ფინანსურ კრიზისში იმყოფება, რაც მის ხელმღვანელობას მაღალანაზღაურებად მოთამაშეებთან განშორებას აიძულებს.

7. **რაული** (25 წლის, „რეალი“). საერთო შემოსავალი – 9,3 მლნ, წლიური ანაზღაურება – 6,4 მლნ, პრემიული – 400.000 ევრო, სხვა შემოსავლები – 2,5 მლნ ევრო (მათ შორის, „ადიდასისა“ და „პეპსის“ რეკლამირებით). „სამეფო კლუბის“ კაპიტანიც სწორედ იმდენივეს იღებს, რამდენსაც რონალდო, ზიდანი და ფიგუ. სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში, რაულის ჯამაგირი გაიზრდება.

8. **კრისტიან ვიერი** (29 წლის, „ინტერი“). საერთო შემოსავალი 9,28 მლნ ევრო, წლიური ანაზღაურება – 5,48 მლნ, პრემიული – 100.000 ევრო, სხვა შემოსავლები – 3,7 მლნ (მათ შორის, „დიადორასთან“, „ტოის“თან, „ტელეკომ იტალიასთან“, „კარერასთან“, „სეპუსთან“ გაფორმებული სარეკლამო კონტრაქტებით, აგრეთვე შემოსავლები რესტორნებიდან, უძრავი ქონებიდან და ა.შ.). გასულ საფეხბურთო სეზონში ვიერის აგენტმა, სერჯიო ბერტიმ თავისი კლიენტისათვის ახალი სპონსორი – დაუსწრებელი უნივერსიტეტი „სეპუ“ მონახა, რომელიც კიდევ უფრო გაზრდის „ინტერის“ ლიდერის შემოსავალს.



რაულ გონსალესი

კრისტიან ვიერი

მაიკლ ოუენი







9. **მაიკლ ოუენი** (23 წლის, „ლივერპული“). საერთო შემოსავალი 8,9 მლნ, ყოველწლიური ანაზღაურება – 4,8 მლნ, პრემიული – 100.000 ევრო, სხვა შემოსავლები – 4 მლნ ევრო (მათ შორის, „უმბროს“, „იაგუარის“, „ნესტლეს“, „ტისოს“ რეკლამირებით). ინგლისელი ოქროს ბიჭუნას შემოსავალი შეიძლებოდა, უფრო დიდიც ყოფილიყო, რომ არა მისი გადაჭარბებული სიყვარული აზარტული თამაშებისადმი, რის გამოც მაიკლმა ბოლო ორი წლის განმავლობაში 2,2 მლნ გირვანქა სტერლინგი დაკარგა (3,35 მლნ ევრო). გარდა ამისა, ოუენმა 2001 წელს თავის ხუთ უახლოეს ნათესავს უელსში სახლები შეუძინა, რაც მას 750.000 გირვანქა სტერლინგი (1,14 მილიონი ევრო) დაუჯდა.

10. **როი კინი** (31 წლის, „მანჩესტერ იუნაიტედი“). საერთო შემოსავალი 8,65 მლნ, წლიური ანაზღაურება – 6,6 მლნ, პრემიული – 50.000 ევრო. სხვა შემოსავლები – 2 მლნ ევრო (მათ შორის, „დიადორას“ რეკლამირებითა და ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემით). კინის ავტობიოგრაფიის 400 ათასი ეგზემპლარი რამდენიმე დღეში გაიყიდა და სკანდალურ ირლანდიელ ვარსკვლავს 1 მლნ ევრო მოგება მოუტანა. ტრავმის მიუხედავად, იგი კვლავაც სარგებლობს ალექს ფერგიუსონის ნდობით და იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონში, კლუბის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

აი, ასეთია მსოფლიოს უმდიდრეს ვარსკვლავ-ფეხბურთელთა პირველი ათეული. რეიტინგის მეორე ნახევარი კი, შემდეგნაირად გამოიყურება: 11. ლუიშ ფიგუ (30 წლის, „რეალი“, საერთო შემოსავალი 8,6 მლნ); 12. გაბრიელ ბატისტუტა (34 წლის, „ინტერი“, 8,6 მლნ); 13. სოლ კემპბელი (28 წლის, „არსენალი“, 8,1 მლნ); 14. ოლივერ კანი (33 წლის, „ბავარია“, 7,65 მლნ); 15. ალვარო რეკობა (27 წლის, „ინტერი“, 7,6 მლნ); 16. ფრანჩესკო ტოტი (26 წლის, „რომა“, 7,3 მლნ); 17. რივალდო (31 წლის, „მილანი“, 7,2 მლნ); 18. ტიერი ანრი (25 წლის, „არსენალი“, 6,2 მლნ); 19. ფაბიო კანავარო (29 წლის, „ინტერი“, 6,08 მლნ); 20. პაოლო მალდინი (34 წლის, „მილანი“, 6 მლნ).

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რეიტინგში ვერ მოხვდნენ ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც რობერტო კარლოსი და ანდრეი შევჩენკო არიან. ოლივერ კანი კი, ერთადერთი მეკარეა ოცეულში. სხვათა შორის, მან თავისი შემოსავალი, მორალური ზარალისათვის მიღებული საკომპენსაციო თანხითაც გაზარდა. გარდა ამისა, კორეა-იაპონიის მუნდიალის შემდეგ, მისი პოპულარობა საკმაოდ გაიზარდა, რის შემდეგაც ოლივერმა ბორბლების მწარმოებელ „ბრიჯსტოუნთან“ და ერთ-ერთ იაპონურ ბანკთან გააფორმა კონტრაქტი.

გაბრიელ ბატისტუტას საფეხბურთო კარიერა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ არგენტინელი ვარსკვლავი კვლავაც გამოიმუშავებს ფულს სარეკლამო რგოლებში მონაწილეობით და მიიჩნევს, რომ გადასაღებ მოედანზე ჩინებულად გრძნობს თავს. ამას წინათ, ბატიგოლმა რეკლამა გაუწია მობილური სატელეფონო ქსელის ერთ-ერთ კომპანიას. სარეკლამო რგოლში იგი მონაზვნის ტანისამოსით გამოჩნდა, შემდეგ კი, ყველაფერი შემოიძარცვა და კამერის წინ დედიშობილა პოზირებდა. რეკლამაში სიამოვნებით მონაწილეობს კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი – რივალდო, რომელმაც „პეპსის“ რეკლამირებისათვის 1 მლნ ევრო მიიღო და ისიც დასძინა, რომ გადაღებებმა დიდი მორალური სიამოვნება მიანიჭა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ბარსადან“ „მილანში“ გადასვლის შემდეგ, ბრაზილიელი ნახევარმცველის წლიური ხელფასი 6,1 მლნ-დან 4,7 მლნ-მდე შემცირდა, „ბიუჯეტის გარღვევის“ შესავსებად სარეკლამო რგოლებში მონაწილეობა (თუკი ეს ვარსკვლავს სიამოვნებასაც ჰგვრის) მართლაც ჩინებული საშუალებაა.

„ინტერის“ ურუგვაიელი ვარსკვლავი, ალვარო რეკობა თავისი წლიური შემოსავლიდან (7,6 მლნ) 7 მლნ-ს ხელფასის სახით იღებს. პრემიის სახით მას მხოლოდ 100.000 ევრო ეძლევა, ხოლო სხვა საქმიანობიდან – 500.000 ევრო. ერთი შეხედვით, ალვაროს, „ინტერში“ საკმაოდ დიდი ანაზღაურება აქვს, თუმცა მილანური კლუბის მიერ მისი სახელის სარეკლამო საქმიანობაში გამოყენების ინტენსივობის მიხედვით („ინტერი“ რეკლამებში რეკობას სახის გამოყენების ყველა უფლების მფლობელია). ურუგვაიელის ჯამაგირი სავსებით ლოგიკურია.

იმისათვის, რომ „რომას“ პრეზიდენტს, ფრანკო სენსის გუნდში ფრანჩესკო ტოტი შეენარჩუნებინა, ამ უკანასკნელს შესთავაზა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელის ხელფასი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ 1 მლნ ევროთი გაიზრდება. აი, „მილანის“ ვეტერან მცველს, პაოლო მალდინის კი, რომელიც ოცეულში ყველაზე ღარიბი მოთამაშეა (საერთო შემოსავალი 6 მლნ) სულაც არ აღელვებს ის ფაქტი, რომ მას კლუბი შევჩენკოზე, რუი კოშტაზე, რივალდოსა და ფილიპო ინძაგიზე ნაკლებს უხდის (წლიურად 3,5 მლნ ევროს). მალდინი მიიჩნევს, რომ გუნდისადმი ერთგულება არ იყიდება, თანაც მას სხვა შემოსავლებიც აქვს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, პაოლომ კრისტიან ვიერისთან ერთად საკუთარი წარმოების ტანისამოსი გამოუშვა, რომელიც ძალიან კარგად საღდება. ისე კი, უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს ახლო მომავალში, ალბათ უფრო აქტიურად მოუწევთ არასაფეხბურთო საქმიანობა, რადგან უეფას, ფიფასა და კლუბების ხელმძღვანელობა მოთამაშეთა მზარდი ანაზღაურების დარეგულირებას აპირებს. ■

ვიმუშაოთ კომპიუტერთან „კომპიუტერის თვალებით“

კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა, გადაღლილი თვალები, ცრემლდენა, მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილები.... ხომ ნაცნობი სიმპტომებია. და არა მარტო მათ, ვინც კომპიუტერთან მუშაობს, არამედ ყველა ჩვენგანის თვალებს სჭირდება დაცვა – ტელევიზორი ხომ ჩვენი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა.

■ რა დაიცავს ჩვენს თვალებს ეკრანის გამოსხივებისაგან?

ბუნება გვთავაზობს ნატურალურ კომპონენტებს, ისინი თავმოყრილია პრეპარატში **Computer Eyes.**

■ რას შეიცავს ეს პრეპარატი?

მის შემადგენლობაშია მხედველობის გასაუმჯობესებელი ბალახეული და ანტიოქსიდანტები, მიკროელემენტები და ვიტამინები.

■ რა დანიშნულება აქვთ ანტიოქსიდანტებს?

ამ პრეპარატში შემავალი ანტიოქსიდანტებია ვიტამინი **E** და **C.** ისინი აფერხებენ ორგანიზმში ისეთ რეაქციებს, რომლებიც ხელს უწყობენ თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას. თავისუფალი რადიკალები დიდ ზიანს აყენებენ უჯრედულ მემბრანებსა და ქსოვილებს, რითაც ზრდიან სიმსივნური წარმონაქმნის რისკს. ეს ვიტამინები იცავენ პრეპარატში შემავალ შეუცვლელ ცხიმოვან მჟავებს დაჟანგვისაგან. ცხიმოვანი მჟავების ჟანგვის პროცესშიც წარმოიქმნება დიდი რაოდენობით თავისუფალი რადიკალები.

■ აქვს თუ არა პრეპარატს გვერდითი მოქმედებები და როგორ მივიღოთ ის?

კლინიკურად აპრობირებული მაღალეფექტური პრეპარატი **Computer Eyes** არანაირ გვერდით არასასურველ მოქმედებებს არ მოიცავს. ის დაიცავს თქვენს თვალებს გადაღლისაგან და ცრემლდენისგან, დაგეხმარებათ, ადვილად გაუმკლავდეთ კომპიუტერთან მუშაობით მიღებულ სტრესს.

მიიღეთ **2-3** კაფსულა დღეში.

გრეიპფრუტი - სილამაზე და ჯანმრთელობა



ზაფხული. მზე. ზღვა. სიყვარული და უცბად აღმოვაჩენთ, რომ ამ იდილიის დამრღვევი მიზეზი ჭარბი წონაა.

ჭარბი წონა მრავალი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს და საბოლოოდ მთლიანად არყევს ორგანიზმს. ხშირად შიმშილს, არასწორად დანიშნულ დიეტას სავალალო შედეგებამდე მივყავართ. სწრაფად წონის კლებასთან ერთად ვკარგავთ ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებებსაც, რომელთა აღდგენაც შემდეგ დიდ პრობლემებს გვიქმნის.

პირველად საქართველოში ვიტამინებისა და ბიოლოგიურად სუფთა სამკურნალო კვების დანამატების ამერიკული კომპანია „**nutriment house**" გთავაზობთ ამერიკაში და ევროპის ბევრ ქვეყანაში ბესტსელერად ქცეულ გრეიპფრუტის დიეტას.

გრეიპფრუტის დიეტა ვაშლის ძმართან ერთად გახლავთ XXI საუკუნის მიღწევა. ეს არის ერთადერთი პროდუქტი, რომელიც ხელს უწყობს მზარდი მადის შემცირებას, ცხიმების დაშლასა და ორგანიზმიდან მომწამლავი ნივთიერებების გამოდევნას ყოველგვარი უკუჩვენებების გარეშე.

გრეიპფრუტს, როგორც ცნობილია, გააჩნია საუკეთესო დიეტური და სამკურნალო თვისებები. იგი საჭმლის მონელების საუკეთესო საშუალებაა.

გრეიპფრუტის დიეტა აღადგენს ენერგიას და რაც ყველაზე მთავარია, გახდომის დროს არ წარმოქმნის ცელულიტს, კანს კი ბრწყინვალებასა და სინორჩეს უბრუნებს.

დახვეწეთ სხეული გრეიპფრუტის დიეტით და გაიხალისეთ ცხოვრება, ის ხომ ძალიან მშვენიერია.

პრეპარატის სწორად დანიშვნაში დაგეხმარებიან ჩვენი ექიმი-კონსულტანტები.

პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში
დაგეხმარებიან ექიმი–კონსულტანტები.
„ნუტრიმენტ ჰაუსი“
მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე
10.30 – 18.00
კვირას 10.30 – 14.00
www.shopge.com

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

®

ᲕᲣᲓᲘ ᲐᲚᲔᲜᲘᲡ ᲪᲝᲓᲕᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

ᲕᲣᲓᲘ ᲐᲚᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲚᲡ, ᲡᲣᲜ ᲘᲡ „ᲘᲣᲑᲘᲚᲔ" ᲐᲥᲕᲗ: 10 ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲭᲧᲠᲝᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ...

ᲡᲐᲫᲐᲒᲔᲚᲘ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲔᲚᲘ ᲘᲮᲕᲘᲡ ᲭᲣᲙᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

იმ წელს სუნ ი 12 წლის იყო. დასვენების დღეებში რანჩოზე გამეფებული მხიარულება, დედობილისა და მამინაცვლის ნაზი ურთიერთდამოკიდებულება, მდელოზე მოთამაშე ძმები და დები – ყველაფერი ეს, მას ტკივილს აყენებდა. ამ გაუთავებელი ზეიმიდან გამოთიშული გოგონა თავს უცხოდ გრძნობდა. ერთხელაც, მისთვის სრულიად გაუსაძლისი გახდა ყოველივე, მან მალულად აიღო თოკი და საჯინიბოში სწრაფად მიიმალა. კარი სწორედ იმ მომენტში გაიღო, როცა სუნი ყულფში ჰყოფდა თავს...

ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ

ვუდი ალენმა მსახიობი მია ფეროუ 1979 წლის შემოდგომაზე გაიცნო. მალე მია მისი მეუღლე გახდა, ვუდისთვის ეს მეოთხე ქორწინება იყო, მიასთვის – მესამე. გამხდარი, მოკლედ შეკრეჭილთმიანი მია, ბიჭს უფრო მოგაგონებდათ არა მარტო გარეგნობით, არამედ ცხოვრების წესითაც: იგი სპორტს და ყოველგვარ ექსტრემალურ თავშესაქცევს ეთაყვანებოდა. ამ თავაშვებული ქალის სახლში, ბავშვებისა და ცხოველების რიცხვი ყველანაირ ზღვარს სცილდებოდა. ალენთან შეხვედრის დროს, მას შვიდი – საკუთარი და ნაშვილები ბავშვი ჰყავდა. ვუდიმ, რომელსაც გულზე სულაც არ ეხატებოდა ბავშვები, უარი თქვა საერთო სახლში ცხოვრებაზე, მაგრამ დასვენების დღეებს ოჯახი ერთად ატარებდა რანჩოზე კონექტიკუტში. რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთმა ყოველმხრივ სასიამოვნო ცხოვრებამ ჰოლივუდის სკანდალისტი იქამდე მიიყვანა, რომ მან თანხმობა განაცხადა ოჯახის წევრთა გაზრდაზე.

1985 წელს ცოლ-ქმარმა პატარა ბიჭი – დილანი იშვილა, ხოლო ორი წლის შემდეგ, 42 წლის ფეროუმ მეუღლეს, ვუდის პირველი ვაჟიშვილი – სეტჩელი აჩუქა.

აყვანილ ბავშვებში უფროსი სწორედ ის სასიამოვნო კორეელი გოგონა სუნ ი გახლდათ. იგი 9 წლის იყო, როცა ვუდიმ მათ ოჯახში შედგა ფეხი. ახალ მამას გოგონა აღმოსავლური უშფოთველობით უყვებოდა, თუ როგორ მიატოვეს მშობლებმა ის და მისი ძმა და როგორ უწევდათ მათ მათხოვრობა და სანაგვეზე საკვების ძებნა. შემდეგ ძმა დაიკარგა, სუნ ი კი ბავშვთა სახლში აღმოჩნდა, საიდანაც მიამ და მისმა მაშინდელმა ქმარმა ანდრე პრევენმა დაიხსნეს.

გეგონებოდათ, მძიმე ბავშვობამ მის ხასიათს დაღი არ დააჩნიაო. იგი მოკრძალებულ და ალერსიან ადამიანად ყალიბდებოდა. თუმცა, არავინ იცოდა, მის პატარა გულს როგორ ტანჯავდა მწარე მოგონებები. სწორედ ამ გულწრფელი აღსარების მოწმე შეიქნა ვუდი, როდესაც იმ საბედისწერო მომენტში, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა საჯინიბოში. თუ შემდეგი მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, ალენი ალბათ არც კი დაფიქრებულა იმ შედეგზე, რომელიც სუნ ის მიმართ გამომჟღავნებულ მზრუნველობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. იგი გოგონას მესაიდუმლე და უფროსი მეგობარი გახდა. ყოველგვარი ქვენაგრძნობის გარეშე შედიოდა მის საძინებელში „ღამე მშვიდობისას" სათქმელად, უკითხავდა თავისი საყვარელი პოეტების შედევრებს, ასწავლიდა ზღვის ზვირთცემის მუსიკის სმენას და შემოდგომის ტყის სილამაზის მდუმარებაში ჭვრეტას. თვითმკვლელობის მცდელობის შესახებ კი, ვუდის ფსიქოანალიტიკოსის გარდა, ვერავინ შეიტყო.

ალენი სუნისთვის ღმერთი იყო, რომელსაც გოგონა აზიური ერთგულებით სცემდა თაყვანს. რაც შემდეგ აღმოსავლელი ქალის ვნებიან და თავდავიწყებულ სიყვარულში გადაიზარდა...

ᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

იანვრის ცივ საღამოს, ნიუ-იორკის ცენტრალ-პარკის ხეივანი უკაცრიელი ჩანდა, მაგრამ მია ფეროუ მამაცურად მიაბიჯებდა გზაზე მეუღლის, აღიარებული კინორეჟისორისა და მსახიობის, ვუდი ალენის სახლისკენ, რომელიც პარკის მეორე მხარეს მდებარეობდა. მიას სურდა მეუღლესთან, ახალგაზრდა კორეელ სუნ ის ქცევაზე ემსჯელა, რომელიც ამ ბოლო დროს, გულჩათხრობილი და ფიცხი გახდა. რადგან ვუდი შინ არ დახვდა, მიამ კარი თავისი გასაღებით გააღო. სასტუმრო ოთახში რომ შევიდა, ბუხარზე პოლაროიდით გადაღებული ფოტო შენიშნა და... – მასზე სწორედ, საცვლებში გამოწყობილი სუნ ი იყო გამოსახული. იქვე სხვა ფოტოებიც ელაგა, საიდანაც დედაშობილა გოგონას გამოსახულება იყურებოდა. ფეროუ ადგილზე გაშეშდა. ცოტა ხანში კი, მხურვალე ირლანდიური სისხლი მას სახლისკენ მიაქროლებდა, სადაც ამ დროს, მეცადინეობდა სუნ ი, რომელსაც აზრადაც არ მოსდიოდა, თუ რა ხდებოდა.

კრუნჩხვამდე მისულმა მიამ რამდენიმე სილა გააწნა მას და ფოტოალბომიდან ყველა მისი სურათი ამოფხრიწა. ერთი კვირის შემდეგ, პაპარაცებით გარშემორტყმულმა სუნ იმ ჩემოდნით ხელში გაიარა ცენტრალ-პარკი იმისთვის, რომ მამინაცვლის ბინაში დამკვიდრებულიყო. ამ მომენტისთვის ალენი 57 წლის იყო, მია – 48-ის, ხოლო მათი შვილობილი – 20-ის.

რომანი, როგორც ბულვარული გაზეთები იუწყებიან (მოვლენის უშუალო მონაწილენი დუმან), იმ დღიდან დაიწყო, როცა

ერთხელ მია ავად გახდა და სუნ იმ მამინაცვალს კალათბურთის მატჩზე წაყოლა სთხოვა. უკანა გზაზე, მყუდრო ხეივანში, ის უცაბედად, კისერზე ჩამოეკიდა ვუდის და კოცნა დაუწყო. მალე, მან დილაობით სირბილი შემოიღო ჩვეულებად. ყოველ დილით სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი, პარკში დარბოდა, შემდეგ კი ალენის სახლისკენ მიემართებოდა...

ასე რომ, ფეროუმ, რომელიც გაეროში მიტოვებულ ბავშვთა უფლებებს იცავდა, სათანადოდ ვერ მიადევნა თვალი საკუთარ შვილობილს.

იზოლაციაში ცხოვრება

საიდუმლო შეხვედრები მანამდე გრძელდებოდა, სანამ ზემოთ აღნიშნულ იანვრის საღამოს, მია ალენის სახლში არ მივიდა. როცა ყველაფერი გაცხადდა, ვუდიმ მიას „ოჯახებით მეგობრობა“ შესთავაზა, მაგრამ ქალმა შეხვედრაც კი არ ისურვა და სასამართლოში იმ იმედით უჩივლა, რომ ვუდის მამობის უფლებას ჩამოართმევდნენ. განრისხებულმა ფეროუმ ალენს სულელური ბრალდება წაუყენა: თითქოსდა იგი მისი შვილობილებიდან ყველაზე უმცროსი ქალიშვილის – 5 წლის დილანის დაუფლებას ცდილობდა. მაგრამ სასამართლომ ძილის წინ მამის კოცნა ბინძურ ქმედებად არ მიიჩნია და რეჟისორს ღვიძლი შვილის, სეტჩელის ნახვის უფლება მისცა. გაზეთებში გაჩნდა ვარაუდი, რომ ვუდის ხელს აძლევდა სკანდალი, თორემ ის, როგორც ზედმიწევნით ფრთხილი ადამიანი, შემთხვევით არ დატოვებდა იმ საბედისწერო ფოტოებს გამოსაჩენ ადგილას. უბრალოდ, ამ გზით მოახერხა უკვე დიდი ხნის ამოწურული ურთიერთობების გაწყვეტა...

სუნ იმ და ვუდი ალენმა ვენეციაში დაიწერეს ჯვარი. ცოლქმრული ცხოვრების პირველი წლები საოცრად რთული აღმოჩნდა. ისინი იზოლაციაში მოექცნენ. ჟურნალისტებმა და კოლეგებმა ალენს ნამდვილი ტრავმა მიაყენეს. კინოკომპანია „ორიონ ფიქჩერზმა“ კონტრაქტი გაუუქმა, ზურგი შეაქციეს მეგობრებმაც, რომლებიც მას ისედაც ცოტა ჰყავდა.

არც სუნ ის ულხინდა: ის დაადანაშაულეს აღმოსავლურ ცბიერებასა და ცნობილი რეჟისორის მილიონებზე ნადირობაში, ხოლო მისმა ძმებმა და დებმა გადაჭრით თქვეს უარი არა მარტო „დარტყმულ“ მამასთან, არამედ ვერაგ დასთან ურთიერთობაზეც. კინოსამყაროს საძმო კი, ერთხმად ამტკიცებდა, რომ კორეელი გოგონა კიდევ გამოავლენს თავს და რატომღაც, მაგალითად, ჯონ ლენონის ცოლი – იაპონელი იოკო ონო მოჰყავდათ, რომელსაც აგერ უკვე 30 წელია, „ბითლზის“ ნაადრევ დაშლას სდებენ ბრალად.

პიგმალიონი და გალათეა

როგორც ჩანს, თავიდან, თვით ალენიც ორჭოფობდა. ორი წლის შემდეგ კი აღიარა: ცოტა ხნის წინ, ჩემთვის რომ ეთქვათ, ბედნიერი იქნები შენზე ორჯერ უმცროს ქალთან, რომელიც გაცილებით გამოუცდელია და რიგიანად არც კი იცნობს ჩემს ფილმებს, მე შევყვირებდი: „ხომ არ გაგიჟდით?“ მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ალენი ბედნიერია. მან უარი თქვა უწინდელ მკაცრ და მუდამ უცვლელი ცხოვრების წესსა და განრიგზეც, რომელშიც შედიოდა: ჩოგბურთი, კლარნეტზე დაკვრა, ახალი ფილმების გადაღება და განმარტოების პერიოდები, როცა ის შინ იმალებოდა და ცოლსაც არ იკარებდა სიახლოვეს (როგორც ეს მია ფეროუს შემთხვევაში ხდებოდა). მაგრამ სუნ ი იმდენად მაცოცხლებელ ზეგავლენას ახდენს ვუდიზე, რომ ვუდის მასთან ერთი დღით განშორებაც კი აშინებს და საერთოდ, 90-იანი წლების ამერიკული ბომონდის სიმშვიდის დამრღვევთა ურთიერთობები რაღაცით იმეორებს პიგმალიონისა და გალათეას მითს: ახალგაზრდა გოგონა მის ხელში ცვილი აღმოჩნდა, რომლისგანაც მან ზუსტად ისეთი ქალი გამოაქანდაკა, როგორიც ესაჭიროებოდა...

გადასაღებ მოედანზე სუნ ის მუდმივი დასწრება უკვე წესად იქცა. ფსიქოანალიტიკოსს, რომელიც წლების განმავლობაში ჰყავდა რეჟისორს, აღარც კი ახსოვს, ბოლოს როდის ნახა თავისი პაციენტი. როგორც წინა ქორწინებისას, ალენსა და სუნსაც ჰყავთ შვილობილები – ბიშე და მენზი. როდესაც მის ახალ ფილმებს წარმატება არ მოჰქონდა და ტელეწამყვანები შემოქმედს მცირეწლოვანთა გარყვნაში ადანაშაულებდნენ, ალენი ნუგეშს მხოლოდ ახალგაზრდა ცოლის ალერსში პოულობდა. თანდათანობით ეს გაზეთებმაც დაინახეს და გაკვირვებულები წერდნენ: „პრესაში ატეხილმა საყოველთაო აჟიოტაჟმა არათუ დაარღვია მათი კავშირი, არამედ პირიქით, უფრო განამტკიცა.“

რას ფიქრობს ყველაფერ ამაზე თვითონ სუნ ი, არავინ იცის. ვინ ჩაიხედავს ადამიანის გულში, მით უმეტეს – აზიელისაში?!. როცა მომაბეზრებელი ჟურნალისტები ახერხებენ ხოლმე მის გამოჭერას, კორეელი ობოლი გოგონა თავის რჩეულსა და მბრძანებელზე მხოლოდ აღმატებულ ხარისხში ლაპარაკობს. ალენი კი ამ დროს, ალბათ ძალებს იკრებს, რომ მორიგ ფილმში სუნ ი და საკუთარი თავი გამოააშკარავოს (ისე, როგორც მხოლოდ მას ძალუძს). ასეთია ეს საძაგელი ჰოლივუდელი იხვის ჭუკი, რომელსაც ასე თავშეუკავებლად ეტმასნებიან ყველაზე ტკბილი ქალბატონები... ■

მია ფეროუ თავის შვილებთან და შვილობილებთან ერთად

ვუდი ალენის ფილმის გადასაღებ მოედანზე სუნ ის ყოფნა მისი ჯგუფის წევრებისთვის ჩვეული ამბავია



დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-25

მომავალ ჟურნალისტ დეა ავალიანს კანონიერი ქურდი გიგოლა გასაქანს არ აძლევს. დეას ძმაც, მკვლელობისთვის ნასამართლევი თემო, გიგოლას უბამს მხარს, რადგან მისგან ძალიან დავალებულია.

თავად დეას საზღვარგარეთ იძულებით გადახვეწილი ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე მოსწონს, ამიტომ გიგოლას ყველანაირად ერიდება, თანაკურსელ კახა ჯღარკავას უაზრო ტორღიალს კი, საერთოდ არად აგდებს.

კახას, სრულიად უდანაშაულო ბიჭი შემოაკვდება. დეა მის საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემს და კახას მამას — სკანდალურად ცნობილ პარლამენტარ გიზო ჯღარკავას სერიოზულად გადაიკიდებს.

დეას დედა — ელენე, შვილის საფრთხისგან დაცვას ყველანაირად ცდილობს. მაგრამ ქალი ლოგინადაა ჩავარდნილი, მალე გარდაიცვლება კიდეც და დეა მკაცრი რეალობის პირისპირ სრულიად მარტო აღმოჩნდება.

გიგოლა დეას მდგომარეობით სარგებლობს და ყველა ღონეს ხმარობს, რომ თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. მალე დეას, რედაქცია, სადაც ის უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მუშაობს, მივლინებით მოსკოვში გააგზავნის. გიგოლა თვითმფრინავის რეისს დაადგენს და მოსკოვში ჩასულ დეას ჯერ პირდაპირ ტრაპთან დახვდება, მოგვიანებით კი, იმდენად დაახვევს თავბრუს, რომ ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიწვენს...

რუსუდან ბერიძე

ახალგამოღვიძებულ დეას თვალის გახელას, ალბათ სიკვდილიც კი ერჩივნა. მისი ჯერაც სანახევროდ მთვლემარე გონება რეალურ ყოფაში დაბრუნებას ყველანაირად უძალიანდებოდა, რადგან ის სრულიად გაურკვეველი და საშიშიც ეჩვენებოდა...

უცბად, მის გვერდით გულაღმა გაშოტილმა გიგოლამ ისე არაბუნებრივად ამოიხროტინა, რომ დეამ მარტო თვალები კი არ ჭყიტა, საწოლშიც ფეთიანივით წამოჯდა, მაგრამ მკლავზე მაშინვე, მარწუხებივით ღონიერი თითები შემოეჭდო და გააშეშა. დეამ თავი ნელ-ნელა მოაბრუნა და გიგოლას ისე გაკვირვებით დააშტერდა, თითქოს პირველად ხედავსო. თავად გიგოლა ცალი ხელით ისევ დეას ჩაჰფრენოდა, მეორე კი, უკვე თავქვეშ ამოედო და აშკარად კმაყოფილი ათვალიერებდა.

— რა იყო, პატარავ? — ჰკითხა მან შემდეგ. — ცუდი სიზმარი ხომ არ ნახე?

დეამ გიგოლას ცოტა ხანს კიდევ უცქირა, შემდეგ პირი იბრუნა და სევდიანად ჩაილაპარაკა:

— ჩემი ყველაზე ცუდი სიზმარიც და ცხადიც, ამიერიდან, ალბათ შენ იქნები... — თან, ამ სიტყვებზე ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო და თავი უმწეოდ ჩაქინდრა.

გიგოლამ კი, მკლავზე შემოჭდობილი თითები ჯერ მთელი ძალით მოუჭირა, შემდეგ საერთოდ გაუშვა და საჩვენებელი თითი ახლა პატარა ბავშვივით მოკუნტული დეას ხერხემლის მალებს ჩამოაყოლა:

— პირველი ღამის შემდეგ, ხმა ნამდვილად დაგნაზებია, აი, კბენას კი, მაინც არ იშლი. არ მოგბეზრდა?

— მომბეზრდა... ოღონდ, მარტო შენი კბენა კი არა, თავად შენც და... საკუთარი თავიც...

— კარგი, რა, ნუ არტისტობ... — ლოგინზე წამოჯდა გიგოლა და დეას ზურგიდან მოეხვია. — დაგავიწყდა, წუხელ როგორ ჭიკჭიკებდი?.. გიგი, მიყვარხარ, გიგი, მინდიხარო?..

გიგოლას სიტყვებით გაცოფებულმა დეამ უცბად, მთელი ძალით გაიბრძოლა, მაგრამ გიგოლამაც მკლავები უფრო მაგრად შემოაჭდო და სახე მის აბურდულ თმაში ჩარგო:

— რა ტყუილად ფართხალებ, ჩიტუნი... ხომ იცი, რომ მოსახდენი უკვე მოხდა, ამიტომ, რაც მალე შეეგუები შენს ახალ მდგომარეობას, მით უკეთესი... ისე, შენამდე, გიგი ჩემთვის არც ერთ ქალს არ დაუძახია; წუხელ, ცოტა მეხამუშა, მაგრამ ახლა, მგონი, მომწონს კიდეც... თუ გინდა, საერთოდაც გიგი დამიძახე...

— არაფერსაც არ დაგიძახებ... — ამოისლუკუნა დეამ და ცრემლები ღაპაღუპით წამოსცვივდა.

— აუ-უ, ისევ დაიწყე?!. — ხმაში გაღიზიანება დაეტყო გიგოლას. — ხომ გითხარი, ქალის ტირილი მაგიჟებს-მეთქი!..

— მეც ის მინდა, რომ გაგიჟდე და საერთოდაც მოკვდე!

— ოჰო, შენ მგონი, მართლა აღარ ხუმრობ... — აბა, ერთი, აქეთ მოიხედე და ისე მითხარი ეგ ყველაფერი! — თავისკენ თითქმის ძალით შემოაბრუნა გიგოლამ დეა.

დეამ მას თვალი თვალში გაუყარა და ისე გაუმეორა:

— მინდა, რომ მოკვდე! ძალიან მინდა! რომ შემეძლოს, მე თვითონ მოგკლავდი!

— რომ შეგეძლოს — კი! — ბოროტად გაეღიმა გიგოლას. — მაგრამ ამქვეყნად ყველაფერი დასწრებაზეა, ჩიტუნი, — მერე უცბად, ხელი ბალიშქვეშ შეაცურა, პისტოლეტი ამოიღო და გაოგნებულ დეას ლულა პირდაპირ შუბლზე დაადო: — როგორ მოგწონს? კარგია სიკვდილი?..

დეას სახეზე მიწისფერი დაედო, მაგრამ თქმით მაინც არაფერი უთქვამს — უბრალოდ, თვალები დახუჭა და საშინელების მოლოდინში გაირინდა.

— აბა, ერთი თვალი გაახილე და შემომხედე! — ჩახმახი ხმაურით შეაყენა გიგოლამ.

დეას ქუთუთოები აუთრთოლდა, მაგრამ გახელის ნაცვლად, კიდევ უფრო მაგრად დახუჭა. გიგოლამ გაფითრებულ

დეას ცოტა ხანს კიდევ უცქირა, შემდეგ იარაღი ფრთხილად მოაშორა და მისი ტარი აკანკალებულ ხელში თითქმის ძალით ჩაუდო, ლულა კი თავად მიიბჯინა მკერდზე:

— ახლა შენი ჯერია — თუ გინდა, მართლა მესროლე!

როგორც კი იარაღის სიცივემ შუბლიდან ხელში გადაინაცვლა, დეამ მაშინვე თვალი გაახილა და როცა ისიც გარკვევით დაინახა, რომ გიგოლას ლულა ზედ გულთან ჰქონდა მიბჯენილი, სასხლეტს თითი მთელი ძალით გამოჰკრა...

პისტოლეტმა, გასროლის ნაცვლად, მხოლოდ ტკაცანის ხმა გაიღო. გამწარებულმა დეამ სასხლეტს კიდევ ერთხელ გამოჰკრა, შემდეგ კიდევ და კიდევ... იარაღი არც ერთხელ არ გავარდნილა... საბოლოოდ სასოწარკვეთილმა დეამ გიგოლას ისე შეხედა, თითქოს დახმარებას სთხოვსო და ის იყო, სასხლეტისთვის კიდევ ერთხელ უნდა გამოეკრა, რომ გიგოლა მას ხელში სწვდა და ისე გამეტებით გადაუგრიხა, რომ კინაღამ მოსტეხა. დეამ ტკივილისაგან ხმამაღლა შეჰკივლა, მაგრამ გიგოლამ ხელი მანამ აღარ გაუშვა, სანამ პისტოლეტი არ გააგდებინა.

— მართლა ცოფიანი ყოფილხარ! — უთხრა მან შემდეგ — ათასჯერ უფრო ცოფიანი, ვიდრე მეგონა! მაგრამ იცი, რომ ასეთი უფრო მომწონხარ და მინდიხარ?!.

პასუხად დეამ ტუჩები ჯერ ზიზღით დაბრიცა და ის იყო, რაღაც საზიზღრობაც უნდა ეთქვა, რომ გიგოლამ აღარ აცალა და მართლა ცოფიანივით დააცხრა...

მოგვიანებით, როცა ვნებები ცოტათი ჩაცხრა, გიგოლამ მის გვერდით ქანდაკებასავით უძრავად მწოლი დეას უსიცოცხლო ხელი ხელში აიღო და სული შეუბერა:

— ძალიან გატკინე?

დეას ხმა არ ამოუღია.

— არ გესმის, რომ გეკითხები? — ხმას აუწია გიგოლამ. — ძალიან ხომ არ გატკინე-მეთქი?!

— რა? — ცივად ჰკითხა დეამ.

— რა და ხელი!

— არა! ხელი ძალიან არ გიტკენია...

— აბა, რა? — ეშმაკურად გაეღიმა გიგოლას. — გული?..

დეას აღარაფერი უპასუხია.

— გული შენც ძალიან მატკინე, — ისევ დაიწყო გიგოლამ, — ვიცოდი, რომ არ გიყვარდი, მაგრამ სასიკვდილოდ თუ გამიმეტებდი, მაინც არ მეგონა.

— კიდევ ბევრჯერ გაგიმეტებ... — წაიჩურჩულა დეამ.

— აბა, შენ იცი... — ირონიულად გაეღიმა გიგოლას. — ოღონდ, მაინც ფრთხილად იყავი, ბეჭი არ ამოიგდო. თან, შიგადაშიგ, იარაღიც გასინჯე ხოლმე, დატენილია თუ არა...

დეამ გიგოლას ერთი უნდობლად გადახედა და საწოლიდან ნელ-ნელა წამოიმართა.

— რას შვრები? — დაინტერესდა გიგოლა.

— რას უნდა ვშვრებოდე? — ვდგები.

— ცოტა ხანს კიდევ იწექი, მერე ერთად ავდგეთ და რესტორანში ჩავიდეთ. არ მოგშივდა?

— არა, — ცივად მიუგო დეამ.

— თუ გინდა, დავრეკავ და ყველაფერს ნომერში ამოვატანინებ.

— არა-მეთქი! — გაღიზიანდა დეა.

— არც ჩემი ხათრით? — მაინც არ მოეშვა გიგოლა.

— კარგი, — ამოიოხრა თავმობეზრებულმა დეამ. — რესტორანში ჩამოვალ, ოღონდ, მანამდე, შხაპს მივიღებ.

— რა თქმა უნდა, ჩემო ლამაზო, რა თქმა უნდა... მანამდე მე ცოტას კიდევ წავუძინებ... — საწოლში მოხერხებულად მოეწყო გიგოლა და მაშინვე თვალებიც მილულა. — რომ მოიპრანჭები, გამაღვიძე.

მალე გიგოლამ ფშვინვაც ამოუშვა, თუმცა დეა ამის შემდეგაც კარგა ხანს უძრავად იდგა და აყურადებდა... ბოლოს, იატაკზე მიმოფანტული საკუთარი ტანსაცმელი სასწრაფოდ წამოკრიბა და საძინებლიდან ფეხაკრეფით გავიდა. ნახევარ საათში კი, უკვე ვნუკოვოს აეროპორტისკენ მთელი სისწრაფით მიმავალ ტაქსიში იჯდა...

აეროპორტში ხალხის ტევა არ იყო. დეამ თბილისის რეისის რეგისტრაციის ადგილს ვერაფრით მიაგნო და ამიტომ, იძულებული გახდა, ამბის გასარკვევად ცნობათა ბიუროსთან გაჭიმულ, გრძელ რიგში ჩამდგარიყო. რიგი ტაატით მიიწევდა წინ და ის იყო, დეას წინ ერთი კაციღა დარჩა, რომ რეპროდუქტორში აეროპორტის მორიგის ცივი ხმაც გაისმა... გაურკვეველი ვადით გადადებული რეისების ჩამონათვალში დეამ თბილისის რეისიც აღმოაჩინა და საბოლოოდ ჩაქრა...

აეროპორტის მეორე სართულზე ჩამოსაჯდომად ასულმა ქალმა ყავის თავბრუდამხვევი სურნელი იგრძნო და ახლაღა გაახსენდა, რომ ჯერ პირში ლუკმა არ ჩასვლოდა. ამან კი, რატომღაც, მაშინვე გიგოლაც გაახსენა, რომელიც ალბათ ჯერაც ლოგინში იწვა და მშვიდად იცდიდა, დეა რესტორანში ჩასასვლელად როდის გამოეწყობოდა... ანდა უკვე ყველაფერი გაეგო და გაცოფებული კბილებს ახრჭიალებდა...

გიგოლას გაცოფებული სახის წარმოდგენა დეას იმდენად ესიამოვნა, რომ პირზე ღიმილი მოადგა. მაგრამ უცბად, მხარზე ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო და დაფეთებულმა მიიხედა: მის წინ ბადრი პატარიძე იდგა.

— ბატონო ბადრი, თქვე-ენ? — გაუკვირდა დეას. — თბილისში ხომ არ მოდიხართ?

— არა, ჩემო კარგო, ცოლ-შვილს ველოდები იტალიიდან, მაგრამ რეისი გადაიდო.

— ა-ა... გასაგებია... — დაბნეულად ჩაილაპარაკა დეამ.

— შენ კი, მგონი, დღეს მიფრინავ, ხომ?

— დიახ, მაგრამ რეისი გადაიდო.

— გიგოლა სადღაა? არ მითხრა ახლა, აეროპორტში მარტო გამომიშვაო, მაინც არ დაგივჯერებ....

— არ გამოვუშვივარ, — თავი ჩაქინდრა დეამ. — გამოვეპარე...

— გასაგებია... — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ბადრიმ და ის იყო, დეამ დამშვიდობება დააპირა, რომ ქალს მხარში ჩააფრინდა:

— მერე? გამოპარული ქალი შუა დარბაზში, на всеобщее обозрение რომ გამომდგარხარ, არ გეშინია?

— ვისი? — უცბად ვერ მიუხვდა დეა.

— ვისი და... გიგოლასი...

— გიგოლა ჯერ ალბათ ისევ სასტუმროშია. ასე უცბად ხომ ვერ გამოთვლიდა, სად წავედი...

— Ошибаешься, девочка, ошибаешься... — ისევ ჩაარუსულა ბადრიმ. — ეტყობა, გიგოლას ჯერ კარგად არ იცნობ...

— ეტყობა... — თავი დამნაშავესავით დახარა დეამ.

— ...მაგრამ არა უშავს! მე აგერ არა ვარ?!. — შეუძახა შემდეგ ბადრიმ. — როგორც გინდა, ისე მიმსახურე. წამო, ახლა რესტორანში დავსხდეთ და რამე შევჭამოთ, თორემ, მალე შიმშილით გული შემიღონდება...

— მეც, — ალალად გამოტყდა დეა.

— ძალიანაც კარგი... — აშკარად

გამხიარულდა ბადრი. — გინდა, რამე ეგზოტიკური შევუკვეთოთ?

— რა ვიცი, აბა... — მხრები აიჩეჩა დეამ. — პირადად მე, ამწუთას, ყველანაირ ეგზოტიკურ საჭმელს, ჩვეულებრივი ბუტერბროდი და ცხელი ყავა მირჩევნია.

— ეგეც იქნება! — დააიმედა ბადრიმ. — ოღონდ, ნურც ეგზოტიკაზე მიკრავ ხელს! დამიჯერე — ძალიან მოგეწონება.

— კარგი, დაგიჯერებთ, — დაყაბულდა დეა...

ის იყო, რესტორნის ყველაზე შორეულ კუთხეში მყუდროდ მოკალათებულმა დეამ და ბადრიმ ერთმანეთს ჭიქები კიდევ ერთხელ მიუჭახუნეს და ამ უკანასკნელმა მორიგი სადღეგრძელოს ჩახუჭუჭება დაიწყო, რომ აეროპორტის მორიგემ გადადებული რეისების რეგისტრაციის დაწყებაც გამოაცხადა. გახარებული დეა მაშინვე ფეხზე წამოხტა.

— ახლა კი, მართლა წასვლის დროა, — წამოიმართა ბადრიც. — ამ ჭიქით მოდი, შენს მგზავრობას გაუმარჯოს!..

— გმადლობთ, — სიტყვის გაგრძელება აღარ აცალა დეამ.

— ისე, თუ გიგოლას ნახვა მართლა აღარ გინდა, ჯერ მე გავალ და სიტუაციას დავზვერავ... თუმცა, ეგ ისეთი ჯიბიდან გავარდნილი ვინმეა, რომ შეიძლება, უკვე ტრაპთანაც კი გელოდება...

დეა თვითმფრინავის ტრაპს მართლაც, მუხლების კანკალით უახლოვდებოდა, მაგრამ გიგოლა ვერც ტრაპთან დალანდა, ვერც თვითმფრინავის სალონში და, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა.

მალე, დეას გვერდით, სავარძელში ინტელიგენტური გარეგნობის, ხანში შესული მამაკაცი მოკალათდა. მას ხელში დიპლომატი ეჭირა, რომელიც დაჯდომისთანავე ხმაურით გახსნა, რაღაც დოკუმენტების დასტა ამოიღო, ცხვირის წვერზე სათვალე დაიკოსა და ყოველი ფურცლის საგულდაგულო თვალიერება დაიწყო.

„ინტელიგენტის“ ქაღალდებისკენ ერთი-ორჯერ დეამაც გააპარა თვალი, მაგრამ საინტერესო ნამდვილად ვერაფერი აღმოაჩინა. ამიტომ ერთხანს, აქეთ-იქით უაზროდ იყურა და თვალებიც თავისით მიელულა. ცოტა ხანში, ძილბურანიდან „ინტელიგენტისა“ და სტიუარდესას ხმადაბალმა საუბარმა გამოიყვანა. სტიუარდესა დეას მეზობელს ვიღაცისთვის ადგილის გაცვლას სთხოვდა; „ინტელიგენტი“ თავიდან უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს, მაინც დანებდა, ქაღალდები უკმაყოფილოდ წამოკრიბა, დიპლომატი ხმაურით ჩაკეტა და სტიუარდესას წინა სალონში გაჰყვა. დეამ ყოფილი მეზობლის ფართო ზურგს ერთი კი გახედა და ისევ ძილს მისცა თავი.

...სიზმარში დედა გამოეცხადა. ელენემ შვილს თავზე ხელი ალერსით გადაუსვა და გაქრა, უფრო სწორად — მისი გამოსახულება ნელ-ნელა, რაღაც უცნაურად გაიცრიცა და მის ადგილზე, დეას გულის გასახეთქად, მაშინვე არაბუნებრივად ხელებდაგრძელებული გიგოლას გამოსახულება ამოიმართა და ის იყო, საცეცებივით ხელებით ყელში უნდა სწვდომოდა, რომ დეას კიდეც გამოეღვიძა და ირგვლივ შიშით მიმოიხედა.

თვითმფრინავს სიმაღლე უკვე ბოლომდე აეკრიბა და ამიტომაც, სავარძლებიდან წამომდგარი მგზავრების ნაწილიც სალონში თავისუფლად გადი-გამოდიოდა. დეას მეზობლად ადგილი ისევ თავისუფალი იყო. „ნეტავ, რისთვისღა წამოაგდო სტიუარდესამ ის კაცი, თუ მის ადგილზე არავის სვამდა?!“ — გაიფიქრა დეამ და თვალები ისევ დახუჭა. უცბად, მის გვერდით სავარძელში ვიღაც ფრთხილად ჩაეშვა. დეამ ახალ მეზობელს რატომღაც, მაშინვე ზურგი შეაქცია და ის იყო, ისევ თვლემა უნდა მორეოდა, რომ მუხლებზე მძიმე ხელის შეხება იგრძნო. დეამ მაშინვე თვალები გაახილა და გვერდით მჯდომი გიგოლას გამეხებული პროფილიც დაინახა...

— აღარ მელოდი, ხომ? — ჰკითხა გიგოლამ, მუხლებიდან ხელი ნელ-ნელა ჯინსის უბისკენ ააცოცა და ისე ძლიერადაც მოუჭირა, რომ დეამ სიმწრით დაიკვნესა:

— რას შვრები — მტკივა! ახლავე გამიშვი!

— მართლა?.. — ჩაიქირქილა გიგოლამ.

— ხელი გამიშვი-მეთქი! — კიდევ ერთხელ დაიკვნესა დეამ და ხელი თითქმის ძალით გააშვებინა.

— არა, მაინც, ტვინში როგორ მოგიმწიფდა, ასე ქურდივით რომ გამომეპარე?! საკუთარი ტანსაცმელი მაინც წამოგეღო... — მაშინვე დაიწყო გიგოლამ.

— ეგ ტანსაცმელი შენი ნაყიდი იყო და შენვე დაგიტოვე.

— მარტო ტანსაცმელი რომ დაგეტოვებინა, რაღა გიჭირდა?!

— აბა, სხვა რა დაგიტოვე? — გიგოლას გადაკრულ სიტყვებს უცბად ვერ მიხვდა დეა.

— რა და... — დამცინავად გაეღიმა გიგოლას. — მოიწი აქეთ, ყურში გეტყვი: ყველამ ხომ არ უნდა გაიგოს, ვისთან რა გრჩება...

დეას სახეზე ალმურმა გადაჰკრა, გიგოლას მაშინვე ზურგი აქცია და ილუმინატორში გაიხედა. იქ, ერთმანეთის მიყოლებით, თეთრი ქათქათა ღრუბლები მიცურავდა...

— ლამაზი სანახაობაა, არა? — აგდებულად ჰკითხა გიგოლამ.

— ყოველ შემთხვევაში, შენზე ლამაზი ნამდვილად არის, — უპასუხა დეამ.

— კარგი, რაც იყო, იყო, მოდი შევრიგდეთ, — უცბად მოლბა გიგოლა და დეას ხელზე ხელი ალერსით გადაუსვა.

— მე შენთან არ მიჩხუბია, — ხელი მაშინვე გასწია დეამ.

— მე ხომ გეჩხუბე... ჰოდა, შერიგებასაც მე გთხოვ, — სულ მთლად დაიშაქრა გიგოლა, მაგრამ დეას ხმა აღარ გაუცია...

თბილისში უჟმურზე უჟმური ამინდი დახვდათ, რამაც დეა წონასწორობიდან საბოლოოდ გამოიყვანა. და ის იყო, ფიქრი დაიწყო იმაზე, თუ როგორ მოეშორებინა თავიდან გიგოლა, რომ მან დეას თავად გადაულაპარაკა:

— სასწრაფოდ წინ წადი და ჩემკენ აღარ მოიხედო!

— რა-ა? — დაიბნა დეა.

— არ მოიხედო-მეთქი!.. — ისევ უბრძანა გიგოლამ. — შენ ჩემთან არა ხარ, არც ყოფილხარ და საერთოდაც, არ მიცნობ, გასაგებია?!

— გასაგებია, — როგორც იქნა, ამოილუღლუღა დეამ, თუმცა სახეზე ეტყობოდა, რომ ვერაფერიც ვერ გაიგო.

— აი, შენი ჩემოდნისა და ჩანთის „ბირკები“, ბარგი აიღე, ტაქსი აიყვანე და შინისაკენ მოუსვი... წადი-მეთქი, რომ გეუბნები, მითვალთვალებენ...

— ვინ გითვალთვალებს? რატომ?.. — ადგილიდან ფეხი მაინც არ მოიცვალა დეამ.

— გრძელი მოსაყოლია, სხვა დროისთვის გადავდოთ...

— რომ დაგიჭირონ, მერე?.. — თავისდა გასაკვირად, გიგოლას ბედით პირველად დაინტერესდა დეა.

— ნუ გეშინია, ვერ დამიჭერენ... საღამოს გნახავ... ან ხვალ საღამოს — ვნახოთ, როგორც მოვახერხებ...

დეა წამით კიდევ შეყოყმანდა, შემდეგ გიგოლას წინ გაუსწრო და ცოტა მოშორებით მდგარ ადამიანების ჯგუფს შეერია. გიგოლამ გზა მარტო განაგრძო და როგორც კი გასასვლელს მიუახ-



ლოვდა, მაშინვე, აქეთ-იქიდან ორი ახმახი ამოუდგა. მათ გიგოლა აეროპორტის წინ მდგარ მანქანაში ჩასვეს და სადღაც წაიყვანეს...

შინ დაბრუნებულ დეას, ეზოში შესვლისთანავე, მეზობლები შემოეხვივნენ.

— რა ქენი, შვილო? როგორ მოიარე „სტალიცა“? — ჰკითხა ტასომ.

— გმადლობთ, ტასო დეიდა, კარგად...

— საინტერესო ხალხი გაიცანი?

— ძალიან.

— მაშინ სტატიებსაც საინტერესოს დაწერ, ხომ?

— რა ვიცი, აბა... — მხრები აიჩეჩა დეამ. — ვეცდები...

— ისე, შეცვლილი მეჩვენები, რამე ხომ არ მოხდა?

— არა, ტასო დეიდა, უბრალოდ, დავიღალე...

დეამ საკუთარი სახლის კარი გულდამძიმებულმა შეაღო. აქამდე, მივლინებიდან დაბრუნებისას, შინ ყოველთვის დედა ხვდებოდა, გულში ჩაიკრავდა, ამბავს გამოჰკითხავდა. ახლა კი, ელენემ კედელზე დაკიდებული, გადიდებული სურათიდანღა შემოსცინა. ელენეს მოღიმარი სახის დანახვისას, დეას ცრემლები წამოსცვივდა:

— დედა, დედიკო, მასწავლე, ახლა რაღა ვქნა, როგორ ვიცხოვრო...

უცბად, კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. დეამ ცრემლიანი თვალები ხელისგულებით შეიმშრალა და კარს ნელ-ნელა მიუახლოვდა:

— ვინ არის?

— მე ვარ, — მოისმა გარედან გიგოლას ყრუ ხმა.

დეა მაშინვე საკეტს ეცა, ხმაურით გადაატრიალა და კარი გააღო. გიგოლამ ზღურბლს ნელა გადმოაბიჯა.

— გამოგიშვეს? — ჰკითხა მას დეამ და ოთახში შეუძღვა.

— როდის დამიჭირეს, რო?!. — ცალყბად გაეღიმა გიგოლას.

— აბა, ის ორი კაცი ვინ იყო, მანქანაში რომ ჩაგსვა?

— იყვნენ, რა... შენ რაში გაინტერესებს?!.

— ნეტავ, მართლა არ მაინტერესებდეს და, რაც მთავარია, მეც არ მეხებოდეს ეს ყველაფერი... — ბავშვივით ალალად ინატრა დეამ.

— აი, მაგას კი ველარ შეგპირდები... — იმედი გადაუწურა გიგოლამ.

— ამიტომაც მინდა, ვიცოდე, ის ტიპები ვინ იყვნენ და შენგან რა უნდოდათ.

— ვინ იყვნენ და ძაღლები... თბილისიდანვე კუდზე დამაჯდნენ თურმე და მოსკოვშიც მაგრად მწყემსეს...

— ცოტა უფრო გასაგებად ხომ ვერ ამიხსნიდი, შენგან რა უნდოდათ?

— რა ენდომებოდათ?! — ფული და ნარკოტიკები...

— შენ რომელი მიეცი?

— ორივე.

— შეგეშვნენ?

— დროებით კი.

— ახლა რა უნდა ქნა?

— მოვიფიქრებ რამეს. მაგრამ მე ახლა შენ უფრო მედარდები, — თავი ხელებში ჩარგო გიგოლამ.

— მე რატომღა გედარდები? — გაუკვირდა დეას.

— ჩემ გვერდით გნახეს — მოსკოვშიც ყოველ ნაბიჯზე გვითვალთვალებდნენ... ბადრის ოფისის პრეზენტაციაზე გადაღებული სურათებიც კი გადმომილაგეს: გინდა თუ არა, ეს გოგოც შენი „პადელნიკი“ იქნებაო...

— კი, მაგრამ ვის რაში დასჭირდა ეს ყველაფერი?

— ვიცი, ვინც მიმღვრევს წყალს, მაგრამ ვანანებ, თუ ვყოფილვარ გიგოლა!..

— ვისზე გაქვს ეჭვი?

— მამაძაღლ გიზო ჯღარკავაზე.

— მაგ კაცს ხომ მეც არ ვეხატები გულზე.

— ეხატები კი არა, პირველ რიგში, შენი „ზუბი“ აქვს...

— ჰო, ალბათ... — დაბნეულად ჩაილაპარკა დეამ. — ერთადერთ შვილს ვუუბედურებ და რისთვისღა დამინდობდა?!.

— მოკლედ, ახლა ასე უნდა მოვიქცეთ, — ირგვლივ საქმიანად მიმოიხედა გიგოლამ და ჯერაც გაუხსნელი ბარგი კმაყოფილმა შეათვალიერა, — კარგია, რომ არაფერი ამოგილაგებია. ხვალ დილით, ჩემი ბიჭები გამოგივლიან და აეროპორტში წაგიყვანენ.

— აეროპორტში რაღა დამრჩენია? — გაუკვირდა დეას.

— ისევ მოსკოვში უნდა წახვიდე... უკვე დავრეკე... ჩემი მეგობრის ბიჭი დაგხვდება... ცოტა ხანს იმათთან იცხოვრებ, მერე მეც ჩამოვალ და რამეს მოვიფიქრებ...

— რას ამბობ? სად უნდა წავიდე?! — შეიცხადა დეამ. — მერე თემო? სულ უპატრონოდ დავტოვო?! ან აქაურობას რა ვუყო?!

— თემოს, ბიჭები არავის დააჩაგვრინებენ, სახლს ლონდა მიგიხედავს. კიდევ რა გაინტერესებს?

— სწავლა?

— სწავლა მოიცდის.

— რას ამბობ?! როგორ თუ მოიცდის?!. დღე-დღეზე, დიპლომის წერა უნდა დავიწყო, მერე სახელმწიფო გამოცდებიც მომადგება კარზე. წელს ხომ უნივერსიტეტს ვამთავრებ?!.

— დაამთავრებ კიდეც, ოღონდ — გაისად, — გააწყვეტინა გიგოლამ.

— რა-ა?.. ხომ არ გადარეულხარ?!

— მაშინ ამოირჩიე: ან აქ დარჩები და შეიძლება, მარტო უნივერსიტეტიდან კი არ გაგრიცხონ, დაგიჭირონ კიდეც ან არადა, მოსკოვში წახვალ და ერთი წლის შემდეგ МГУ-ს დაამთავრებ...

— МГУ-ს?!. — თვალები გაუფართოვდა დეას. — იქ ვინღა მიმიღებს?

— დარდი ნუ გაქვს — მიგიღებენ: ბადრის ჩავაწყობინებ...

მოსკოვში ხელახლა ჩასული დეა, მისდა გასაოცრად, რაღაც ძალიან სასიამოვნოს მოლოდინმა შეიპყრო. ამიტომ ტრაპზე ხალისითაც კი ჩამოირბინა და რამდენიმე წუთში, აეროპორტის შესასვლელთან გაჩნდა. უცბად, იქვე მომლოდინე ჯგუფს ულამაზესი ახალგაზრდა მამაკაცი გამოეყო და გეზი პირდაპირ დეასკენ აიღო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კინომატოგრატოისტომი საფრანგეთისა და ამერიკის შორიგომას აპირომენ

ცნობილმა ჰოლივუდელმა რეჟისორმა ვუდი ალენმა გადაწყვიტა, აშშ და საფრანგეთი შეარიგოს. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სარეკლამო რგოლი, რომელშიც თვით ალენი, მსახიობი დე ნირო, მუსიკოსი უინტონ მარსალისი და მწერალი ჯორჯ პლიმპტონი თავიანთ თანამოქალაქეებს ფრანგული ნაწარმის ბოიკოტის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ.

როგორც ნობილია, მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა და გერმანიამ უარი განაცხადეს, მხარი დაეჭირათ ამერიკელების ოპერაციისთვის ერაყში, აშშ-ში, უფრო მეტად ფრანგულის, ვიდრე გერმანული საქონლის მიმართ, ბოიკოტირების ფართომასშტაბიანი აქცია დაიწყო. ჟაკ შირაკის „სიჯიუტემ“ კი, საქმე იქამდე მიიყვანა, რომ საფრანგეთში დასასვენებლად ჩამსვლელ ამერიკელ ტურისტთა რაოდენობა 15%-ით შემცირდა. კლიპის – „მოდით, კვლავ შევიყვაროთ“ მთავარი მიზანია, დაარწმუნოს ამერიკელები იმაში, რომ ფრანგები სულაც არ არიან მათი მტრები. „ბოლო დროს, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძალზედ გაუარესდა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ნებისმიერი უთანხმოება წარსულს ჩაჰბარდება და კვლავ ვიმეგობრებთ“, – ამბობს ალენი.

განთქმულმა რეჟისორმა არაერთხელ განაცხადა, რომ არანაირ ბოიკოტში არ მიიღებს მონაწილეობას. შარშან, კანის კინოფესტივალზე ვუდიმ ფრანგული კულტურა დაიცვა და რამდენიმე ებრაული ორგანიზაციის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელმაც ფრანგები ანტისემიტებად მოიხსენია. „ჩემი აზრით, ანტისემიტიზმთან ბრძოლაში ვინმეს მიმართ ბოიკოტის გამოცხადება უმართებულოა, – აღნიშნა მან. – ეს, ძალზედ მაგონებს იმ მეთოდებს, რომლის მეშვეობითაც მოქმედებდნენ ნაცისტები მეორე მსოფლიო ომის წინ, როცა ებრაელთა მიმართ შეუწყნარებლობის ატმოსფეროს ამკვიდრებდნენ“. ვუდი ალენმა ასევე განაცხადა: „მე არ ვაპირებ ჩემს ფრანგულ კარტოფილს „თავისუფლების კარტოფილი“ ვუწოდო, და მით უმეტეს, იმას, რომ ჩემს ცოლს „თავისუფლების კოცნით“ ვეამბორო. მე ფრანგული კოცნა ბევრად უფრო მიზიდავს...“ ■

კაცობრიობის გადამრჩენი 20-th Century Fox

ჰოლივუდში კომიქსების ეკრანიზაციის ნამდვილი ბუმია. ზებუნებრივი შესაძლებლობების მქონე ეკრანული პერსონაჟებიანი ფილმების გადაღებებმა, ფაქტობრივად, კონვეიერული ხასიათი მიიღო. ისეთი ცნობილი კინოსერიალების შემდეგ, როგორებიცაა „ადამიანობობა“, „იქსის ადამიანები“, „თავზეხელაღებული“, ჰოლივუდის კომპანიები გააფთრებით ნადირობენ ახალ საინტერესო სიუჟეტებზე, რომელიც კომერციულად მომგებიან კინოპროექტებს შეიძლება დაედოს საფუძვლად. მაგალითად, 20-th Century Fox-მა გამოაცხადა, რომ ფართო ეკრანებზე მალე გამოვა სურათი – „გამოჩენილ ჯენტლმენთა ლიგა“, რომელიც ამერიკელი მწერლის ალან მურის რომანისთვის შექმნილი კომიქსების ეკრანიზაციას წარმოადგენს. ფილმის სიუჟეტი ასეთია:

კაცობრიობას ტოტალური დამონების საფრთხე ემუქრება; როგორც ჩვეულებრივ, ასეთ დროს ხდება, გამოჩნდება გმირების ჯგუფი, რომელიც ამ შავბნელ ჩანაფიქრს აღუდგება წინ. დაბნეული მთავრობა ცნობილ ლიტერატურულ გმირებს – კაპიტან ნემოს, დეტექტივ ტომ სოიერსა და სხვებს დასახმარებლად მიმართავს; გუნდს სათავეში უდგას ბრენი ალან კვოტერმეინი, რომელსაც შონ კონერი განასახიერებს. ფილმის რეჟისორია სტივენ ნორინგტონი, რომელმაც კიდევ ერთი გახმაურებული სურათი – „ბლეიდი“ გადაიღო. მისი ბიუჯეტი 110 მლნ დოლარს შეადგენს, რომლის დიდი ნაწილი, როგორც სტუდიის მესვეურები აღნიშნავენ, „აქამდე არნახული სპეცეფექტების“ მომზადებას მოხმარდა. როგორც ჰოლივუდში ამბობენ, „გამოჩენილ ჯენტლმენთა ლიგა“ მიმდინარე ზაფხულის ყველაზე დიდი კინოსენსაცია იქნება. ამის მოლოდინი იმითაცაა გაპირობებული, რომ 20-th Century Fox-ს კომიქსების ეკრანიზაციის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი: სწორედ ამ სტუდიას ეკუთვნის „იქსის ადამიანები“, „თავზეხელაღებულები“ და კაცობრიობის გადამრჩენი, უამრავი ეკრანული გმირი. ■

ფრაზები

გენიალური

ბევრ ადამიანს გადაუტანია ტრაგედია, მაგრამ სოფოკლეს ყველას შესახებ როდი დაუწერია პიესა.

სტანისლავ ეჟი ლეცი

ჯიმ კერი განგსტერი გახდება

ჯიმ კერიმ გააფორმა კონტრაქტი Columbia picture-სთან, 1977 წელს გამოშვებული, ცნობილი კრიმინალური კომედიის – „დიკისა და ჯეინის მხიარული თავგადასავალი“ – რიმეიქში მონაწილეობის თაობაზე. სიუჟეტს საფუძვლად უდევს ახალგაზრდა ოჯახური წყვილის ამბავი, რომელიც იძულებულია, იქურდოს იმისათვის, რომ გადასახადები და სხვა ხარჯები დაფაროს. პროექტის რეჟისორია გახმაურებული ფილმის – „ადამიანები შავებში“ შემქმნელი ბარი ზონენფელდი. ეს უკვე მეორე რიმეიქია, რომელშიც ცნობილ კომიკოსს უახლოეს მომავალში გადაიღებენ. უფრო ადრე გავრცელდა ინფორმაცია კერისა და სპილბერგის ერთობლივი პროექტის თაობაზე, რომელშიც რეჟისორი 1947 წლის კომედიის – „უოლტერ მიტის საიდუმლო ცხოვრების“ განახლებას აპირებს. კინოგაქირავებაში ჯიმ კერის მონაწილეობით გამოსული ფილმებიდან ბოლო, „ყოვლისშემძლე ბრიუსია“, რომელიც აშშ-ის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების სიაში კვლავ მეორე ადგილს იკავებს. სურათის შემოსავალს თითქმის 140 მლნ დოლარი შეადგენს, რაც ამ ჟანრის ფილმებისთვის მეორე რეზულტატია კინემატოგრაფის ისტორიაში.



■

სტივენ სპილბერგი ლეონარდო დი კაპრიოს თათბირაკების შესახებ მიუზიკლს დადგამს



ავანტიურული ტრაგიკომედიის – „თუ შეგიძლია, დამიჭირე“ – წარმატებული გაქირავების შემდეგ, რომელმაც მარტო ამერიკის კინოთეატრებში 130 მილიონ დოლარზე მეტი დააგროვა, სტივენ სპილბერგმა წარმატების გამყარების მიზნით გადაწყვიტა, თავისი ქმნილება სცენაზე დადგას. რეჟისორი ბროდვეის ცნობილი მიუზიკლის – Hairspray-ს შემქმნელებთან, მარკ შაიმენთან და სკოტ ოტმენთან ერთად, აშშ-ის ისტორიაში ბანკების ყველაზე წარმატებული მძარცველის – ფრენკ ებეგნეილის ცხოვრების ამბის ადაპტირებას აპირებს.

ახალ მიუზიკლს საფუძვლად დაედება ებეგნეილის ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელმაც თავის დროზე, ამ ფილმის გადაღებისკენ უბიძგა სპილბერგს. როგორც პრესა იუწყება, ფორმალური მხარე მოგვარებულია და მიუზიკლზე მუშაობა ახლო მომავალში დაიწყება. თუმცა მთავარი როლების შემსრულებლები ჯერჯერობით უცნობია. შეგახსენებთ, რომ ფილმში ლეონარდო დი კაპრიო და ტომ ჰენკსი ვიხილეთ.

■

სტალონე თუფაქის მკვლელობას იძიებს

ფილმში, რომელიც ორი ცნობილი რეპერის – Notorious B.I.G-ისა და თუფაქ შაკურის მკვლელობას ეძღვნება. სცენარის ავტორად, რეჟისორად და მთავარი როლის შემსრულებლად სილვესტერ სტალონე მოგვევლინება.

მსახიობი ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივის, რეალური პოლიციელის, რასელ პულის როლს შეასრულებს, რომელიც თავის დროზე ამ საქმეს იძიებდა და სკანდალის მიზეზიც შეიქნა, როცა ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელები კორუფციაში დაადანაშაულა. პულის თქმით, ბიგისა და თუფაქის მკვლელობა შეთქმულების შედეგი იყო, რომელშიც პოლიციელებიც იყვნენ გარეულები. შეგახსენებთ, რომ რეპერების მკვლელობის დამკვეთები, რომლებიც მტრულად განწყობილ რეპერთა დაჯგუფებას მიეკუთვნებოდნენ, მაინც ვერ აღმოაჩინეს. თუფაქ შაკურის მკვლელობის ერთ-ერთ ყველაზე შესაძლებელ დამკვეთად ლეიბლის – Death Row-ს დამაარსებელს, ცნობილ იმპრესარიოს სიუჯი ნაიტს ასახელებენ, თუმცა ამის მტკიცებულებები არ არსებობს. სილვესტერ სტალონეს ფილმს სამუშაო სახელწოდება – Rampart Seandal აქვს. როგორც პრესა იუწყება, ამჟამად სლაი სიუჯ ნაიტთან აწარმოებს მოლაპარაკებებს იმისათვის, რომ ფილმში საკუთარი როლის სათამაშოდ დაითანხმოს. პროექტის წარმოებაში ჩაშვების თაობაზე ჯერჯერობით, არაფერს იტყობინებიან.

■

Ferrari საკუთარ შესაძლებლობებს გასცდა



სპორტული ავტომობილი Ferrari Enzo, სახელგანთქმული იტალიური ფირმის ნამდვილ შედევრს წარმოადგენს. კომპანიის ფუძემდებლის, ლეგენდარული მრბოლელისა და კონსტრუქტორის სახელის მქონე მანქანა ყველას აოცებს ტექნიკური მახასიათებლებით: 5998 კბ/სმ სამუშაო მოცულობის 12-ცილინდრიანი ძრავა 660 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. Enzo-ს ძარა ნახშირწყალბადისგანაა დამზადებული, ძრავა კი, მანქანის უკანა ნაწილშია მოთავსებული. მანქანა 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით, 19-დუიმიანი საბორბლე დისკებითა და კერამიკული მუხრუჭებითაა აღჭურვილი. უკანაამძრავიანი ავტომობილის მასა 1255 კგ-ს შეადგენს. მწარმოებელი ფირმის ტექნიკური მონაცემების თანახმად, 100 კმ/სთ სიჩქარეს Enzo 3,6 წმ-ში აღწევს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 350 კმ/სთ-ია. თუმცა, ცოტა ხნის წინ, ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ არ იყო დადასტურებული პრაქტიკული ცდებით. ექსტრემალურ რეჟიმში მანქანის ტესტირება არც მის ბედნიერ, პირველ მფლობელთა ასეულს ჩაუტარებია. ცდები მაისის ბოლოს, ქალაქ ფიორანოში მდებარე პოლიგონზე მოეწყო. აგრეგატის გასახურებელი, ორი წრისა და კიდევ ორი მოსამზადებელი წრის შემდეგ, მანქანა ე.წ. სატესტო მონაკვეთზე გავიდა. საჭეს Ferrari-ს მთავარი გამომცდელი-პილოტი ანდრეა ბერტონი მიუჯდა. მან ადგილიდან მოწყვიტა მანქანა, 100-მეტრიანი მონაკვეთი 3,53 წმ-ში დაფარა და ამგვარად, საქარხნო მაჩვენებელიც გაუუჯობესა. მომდევნო ტესტი – 160 კმ/სთ სიჩქარის განვითარების დრო – ასევე უკეთესი აღმოჩნდა: 6,4 წმ. ცდებზე მყოფებმა – Enzo-ს მთავარმა კონსტრუქტორმა ჯუზეპე პედროტამ და ტესტების ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა ჯიმანო ალბერგუციმ – კმაყოფილებმა დააფიქსირეს ახალი მაჩვენებლები, რომელიც მოგვიანებით, ოფიციალურ ტექნიკურ დოკუმენტაციაში იქნა შეტანილი.

მწარმოებელი ფირმა ამ მანქანას, ექსტრემალური სპორტული ავტომობილის კვალიფიკაციას ანიჭებს. Ferrari Enzo მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ოთხთვლიანი პროდუქტია. მისი საკატალოგე ფასი 645.000 ევროს შეადგენს, რომელშიც არ არის გათვალისწინებული კლიენტთა სურვილები. მანქანას მხოლოდ წინასწარი ჩაწერით, ინდივიდუალური კონტრაქტის მიხედვით დაამზადებენ, მსურველთა რაოდენობა კი იმდენად დიდია, რომ ბევრს რამდენიმე წელი მოუწევს დაცდა.

■

ხარიტეტების აღლუმი

ძველი ავტომანქანების ტრადიციულმა გადარბენამ – Mille Miglia (ათასი მილი), რომელიც ყოველწლიურად, ცენტრალურ იტალიაში ეწყობა, 19 ქვეყნიდან ჩასულ 372 გუნდს მოუყარა თავი. ტრასა ქალაქ ბრეშიიდან რომამდე გაიჭიმა და სულ 1600 კმ შეადგინა. წარსულში – 1927-დან 1957 წლამდე მოყოლებული – Mille Miglia ნამდვილ სპორტულ შეჯიბრს წარმოადგენდა, მაგრამ დღეს ის, ფაქტობრივად, საავტომობილო რარიტეტების აღლუმადაა ქცეული: გადარბენის წესების თანახმად, მასში მხოლოდ იმ მანქანებით შეიძლება მონაწილეობა, რომლებიც 1927-დან 1957 წლამდე იყო გამოშვებული.

პირველ გადარბენაში, მინოია–მორანდის იტალიურმა ეკიპაჟმა გაიმარჯვა, რომელიც ავტომობილით – OM 665 Sport-ით ასპარეზობდა. დისტანციის დასაფარად ლიდერებს 21 სთ და 4 წთ დასჭირდათ. პირველ წლებში, რბოლებში Alfa Romeo-თი მოასპარეზე ეკიპაჟები იმარჯვებდნენ. მაგრამ 1931 წელს, მათ ტრადიციულ ჩემპიონობას წერტილი დაუსვა Mercedes-Benz SSKL-მა, რომელმაც დისტანცია 16 სთ-სა და 10 წთ-ში დაფარა. 1940 წელს, პირველად გაიმარჯვა BMW 328-მ (8 სთ და 54 წთ). მეორე მსოფლიო ომის წლებში რბოლა არ იმართებოდა, ის 1947 განახლდა. ლიდერად უმალ Ferari იქცა, რომელიც პირველობას არავის უთმობდა 1957 წლამდე. Ferrari-ს გუნდის მრბოლელის, ალფონსო დე პორტაგოს ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, აღარ ჩაეტარებინათ რბოლა. Mille Miglia მხოლოდ 1977 წელს განახლდა, მაგრამ უკვე არა როგორც სპორტული შეჯიბრება, არამედ როგორც ძველი საავტომობილო ტექნიკის დათვალიერება, რომელიც მუდამ ათასობით მაყურებლის თვალწინ მიმდინარეობს. ■

იაპონური მინიკაბრიოლეტი

ფირმა Daihatsu-ს მანქანებმა კარგა ხანია, მყარი ადგილი დაიმკვიდრა ევროპულ ბაზარზე. კომპაქტური, საუცხოო მანევრირების მქონე, თანაც ეკონომიური „დაიჰაცუ“ განსაკუთრებით პოპულარულია დიდ ქალაქებში. თუმცა, ფირმას თავისი სამოდელო რიგის ყველა ნიმუში როდი გააქვს საექსპორტოდ. მაგალითად, იაპონიაში იყიდება მინიკაბრიოლეტი Daihatsu Copen, რომელსაც ასეთი გაბარიტები აქვს: სიგრძე – 3,40 მ, სიმაღლე – 1,25 მ, სიგანე – 1,48 მ; ორადგილიანი Smart-იც კი, მასზე ფართო (1,52 მ) და მაღალია (1,55). Copen აღჭურვილია 4-ცილინდრიანი ძრავთი, რომლის სიმძლავრე 64 ცხ.ძ-ს აღწევს და მახასიათებლებით მოტოციკლეტისას უახლოვდება. მაგალითად, Yamaha XJ 600S-ის ძრავა 61 ცხ.ძ-ს ავითარებს. მასის სიმცირის (800 კგ) წყალობით, Copen 160 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ის 5-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითა და 15-დუიმიანი საბორბლე დისკებითაა აღჭურვილი. მანქანის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ატრიბუტს, ელექტროამძრავიანი, დასაკეცი სახურავი წარმოადგენს. ევროპაში ანალოგიური სისტემით გაცილებით მაღალი კლასის, ძვირად ღირებული ავტომობილები აღიჭურვება – მაგალითად, Mercedes SLK. თუმცა, დაკეცილი სახურავი მანქანის მინიატურული საბარგულის საკმაოდ დიდ ნაწილს იკავებს.

ქალაქ ოსაკაში მდებარე, „დაიჰაცუს“ ქარხანა თვეში 1000 მანქანას აწარმოებს. მინიკაბრიოლეტის ევროპაში ექსპორტირება ჯერჯერობით დაგეგმილი არ არის, რადგან მცირე პარტიების მიწოდება არარენტაბელურია: საექსპორტო ვარიანტზე ხომ საჭე მარცხენა მხარეს იქნება გადასატანი, რაც მწარმოებლისთვის მხოლოდ მსხვილი პარტიის შემთხვევაშია ხელსაყრელი. ბოლოს დავძენთ, რომ იაპონიაში Copen 17.000 ევროს ეკვივალენტური თანხა ღირს. ■

სასწაულის მოლოდინში... ამერიკულ ციხეში

აკაკი გეგენავა

„პატიმრის სიზმარი სამოთხეს უნდა ჰგავდეს. შიგ თორმეტ-თორმეტ ოქტავიანი იადონები უნდა გალობდნენ, სიზმარი ოცნება უნდა იყოს, ცისარტყელასავით ჭრელი და ლამაზი...

სიზმარში არწივივით თავისუფალი უნდა იყო, ქვეყანას ზევიდან უნდა დაჰყურებდე მხარგაშლილი — რას იტყვი, შოშია?!“

გახსოვთ ალბათ ზაზა ნაკაშიძის ხილვა ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღებიდან“. ისიც გეხსომებათ, როგორ აუხდა სიზმარი და როგორ გაუფრინდა შოშია გოგოლაძე საკნიდან...

იქნებ, ისიც მითხრათ, რა გაქვთ საერთო შენ და ნაკაშიძესო?! თითქოს ბევრი არაფერი, მაგრამ უმთავრესი რამ საერთო გვაქვს — ისიც უდანაშაულოდ ხეხავდა ციხის კედლებს და მეც. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა საკანში, ის „თავის კედლებში“ ივჯდა. მე კიდევ, ცხრა მთას იქით გადახვეწილი, რომელიღაც შავკანიანი ნარკოდილერის ხრიკებს ვეწირები — სრულიად უდანაშაულო ვარ და ვერაფრით ვახერხებ ამის დამტკიცებას. ვერც ვერავის ვაწვდი ხმას. ვარ ჩაკარგული ამერიკული ციხის ლაბირინთში და ველოდები სასწაულს. და რაც მთავარია, მჯერა, რომ სასწაული ამერიკულ ციხეშიც კი შეიძლება მოხდეს.

მთა მთას არ შეხვდება, თორემ...

ადვილი საქმე არ იყო ამერიკულ სახალხო საპატიმროში ვჯდომა. საპატიმროში, სადაც ისე ხარ ჩაკარგული მსჯავრდებულთა უზარმაზარ მასაში, რომ თუ არსებობ, აღარც კი იცი. ერთადერთი, რაც რეალურ სამყაროსთან მაკავშირებდა, რკინის უპროპორციო ფირფიტა იყო, რომელზეც ჩემი პირადობის ნომერი ეწერა... შინაგანი სტრესი უკიდურეს ზღვარს უახლოვდებოდა.



ჰოდა, ასეთ დათრგუნვილ მდგომარეობაში მყოფი ჩემს წილ „ბალანდას“ ვიღებდი რკინის მათლაფით და სრულიად მოულოდნელად, „ეი, ზემლიაკ“, — დამიძახეს. ჭკუიდან თუ არ შევიშლებოდი, არ მეგონა. ახლა რუსული ენა ჩემთვის მშობლიურად ქცეულიყო. გაფართოებული თვალებით მხსნელად მოვლენილი ანგელოზივით ვუყურებდი რუს პატიმარს, რომელიც იმ დღეს საკნებში სადილს არიგებდა. ვუყურებდი და გაოგნებულს ხმა ვერ ამომეღო.

— ვერ მიცანი, არა? მე კიდევ, გუშინ რომ მოგიყვანეს, საკნიდან დაგინახე და მაშინვე გამახსენდი... — კეთილად მიღიმოდა მაღალი, ქერა, რუსი მამაკაცი.

— კი, მაგრამ მე რომ ვერაფრით გიხსენებთ? — როგორც იქნა, ამოვღერღე.

— ბრუკლინი, რესტორანი „Золотое кольцо“, კისა... — დაიწყო ჩამოთვლა ქერამ.

— მერე?..

— რა მერე, მეც იქ ვიყავი ხოლმე, თითქმის ყოველ საღამოს. შენ გიტარაზე უკრავდი, შუფუტინსკის სიმღერებს მღეროდი, თანაც სულ კისასთან ტრიალებდი, რესტორნის დედოფალთან!.. მაშინ ძალიან მშურდა შენი!.. — ისევ გამიღიმა რუსმა პატიმარმა.

ამასობაში, ეტყობა, ოფიცერი მიხვდა, რომ საუბარი გავაბით და ქვემოდან დაიღრიალა: Let`s go (დაუჩქარე, ნუ ჩერდები)!..

— ახლა უნდა ავახვიო, თორემ, ხომ ხედავ, რა დღეშია ეს ამერიკელი ფაშისტი... გასასეირნებლად რომ გამოგიყვანენ ეზოში, იქ შევხვდებით... აბა, კარგად, ძმაო!.. — მითხრა უცნობმა ნაცნობმა და ჩემს საკანს მოშორდა.

ვიდექი გისოსებთან და უაზროდ დავყურებდი წვნიანით სავსე მათლაფას. ამ მოულოდნელმა შეხვედრამ კიდევ უფრო ამაფორიაქა, კიდევ ერთხელ შუბლით შემავლახა მწარე სინამდვილეს. ვიდექი და ადგილიდან დაძვრა ვერ მომეხერხებინა.

ფიქრებიდან მსუბუქმა მუჯლუგუნმა გამომიყვანა. ჩემი თანასაკნელი მოხუცი ზანგი ახლოს მოსულიყო და მათლაფაზე მანიშნებდა, — ეტყობა, შენ არ მოგწონს და მომეციო.

მექანიკურად მივაწოდე სავსე მათლაფა მოხუც პატიმარს. მან ხელის სწრაფი მოძრაობით მათლაფა ხელიდან გამომტაცა და თავისი საწოლისკენ გააქანა. მოუხერხებლად ჩამოჯდა და კოვზი არც უხმარია, პირდაპირ მიიყუდა თეფში პირთან და ხმაურით ამოხვრიპა წვნიანი. მერე, კმაყოფილი სახით გადმომხედა, საწოლზე არხეინად წამოგორდა, თვალი ჩამიკრა და ღიღინი დაიწყო. აშკარა იყო, ზანგი მშვენიერ ხასიათზე დადგა. შეიძლება ითქვას, ამ კაცს ვერაფერი გავუგე. თუმცა დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ ყველაფერი რიგზე ვერ ჰქონდა, აშკარად ფსიქიკური აშლილობა სჭირდა ან სულაც უფრო უარესი რამ. სიბრალულის გრძნობასთან ერთად შიშიც დამეუფლა. თან მეცოდებოდა, თან კიდევ მეშინოდა ამ გამოუცნობი, ზანგი პატიმრის. არა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, უნდა გამეგო, ვისთან მქონდა საქმე.

— ბაბუ, ძალიან გიყვარს ჭამა? — თანაგრძნობით ჩავეკითხე საწოლზე წამოგორებულს.

— ჰო, აბა რა! შენი წილიც მომეცი ხოლმე!.. — უცერემონიოდ გამომიცხადა. ორი დღე ერთ საკანში ვისხედით და მხოლოდ ახლა დამიწყო გაშინაურება.

— კარგი, გაჭმევ, როცა არ მენდომება, ან არ მომეწონება! — დავყაბულდი და ჩემი „პირობებიც“ წარვუდგინე.

— არა, შენ ვერ გაიგე, როცა არ მოგეწონება კი არა, ყოველთვის უნდა მომცე საჭმელი. შენ რად გინდა, მერეც მოასწრებ ჭამას, მე კიდევ მალე უნდა მოვკვდე... — მოისაწყლა თავი ზანგმა პატიმარმა.

— რა დროს სიკვდილია, ჯერ ისევ ყოჩაღად გამოიყურები!.. — ვცადე გამემხნევებინა.

— არ მომცემ საჭმელს და იცოდე, ბილის ვეტყვი! — პირდაპირ შეტევაზე გადმოვიდა ზანგი. ამ მუქარამ სულ მთლად ამირია გონება:

— აბა, ერთი კარგად გაიმეორე, ვის ეტყვი?

— ვის და ბილის!

— ვინ არის ბილი?

— რომ გაიგებ, მერე გვიან იქნება!.. — ისევ მკაცრი ტონით გამომიცხადა და კედლისკენ გადაბრუნდა. ამით მიმანიშნა, აუდიენცია დამთავრებულიაო.

კვლავ მარტო დავრჩი ჩემს ფიქრებთან. მოხუცი ზანგის საქციელმა რაღაც ეჭვები კი გამიჩინა, მაგრამ ახლა ამ ეჭვებისთვის ნაკლებად მეცალა. ახლა იმ რუს პატიმარზე ვფიქრობდი, ჩემი დანახვა რომ ძალიან გაუხარდა და ერთი სული მქონდა, სასეირნოდ როდის გამიყვანდნენ, რომ შევხვედროდი და მისი წყალობით მაინც გამეგო დაწვრილებით, ამერიკული ციხის კანონები...

ამასობაში შეუმჩნევლად გაირბინა რამდენიმე საათმა. სადილის დროც მოვიდა. მეგონა, ის რუსი პატიმარიც მოჰყვებოდა ურიკას, მაგრამ ამჯერად სხვები მოვიდნენ. სენდვიჩის მოზრდილი ნაჭრები და ფორთოხლის წვენი დაგვირიგეს. მოხუცი ზანგი მკვირცხლად წამოხტა და თავისი ულუფა აიღო. მეც მშვიდად გამოვართვი სენდვიჩი მორიგე პატიმარს, ტოლჩაში ფორთოხლის წვენი ჩამისხეს. ნახევარი იქვე დავლიე და ჩემი საწოლისკენ გავემართე, რომ გემრიელად მესადილა. სენდვიჩი ძალიან მიყვარს. ის-ის იყო, სენდვიჩი პირისკენ წავიღე, რომ გახელებული მომვარდა მოხუცი ზანგი და ხელიდან წამგლიჯა.

ამას კი ნამდვილად არ მოველოდი.

— ეე, ბაბუ, რას შვრები, საჭმელს მაწერ?!. — წამოვიყვირე.

— ხომ გითხარი, შენი წილი მე უნდა მომცე-მეთქი, გაიგე? — აგდებულად მიპასუხა ზანგმა. გამომწვევად ეჭირა ორივე ხელში სენდვიჩები — ჩემი და თავისი! ხან ერთს ჩაკბეჩდა, ხან მეორეს და საწოლზე ჩამომჯდარი, ფეხებს ჰაერში არხეინად ათამაშებდა.

ვერაფერი გავიგე! გამოდიოდა, რომ ეს უხასიათო მოხუცი ზანგი მჩაგრავდა — საჭმელს მართმევდა! თან როგორი საქმეა? — რომ ვეჩხუბო, არავინ გამამართლებს, მოხუცს მოერია და დაჩაგრაო, იტყვიან. არადა, ვერც ვერაფრით დავამტკიცებდი, რომ საჭმელს მართმევდა. საგონებელში ჩავვარდი, გამოსავალს ვეძებდი და ვერ ვპოულობდი.

— ბაბუ, გამოდის, რომ ჩემი საჭმელი სულ შენ უნდა მოგცე? — დავიწყე მოხუცის ხელახალი „დაკითხვა“.

— ჰო, ჰო, ასეა! — დაუფიქრებლად მიპასუხა, თან პირი არ გაუჩერებია, ეტყობა, მასაც უყვარდა სენდვიჩი, გემრიელად შეექცეოდა.

— მერე, მე რომ მომშივდება, რა ვქნა?!

— რაც გინდა, ის ქენი, რა ჩემი საქმეა! — აგდებულად მიპასუხა.

— იქნებ, უფრო თავაზიანად აგეხსნა, ბებერო!.. — უკვე ვბრაზდებოდი.

— რა გამიჭირე საქმე, ბიჭო, შენ! ხომ გითხარი, ბილის ვეტყვი-მეთქი! — ისევ დამემუქრა.

— ბოლოს და ბოლოს გამაგებინე, ვინ არის ეს შენი ბილი?! — წამოვვარდი საწოლიდან და ის-ის იყო, ზანგს უნდა ვცემოდი, რომ ღრიალი მორთო:

— ბილი! ბილიი!!! ეს რუსი საჭმელს მართმევს, უთხარი რამე, ამის!..

მოხუცი თან ყვიროდა და თან სადღაც გვერდით საკნისკენ იხედებოდა.

— ეე, რუსო, შენი!.. ჭკუაზე მოდი, თორემ მაგ ნეკნებს დაგამტვრევ!.. — მომესმა მეზობელი საკნიდან ვიღაცის ხრინწიანი ხმა... გაცეცხლებულმა ისიც კარგად შევამჩნიე, რომ ზანგმა სენდვიჩები ბოლომდე ვერ აითვისა და დარჩენილი ნაჭრები პირდაპირ „პარაშაში“ გადაუძახა. მერე ოლიმპიური სიმშვიდით გაიშხლართა საწოლზე, კედლისკენ გადაბრუნდა და თავი მოიმძინარა...

აშკარა იყო, პატიმრები რაღაც ბინძურ თამაშში მითრევდნენ, მაგრამ ვერ გამერკვია, რას მთავაზობდნენ, და რაც მთავარია, არც ამ თამაშის წესები ვიცოდი. ბოლო იმედად ის რუსი პატიმარი დამრჩა, რომელსაც სასეირნოდ გასვლისას თუ ვიპოვიდი. სამწუხაროდ, იმ დღეს არავის გახსენებია ჩემი სუფთა ჰაერზე გაყვანა. ვიჯექი საწოლზე და სევდიანად ვუყურებდი ხან ზურგშექცეულ ზანგს, ხან კიდევ მოპირდაპირე მხარეს საკნებში გამომწყვდეულ პატიმრებს.

არც საღამოს მომიწია ჭამა. ქათმის შემწვარი ბარკლები და მოხარშული ბრინჯი მოხუცმა ერთიანად მოხვეტა (ჩემი და თავისი წილიც), ქორივით გადაეფარა და გამგელებით დაიწყო ჭამა. ამდენი მოულოდნელობისგან ისე ვიყავი განცვიფრებული, რომ წინააღმდეგობის გაწევის თავიც აღარ მქონდა. წყნარად ვიჯექი ბედს შეგუებულივით და ვუყურებდი, რას იზამდა ეს გათავხედებული მოხუცი ზანგი. მან კი, ვითომც აქ არაფერიაო, ხორცი ბოლომდე მიირთვა, ბრინჯს კი ისევ „პარაშაში“ მიუჩინა ადგილი!

დღემ ისე ჩაიარა, რომ ფორთოხლის წვენის მეტი პირში არაფერი ჩამსვლია. ვგრძნობდი, თუ ასე გაგრძელდებოდა, სასოწარკვეთა თუ არა, შიმშილი მაინც მომკლავდა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ცალკე შიმშილი მაწუხებდა, ცალკე — იმაზე დარდი, რომ არ ვიცოდი, რა განაჩენს მიმზადებდა ჩემი თანასაკნელი მოხუცი ზანგისა და ვიღაც თავზეხელაღებული ბილის ალიანსი. დროდადრო მოხუცს შევავლებდი თვალს, რომელიც გაჭიმული იწვა და არხეინად ხვრინავდა.

როგორც იქნა, გათენდა. საუზმის დროც დადგა. წინასწარ გულში ვიმეორებდი ფრაზებს, ღორმუცელა ზანგისთვის რომ უნდა მეთქვა, თუ იგი კვლავ დააპირებდა ჩემი ულუფის ათვისებას. თუმცა, საუზმე რომ ჩამოატარეს, მოხუცმა მშვიდად აიღო თავისი წილი, ასევე მშვიდად გადმომხედა და დიდსულოვნად მითხრა:

— გეყოფა გუშინდელი შიმშილი. აიღე შენი წილი. აი, შემდეგ კი როგორ იქნება საქმე, ეგ იმაზეა დამოკიდებული, მომავალში როგორ მოიქცევი...

— კი, მაგრამ ვინ უნდა გადაწყვიტოს ჩემი მომავალი? — ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილმა ვკითხე.

— ვინ და ფულმა, ფულმა და ბილიმ! მოკლედ, შეხვდები და იქ გადაწყდება შენი

მომავალი! — ცივად მომიჭრა ზანგმა და მივხვდი, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, მეტს მაინც არაფერს მეტყოდა.

ჩემთვის კი გავიფიქრე, მეტი საქმე არა მაქვს, ვიღაც ბილის ჭკუაზე ვიარო-მეთქი, მაგრამ მთლად არხეინად მაინც ვერ ვგრძნობდი თავს.

„კანონი“ ყველა ცხეში კანონობს!..

ოლბანის სახალხო ცხეს, ისევე როგორც ყველა საპყრობილეს ნებისმიერ ქვეყანაში, თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონები ჰქონდა. დღეში სამჯერადი კვება იყო, სხვათა შორის, ბევრად იმაზე უკეთესად გვანაყრებდნენ, ვიდრე საბჭოთა სანატორიუმებში... მენიუში ხილი და ტკბილეულიც კი იყო ჩართული. კვირაში ორჯერ ახალი გაზეთები შემოჰქონდათ. წიგნის მოთხოვნაც შეიძლებოდა. კვირაში სამჯერ საკნის კარი იღებოდა და პატიმრებს შეეძლოთ, რამდენიმე საათით თავისუფლად ევლოთ... სწრაფად ივსებოდა ხოლმე საპატიმროს ეზო „თავისუფალი“ ტუსაღებით. ვინ კალათბურთს თამაშობდა, ვინ ფეხბურთს, ვინ ბადმინტონს... ვინ უბრალოდ დარბოდა ან სულაც ბოლთას სცემდა. კრივისა და ჭიდაობის მოყვარულიც მრავლად იყო...

ინტერესით ვათვალიერებდი ყველაფერს. რატომღაც მეგონა, ყველამ იცოდა, რომ ახალი ვიყავი და თუ ჩემს გაცნობას მოისურვებდნენ, მოვიდოდნენ და მკითხავდნენ, ვინ ვიყავი, საიდან და რატომ მოვხვდი აქ. მეც ჩემს დარდს გავუზიარებდი მათ და ვინ იცის, იქნებ რომელიმეს რაღაც გზაც ესწავლებინა ამ გაურკვეველი მდგომარეობიდან გამოსასვლელად... მაგრამ ნურას უკაცრავად, თითოეულს საკუთარი სამყარო ჰქონდა და შენი აკაკი გეგენავა არავის ენაღვლებოდა.

როცა კარგად დავაკვირდი სასეირნოდ გამოფენილებს, ერთი კანონზომიერება შევნიშნე. პატიმრები ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვნენ. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისი იყო, რომ მიხვედრილიყავი, ვინ ქურდი იყო, ვინ ნარკომანი, ვინ კიდევ — ცისფერი. ცისფერების ჯგუფი ისეთი კაშკაშა ფერებით იყო აჭრელებული, თავიდან ისიც კი ვიფიქრე, საკონცერტო ნომერს ხომ არ ამზადებენ-მეთქი. მერე კი, ცისფერების გვერდით ქალებიც შევნიშნე. თან გამიკვირდა და თან გამიხარდა, მამაკაცებთან ერთად ეზოში ქალებიც რომ სეირნობდნენ. ქართულმა სისხლმა თავისი გაიტანა და მეც ქალებისკენ წავედი. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მათ ჯგუფს, მით უფრო გამომწვევად ჩანდა ღრმა დეკოლტეები და მოკლე კაბები — მაგრამ ეს, რაღაც გარკვეულ დისტანციამდე. იმის იქით რომ გადავდგი ნაბიჯი, თქვენს მტერს, რაც მე დამემართა, — არაფერი ისეთი ამაზრზენი არ ყოფილა, როგორც ქალის ტანსაცმელში ექსტრავაგანტურად გამოწყობილი, უამრავი, ერთად თავმოყრილი ცისფერი... მათ ჯგუფთან მიახლოება და გველნაკბენივით უკან გამოქცევა ერთი იყო. საბედნიეროდ, ცისფერებს ჩემი არც მისვლა შეუნიშნავთ და არც უკან გამოქცევა. ისე იყვნენ ერთმანეთის ალერსში გართულები, გარშემო ველარაფერს ამჩნევდნენ...

გაოგნებული გამოვბრუნდი და იმ ერთადერთ ნაცნობ რუსს დავუწყე ძებნა, მაგრამ ამ არეულობაში ძნელი იყო, ადვილად გეპოვა ვინმე.

მოულოდნელად ჩემ წინ ისეთი ვაიუშველებელი ატყდა, გული შიშისგან გადამიქანდა. ექვსი პატიმარი ერთს ურტყამდა. ის ერთი თავიდან კი უმკლავდებოდა, თითოეულს გვარიანი მუშტიც აგემა და წიხლიც, მაგრამ ბოლომდე ვეღარ შეძლო გამკლავება და... მიწაზე აღმოჩნდა გაშხლართული. მოჩხუბრებსაც მეტი რა უნდოდათ და ზედ შედგნენ. ისე გამეტებით ურტყამდნენ, რომ ცოტა ხანში წაქცეულს ხელის განძრევის თავიც აღარ ჰქონდა, ბოლოს კი ისე გაითიშა, ძნელი გასარკვევი იყო, სუნთქავდა თუ არა. „მეორე მხარესაც“ მოჰბეზრდა მომაკვდავის თუ მკვდრის ცემა და სასწრაფოდ გაშორდნენ. დარჩა საცოდავი, მტვრიან მიწაზე, მზის გულზე უპატრონოდ დაგდებული. კაციშვილი არ გაჰკარებია. თითქოს ეზოში სისხლიანი კაცი კი არა, უზარმაზარი ლოდი ეგდო და მეტი არაფერი... ყველაზე განსაცვიფრებელი და აღმაშფოთებელი ის იყო, რომ არც ზედამხედველებს მიუქცევიათ ამ ინციდენტისთვის ყურადღება. არადა, ზედამხედველი საკმაოზე მეტიც იყო. ისინი ზემოდან გადმოჰყურებდნენ ეზოს, ეს ჩხუბიც მშვენივრად დაინახეს, მაგრამ ადგილიდან არავინ დაძრულა, თითქოს მათ მოვალეობაში მოჩხუბართა გაშველება არ შედიოდა...

მხარზე ვიღაცის ხელის დადებამ გამომაფხიზლა. თავი ავწიე და ისეთი შავი მამაკაცი შემრჩა ხელში, ლამის გული წამივიდა, ძლივს გავარჩიე მისი თვალები. თანაც ხელი ისეთი ძალით ჩამავლო მხარში და ისეთი აგრესიული ჩანდა, რომ გავიფიქრე, — ეჰ, კაკო, შენი აღსასრულიც მოვიდა-მეთქი.

— შენა ხარ ის რუსი, ძია ჯოს საჭმელს რომ არ აძლევ? — ამერიკული სლენგით ჩაისისინა.

— ... ჰო, თუმცა არა... — ერთბაშად ენა ჩამივარდა და ლამის ჩავიკეცე, როცა ჩემკენ მომავალი ის ხუთი კაცი დავინახე, წელან ერთი მოწინააღმდეგე რომ მიასიკვდილეს...

— საიდან ხარ? — ახლა შეკითხვის თემა შეცვალა ზანგმა.

ვერ გეტყვით, შიშმა თუ თავდაცვის ინსტინქტმა, მაგრამ ფაქტია, რაღაც ძალამ მაიძულა, გონება მომეკრიბა და ჩემი შესაძლებლობების მობილიზება მომეხდინა. ჯარისკაცივით გავიჭიმე და გარკვევით, საკუთარ თავში დაჯერებულმა ვუპასუხე:

— ბრუკლინელი ვარ, ძმებო!.. „ჩარჩის“ რაინონის იანკები ჩემი მეგობრები არიან... — ერთბაშად გავხდი ბრუკლინელი და ჩემს მეზობლად მცხოვრები ზანგებიც გამახსენდა, ძველი ბიჭები, რომლებთანაც, ასე თუ ისე, ავაწყვე ურთიერთობა...

— ბილის იცნობ? — მკითხა ზანგმა.

— ბილის როგორ არ ვიცნობ... მისი ბებია და მე მეგობრები ვართ... — ახლა კი მართლა ამოვისუნთქე. იმ ბილიზე მეკითხებოდა, სამი თვის წინ რომ გავიცანი და დავუმეგობრდი. ბილი ჩვენი კვარტალის ყოჩი იყო.

— ძალიან კარგი, მაშინ ერთმანეთს გავუგებთ. ისე, მეც ბილი მქვია... — გამიღიმა და ისეთი თეთრი კბილები გამოაჩინა, თვალი ამიჭრელდა.

ეს უკვე წარმატება იყო, დაძაბულობაც მომეხსნა და ღრმადაც ამოვისუნთქე.

— გინდა ციხეში წყნარი ცხოვრება? — ისევ ბილი მეკითხებოდა.

— რა თქმა უნდა! — იყო ჩემი პასუხი.

— სიმშვიდე ფული ღირს! თვეში შენს გადასახადს გადაიხდი და მორჩა, ხელს ვერავინ გახლებს. ისე, ბილის ხათრით, ცოტა შეღავათი გექნება!

— რამდენია გადასახადი?

— ამას ჯო გეტყვის! — მოკლედ მომიჭრა და სწრაფად შეტრიალდა. თავის ამფსონებთან ერთად თვალს მიეფარა, ეტყობა, კიდევ ბევრი საქმე ჰქონდა გასარჩევ-მოსაგვარებელი...

■

წარმგახეთქილი კლიჩკო მატჩ-რევანშისთვის ემზადება

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, ლოს-ანჯელესში ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა უკრაინელი ვიტალი კლიჩკო ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა და სუპერმძიმეწონით კატეგორიაში WBC/WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. მაგრამ ამ მატჩის შესახებ მითქმა-მოთქმა მსოფლიო მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში დღემდე გრძელდება. ლენოქს ლუისი და მისი ქომაგები მიიჩნევენ, რომ უკრაინელი, შეხვედრის ასეთი შედეგით ბედნიერიც კი უნდა იყოს. „მას უბრალოდ გაუმართლა, ექიმებმა ორთაბრძოლა რომ შეაჩერეს", — ამბობს ლენოქსი, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ მანამდე, ქულებით (56:58) აგებდა. „მისი სახე თუ გინახავთ?!.." — არ ცხრება ბრიტანელი მოკრივე და ყველას კიდევ ერთხელ ახსენებს იმას, რომ მესამე რაუნდიდან, ვიტალის სახე თითქმის მთლიანად სისხლით ჰქონდა მოსვრილი. სწორედ მარცხენა გახეთქილი წარბის გამო აღარ მისცეს ორთაბრძოლის გაგრძელების უფლება კლიჩკოს ექიმებმა და მსაჯებმა და მისი შავკანიანი მეტოქე გამოაცხადეს გამარჯვებულად. მატჩამდე ჩემპიონი იმუქრებოდა, რომ მეტოქეს პირველი ხუთი რაუნდის განმავლობაში ჩააგდებდა ნოკაუტში... „კლიჩკოს რეალურად ვაფასებდი. თუმცა, მან რამდენიმე კარგი კომბინაციაც ჩაატარა. საერთოდ კი, ცოტა უცნაური ბრძოლის მანერით გამოირჩევა", — თქვა ლენოქსმა, რომელმაც კლიჩკოს მაინც ვერ აგემა თავისი ცნობილი დარტყმა მარჯვენით. შესაძლო მატჩ-რევანშის თაობაზე დასმულ კითხვაზე კი, ასე უპასუხა: „თუ დიდ ფულს გადამიხდიან — რევანშიც შედგება".

პრეტენდენტი მატჩამდე, გაცილებით თავშეკავებული იყო. მაგრამ ახლა, მატჩ-რევანშის წყურვილითაა შეპყრობილი და ამჟამად, როგორც ჩანს, ფული მისთვის მეორეხარისხოვანია. „ყველაფერს კარგად ვხედავდი და ორთაბრძოლის გაგრძელებაც შემეძლო. თავს კარგად ვგრძნობდი და მის ყოველ დარტყმას ვაფიქსირებდი", — თქვა მატჩის დასრულებისთანავე ვიტალი კლიჩკომ, რომელიც რევანშის აღებას წელსვე, ნოემბერ-დეკემბერში ეცდება, თუ რა თქმა უნდა, მისი მეტოქე განმეორებითი შეხვედრის გამართვაზე დათანხმდება. „ექიმთა გადაწყვეტილება ლუისისათვის ერთადერთი შანსი იყო, — ამბობს უკმაყოფილო პრეტენდენტი. — იგი მეხუთე რაუნდში ჩემი ნოკაუტში გაგზავნის შესახებ ადრეც ლაპარაკობდა. მე ნამდვილად შემეძლო გამარჯვება. მე-11 ან მე-12 რაუნდში ნოკაუტში ჩავაგდებდი. ლუისს ჩემთვის მაგრად არც ერთხელ არ დაურტყამს. მის ყველა დარტყმას ვხედავდი და ორთაბრძოლა რომ არ შეეჩერებინათ, გავიმარჯვებდი კიდეც. ჩემპიონობა მსურს და ამას აუცილებლად მივაღწევ!" ■



ტაისონი არ ცხრება

მაიკ ტაისონი კვლავ მოექცა სამართალდამცავთა ყურადღების ცენტრში. ამჯერად რკინის მაიკმა ორი ესპანელი გალახა, რომლებთანაც ბრუკლინში „მერიოტის" სასტუმროში რაღაც ვერ გაიყო. მიუხედავად სუპერმძიმეწონოსნის მეტისმეტად უარყოფითი რეპუტაციისა, აღმოჩნდნენ მოწმეები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მაიკი დამნაშავე არ ყოფილა. ინციდენტი სასტუმროს ჰოლში მოხდა. თავიდან მოწინააღმდეგეები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი, როგორც ჩანს, ერთ-ერთმა ესპანელმა რიგიანად ვერ გაცნობიერა ის, თუ ვისთან ჰქონდა საქმე და რკინის მაიკს სკამი მოუღერა. აი, ეს უკვე მეტისმეტი იყო და თუ რა მოჰყვა ამას, ალბათ ძნელი წარმოსადგენი არავისთვის არ უნდა იყოს. ერთი სიტყვით, დამთხვეულმა ტაისონმა გაგულისებული მეტოქე სცემა და მისი მეგობარიც ზედ მიაყოლა. აი, დაზარალებულებიც: 24 წლის ნესტორ ალვარესი და 31 წლის სამუელ ვალესი, რომლებსაც ქალიც ახლდათ, თუმცა, მისი როლი ამ ინციდენტში ჯერ ვერ დაუდგენიათ. ჩხუბი დროულად შეაჩერა პოლიციამ, რომელმაც შფოთისთავების გაშველების შემდეგ, ტაისონის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მამაკაცი და ქალი უახლოეს ჰოსპიტალში წაიყვანა, სადაც მათ სხეულის სხვადასხვა დაზიანება აღმოუჩინეს. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ტაისონსაც და დაზარალებულებსაც ერთი რამ აერთიანებთ: მათ ერთად დაარღვიეს საზოგადოებრივი ქცევის წესები, რის გამოც ისინი ნიუ-იორკის პოლიციამ ვითარებაში გარკვევის მიზნით დააკავა. პოლიციელთა განცხადებით, ამ ეტაპზე უცნობია, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია ინციდენტი, ამიტომ ტაისონის მომავალი ბედიც გაურკვეველია. ■

ალმიონელები 70-იან წლებს უმტკნდებიან

ინგლისში საფეხბურთო სეზონი უკვე დიდი ხანია, რაც დასრულდა, მაგრამ ალბიონელი გულშემატკივრები ჯერაც ვერ გამოსულან განვლილი ბატალიების შთაბეჭდილებებიდან. ხშირად კი, ისინი მომავალი სეზონის შესახებაც ბჭობენ, რომლის ერთ-ერთ სიახლედაც ახალი ეკიპირება უნდა იქცეს. სხვათა შორის, ჩვენებაპრეზენტაცია ადგილობრივმა სამოდელო სააგენტოებმა უკვე გამართეს კიდეც. ახალი ეკიპირების სიახლე ძირითადად, იმაში მდგომარეობს, რომ იგი სატინისა

და პოლიესტერისგანაა დამზადებული. სხვათა შორის, სკეპტიკურად განწყობილმა კრიტიკოსებმა უკვე შენიშნეს, რომ ახალი ფორმა მათ გასული საუკუნის 70-80-იანი წლების საფეხბურთო ეკიპირებას მოაგონებთ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია. ჯერჯერობით, სავაჭრო ქსელში მხოლოდ ტრუსები გაუშვეს, თუმცა პროექტის ავტორები აცხადებენ, რომ მალე, მაისურების რეალიზაციაც დაიწყება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სიახლემ მოდის სამყაროში ნამდვილი ფურორი მოახდინა. ლონდონის ფეშენებელურ რაიონში მდებარე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მაღაზიის მფლობელის თქმით,ფეხბურთის ახალი ეკიპირება უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და ჩვეულებრივ, დღეში თითო პარტია იყიდება. ■

ახალდაქორწინებულ წყვილს — თამთა გოგუაძესა და აჩიკო ცანკაშვილს (ჯგუფის — „ისინი“ ყოფილი წევრი) პირველად, ქორწილამდე შევხვდი. თამთასთან აღნიშნული რუბრიკისთვის ინტერვიუს ჩაწერაზე ვიყავი მოლაპარაკებული, მაგრამ როგორც იცით, ისინი სულ ორი-სამი კვირაა, რაც შეუღლდნენ და გასულ შაბათს, რესტორან „არაგვში“ გრანდიოზული ქორწილი გადაიხადეს. ბუნებრივია, მეორე შეხვედრისას, ჩვენი საუბარი მანქანასთან დაკავშირებულ ამბებს გასცდა და წყვილის შეუღლებასა და ქორწილსაც გადასწვდა.

„თამთა გოგუაძის ქმარი კი არა, მგონი, მძღოლი უფრო ვარ...“

ნინო ჯავახიშვილი

— **თამთა, ქორწილამდე ორივე ამბობდით, რომ გსურდათ, სანახაობრივად არაჩვეულებრივი ქორწილი გადაგეხადათ, ყველას რომ დამახსოვრებოდა. მართლა ორიგინალური ქორწილი გქონდათ?**

— ჯვარი მცხეთაში, სვეტიცხოველში დავიწერეთ. ასე, 300-მდე სტუმარი გვყავდა. ნუგზარ კვაშალი თამადობდა და როგორც მიხვდით, ხალხს არ მოაწყენდა. თითქმის მთელი შოუბიზნესის წარმომადგენლები იქ იყვნენ. ყველამ კარგად მოულხინა. თემურ წიკლაურმა, თემურ თათარაშვილმა, ვახტანგ ტატიშვილმა, ჯგუფმა — „ისინი“ ბედნიერება სიმღერით მოგვილოცეს. მე და აჩიკომაც ვიმღერეთ. აჩიკო ისე შეიჭრა როლში, სცენიდან ვეღარ ჩამოჰყავდათ. სიმღერა კი არა, მე და აჩიკომ „ქართულიც“ კი ვიცეკვეთ. არც ერთმა არ ვიცოდით ცეკვა, მაგრამ რეპეტიციები წინასწარ გავიარეთ და როგორღაც მოვახერხეთ. რაც შეეხება ორიგინალობას — ანანასებზე სანთლები ენთო და როცა ჩაიწვა, ოფიციანტებმა ეს ანანასები „გამოშიგნეს“, ამ გამოშიგნულ ანანასებში სანთლები აანთეს, ისე შემოიტანეს დარბაზში და სუფრა გაალამაზეს. კიდევ იცით, რა მოხდა? უცებ, დარბაზში სინათლე ჩაქრა. შემოვიდნენ ოფი-

პროექტი „ქართული სახლი“ წარმოგიდგენთ კონკურსს „ქართული დიზაინი“

კონკურსი ცხადდება საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინზე და მისი კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი პროცესის აღდგენა, ტრადიციული დიზაინის შემოქმედებითი განვითარებისთვის ხელის შეწყობა და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირება. კონკურსის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან კომპანია „არსი“ და სტუდია „ორი“.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არქიტექტორებს და დიზაინერებს, ასევე სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტების, კერძო არქიტექტურული სკოლების სტუდენტებს. საავტორო ჯგუფში შესაძლებელია სახვითი ხელოვნების სპეციალისტების მონაწილეობა.

კონკურსის ჩატარების გრაფიკი:

- **კონკურსის გამოცხადება — 18 ივნისი, 2003;**
- **საკონკურსო მასალის ჩაბარება — 15 სექტემბერი, 2003;**
- **საკონკურსო მასალის გამოფენა — 24-28 სექტემბერი, 2003, ღია ცის ქვეშ მუზეუმი;**
- **კონკურსის შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულთა დაჯილდოება — 24 სექტემბერი, 2003.**

პროექტში გამარჯვებულთათვის დაწესებულია **პირველი პრემია — 4000 ლარი, ორი მეორე** **პრემია — 2000 ლარი, სამი მესამე პრემია — 1000 ლარი და ექვსი წამახალისებელი პრემია — 200 ლარი.**

კონკურსის მხარდამჭერნი არიან: კულტურის სამინისტრო, ღია ცის ქვეშ მუზეუმი, მერიის არქიტექტურის სამსახური, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტი, „დილის გაზეთი“, „24 საათი“, ჟურნალები „გზა“ და „თბილისელები“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“.

პროექტ „ქართული სახლის“ პრომოუტერია **საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა“.**

კონკურსის პროგრამა და პირობები რეგისტრაციით გაიცემა 18 ივნისიდან 18 ივლისამდე
კომპანია „არსი“-ს ოფისში. მისამართი: ჭავჭავაძის პრ. №74, I სართული.
ტელ: 253188, 251904, 12.00-16.00 საათებში. www.georgianhouse.ge

ციანტები, რომელთაც ორივე ხელში თეფშები ეჭირათ; თეფშებზე ზუთხის ნაჭრებთან ერთად ეწყო ლამაზ-ლამაზი წიწაკები, რომელზეც წითელი სანთლები ენთო და ამ დროს გაისმა „მუხამბაზი“ – „თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ...“ მოკლედ, ლამაზი სანახაობა იყო... რაც შეეხება საქორწინო კაბას – ცისფერში იყო გადაწყვეტილი, ავთო ცქვიტინიძემ შემიკერა...

— ვინ იყვნენ თქვენი მეჯვარეები?

– ორივეს სამ-სამი მეჯვარე გვყავდა. ჩემი მეჯვარეები იყვნენ თათია გიორგობიანი და ბავშვობის ორი მეგობარი, აჩიკოს მეჯვარეები კი – აჩი ფურცელაძე და ბავშვობის მეგობრები.

— ახლა ის მითხარით, როგორ შეეწყვეთ ერთმანეთს?

აჩიკო:

– არაჩვეულებრივად! არ მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თამთა ჩემზე მეტად ყურადღებიანი და თბილი, ძალიან მოსიყვარულეა. რაც ყველაზე მეტად მომწონს, ის არის, რომ ადამიანებთან ურთიერთობას ძალიან უფრთხილდება. მოკლედ, ცოლის ამპლუაში ჯერჯერობით კარგია, საყვედურს ვერ ვიტყვი და მერე ვნახოთ...

— თამთას მომზადებული რაიმე სადილი თუ მიირთვი?

– როგორ არა?! რაღაც სალათი გამიკეთა და კვერცხი შემიწვა. თავიდან ვყოყმანობდი, ვიფიქრე – არ მომწამლოს-მეთქი, – მაგრამ ბოლოს, მაინც გავბედე და მივირთვი.

თამთა:

– მართლა ასე იყო. სალათი რომ გავაკეთე, იმ დღეს არ შეჭამა, მარტო მე ვჭამე. მეორე დღეს მიირთვა, როცა დარწმუნდა, რომ არაფერი მოუვიდოდა... მეუბნება: ისეთი ხარ, რომ მეგონა, საჭმლის გაკეთება არ გეცოდინებოდაო...

— ამ დროს კარგი დიასახლისი ხარ?

– კარგი – არა, მაგრამ ბევრი რამის მომზადება ნამდვილად შემიძლია...

— თამთა, ახლა შენ მითხარი, თვითონ აჩიკო როგორილაა ქმრის ამპლუაში?

აჩიკო *(პასუხის გაცემას არ აცდის):*

– თამთა გოგუაძის ქმარი კი არა, მგონი, მძღოლი უფრო ვარ...

— კარგი, რადგან ასე ბუნებრივად გადავედით საუბრის მთავარ თემაზე — მანქანაზე, მაშინ შენ მითხარი — თამთა როგორ მართავს მანქანას? როგორი მძღოლია?

– როგორი მძღოლია? მძღოლი კარგია, არა უშავს! ყოველ შემთხვევაში, ვუჯდები მანქანაში. „ხუთიანზე“ იცის მართვა...

— ეი. შენიშვნებს არ იმსახურებს?

– არა, ერთი-ორჯერ რაღაც უმნიშვნელო შენიშვნა მივეცი. ეგ იყო და ეგ.

თამთა:

– იცი, რაშია საქმე? ადრე, ყოველთვის მამაჩემი იჯდა ჩემ გვერდით და ის მაძლევდა შენიშვნებს. ახლა მამაჩემი აჩიკომ შეცვალა და არც ეს მსვენებს. საერთოდ, ასეა, როცა მძღოლის გვერდით ზიხარ, გგონია, რომ შენ უკეთ მოიქცევი ამა თუ იმ სიტუაციაში და ყოველ წუთს შენიშვნას აძლევ საჭესთან მჯდომს: „რას აკეთებ?“, „აქ როგორ გაუხვიე?“, „სწრაფად მიდიხარ!..“ და ა.შ. უბრალოდ, შუქნიშანზე გაჩერება არ მიყვარს და კიდევ – „იამკა“ მიყვარს ძალიან, პირდაპირ ვუმიზნებ ხოლმე და შიგ ვხტები, აცილების ყოველგვარი მცდელობის გარეშე.

აჩიკო:

– ისიც თქვი, პოლიციელების დანახვაზე, ფანჯრიდან სამჯერ რომ იფურთხები ხოლმე...

— თამთა, ასე რატომ იქცევი? მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ხომ არა?

– არა, არა! აჩიკო იტყუება, არც ვიფურთხები და არც სავარცხელს ვაგდებ უკან... პოლიციელების დანახვა მაინცდამაინც არავის უხარია და რაღა მე ვარ გამონაკლისი?

— თამთა, ამდენი ხანია ვსაუბრობთ და ის არ მიკითხავს, რა მანქანა გყავს და როდის შეიძინე?

– თებერვალში მქონდა დაბადების დღე და საკუთარ თავს საჩუქარი გავუკეთე. ჰონორარით შინდისფერი „ბე-ემ-ვე“ ვიყიდე. ეს არის ჩემთვის პირველი მანქანა და ძალიან მიყვარს, ვუფრთხილდები...

— მართვა როდის ისწავლე ან ვინ გასწავლა?

– ერთი წელია, რაც საჭესთან ვზივარ. სპეციალურ კურსებზე დავდიოდი. მეორე თუ მესამე გაკვეთილის შემდეგ, უკვე მარტო წავედი რიყეზე და მამაჩემმა რომ დაინახა, საჭესთან მარტო ვიჯექი, შიშისგან ლამის გული გაუსკდა.

— ძალიან გაკრიალებული კი გყავს მანქანა. შენ თვითონ უვლი?

– არა, მე მეზარება გარეცხვა და ასეთი რაღაცები... აქამდე მამაჩემი უვლიდა ხოლმე, ახლა ალბათ აჩიკო გადაიბარებს ამ საქმესაც.

— მანქანის ნაწილებში თუ მოასწარი გარკვევა?

– არა, აბსოლუტურად არაფერი მესმის და ინტერესიც არ მაქვს, ვიცოდე. თუ გამიფუჭდება, ხელოსანი გამიკეთებს და მორჩა.

— როგორც ვიცი, აჩიკოს არ ჰყავს მანქანა. ხომ არ ჩხუბობთ ხოლმე — არა, საჭესთან მე დავჯდები, არა — მეო?..

– არა, ასეთ წვრილმან რამეებზე როგორ ვიჩხუბებთ?! ზოგჯერ მე ვზივარ საჭესთან, ზოგჯერ – აჩიკო. მოკლედ, ჯერჯერობით ჩხუბის გარეშე ვრიგდებით... ■

კეისარს კეისრისა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

რა არის კარგი და რა არის ცუდი, როცა საქმე საკეისრო კვეთას ეხება? ვიდრე ამ ოპერაციის გაკეთებას გადაწყვეტთ, ეცადეთ, გაითვალისწინოთ ყველაფერი, რაც ცნობილია ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე საკეისრო კვეთის გავლენის შესახებ.

საკეისრო კვეთის „გამოგონების“ მომენტიდან ამ ოპერაციას მხოლოდ იმ დედებს უკეთებდნენ, რომლებიც ბუნებრივად ვერ მშობიარობდნენ და ოპერაცია ბავშვის გადასარჩენად იყო აუცილებელი, მაგრამ დღეს სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. ერთის მხრივ, საკეისროს ძველებურად სამედიცინო ჩვენების მიხედვით აკეთებენ, როცა ნორმალური მშობიარობა საფრთხეს უქმნის დედის ან ნაყოფის სიცოცხლეს. მეორეს მხრივ, ბევრი ახალგაზრდა დედა თავად „გამოიწერს“ ხოლმე ოპერაციას ნარკოზით, რათა თავი აარიდოს ტკივილებს. ზოგიერთი ექიმი კი, პიროვნების თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, არ ეწინააღმდეგება მათ და აკეთებს ოპერაციას, თუმცა საამისოდ არავითარი განსაკუთრებული მიზეზი არ არსებობს. ასეთ მშობიარეთაგან ცოტამ თუ იცის იმ გართულებებისა და შედეგების შესახებ, რომელიც საკეისრო ოპერაციის შემდეგ შეიძლება განვითარდეს. მაგალითად, ნაწლავთა გაუვალობა, მცირე მენჯის შეხორცებები, პერიტონიტი, შარდის ბუშტის ტრავმები, ძლიერი სისხლდენები და ეს ყველაფერი როდია. კიდევ მრავალი ნაკლი აქვს ქირურგიულ ჩარევას.

ბუნებრივი მშობიარობა დაზღვევაა ბუნების მიერ

ნაყოფის შეგრძნება. არსებობს მცდარი აზრი, რომ საკეისრო კვეთის დროს ბავშვს არ უწევს იმ ტკივილისა და შიშის გადატანა, რომელსაც იგი სამშობიარო გზების გავლისას განიცდის. სინამდვილეში კი მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ბუნებრივი მშობიარობისას ბავშვი არ განიცდის ტკივილის შეგრძნებებს, რადგან ის საკმაოდ კარგადაა დაცული ბუნების მიერ.

ნივთიერებათა ცვლა და წნევის ცვალებადობა. ე.წ. ჰიპერნაციის პერიოდში, როდესაც პატარა იძინებს და ემზადება სამშობიარო გზებში გასავლელად, ყველა ფიზიოლოგიური პროცესი ნელდება, უფრო ეკონომიური ხდება. ამრიგად ორგანიზმი ემზადება წნევის თანდათანობითი ცვალებადობისათვის დედის საშვილოსნოსა და გარემოს შორის. საკეისრო კვეთისას მკვეთრად ხდება წნევის ცვალებადობა, ამიტომ ახალშობილის ტვინში შეიძლება განვითარდეს მიკროსისხლჩაქცევები. ხშირია ტვინის მინიმალური დისფუნქციის შემთხვევა.

გულ-სისხლძარღვთა სისტემა და სუნთქვა. მედიკოსებმა ჩაატარეს ათასამდე ბავშვის კვლევა და დაადგინეს, რომ უშუალოდ დაბადების წინ ნაყოფში მკვეთრად მატულობს ჰორმონების – პირველ რიგში კატექოლამინების რაოდენობა, რაც აუცილებელია ახალშობილის სუნთქვის „ჩასართავად“ და სითხით სავსე ფილტვების „გამოსაშრობად“. საკეისრო კვეთის დროს დაბადების ბუნებრივი მექანიზმი არ მუშაობს და ბავშვი ვერ ასწრებს კატექოლამინების საკმარისი რაოდენობით დაგროვებას. პატარას გული იძაბება, რათა ფილტვები სისხლით უზრუნველყოს, მაგრამ ფილტვებში სითხეა, ამიტომ გულში იწყება დისტროფიკული ცვლილებები. სუნთქვის სიხშირე საკეისროთი დაბადებულებში ორჯერ ნაკლებია, ხოლო ფილტვების მოცულობა – ერთი მესამედით ნაკლები, ვიდრე ბუნებრივად დაბადებულ ბავშვებში.

ფსიქიკა. ზოგიერთი ფსიქიატრი გამოთქვამს აზრს, რომ საკეისრო კვეთით დაბადებული ბავშვი არ გადის სამშობიარო გზებს, მას შეიძლება შემდგომში ჩამოუყალიბდეს ხასიათის გარკვეული თავისებურებები, რომელიც ხელს უშლის სწავლაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, საერთოდ, ცხოვრებაში.

- აპათიურობა (უნებისყოფობა, განურჩევლობა).
- ზედმეტად მიჯაჭვულობა დედაზე და ოჯახში დომინირების სურვილი.
- უფროსთა სისუსტეებზე ადვილად ზემოქმედება.

ასეთი ქცევა ყველას ანერვიულებს, პირველ რიგში – თვითონ ბავშვს. უფროსების მიმართ მბრძანებლობისას იგი ვეღარ პოულობს მათში საყრდენს. და ვინც საყრდენი არ არის, იგი არც დამცველია! ამიტომ შიშები, რომელიც საკეისრო კვეთით დაბადებულს ისედაც აქვს, კიდევ უფრო იზრდება. მართალია, ბევრი ფსიქოლოგიური სიძნელის დაძლევა შესაძლებელია (ნაწილობრივ მაინც), მაგრამ აღდგენა ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე დანგრევა.

არჩევანი თქვენზეა

მომავალი დედა, რომელიც აცნობიერებს ბუნებრივი მშობიარობის მნიშვნელობას, როგორც წესი, უმკლავდება ყველა წინააღმდეგობას, მაგრამ მხოლოდ თვითშთაგონებაზე დაყრდნობაც არ შეიძლება. ექიმთან ერთად უნდა გადაწყვიტოთ ყველა საკითხი, რომელიც ოპერაციის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ბევრი რამაა დამოკიდებული ქალის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე, ორგანიზმის შინაგან ძალებზე, მეანის პროფესიონალიზმზე.

საკეისრო კვეთის ობიექტურ ჩვენებას წარმოადგენს:

- ვიწრო მენჯი;
- თვალის ბადურის აშრევების საშიშროება;
- გვიანი მშობიარობა რაიმე სხვა გართულებასთან ერთად;
- საშვილოსნოს ნაწიბური;
- ნაყოფის გიგანტურობა (4,8-5 კგ);
- დედის მძიმე ნეფროპათია;
- ბავშვის გულის მუშაობის ცვლილებები.

ბოლო დროს საკეისრო კვეთის შემთხვევათა პროცენტული მატების მაჩვენებელი ასეთია:

1960 წელი – ყველა მშობიარობის 1,5-2%;

2000 წელი – ყველა მშობიარობის 20%-მდე.

■

შევამოწმოთ კუჭის მჟავიანობა

ტესტი: როგორი მჟავიანობა გაქვთ?

1. პერიოდულად გაწუხებთ კუჭის ტკივილი?

2. ჭამის შემდეგ ხომ არ გრძნობთ სიმძიმეს კუჭის არეში?

3. გაქვთ კუჭის წვა?

4. გაქვთ ამოქარვება მჟავე გემოთი?

5. გაქვთ ყაბზობა?

6. ჯერ არ ხართ 40 წლის?

რაც მეტი დადებითი პასუხი გაქვთ, მით მეტადაა სავარაუდო, რომ კუჭის მჟავიანობა მომატებულია. ასეთი ჰიპერსეკრეცია 4-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე დაბალი მჟავიანობა. შემთხვევათა 98%-ში მომატებული მჟავიანობის მქონე ადამიანთა კუჭში აღმოჩენილია მიკროსკოპული აგრესორი ე.წ. ჰელიკობაქტერია. ეს ბაქტერია იწვევს B ტიპის ქრონიკული გასტრიტის (მას ჰიპერაციდურსაც უწოდებენ) პროვოცირებას. დროულად მიმართეთ თქვენი ჩივილებით გასტროენტეროლოგს.

1. გაქვთ უსიამოვნო გემო პირში?

2. გაქვთ ცუდი მადა?

3. გული ხომ არ გერევათ დილაობით?

4. გაქვთ ბოყინი?

5. გაქვთ მუცლის ყურყური?

6. ხომ არ გრძნობთ საკვების გადაადგილებას მუცლის ღრუში?

7. გაქვთ ყაბზობა ან დიარეა (აშლილობა)?

8. უკვე გადასცდით ორმოცს?

თუ შეკითხვათა უმრავლესობას უპასუხეთ „დიახ“, სავარაუდოა, რომ თქვენს კუჭის წვენში მჟავიანობის ნაკლებობაა. მოსალოდნელი დიაგნოზია A ტიპის გასტრიტი (ქრ. გასტრიტი სეკრეტორული უკმარისობით). მის განვითარებაში დამნაშავეა გენები, აგრეთვე არასწორი ცხოვრების წესი, არაჯანსაღი კვება. თუ ერთ-ერთ მშობელს აქვს აღნიშნული დაავადება, ყველაფერი უნდა იღონოთ, რომ არ შეხვიდეთ ოჯახური დაავადების ისტორიაში.

ჯანმრთელი ადამიანის კუჭის წვენი 0,4-0,5% მარილმჟავას შეიცავს. ეს ნორმალური მჟავიანობაა. კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს იგი ცვალებადობს. გადახრა შეგიძლიათ ტესტით აღმოაჩინოთ, მაგრამ მჟავიანობის უფრო ზუსტად გასაზომად საჭიროა გაკეთდეს სპეციალური გამოკვლევა — pH-მეტრია.

განაზავეთ წყლით

მომატებული მჟავიანობის დროს რეკომენდებულია ტუტოვანი მინერალური წყლები – ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი. მიღებამდე წყალი შეათბეთ, გაზი გამოუყვანეთ ჭიქაში კოვზის ენერგიული მორევით და დალიეთ სწრაფად, დიდი ყლუპებით 3/4 ჭიქა, ჭამამდე ერთი საათით ადრე. თბილი მინერალური წყალი ამუხრუჭებს კუჭის წვენის გამოყოფას და კუჭის შიგთავსის მჟავიანობას სასიკეთოდ ცვლის.

თუ ძლიერი კუჭის წვა გაქვთ და მჟავე ბოყინი ჭამის შემდეგაც გაწუხებთ, დამატებით კიდევ დალიეთ 1/4 ჭიქა მინერალური წყალი, ჭამიდან ნახევარი საათის შემდეგ.

არ ავნო

ფარმაკოლოგები ითვლიან 50-მდე საშუალებას, რომელიც კუჭის წვენის მჟავიანობას კრიტიკულ ზღვრამდე ზრდის. და ეს ეხება არა მხოლოდ დასალევ წამლებს, არამედ კუნთში ან ვენაში გასაკეთებელსაც. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის მედიკამენტურ დაზიანებას იწვევს ზოგიერთი ჰორმონი (მაგალითად, გლუკოკორტიკოიდები), რკინის პრეპარატები, კალიუმის ქლორიდი, რეზერპინი, სპირონოლაქტონი და სხვა შარდმდენები, ანტიდიაბეტური საშუალებები.

თუმცა კუჭ-ნაწლავის სისტემას ყველაზე დიდ ზიანს აყენებს ე.წ. არასტეროიდული ანტიანთებითი, სიცხის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები, რომელიც ყველა საოჯახო აფთიაქში მოიპოვება. განსაკუთრებით პოპულარულია ასპირინი და მისი შემცველი პრეპარატები; აგრეთვე პრეპარატები, რომელიც გამოიყენება ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის და ართრიტების დროს: იბუპროფენი, ინდომეტაცინი, ნაპროქსენი და სხვები.

ამ პრეპარატებს სამკურნალო ეფექტთან ერთად, აქვს გვერდითი ეფექტიც: არღვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსის დამცავ ფუნქციას; იგი ანთებითი ხდება და იფარება ეროზიებით, შემდგომ კი წყლულებით. მხოლოდ დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად რეგისტრირდება 2000-მდე „ასპირინული“ სისხლდენები.

გასტროენტეროლოგები გვირჩევენ, შეძლებისდაგვარად შევცვალოთ ზემოაღნიშნული პრეპარატები მათი უსაფრთხო ანალოგებით ან ხალხური მედიცინის საშუალებებით: ცხელი თაფლიანი ან ჟოლოსმურაბიანი ჩაით, ბალახეული ნაყენებით. ლორწოვანზე არასასურველი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად უპირატესობა მიანიჭეთ კაფსულებს და სპეციალურ გარსიან აბებს. პრეპარატები ინსტრუქციის შესაბამისად მიიღეთ, მხოლოდ ექიმის დანიშნულების მიხედვით.

როგორ ვიკვებოთ

დაქვეითებული მჟავიანობის დროს შეგიძლიათ, მიირთვათ:

- უცხიმო ხორცი, თევზი, ქათამი – მოხარშული ან შემწვარი;
- ხორციანი, სოკოიანი, ბოსტნეულის წვნიანები;
- რძე მხოლოდ კერძში ან სასმელებში (ფაფეული, კაკაო), რძემჟავა პროდუქტები, ხაჭო, კვერცხი, ომლეტი;
- მაკარონის პროდუქტები.

არ არის რეკომენდებული:

- მჟავე, ცხარე კერძები;
- ხორცისა და თევზის კონსერვები;
- რბილი პური და სხვა საფუვრიანი პროდუქტები;
- ალკოჰოლი, სიგარეტი.

მომატებული მჟავიანობის დროს რეკომენდებულია:

- რძე;
- ნაღები, ტკბილი ხაჭო;
- მოხარშული ბოსტნეული;
- ხორცი, უცხიმო თევზი და ქათამი;
- ტკბილი ვაშლი, მსხალი, ბანანი.

გეკრძალებათ:

- ცხიმიანი, მაგარი ბულიონი;
- ახალი ბოსტნეული, მწნილეული;
- შებოლილი პროდუქტები;
- შავი პური;
- ნაყინი, ცივი სასმელები;
- ალკოჰოლი, სიგარეტი.

თქვენი პატარა

დავიცვათ ბავშვი დიზენტერიისაგან

დიზენტერიის გამომწვევია ბაქტერია. დაავადება, როგორც წესი, ზაფხულში აღწევს კულმინაციას, მაგრამ ცალკეული შემთხვევები მთელი წლის განმავლობაში შეინიშნება.

დიზენტერია ყველაზე ხშირად გვხვდება ერთიდან ოთხ წლამდე ბავშვებში. მთავარი წყაროა ადამიანი, რადგან ეს დაავადება ცხოველებს არ ეკარება. დასნებოვნება ხდება ფეკალის მოხვედრისას წყალში ან საკვებ პროდუქტებში. ინფექციის გადაცემის მიზეზი შეიძლება სათამაშოც გახდეს.

ახალშობილს დაავადება გადაედება დიზენტერიით დაავადებული დედისაგან მშობიარობის პერიოდში ან ძუძუთი კვების დროს.

დიზენტერია ვითარდება ბაქტერიის შეღწევისას კუჭ-ნაწლავის ეპითელურ ქსოვილში, სადაც ხდება მისი გამრავლება. ინკუბაციური პერიოდი 36-72 საათია.

დაავადების ნიშნები. დიზენტერის პირველი სიმპტომები არასპეციფიკურია: სიცხის მომატება, სისუსტე, თავის ტკივილი, რამდენიმე საათის შემდეგ იწყება ტკივილები მუცლის არის ქვედა ნაწილში. ჩნდება კუჭში გასვლის სურვილის შეგრძნება. ავადმყოფობის პირველ დღეებში განავალი ჩვეულებრივია, მაგრამ დროთა განმავლობაში ხდება ლორწოვანი და სისხლიანი. კუჭის მოქმედების სიხშირე დღე-ღამეში 20-მდე აღწევს, ზოგჯერ მეტსაც.

დიზენტერიამ მრავალგვარი გართულება შეიძლება გამოიწვიოს, განსაკუთრებით ბავშვებში. ზოგჯერ ზიანდება ნერვული სისტემა. მაღალი სიცხის ფონზე შესაძლოა განვითარდეს კრუნჩხვა, მენინგიტის და ენცეფალიტის მსგავსი სიმპტომები.

დაავადების სამკურნალოდ ინიშნება ანტიბიოტიკები; ნაწლავური ფლორის აღსადგენად კი — ბიოპრეპარატები (დაქტისუბტილი, ლინექსი და სხვა). მონელების პროცესის ხელშესაწყობად ავადმყოფმა უნდა მიიღოს ფერმენტული პრეპარატები. თერაპიის მთავარი ეტაპია დიეტა — რაციონიდან უნდა ამოიღოთ ცხარე, ცხიმიანი კერძები. ვიტამინები უნდა აღდგეს წვენების, შემწვარი ვაშლის საშუალებით.

პროფილაქტიკა. იმისათვის, რომ ბავშვს დიზენტერია ავაცილოთ, პირველ რიგში, აუცილებელია პირადი ჰიგიენის წესების დაცვა, ჭურჭლის დამდუღვრა,



ყოველი კვების წინ საწოვარას გამოხარშვა. ებრძოლეთ ბუზებს. არ დატოვოთ თავახდილი საკვები პროდუქტები. ხილი და ბოსტნეული კარგად გარეცხეთ გამდინარე წყლით.

■

რა მივირთვათ, რომ არ გავოფლიანდეთ?

მთელი წლის მანძილზე მოუთმენლად ველით ზაფხულის მოსვლას, მაგრამ, სამწუხაროდ, მას მოჰყვება საშინელი ოფლის სუნი, მზით დამწვრობა, წყურვილი... ინგლისელი მეცნიერების აზრით, სიცხე ნაკლებად მტანჯველი გახდება, თუ სწორად შევარჩევთ საკვებს.

მივირთვათ კარტოფილი, მაკარონი, ბრინჯი, ფაფა, ხილი, მაწონი, რძე — ნახშირწყლებით მდიდარი ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც ენერგიით აგვავსებს. ბანანი, რომელიც მდიდარია კალიუმით, ორგანიზმს ტენიანობის ბალანსს უნარჩუნებს. მწვანე სალათა და ყვავილოვანი კომბოსტო ავსებს კალციუმისა და რკინის დეფიციტს. ორივე მინერალი ოფლთან ერთად გამოდის ორგანიზმიდან. თხილში შემავალი ცხიმოვანი მჟავები კანს გამოშრობისგან დაიცავს. ნუში მდიდარია მაგნიუმით, რომლის ნაკლებობამაც სიცხეში შესაძლოა სპაზმები და კრუნჩხვები გამოიწვიოს. წითელი ხახვი შესანიშნავი საშუალებაა ყვავილებისა და მზის ალერგიის პროფილაქტიკისათვის. აუცილებელია ხახვის შეტანა ყოველდღიურ მენიუში. მაწონი, იოგურტი, კეფირი ორგანიზმს იცავს საკვებით მოწამვლისგან, რაც არცთუ ისე იშვიათია ცხელ დღეებში.

ზაფხულში უარი უნდა ვთქვათ ცილებით მდიდარ საკვებზე, ვინაიდან პროტეინები გამოყოფენ დიდი რაოდენობით სითბოს. მაქსიმალურად უნდა შევამციროთ ცხარე სანელებლები, მარილი, ვინაიდან იზრდება წნევის მომატების რისკი. კატეგორიულად იკრძალება სიცხეში ბევრი საკვების მიღება, ჯობს იკვებოთ ხშირ-ხშირად და მიიღოთ ცოტა საკვები. ზაფხულში ნებისმიერი ფიზიკური სამუშაოს შესრულება მოითხოვს ენერგიის გაცილებით ნაკლებ ხარჯვას, ვიდრე ზამთარში.

რაც შეეხება სასმელებს, ნუ დალევთ კოფეინის შემცველებს — ჩაის, ყავას, „კოკა-კოლას“, ასევე ალკოჰოლიან სასმელს. კოფეინი ორგანიზმის გაუწყლოებას იწვევს. ზაფხულში კი დაკარგული სითხის მარაგის აღდგენა გესაჭიროებათ, რისთვისაც უნდა სვათ უბრალო წყალი (2-3 ლ-მდე) დღეში, აგრეთვე მინერალური წყლები, რომელიც არა მხოლოდ სითხის მარაგს შეგივსებთ, არამედ მარილოვან ბალანსსაც აღადგენს.

■

ყავა პარკინსონის წინააღმდეგ

ისინი, ვინც უარს ამბობენ ყავაზე, მის მოყვარულებთან შედარებით, 5-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან პარკინსონით (კანკალა დამბლით) – ასეთია აშშ-ში ჩატარებული გამოკვლევების შედეგები. მეცნიერები თვლიან, რომ კოფეინი იცავს ტვინის უჯრედებს, რომელიც გამოიმუშავებს ნერვულ მედიატორს – დოფამინს. იმ პაციენტებს კი, რომელთაც კანკალა დამბლა აქვთ, ეს ნივთიერება ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით გამოუმუშავდებათ. ამრიგად, მიირთვით ყავა.

ორსულმა მეტი უნდა იმოძრაოს

ტრადიციული მოსაზრებით, ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშები ზრდის ნაადრევი მშობიარობის რისკს, მაგრამ ამერიკელი მეცნიერები საწინააღმდეგოს გვიმტკიცებენ. მათი თქმით, ორსულ ქალებს, რომლებიც ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას იღებენ, ნორმალური და დროული მშობიარობის მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მათ, რომლებიც ნაკლებად მოძრაობენ და ფიზიკურ დატვირთვასაც ერიდებიან.

მიირთვით მეტი პომიდორი

ტორონტოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პომიდორი საუკეთესო საშუალებაა ყოველგვარი სიმსივნური წარმონაქმნის წინააღმდეგ. თუ პომიდორს დიდი რაოდენობით მიირთმევთ, შესაძლებელია არა მარტო თავის დაცვა სიმსივნეების, მასტოპათიისა და სეფსისისაგან, არამედ უკვე წარმოქმნილი დაავადებების განვითარების შეფერხებაც.

პომიდორში აღმოჩენილია ნივთიერება ლიკოპინი, რომელიც ამ საოცარ ბოსტნეულს წითელ ფერს აძლევს. ლიკოპინი ებრძვის ზემოთ ჩამოთვლილ სნეულებებს და ამავე დროს, ანელებს სიბერის პროცესსაც. ექიმებმა დაადგინეს, რომ მკერდის სიმსივნით დაავადებულებს ორგანიზმში ლიკოპინის რაოდენობა დაბალი აქვთ. ადამიანის ორგანიზმს არ ძალუძს, თავად გამოიმუშაოს ლიკოპინი, მას მხოლოდ საკვებიდან ვიღებთ.



უნდა აღინიშნოს, რომ პომიდორი ცოცხლად კი არ უნდა მივირთვათ, არამედ კერძში, ვინაიდან მისი მოხარშვის ან შეწვის შემდეგ ჩვენი ორგანიზმი უფრო ადვილად ითვისებს ლიკოპინს. ■

ვენო-რიცი

ქრონიკული ვენური უკმარისობა მეტად გავრცელებული დაავადებაა. ქვედა კიდურებში ტკივილი, სიმძიმის, დაღლილობის შეგრძნება, ნვივების "ღამის კრუნჩხვები" ყოველ მეოთხე ქალსა და ყოველ მეოთხე მამაკაცს აღენიშნება. ყველაფერი ეს, ხათქმაუნდა, სისხლის მიმოქცევის დარღვევასთან არის დაკავშირებული და სერიოზულ გართულებებს, მათ შორის ტროფიკული წყლულების განვითარებას ინვევს, თუ დროულად და ეფექტურად არ მოხდება მკურნალობა.

მიუხედავად იმისა, რომ რისკის ჯგუფში უმრავლესობას 25-დან 55 წლამდე ქალბატონები ნარმოადგენენ, დაავადების ნიშნები მამაკაცებისთვის არანაკლებ შემანუხებელია. მაგრამ, ქალებისაგან განსხვავებით ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ვიზუალურ მხარეს და ამიტომ იშვიათად მიმართავენ ექიმს ასეთი ჩივილებით. არადა, მკურნალობის დანყება დაავადების სანყის სტადიაზე გაცილებით ეფექტური და შედეგიანია.

ქალებმა, რომელთაც ანუხებთ ცელულიტი (კანქვეშა ცხიმის დაგროვება), მნიშვნელოვანია იცოდნენ, რომ ცელულიტი ცნობილი ფრანგი დიეტოლოგის მონტინიაკის მიხედვით სისხლის მიმოქცევის მოშლას ინვევს, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას ვენების დაავადებები ნარმოადგენს.

დაავადება მნვავდება გაზაფხულ-ზაფხულის თბილი სეზონის დადგომასთან ერთად, ამიტომ <u>ვენო-რიცი</u> მეტად აქტუალურ პრეპარატად ნარმოადგენს.



- ვენო-რიცი აჩქარებულია სისხლის მიმოქცევას ქვედა კიდურებში,
- ამცირებს კაპილარების ბამტარობას, ვენურ სტაზს, ვენური წყლულების ზომას, შეშუპებასა და ანთებას,
- ხსნის სიმძიმისა და დაღლილობის შეგრძნებას, აუმჯობესებს მიკროსისტემურ სისტემას, ზრდის კაპილარების რეზისტენტობას და ახდენს მათი ბამტარობის ნორმალიზასიას.
- მნიშვნელოვნად ამცირებს ტკივილსა და შეშუპებას ორბოსს ვენების ვარიკოზული ბაბანიერების, ასევე ქრონიკული ბრონქიტისა და მნვავე ჰემორაგიული ტრიზების დროს.

ვენური უკმარისობის დროს ვენო-რიცი ინიშნება:

2 კაფსულა შუადღეს
2 კაფსულა საღამოს
ქამის დროს

დაავადების ტერიტორიული გამოვლინებანი საგრძნობლად მცირდება 2 კვირის შემდეგ, მაგრამ მიზანშენონილია კურსის გაგრძელება სიმპტომების სრულ გაქრობამდე.

ეფექტურია პროფილაქტიკის მიზნით მიღება, რაც ამცირებს დაავადების განვითარების და განმეორების რისკს.

GMP
ჯი-ემ-პი

პრეპარატის შეძენა შეგიძლიათ კომპანია „PSP"-ს ბაზასა და საქართველოს საფთიაქო ქსელში

ჯაჭოჩენილი აღაქმანეჯის ხუჭრეჯეჯი

ერთხელ, დრეზდენში ყოფნისას ბეთჰოვენს საკმაოდ სუსტი ოპერის — „ლეონორის“ მოსმენა მოუხდა. როცა სპექტაკლი დასრულდა და აპლოდისმენტებიც დაცხრა, „ლეონორის“ ავტორმა, კომპოზიტორმა პაერმა გამოჩენილ კოლეგას ჰკითხა, რას ფიქრობდა იგი მისი ნაწარმოების შესახებ.

— შესანიშნავი ოპერაა! — წამოიძახა ბეთჰოვენმა. — იმდენად მომეწონა, რომ ალბათ მისთვის მუსიკასაც დავწერ...

* * *

არამ ხაჩატურიანს ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ჰკითხეს:

— თქვენი აზრით, რომელი ორკესტრია ყველაზე სუსტი?

— ეგვიპტის რადიოს სიმფონიური ორკესტრი: მასში არც ერთი ებრაელი არ არის...

* * *

ახალგაზრდა ბერლიოზი მოხიბლული იყო ბეთჰოვენით. სამაგიეროდ, მისი ხანდაზმული მასწავლებელი ლესიუერი მისთვის ახალ, ამ მუსიკას ვერაფრით ეგუებოდა, მაგრამ ერთხელ, ბერლიოზმა მაინც მოახერხა, ბეთჰოვენის სიმფონიის მოსმენაზე ბერიკაცის დაყოლიება.

მეორე დღეს, ბერლიოზმა მასწავლებელს ჰკითხა:

— მაშ, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე გენიოსი ბეთჰოვენის მუსიკამ?

— ეს სად გამაგზავნე? — შეჰყვირა ლესიუერმა. — მე კი, ბებერმა ჩერჩეტმა, დაგივჯერე... ამ ჯოჯოხეთურმა მუსიკამ ისეთ დღეში ჩამაგდო, რომ შინ მისულმა, გახდა რომ დავიწყე, საკუთარი თავი ვეღარ ვიპოვე!.. როგორ შეიძლება, ისეთი მუსიკის შექმნა, რომელიც კაცს თავს დააკარგვინებს?!

— ეჰ, მაესტრო, იქნებ, ცხოვრებაში ერთი-ორჯერ მაინც მართლაც ღირდეს თავის დაკარგვა...

— კი, ოდნავ მოლბა მასწავლებელი, — მაგრამ უფრო ხშირად — არავითარ შემთხვევაში!

— ვფიქრობ, ამის საშიშროება არც გველის, — მიუგო ბერლიოზმა. — დამეთანხმებით, რომ ასეთ მუსიკას ხშირად არ წერენ...

* * *

ახალგაზრდა კომპოზიტორმა სთხოვა უკვე ცნობილ ბერლიოზს, შეეფასებინა მისი პირველი ნაწარმოებები.

— არ მინდა, შეცდომაში შეგიყვანოთ და ხელი შეგიშალოთ სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში: თქვენ ოდნავადაც არ გამოირჩევით მუსიკალური ნიჭით და ჯობს, სხვა საქმეს მოჰკიდოთ ხელი.

როცა დაღონებულმა ახალგაზრდამ ცნობილი კომპოზიტორის სახლი დატოვა და ქუჩაში გავიდა, მოულოდნელად, ბერლიოზი ფანჯარასთან მიიჭრა და ზემოდან დაუყვირა:

— გული არ დაგწყდეთ, ახალგაზრდავ. უნდა ვაღიარო: თქვენხელა რომ ვიყავი, მეც ზუსტად იგივე მითხრეს!..

* * *

ვლადიმირ მაიაკოვსკი ერთ-ერთ ინსტიტუტში, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საკითხებზე მოწყობილ დისპუტში მონაწილეობისას ამბობდა:

— რუსებს შორის, რუსად ვგრძნობ თავს, ქართველებს შორის — ქართველად...

დარბაზიდან ვიღაცამ რეპლიკა ესროლა:

— ბრიყვებს შორის?

მაიაკოვსკი არ დაიბნა:

— ბრიყვებს შორის პირველად აღმოვჩნდი...

■

ანეკდოტეჯი

* * *

პოლიციელი:

— შეგიძლიათ, აღმიწეროთ ის ყაჩაღი, რომელიც თავს დაგესხათ?

დაზარალებული:

— არ ვიცი, როგორ გითხრათ... სიფათი ჰქონდა ისეთი... აი, ზუსტად ისეთი, თქვენ რომ გაქვთ...

* * *

ქალი:

— ძვირფასო, როცა დავქორწინდებით, სამი შვილი გვეყოლება.

— წინასწარ საიდან იცი?

— რა წინასწარ?! ისინი ახლა დედაჩემისთვის მყავს მიბარებული.

* * *

კინოში, ფილმის ჩვენებისას, ერთ-ერთ უკანა რიგში კაცი დგება და ხმამაღლა, ყველას გასაგონად კითხულობს:

— ვინმე ექიმი ხომ არ არის დარბაზში?

ყველა შეწუხებულია, ფილმის ჩვენება წყდება, სინათლე ინთება. პირველ რიგში მამაკაცი დგება და პასუხობს:

— მე ვარ ექიმი. რაშია საქმე?

— დამეთანხმებით, კოლეგავ — მშვენიერი ფილმია, არა?

* * *

კაცი დიდი ხნის უნახავ მეგობარს ხვდება.

— წამო, ერთი, სადმე ჩავუჯდეთ.

— არ შემიძლია. წუთით მოცლა არა მაქვს: დილით — ოფისში, შუადღეზე — რესტორანში, საღამოს — კაზინოში, მერე — საუნაში.

— კი, მაგრამ ასეთი რა სამსახური იშოვე? რაზე მუშაობ?

— კილერი ვარ, ძმაო — ტარაკნებს ვჭუჭავ...

* * *

კაცი მანქანით მიდის და საბურავი დაეშვა. შეუკურთხა, გადავიდა, სათადარიგო ბორბალი და დომკრატი ამოიღო. გამვლელი ეკითხება:

— რას აკეთებ?

— რას ვაკეთებ და საბურავს ვხსნი.

გამვლელი ჯიბიდან რკინას იღებს:

— მაშინ მე მაგნიტოფონს წავიღებ, — და მთელი ძალით, რკინას საქარე მინას ურტყამს.

■



ფრანგი პოლიციელი

საყოველთაო ქოლონა ქალის გამოსახულებით

„ჯინ ცხოვრობს რუფუშ კოგად“ (რუსი პუტი)

„ნისანის“ ფირმის პირველი ავტომობილი

აშშ-ის მეორე პრეზიდენტი

„ინტერის“ თურქი ნ/მცველი

ხარებთან მებრძოლი

ძველებური საბავშვო თამაში

„პუტია მეფე“ წოდებული ფრანგი პუტი

დიდგვაროვნები

ნოტი

ცნობილი გერმანული სამოდელო სახლი

თეოდორ დრაიზერის რომანი

სამშენებლო მასალა

ლაშქრის ნაწილი

ჰერ. ჰოლარ. მკვლევარი

სადეზინფექციო საშუალება

ფრანგული ყველი

ხმის ელფერი

იტალიელი კინორეჟისორი

ღამურას სახეობა

ელექტრული გამუხტვისას წარმოქმნილი აირი

სახელდახელოდ შეთხზული ლექსი

არგონავტთა წინამძღოლი

მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება



არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი (ვეტერანი)

ზღვისპირა ქარი

სისხლის გამცემი

საჭადრაკო ეტლი

გერმანიის დედაქალაქი

მამალი იადონი

8 ბიტი

ვლადიმირ ულიანოვი

ფრანგული პატარა რესტორანი, სასაუზმე

მდინარე საქართველოში

უთავბოლო ლაპარაკი

სპილენძის შენადნობი კალასა და ტყვიასთან

დოსტოევსკის რომანი

შეადგინა რამაზ ალანიამ

კვირის (30 ივნისი – 6 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: იმ შრომას, რომელსაც ახლა ეწევით, უახლოეს მომავალში აგინაზღაურებენ. ეს შემოსავალი ძალიან დროული იქნება, რადგან უამრავი საოჯახო პრობლემა გაქვთ მოსაგვარებელი.

მამაკაცი: ნუ იმოქმედებთ მარტო – სხვებთან ერთად დახარჯული ენერგია გაცილებით მეტ წარმატებას მოგიტანთ. კვირის მეორე ნახევარში, შესაძლოა, ტყუილის მსხვერპლი გახდეთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: მნიშვნელოვანია ძველი მეგობრული კავშირები. ახლობლებისგან მიღებული ინფორმაცია შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს თქვენი საქმიანობისთვის. კვირის დასაწყისი ნაკლებად ხელსაყრელია მოლაპარაკებებისთვის.

მამაკაცი: ამ კვირაში შეგიძლიათ გადაჭრათ პრობლემა, რომელიც დიდი ხანია არ გასვენებთ. შუა კვირაში შესაძლოა, კონფლიქტში ჩაგითრიონ, რასაც თავი უნდა აარიდოთ. კვირის ბოლოს კი, მოულოდნელი, სასარგებლო ვიზიტი გელით.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: რაღაც სიახლე გელით პირად ცხოვრებაში. პირველ ნახევარში შესაძლოა, მოულოდნელი შემოსავალი ან სასიხარულო ცნობა მიიღოთ. მეტი ყურადღებით მოეკიდეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

მამაკაცი: ახალმა იდეებმა შეიძლება, კარდინალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება. არ არის გამორიცხული, რომ კვირის დასაწყისშივე, ახალი სამსახური შემოგთავაზონ. მეორე ნახევარში კი, საინტერესო მივლინება გელით.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: შეიძლება შემოსავლის ახალი წყარო გაგიჩნდეთ. არ არის გამორიცხული, რომ რაღაც საზოგადოებრივ პროექტში ჩაგრთონ. კვირის დასაწყისში, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ძველი სიყვარული დაგიბრუნდათ, მაგრამ ეს მცდარი აზრი იქნება...

მამაკაცი: სასარგებლო კონტაქტები გელით უცხოურ კომპანიასთან. კვირის შუა პერიოდში, დიდი თავშეკავება გმართებთ, რადგან შესაძლოა, დაუმორჩილებლობა გამოგიცხადონ ხელქვეითებმა ან შვილებმა.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ორშაბათს მოსალოდნელია არასტანდარტული სიტუაციები, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ ავტომანქანის მართვისას. დანარჩენი დღეები ყოველმხრივ დადებითია, მით უმეტეს, რომ თქვენ გვერდით მდგომი ერთგული ადამიანი ყველა პრობლემის გადაჭრაში გეხმარებათ.

მამაკაცი: ორშაბათს შესაძლოა, უსიამოვნება გქონდეთ პარტნიორებთან. საინტერესო ინფორმაციას და დახმარებასაც შუა კვირაში მიიღებთ. კვირის მეორე ნახევარში, შესაძლოა, მივლინებაში გაემგზავროთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: საუცხოო განწყობაზე იქნებით, რომელსაც მეგობრებთან შეხვედრაც გაგიძლიერებთ. ამის წყალობით, საქმიანობაშიც ყველაფერი კარგად აგეწყობათ. ყურადღებით მოეკიდეთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მამაკაცი: ახლა საქმიანობაში აქტიურობის გამოჩენის დროა: შეგიძლიათ, თამამად შეცვალოთ ადრე დასახული გეგმები, ჩაებათ პერსპექტიულ პროექტებში. კვირის შუა პერიოდში არ არის გამორიცხული გართულებები სამსახურში.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: კვირის ბოლომდე, დაძაბული ურთიერთობა გექნებათ ნათესავებთან. შესაძლოა, გარშემომყოფნი უსამართლოდაც კი მოგექცნენ. გამოიჩინეთ თავშეკავება და დიდსულოვნება. კვირის მეორე ნახევარში, სასიამოვნო სასიყვარულო ინტრიგა გელით.

მამაკაცი: ამ კვირაში, ძველი შეცდომები გაგახსენებთ თავს. ყურს ნუ დაუგდებთ ჩოჩქოლს, რომელიც თქვენს ზურგს უკანაა ატეხილი.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, სხვა საქმეების მოგვარებასაც უთავსებდით. დროა, მიიღოთ კუთვნილი ჯილდო, რაც სწორედ ამ კვირაში მოხდება: ან ხელფასს მოგიმატებენ, ან ახალ თანამდებობაზე დაგნიშნავენ.

მამაკაცი: შესაძლოა, საკუთარი იდეების განხორციელების შესაძლებლობა მოგეცეთ. კვირის შუა პერიოდი, ვაჭრობის სფეროს მუშაკთათვისაა ხელსაყრელი. უქმეებში, თქვენთვის მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხები გადაწყდება.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: მეტად ენდეთ ინტუიციას. თქვენი ფინანსური მდგომარეობა უფრო სტაბილური ხდება, ახალი შემოსავლის იმედიც შეიძლება გქონდეთ. კვირის შუა პერიოდში, თქვენთვის არცთუ ისე ახლობელი ადამიანები დაგეხმარებიან.

მამაკაცი: გადახედეთ დასახულ გეგმებს და ეცადეთ, სამუშაოს ნაწილი სამომავლოდ გადადოთ. გულდასმით შეისწავლეთ მიღებული ინფორმაცია. კვირის მეორე ნახევარში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ, გადაუჭრელ პრობლემებს მოაგვარებთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: საკუთარი გამბედაობის წყალობით, მნიშვნელოვნად გააფართოებთ თქვენი საქმიანი პარტნიორების წრეს. საკმაოდ გიჭირთ გარშემომყოფთა შეხედულებების მოსმენა. კვირის მეორე ნახევარში, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით.

მამაკაცი: ახლა, წარმატების მიღწევაზე ხართ ორიენტირებული: გაბედულად იარეთ დასახული მიზნისაკენ! კვირის შუა პერიოდში, მნიშვნელოვან და დაძაბულ მოლაპარაკებაში მოგიწევთ მონაწილეობა.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: პირად ცხოვრებაში საკმაოდ მღელვარე პერიოდი გაქვთ. შესაძლოა, რაღაც შეხვედრამ კარდინალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება. კვირის დასაწყისში ჯობს, ნაკლებად ილაპარაკოთ საკუთარ გეგმებზე. უქმეები შინ გაატარეთ.

მამაკაცი: საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ გარისკოთ – თქვენი შორს მიმავალი გეგმები შეიძლება, განხორციელდეს კიდეც. თუმცა, საამისოდ პარტნიორების მხარდაჭერა დაგჭირდებათ.

მარიგბეჭი – 22/V-21/VI

ქალი: უფროსობის მხარდაჭერის მისაღებად და დასახული მიზნისაკენ გადამწყვეტი ნაბიჯების გადასადგმელად შესაფერისი დროა. სმტკიცე და შრომისმოყვარეობა არ გაკლიათ, კვირის მეორე ნახევარში კი, უჩვეულო შთაგონებასაც იგრძნობთ.

მამაკაცი: გარშემომყოფთა მხარდაჭერა და საკუთარი მიზანმიმართული მოქმედება იმის საშუალებას მოგცემთ, რომ დასახული გეგმები მინიმალური დროისა და ენერგიის ხარჯვით განახორციელოთ. კვირის დასაწყისში, უმწეობის შეგრძნება დაგეუფლებათ, მაგრამ მალე გაგივლით.

თქვენ და თქვენი ოჯახი

ის ადამიანებიც კი, რომლებიც მშობლებთან ერთად არ ცხოვრობენ, თავს ვალდებულად თვლიან, მნიშვნელოვანი დღესასწაულები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარონ. ზოგს უყვარს მშობლების საუბრის მოსმენა მისი ბავშვობის შესახებ, ფოტოალბომების თვალიერება და წარსულის გახსენება, ზოგისთვის კი მსგავსი თავშეყრა ტანჯვის ტოლფასია.

წარმოიდგინეთ, რომ ოჯახის წევრებთან ერთად საღღესასწაულო სუფრასთან შეიკრიბეთ. ყურადღებით გაეცანით კითხვებს და შესაძლო პასუხებიდან თქვენთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი ამოირჩიეთ. ამ ტესტის მეშვეობით შეძლებთ იმის დადგენას, თუ რამდენად დამოკიდებული ხართ მშობლებზე, რამდენად იზიარებთ მათ შეხედულებებს და არის თუ არა მათი აზრი თქვენთვის მისაღები.

1) დღესასწაულამდე ორი დღით ადრე დედა გირეკავთ და აზუსტებს, ხომ არ აპირებთ რაიმე საქმის მომზადებას და დაგვიანებას. რას უპასუხებთ?

ა) „მე აუცილებლად დროზე მოვალ, ოღონდ მანამდე შენებურად გულს ნუ გამიწვრილებ“;

ბ) „ნუ წუხხარ, მე არ დავაგვიანებ, ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდება?“

გ) „არ ვიცი, შეიძლება მართლაც გამომიჩნდეს რაიმე საქმე“;

დ) „დროზე კი მოვალ, მაგრამ შემდეგ მეგობრებს უნდა შევხვდე და წასვლა ადრე მომიწევს.“

2) დღესასწაულზე მანქანით მიმავალს საგზაო პოლიციის თანამშრომელი გაჩერებთ და საბუთებს გთხოვთ. როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) „რა ხდება?! დღესასწაულებზე მაინც ნუ აუშლით ხალხს ნერვებს“;

ბ) „მეჩქარება, და საერთოდ, საბუთები მგონი შინ დამრჩა“;

გ) „აი, ინებეთ ჩემი საბუთები“;

დ) „კი, მაგრამ რატომ გამაჩერეთ?“

3) როგორც იქნა, მშობლებთან მიხვედით. კართან დედა გხვდებათ და დაგვიანების გამო გსაყვედურობთ. რას უპასუხებთ?

ა) „ნუ დაიწყე ისევ შენებურად!“

ბ) „მაპატიე, გზაში მცირე უსიამოვნება შემემთხვა“;

გ) „აი მოვედი, რა ხდება ჩვენთან სასიამოვნო?“

დ) „მართლა ინერვიულე? ნამდვილად არ ღირდა.“

4) წარმოიდგინეთ, რომ სუფრასთან მხიარულებამ კულმინაციას მიაღწია, სტუმრები მღერიან, ცეკვავენ და ხუმრობენ. როგორი იქნება თქვენი რეაქცია, თუ ამ დროს მამთქვენი ტელევიზორს ჩართავს და გამოაცხადებს: „ჩუმად იყვით, საინფორმაციო გამოშვებას უნდა ვუყურო!“

ა) ეტყვით: „მამა, დღეს მაინც შეიკავე თავი“;

ბ) ყველას გააჩუმებთ და აუხსნით, რომ მამათქვენისთვის ახალი ამბების მოსმენა ძალიან მნიშვნელოვანია;

გ) მამას ცალკე გაიხმობთ და სთხოვთ, გაუწიოს ანგარიში სტუმრებს;

დ) დაიწყებთ ყვირილს და არ მისცემთ ტელევიზორის ჩართვის ნებას.

5) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ უფროსი თაობა ახალგაზრდების გაკიცხვას იწყებს და თავის ახალგაზრდობას იხსენებს: „აი, ჩვენს დროს საქმე სულ სხვაგვარად იყო...“

ა) „როგორ შეიძლება მაშინდელი და ახლანდელი ახალგაზრდების შედარება“;

ბ) „ახლანდელ ახალგაზრდებს გაცილებით მეტი პრობლემა გვაქვს“;

გ) ეცდებით, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანოთ;

დ) არაფერს ეტყვით, დაიცდით, დაასრულოს ეს უსარგებლო საუბარი.

6) წასვლისას დედ-მამა გაცილებთ. დედა გულში გიკრავთ და ჩუმად გეუბნებათ: „ხშირად მოდი შვილო, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ“. რას ეტყვით?

ა) „ამას იმიტომ მეუბნები, რომ მოხუცდი და გჭირდები“;

ბ) „შენ ძალიან კეთილი ხარ, დედა!“

გ) „მართალია, გიყვარვარ, მაგრამ ნუ შემაწუხებ შენი ზედმეტი სიყვარულით“;

დ) „არ დაიწყო ისევ ტირილი და წუწუნი“.

დათვალეთ, პასუხების რომელი ჯგუფი ჭარბობს თქვენს არჩევანში.

პასუხი ა) მშობლებთან თქვენს ურთიერთობას ჰარმონიულს ვერავინ უწოდებს. როგორც კი მათი კარის ზღურბლს გადააბიჯებთ, თქვენში შინაგანი დაძაბულობა მატულობს. მშობლების ნებისმიერი შენიშვნა ნერვებს გიშლით. კმაყოფილი ხართ, რომ თქვენი მათთან ვიზიტი ხანმოკლე აღმოჩნდება ხოლმე, მაგრამ იმის გამბედაობაც არ გყოფნით, რომ მშობლებთან აღარ მიხვიდეთ. ქვეცნობიერად თქვენ დღესაც დაეძებთ იმ სითბოს, რომელიც ბავშვობაში დაგაკლდათ.

პასუხი ბ) ბავშვობა თქვენთვის უბედნიერესი ხანაა, მშობლები კი — წმინდა და სპეტაკი არსებები. ისინი იმდენად გიყვართ, რომ მათ უარყოფით მხარეებს ველარც ამჩნევთ. თანაც მშობლებზე იმდენად ხართ დამოკიდებული, რომ ყველა თქვენს საქციელზე მათგან რეაქციას ელოდებით. საკუთარი თავით კმაყოფილი არასდროს ხართ, კმაყოფილება მხოლოდ მაშინ გიპყრობთ, თუ მშობლები შეგაქებენ.

პასუხი გ) მშობლებთან ურთიერთობის თქვენეული პრინციპი ჩუმად ყოფნა და განზე დგომაა. დასახული მიზნების მიღწევაშიც სწორედ ბავშვობიდან გამოყოლილი შიში და კომპლექსები გიშლით ხელს. გარკვეულწილად თქვენ შეძელით მშობლების გავლენისთვის თავი დაგეღწიათ, მაგრამ იმდენად დამოუკიდებელიც ვერ გახდით, რომ ბავშვობა და მშობლების ზეგავლენა დაივიწყოთ და საკუთარი, თავისუფალი ცხოვრებით იცხოვროთ.

პასუხი დ) ისე ცხოვრობთ, როგორც ამას თვითონ თვლით საჭიროდ. ეს მშობლებთან ურთიერთობაშიც გიწყობთ ხელს. როცა წარსულს იხსენებთ, მშობლები თბილ და მზრუნველ არსებებად გესახებათ. ისინი ძალიან გიყვართ, თავისი უარყოფითი და დადებითი თვისებებით. იმასაც კი სიამოვნებით იხსენებთ, როგორ გსჯიდნენ მოუმზადებელი გაკვეთილების გამო. მშობლების სახლი თქვენთვის საიმედო ნავსაყუდელია, თქვენ იქ თავს ძალიან მშვიდად და კარგად გრძნობთ.

ნუდისტური ტურიზმი ამერიკაში აღმავლობას განიცდის

ნუდისტური ტურიზმი არნახულ აღმავლობას განიცდის ამერიკაში. მაშინ, როცა ავიაკომპანიები საკუთარი ფინანსური გადარჩენისთვის იბრძვიან, ხოლო სასტუმროების მფლობელები კლიენტების სიმცირეს განიცდიან, ნუდისტური ტურიზმის პოპულარობა სულ უფრო მატულობს. ერთ-ერთი ამერიკული ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელი დონა დენიელსი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისი საყვარელი საქმიანობა – ნუდიზმი, ოდესმე მის პროფესიად გადაიქცეოდა.

90-იან წლებში, დენიელსმა ავიაკომპანიებს ნუდისტებისთვის განკუთვნილი ტურის მოწყობა შესთავაზა.

იდეა აიტაცეს. საქმე ის არის, რომ ნუდიზმი ამერიკაში წლიდან წლამდე, სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს. არადა, ამ ქვეყანაში ნუდისტური პლაჟები თითქმის არ არის ნებადართული და შერეულ საუნებსაც დიდად არ წყალობენ. და მაინც, მარტო შარშან, 30 ახალი ნუდისტური კლუბი გაიხსნა. ნუდიზმის პოპულარობის ზრდა დონა დენიელსისა და მისი კოლეგებისთვის, რა თქმა უნდა, წარმატებული ბიზნესია. ჰოდა, მისმა სააგენტომ მაისში პირველი „შიშვლად ფრენა“ მოაწყო მაიამიდან კანკუნში. როგორც კი თვითმფრინავი მოსწყდა მიწას, მგზავრები ტანსაცმლისგან მყისვე გათავისუფლდნენ. აი, რეისის დასრულების შემდეგ კი, ნუდისტებს კვლავ ჩაცმა მოუხდათ: თვითმფრინავის ზღურბლის გადალახვისთანავე, ისინი ჩვეულებრივ მგზავრებად იქცნენ, რადგან შიშვლად სირბილის მოყვარულთათვის განკუთვნილი სპეციალური აეროპორტი ჯერჯერობით არსად არ არსებობს...

9 წლის ბიჭუნამ AUDI-A3-ით 56 ათას დოლარად გაისეირნა

„ახალგაზრდა მძღოლმა“ ალექსმა დიუსელდორფში თავის სახლთან ახლოს მდებარე საოფისე შენობასთან გასაღებების აცმა იპოვა. აცმაში „აუდი-ა3“-ის გასაღებიც აღმოჩნდა, რომელიც ოფისის გარაჟში იდგა. ბიჭმა სწრაფად აითვისა მანქანის დაქოქვის მექანიზმი და დაძრა კიდეც იგი, თუმცა მისი გასეირნება ძალზედ ხანმოკლე აღმოჩნდა: ალექსი ჯერ იქვე მდგომ საუცხოო „იაგუარს“ შეასკდა, შემდეგ კი – კედელს. შეჯახებისას ბიჭმა საქარე მინას მიარტყა თავი. იმის შიშით, რომ ბავშვს ტვინის შერყევა ჰქონდა მიღებული, სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. გარაჟის თანამშრომელმა ირის ბოიმერმა, რომლის თვალწინაც განვითარდა მოვლენები, განაცხადა, რომ ძვირად ღირებული „იაგუარი“ მათი კლიენტის საკუთრება იყო. 9 წლის ბიჭის სეირნობის შედეგად მიყენებული ზარალი 56 ათას დოლარად შეფასდა.

სტელა მაკარტნის შხაპის მიღება აუკრძალეს

სასამართლომ ბრიტანელ დიზაინერს სტელა მაკარტნის დააკისრა საშხაპის აღება, რომელიც ლონდონის პრესტიჟულ რაიონში – ნოტინგ ჰილში მისი საკუთარი სახლის სახურავზე იყო აშენებული. სტელას რესპექტაბელური მეზობლების აზრით, ნაგებობამ რაიონის არქიტექტურული იერი შელახა და მათ უკმაყოფილება ვესტმინსტერის საბჭოში ჩივილით გამოხატეს.

საბჭომ რაიონის მცხოვრებთ დაუჭირა მხარი. სტელამ, რომელიც სუფთა ჰაერზე შხაპის მიღების სიამოვნებას ვერ ელეოდა, აპელაციით მიმართა დაგეგმარების სახელისუფლებო ინსპექტორატს; ის ნაგებობის გადაკეთებასა ან შეღებვაზეც თანახმა იყო, მაგრამ მისი წინადადება უარყვეს. „მაკარტნის, ახალი დაპროექტებისთვის საჭირო ნებართვა არ ჰქონდა, ნაგებობა კი დაგეგმარების დებულებას არღვევდა, ამიტომ მას საშხაპის მოშლა მოუხდა“, – აღნიშნა საბჭოს წარმომადგენელმა. არქიტექტურული ძეგლებით სახელგანთქმული ნოტინგ ჰილის იერსახის შენარჩუნება, მკაცრი წესებით რეგულირდება.

ჩეხოხლსმენი ჯარტების დამახსოვრებაში

ფენომენალური მახსოვრობით განთქმული ინგლისელი ენდი ბელი მორიგი რეკორდის დასამყარებლად ემზადება: 100 სათამაშო კარტი თანამიმდევრულად უნდა დაიმახსოვროს. ეს ბრიტანეთის მუზეუმის 250-ე წლისთავის აღნიშვნის დღეს მოხდება. ამ აქციის დროს, მოწმეების თანდასწრებით პროფესიონალი კრუპიეები არევ-დარევენ და ისევ დააწყობენ კარტებს. ხუთი საათის განმავლობაში ბელი შეისწავლის მათ თანამიმდევრობას და შემდეგ 100 კითხვას გასცემს პასუხს.



კარტის დამახსოვრებაში ორგზის ჩემპიონი, 35 წლის ენდი ბელი პირობას დებს, რომ ძალიან ცოტა შეცდომას დაუშვებს. წინა რეკორდის დამყარებისას იგი ერთი საათის განმავლობაში მხოლოდ 23 კარტის დამახსოვრებას ახერხებდა.

ფოტოკუთხეები

b 107/22

N13(47) 26/VI-9/VII.2003

ოჯახის ჟურნალი

ფასი 70 თ.

საშოდიცინო ჟურნალი

მთავარი თემა
ქალი და
მამაკაცი

ვენერიული
დაავადებები

ქრისტიანული
ოჯახი

მხიარული
ჭყუმპალპობა

ზაფხულის
ინფექციები

თქვენი და
თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის